

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ია ღარიბაშვილი

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა

ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი,
პროფესორი იუზა ევგენიძე

2008

შინაარსი

შესავალი.

თავი I – ეპისტოლარული ლიტერატურის ჟანრობრივი სპეციფიკისათვის.

თავი II – გრიგოლ ორბელიანის ეროვნული და სოციალური ინტერესები ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

თავი III – გრიგოლ ორბელიანის ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსი და ქართული სულიერების გადარჩენის პრობლემა მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შუქზე.

- ა) გრიგოლ ორბელიანის ქრისტიანული პოზიცია.
- ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი ინტერესი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

თავი IV – გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული ნაწერები, როგორც კავკასიის ბრძოლების მატთანე.

თავი V – გრიგოლ ორბელიანის წერილები ოჯახთან და ახლობლებთან.

- ა) პოეტური შთაგონების ობიექტები «მშვენიერი გრაციანი» გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ ნაწერებში.
- ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით.

დასკვნები.

დამოწმებული წყაროები.

ლიტერატურა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გრიგოლ ორბელიანს ქართველთა ცხოვრების ძნელბედობის ჟამს არამართო პოეტის, არამედ პოლიტიკური მოღვაწის ტვირთიც დააკისრა განგებამ. მისი ცხოვრების გზა ორმაგად რთულია, მისი ჯვარი კი ორმაგად მძიმე. ამ თვალსაზრისით, როგორც აღნიშნავენ «იგი რომანტიკოსია თავის პატრიოტულ განცდებში, პოლიტიკურ იდეალებსა და პოეტურ შემოქმედებაში. მაგრამ მის პრაქტიკულ-ადმინისტრაციულ და სამხედრო მოღვაწეობაში სრულიად არაფერია რომანტიკული» (ქიქოძე, 1985, 311).

სწორედ ეს იქცა ლიტერატურის მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ, რომელმაც თითქოს დააშორა ერთმანეთს, ბუმბერაზი პოეტისა და მებრძოლის სიტყვა და საქმე.

თავის დროზე მართებულად იქნა აღნიშნული, რომ “არიან მწერლები, რომელთა ობიექტური მეცნიერულ-კრიტიკული შეფასება უფრო ადვილი ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სიცოცხლეში ისინი თავიანთი ავტორიტეტით ძალუმად აღელვებენ, აღიზიანებენ ან იმორჩილებენ თანამედროვეთ. გაზვიადებულ თაყვანისცემასა და კატეგორიულ უარყოფას შორის ზოგჯერ აღარ რჩება ადვილი დამშვიდებული და ობიექტური განსჯისათვის, განხილვისათვის» (რადიანი, 1970, 3).

ძირითადად ასეთნაირად წარმოსდგა გრიგოლ ორბელიანის პიროვნება შემდგომი თაობის მეხსიერებაში. ამის მიზეზი კი იყო ის უმძიმესი, მაგრამ საპატიო ტვირთი, რომელიც ამ უაღრესად რთულ პიროვნებას, დიდ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, საკუთარი მხრებით ღირსეულად უნდა ეზიდა სამარის კარამდე.

ისტორიამ და დროთა მანძილმა ცხადყო, რომ არ შეიძლება არც სახელოვანი პოეტის ბიოგრაფიის უარყოფა და არც მხოლოდ ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების ფრაგმენტული მოხმობით შეფასება მისი შემოქმედების ღირებულებისა.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში გრიგოლ ორბელიანი ის შემოქმედია, რომელმაც არა მხოლოდ გულის სიღრმიდან ამოთქმული «პოეტური ხატებით» გაამდიდრა ახალი ქართული ლიტერატურა, არამედ ხმალ-მომარჯვებული იბრძოდა საქართველოს ისტორიის ნათელი ფურცლების შესავსებად. მან თავისი ღირსეული სიტყვა თქვა, როგორც პოეტმა და როგორც სარდალმა. მისი ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელია. ისტორია კი, არ არის გროვა უბრალო ამბებისა, არამედ «არის მთელის» გზნება, თითქო ყოველი შენი კუნთი ნაწილია ამ მთელის, რომლის ცენტრი შენს გარეშეა. - «ისტორია» პირადი განცდაა. ამბავი, მომხდარი ათას წელს უკან – თითქო შენი საკუთარი ამბავია, და შენი საკუთარი ამბავი, მომხდარი ეხლა-თითქო შორეული ამბავია, შენი ხალხის. პლატონის გენიალი თქმა რომ ვიხმართ. «ისტორია» არის «მოგონება» (ანამნეზის), მართაღს იტყვის ამდროული გერმანელი ავტორი. «წარსული მისი (ადამიანის) ხალხის, მისი პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის-მისი პიროვნული საქმეა» (მარტინ ბუბერი). დიახ, ისტორია ქმედითი ხსოვნაა» (რობაქიძე, 1994, 11). – წერს გრიგოლ რობაქიძე.

გარკვეული მიზეზების გამო, გრიგოლ ორბელიანი «ხელხვაგრიელი» პოეტი არ ყოფილა. 48 ლექსი, 3 პროზაული ნაწარმოები «დღიურის» სახით, 4 მხატვრული ესკიზი, 9 გადმოკეთებული და 4 ნათარგმნი ნაწარმოები, 1 კრიტიკული წერილი, 8 შენიშვნა – ასეთია გრ. ორბელიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

პოეზიისა და პროზის გარდა, პოეტი უამრავი პირადი წერილის ავტორია. ძნელად თუ მოიპოვება როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურაში მწერალი, რომელსაც ასეთი მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაეტოვებინოს შთამომავლობისათვის. ამჯერად ჩვენ გრიგოლ ორბელიანი გვაინტერესებს, როგორც უმდიდრესი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ავტორი. ამ მხრივ, როგორც პროფ. აკაკი გაწერილია მიუთითებს, «გრიგოლ ორბელიანის «წერილები»... ბრწყინვალე ანალებია ავტორის მრავალფეროვანი და მდიდარი ოფიცრული ცხოვრებისა. ისინი მოგვითხრობენ ხმლისა და კალმის

თავგადასავალს: სარდალი ღამით ანათებს ჩირაღდნებს დალესტნის ბნელ ხეობებში, ხოლო გამთენიისას იერიშზე მიჰყავს თავისი პოლკი; ომის დაცხრომისა და ზარბაზნების ქუხილის შეწყვეტის უმაღლესი კარავშივე მიუჯდება მაგიდას და მხიარულ ბარათებში ნათესავ-მეგობრებს აუწყებს მემამბოხეთა აულების დალაშქვრის, მიურიდების ამოხოცვის, ათასწლოვანი ტყეების გაკაფვისა და თოვლით დაფარული ბილიკების ქვეითად გადალახვის ეპიზოდებს» (გაწერელია, 1989, 10).

«წერილები უმთავრესად საინტერესოა მით, რომ ააშკარავენ უაღრესად საინტერესო ეპიზოდებით მდიდარ ცხოვრებას» (გაწერელია, 1936, XV). – წერს მკვლევარი.

«წერილები, რომელთაც უფრო საზოგადო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე კერძო, ნამდვილ მოთხოვნილებად შეექმნა იმას მოხუცებულობაში. ყოველს ღირსშესანიშნავ შემთხვევის შემდეგ სიტყვიერი სჯისა იგი სჯიდა კალმით. სხვა კაცი, სხვა პირობაში მყოფი, ან მემუარებს დაუწყებდა წერას მის ადგილზე, ან გაზეთების სტატიებს, ეს კი ცოცხალ კაცს სწერდა ცოცხალ საგანზე. არც ერთი მაღალ ხარისხზე მდგომი პირი არ დარჩენილა, არც კავკასიაში და არც პეტერბურგში, რომელთანაც იმას არ ჰქონდეს პირახსნილი მიწერ-მოწერა და ვინ არ იცნობდა იმას, ვის არ უმსახურნია იმის ხელ-ქვეით კავკასიაში, ვინ არა გრძნობდა მისდამი ღრმა პატივისცემას. მისნი ახლო ნათესავნი და მეგობარნი, იმის წერილებით განებივრებულნი, ავგაროზივით ატარებდნენ მის ბარათებს», წერს ი. მეუნარგია და იხსენებს თუ როგორ გადასცა დიმი. ჯორჯამემ 1883 თუ 1884 წელს ორბელიანისაგან მიწერილი სამოციოდე წერილი (მეუნარგია, 1941, 142).

ის ფაქტი, რომ გრიგოლ ორბელიანი არცთუ «ხელხვავრიელი» პოეტი, მაგრამ უმდიდრესი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შემქმნელია, გარკვეული მიზეზებით შეიძლება აიხსნას. უმთავრესად კი, ალბათ მაინც იმით, რომ არაშემოქმედებითი გარემო და არაჯანსაღი ატმოსფერო ხანგრძლივი დროის განმავლობაში სუფევდა მის გარშემო. ცხოვრების დინების მღვრიე ტალღები გარკვეულად ახშობდა პოეტის მხატვრულ ფანტაზიას. 1832 წ-დან, გრ.

ორბელიანი ხან რუსეთსა და ბალტიისპირეთშია, ხან კი პოლონეთსა და მთიან დაღესტანში და ისიც კალამს ხელში იღებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოკითხვის ბარათებით დაიკმაყოფილოს სამშობლოს და ახლობელთა დაშორებით, ნოსტალგიით მოგვრილი მწვავე გრძნობები.

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში თითქმის უსასრულოდ არსებული კრიზისული პერიოდი ე.წ. «რთული ხანა» და დამაბული სასიცოცხლო პირობები მართალია, ნაკლები სტიმულის მიმცემია მისი, როგორც პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, მაგრამ მასში მაინც არ კვდება სურვილი თხზვისა და პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობაც თანდათან მდიდრდება. ეს თითქოს არის ერთგვარი კომპენსაცია, ერთგვარი ხარკი წერის იმ მოთხოვნის განცდის წინაშე რასაც ამ პერიოდში განიცდიდა რომანტიკოსი პოეტი (ევგენიძე, 1995, 107). ალბათ ამიტომაც არ არის მისი ბარათები ზედაპირული, არაფრისმთქმელი ამბებით გადატვირთული. «გრ. ორბელიანის მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, ხშირად ვხვდებით ეპიზოდებს, სადაც ნამდვილი მწერლის თვალი და ხედვა ჩანს» (ევგენიძე, 1995, 282). თუმცა ჩვენს შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გრ. ორბელიანის «ეპისტოლარული მემკვიდრეობა» ეპისტოლარულ ლიტერატურად მივიჩნიოთ და ბაირონისა თუ გუსტავ ფლობერის ინტიმური მიმოწერის «სიმაღლეზე ავიყვანოთ», მაგრამ ამ ბარათებში კარგად მოჩანს გრ. ორბელიანის, როგორც მთხრობელის ნიჭი. ჩანს, მას ერთნაირად ეხერხებოდა თავისი განცდისათვის როგორც პროზაული, ასევე პოეტური ფორმის მორგება. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა დიდი ილიას შეფასებისა, როდესაც იგი პოეტს «მეუფედ» მიიჩნევს - «ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა».

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარნი მართებულად მიიჩნევენ პოეტის ცხოვრების სამ პერიოდად დაყოფას.

I – ყრმობისა და სიჭაბუკის წლები (1800-1832 წ.)

II – სამხედრო მოღვაწეობის პერიოდი (1834-1857 წ.)

III – დაღესტანმოვლილი გენერლის თბილისში დაბრუნება და მშვიდი საზოგადოებრივი საქმიანობის წლები გარდაცვალებამდე (1858-1883 წ.).

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა შედარებით მწირია მისი ცხოვრების I პერიოდში ე.ი. 30-იან წლებში. სამაგიეროდ უხვი მასალაა წარმოდგენილი II და III პერიოდში.

წერილების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა 1855 (41 ბარათი), 1856 (35 წერილი) და 1857 წლები. სწორედ აქ მთავრდება მისი ცხოვრების II და იწყება III პერიოდი.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ წერილების უმრავლესობა რძლის – ქეთევანის (108), ძმების ილიას (83) და ზაქარიას (41) და უახლოესი მეგობრის დიმ. ჯორჯაძისადმია (70) მიწერილი, თუმცა გრიგოლის ოჯახის წევრების გარდა მისი წერილების ადრესატად XIX საუკუნის გამოჩენილი ადამიანებიც გვევლინებიან, რომლებთანაც პოეტი საკმაოდ დაახლოვებული ყოფილა. მათ შორის ვხვდებით გიორგი ავალიშვილს – XIX საუკუნის ცნობილ პიროვნებას, ქართული თეატრის დაარსების ინიციატორს, რომლის კალამსაც ეკუთვნის მთელი რიგი ნათარგმნი პიესები, მოსე არლუთინსკი – დოღგორუკოვს – რომლის სახელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დადესტანთან, იგი 1847 წლიდან ჯარების სარდალი და სამოქალაქო ნაწილის მმართველია კასპიის მხარეში, კონსტანტინე თარხნიშვილს, ყუბის მაზრის მმართველს, არმიის პოლკოვნიკს, სვიმონ შალიკაშვილს, ვასილ ბებუთაშვილს, იმერეთის დედოფალს – მარიამს, ლევან მელიქიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ეკატერინე დადიანს, სალომე მიურატისას, ანასტასია ოგლობჯიოს, სოფიო ორბელიანს, ნიკო ჭავჭავაძეს და სხვებს.

სადღეისოდ, უმდიდრესი მასალა დაგროვდა გრიგოლ ორბელიანის მხატვრული თუ სამოქალაქო ცხოვრების შინაარსის გასათვალისწინებლად, სადაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწორედ მის ეპისტოლარულ ნაწერებს. გამოჩენილი პოეტისა და მოღვაწის შემოქმედებითი ინტერესების ნათელსაყოფად გამორჩეულია ეპისტოლარულ მემკვიდრეობა, სადაც შეუნიღბავადაა გამოვლენილი ამ საინტერესო შემოქმედის პიროვნულ-ინტიმური, ეროვნული და მხატვრულ-ესთეტიკური ხასიათის დაკვირვებები, რომლის სათანადო

მხატვრულსა და მეცნიერულ მასალასთან კორეგირების საფუძველზე დამყარებული ანალიზი არის ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი.

თავი I

ეპისტოლარული ლიტერატურის ჟანრობრივი სპეციფიკისათვის

რამდენადაც ეპისტოლე (ბერძნ: **epistole**) წერილს ნიშნავს, ამდენად, ეპისტოლარულობა მიმოწერითი ხასიათის ნაწერებს გულისხმობს და მისი ისტორია დამწერლობის გაჩენიდან იწყება, როცა ადამიანები ერთმანეთს სწერდნენ ბარათებს პაპირუსზე, არყის ქერქზე, პერგამენტსა და ქაღალდზე. ამიტომაც რთული აღმოჩნდა წერილის, როგორც ინფორმაციის საშუალების და როგორც თვითგამოხატვის ხერხის ურთიერთისაგან გამიჯვნა.

ტრადიციული ახსნით, «ეპისტოლე» ბიბლიაში ნიშნავს წერილებს ახალი აღთქმის. პაულინას ეპისტოლეები (მიწერილი წმ. პავლესადმი) რომაელთა მიმართ, პირველი და მეორე წერილი კორინთელთა მიმართ, გალატელთა მიმართ, ეფესელთა მიმართ, ფილიპელთა მიმართ, კოლასელთა მიმართ, პირველი და მეორე წერილი თესალონიკელთა მიმართ, პირველი და მეორე წერილი ტიმოთეს მიმართ, ტიტეს მიმართ, ფილიმონის მიმართ და ებრაელთა მიმართ. კათოლიკური ანუ ზოგადი წერილები, ესაა იაკობის წერილი, პეტრეს პირველი და მეორე წერილი, იოანეს პირველი, მეორე და მესამე წერილი და იუდას წერილი. ეს კლასიფიკაცია ტრადიციულია. ეპისტოლე არის ორგანული ნაწილი ტრადიციული, ქრისტიანული ლიტურგიისა, რომელსაც ხმამაღლა კითხულობენ (ენციკლოპედია, 1998, 918).

«ეპისტოლე» - კომუნიკაცია, შეტყობინება, თხზულება, ოფიციალური მიმართვა, წერილი (ლექსიკონი, 1998, 211).

ეპისტოლე – ლათინური **epistula**, მწიგნობრული, წერილი, ამბავი, შეტყობინება, მოხსენება. ბერძნულად ეპისტოლე ნიშნავს შეტყობინებას, პატაკს, წერილს. წარმოშობილია სიტყვიდან **epistellein**. ესაა თხზულება პროზის ან პოეზიის სახით, რომელიც დაწერილია ბარათის ფორმით და გამიზნულია განსაკუთრებული პიროვნების ან ჯგუფისადმი გასაგზავნად.

ლიტერატურაში არის ორი ძირითადი ტრადიცია ლექსი ეპისტოლეში. ერთი წარმოშობილია ჰორაციუსის ეპისტოლესაგან და მეორე კი ოვიდიუსის ეპისტოლესაგან, რომელიც ცნობილია როგორც ჰეროიკული, საგმირო. პირველი მიმართვები ეხებოდა მორალურ და ფსიქოლოგიურ თემებს და იყო პოპულარული ფორმა რენესანსის დროიდან. ფორმა, რომელიც განვითარდა ოვიდიუსისაგან, ეხებოდა რომანტიკულ და სენტიმენტალურ თემებს. ეს უფრო პოპულარული ფორმა იყო, ვიდრე ჰორაციული ფორმა შუა საუკუნეების ევროპაში. ყველაზე ცნობილი მაგალითები ჰორაციული ფორმისა არის პაულინას ეპისტოლეები (შეტანილი ბიბლიაში) და ისეთი ნაშრომი როგორცაა ალექსანდრე პაპის ნაშრომი – ეპისტოლე დოქტორ არბუტნოტთან.

ეპისტოლე დოქტორ არბუტნოტისადმი არის პოემა, რომელიც ეკუთვნის პაპ ალექსანდრეს და გამოცემული იქნა 1735 წლის იანვარში. იგი მიძღვნილი იყო პაპის მეგობრის ჯორჯ არბუტნოტისადმი და წარმოადგენდა ერთგვარ ბოდიშის მოხდას, რომელშიც პაპი იცავდა თავის ნაშრომს ფარისეველ მწერალთა თავდასხმებისაგან, ისეთებისაგან როგორც არიან ლედი მერი ვორტლი მონტაგუ, ჯოზეფ ედისონი და ჯონ ლორდ ჰერვეი.

პაპმა დაწერა ეს გრძელი ლექსი ჰორაციუსის მიბაძვით. მან შეინარჩუნა დახვეწილი ბუნებრივი ტემპი რიტმიანი ტაეპებისა და სხვა ფორმები მრავალნაირი რიტმისა. პოემა სატირული ხერხებით ასახავს პაპის თანამედროვე მშიშარა კრიტიკოსებს, ფარისეველ პედანტებს, ხელოვნების უსიცოცხლო, უგემოვნო მოღვაწეებს, პირმოთნე კარიკატურისტებს.

ეპისტოლარული რომანი - ესაა რომანი, რომელიც მოთხრობილია წერილების საშუალებით, დაწერილი ერთი ან მეტი მოქმედი გმირის მიერ. წარმოშობილია სამუელ რიჩარდსონის «პამელასაგან» (1740), სადაც მოთხრობილია მოსამსახურე გოგონას წარმატებული ბრძოლის შესახებ თავისი ბატონის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს მის შეცდენას. ეპისტოლარული რომანი იყო ერთ-ერთი – ყველაზე უძველესი ფორმა რომანისა, რომელიც განვითარდა და დარჩა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფორმად XIX საუკუნემდე. ეპისტოლარული რომანისათვის დამახასიათებელია აზრის

სუბიექტური გადმოცემა, რაც აქცევს მას თანამედროვე ფსიქოლოგიური რომანის წინამორბედად.

უპირატესობა წერილობითი ფორმის რომანებისა ისაა, რომ იგი წარმოადგენს ინტიმურ მხარეს მოქმედი პირების ფიქრებისა და გრძნობებისას ავტორის ჩაურევლად და გამოხატავს მოვლენას, რომელსაც მივყავართ დრამატულ დასასრულამდე. ამავე დროს ამ მოვლენის წარმოდგენა სხვადასხვა თვალთახედვის არედან მიგვანიშნებს მის დამაჯერებლობაზე. თუმცა ეს მეთოდი ყველაზე მეტად იყო დამახასიათებელი სენტიმენტალური რომანისათვის, იგი გამოიყენებოდა სხვა ტიპის რომანებშიც. იმ სახის ნაწარმოებებს, როგორცაა რიჩარდსონის «კლარისა» (1747-48) ჰქონდა ტრაგიკული ინტენსივობა, ტობიას სმოლეტის «ჰამპრი კლინკერი» (1771) არის ავანტიურული კომედია და ფენნი ბერნის «ეველინა» (1778) არის ზნე-ჩვეულებების რომანი.

ზოგიერთი ნაკლი წერილობითი ფორმის რომანებისა იმთავითვე ცხადი იყო. მოსამსახურე გოგონა პამელას ლიტერატურული ძალა და ავტორის წერის მანერა ყველა შემთხვევაში იყო პაროდია ჰენრი ფილდინგის «პამელასი» (1741), რომელიც ასურათხატებს მის გმირობას. 1800-იანი წლებიდან ამ ფორმის რომანების პოპულარობა შემცირდა, თუმცა ეს რომანები შეიცავდა წერილებს და ზოგად თხრობას. XX საუკუნეში ეპისტოლარული მოთხრობები გამოიყენებოდა იუმორის გამოსახატავად და ზემთაგონებული გმირის ამბის მოსათხრობად, ისეთ ნახევრად მწიგნობრულ ნაწარმოებებში, როგორცაა ბურთის სულელი მოთამაშე გმირი რინგ ლარდგრენის ნაწარმოებში «თქვენ ყველანი მიცნობთ მე» (ენციკლოპედია, 1995, 384).

ასე რომ, როგორც სპეციალისტთა დაკვირვებით ირკვევა, ეპისტოლეს ჟანრს, სხვა ლიტერატურულ გვართა შორის საპატიო ადგილი უჭირავს (ელისტრატოვა, 1973, 309) და ჩვეულებრივ დოკუმენტური ინფორმაციულობის გარდა, მათ წმინდა მხატვრული დატვირთვაც აქვთ; ლექსითი თუ პროზაული ფორმით შექმნილი ეპისტოლარული ქმნილებები ადამიანთა სულიერი ცხოვრების თვითგამოხატვას ემსახურებიან. ზოგჯერ ისინი პანეგირიკის – საშუალებაა, ხან პოლემიკისა და ამ ნიადაგზე, არც თუ იშვიათად, პაროდიულ-

სატირულ ხასიათსაც იძენენ (იქვე, 309). უფრო მეტიც, იხსენებენ ცნობილი გერმანელი მწერლის ჟან პოლ რიხტერის გამონათქვამსაც: «წიგნები – ეს ვრცელი წერილებია მეგობრებისადმი, წერილები კი მხოლოდ მომცრო წიგნები ადამიანებისადმიო». ზოგიერთი ფიქრობს, რომ გამოჩენილ ადამიანთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა უმეტესად იკითხება «როგორც რომანი» (ა. ელისტრატოვა). ამგვარ შეგრძნება-შთაბეჭდილებას იმ უბრალო მიზეზით ხსნიან, რომ «წერილთა ავტორი გარემომცველი თანამედროვეობის წარმოდგენისას ემსგავსება რომანის მთავარ გმირს, ხოლო მისი კორესპონდენტები – დანარჩენს: - პირველხარისხოვანსა ან მეორეხარისხოვან პერსონაჟებს»(აპტი, 1975, 383), - თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ «მწერლის წერილები ყოველთვის არაა ლიტერატურა» (გინზბურგი, 1990, 3), მაგრამ ყველა შემთხვევაში უდაოა მისი კავშირი ხელოვანის, შემოქმედის შინა და გარე სამყაროსთან.

რა დონისა და ხასიათისაც არ უნდა იყოს ეპისტოლარული ნაწერი, მას მაინც ე.წ. «წერილობითი აღსარების» ფორმა აქვს და როგორც ყველა აღსარება, მისთვისაც სპეციფიკურია გრძნობათა სიწრფელე, უშუალობა, მღელვარების შემცველი ლირიზმი. მოსალოდნელია ყველა შემთხვევაში, ეს ნიშნები სხვადასხვა დოკუმენტში სისავსით არ ვლინდებოდეს, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი შტრიხები კი უნდა იკვეთებოდეს. ალბათ, ამის გამოა, რომ «ბიოგრაფიული მეთოდით» (ჰინკლე) მომუშავე სოციოლოგები, ფსიქოანალიტიკოსები და მათ მიერ მოპოვებული დასკვნებით შეიარაღებული ლიტერატორები საკვლევე ობიექტის პირველადი ფსიქიკური განცდების, ოჯახური ცხოვრების კონფლიქტების, ცხოვრების სახის და საზოგადოდ სოციალური კონტაქტების საჩვენებლად, არსებით მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ ამ მასალას (ვსარგებლობთ ჰინკლეს გამოცემით, ბეკერი და ბოსკოვი, 1961, 667). ზოგიერთი ავტორი დაბეჯითებითაც ირწმუნება, რომ ასეთი «წერილობითი აღსარება» იძლევა იმის გარანტიას, რომ გაირკვეს არაცნობიერის სფეროში მიმალული თვით განდევნილი, ან ჩახშობილი იდეები და აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით, «წერილობითი აღსარება» ყველაზე საუკეთესო, ეფექტური საშუალებაა აწეწილ განცდათა და ფსიქიკურ დარღვევათა ახსნისათვის (ბეკერი და ბოსკოვი, 1961,

668). ამიტომაც მრავალმხრივი ინტერესის შემცველია ეპისტოლარული მემკვიდრეობა, როგორც წმინდა შემოქმედებით – ესთეტიკური ღირებულების მქონე ფაქტი, როგორც კულტურულ-ისტორიული და სოციოლოგიური მოვლენა და როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი. «ფსიქოლოგიური თვითდადგინება, სიყვარული და ოჯახი, სოციუმთან დამოკიდებულების მტანჯველი და ამავე დროს სრული პათოსია» (გინზბურგი, 1990, 11) და ესაა სწორედ როგორც ესთეტიკოსები იტყვიან - «ცოცხალი რეალობის ასპექტი» (გასეტი, 1992, 33), თუკი სწორია აზრი, რომლის მიხედვით, «პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი. ერთის ბედი თავისი ადამიანური გზით სიარულია, მეორეს მისია – არარსებულის შექმნა» (გასეტი, 1992, 62), - მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეპისტოლარულ ნაწერებში მრავალმხრივ ირეკლება ხელოვანის ადამიანური ცხოვრების პროზა და ამ ყოფითი პროზიდან ღვთაებრივში ანუ მხატვრულ – ილუზიურ სამყაროში გადასვლის ხაზები. თუ ერთის მხრივ მწერალთა ეპისტოლარული ნაწერები ძვირფასი წყაროა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის შექმნისათვის ძირითადი მასალა, მეორეს მხრივ, - მათში აისახება მწერლის თვალთ დაინახული ეპოქისა და ამ ეპოქაში მცხოვრები კონკრეტული ადამიანების რეალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტები. სახელოვან შემოქმედთა წერილების გაცნობის საფუძველზე გამოაქვთ კიდევ დასკვნა, რომ «ამ წერილებში ხშირია მთელი იმპროვიზირებული ნოველები, ან თხრობითი ეპიზოდები, რომლებსაც შეეძლოთ სასწრაფოდ დაეკავებინათ ადგილი არა მხოლოდ რომანტიკულ, არამედ რეალისტურ ფსიქოლოგიურ რომანშიც» (ელისტრატოვა, 1973, 346). ამასთან ფაქტია, რომ ისინი შეიცავენ «უძვირფასეს მასალას ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად» (იქვე, 309). მწერლის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შტრიხები ძალუმად იკვეთება ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. ამ თვალსაზრისით წერილები ერთ-ერთი სანდო მასალაა, რადგან ფსიქოლოგთა დაკვირვებით «ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შექმნაში საკუთარი თავის უშუალო განცდის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ადამიანთა რეაქციებს პიროვნების «მე»-ს მიმართ. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი ამ მონაცემების საფუძველზე იქმნება.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი წარმოადგენს ადამიანის პიროვნულ გარკვეულობას, ერთის მხრივ დროსა და სივრცეში, ხოლო მეორეს მხრივ სოციალურ ურთიერთობათა პროცესში. ამიტომ მის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის წარმოდგენები საკუთარი პიროვნების შესახებ და ისიც, თუ რა ადგილს იკავებს იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორია სოციალური გარემოს რეაქცია მის მიმართ. ამ სახით ფორმირებულ შეხედულებას თავისი თავის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისათვის, რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს შიბუტანი, რასაც აკეთებს, ან არ აკეთებს ადამიანი, მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული იმით, თუ რა შეხედულება აქვს მას საკუთარი თავის შესახებ» (ნადირაშვილი, 1975, 307-308. ავტორს მხედველობაში აქვს შიბუტანის წიგნი “სოციალური ფსიქოლოგია, მ, 1969). მოცემულ შემთხვევაში სხვა მასალებისაგან განსხვავებით, მწერალთა, ხელოვანთა ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, გამორჩეული მნიშვნელობა იმიტომაც შეიძლება მიენიჭოს, რომ სპეციალისტთა აზრით, «გათავისუფლებულია რა ცენზურის ჩხრეკისაგან (თვალთვალისაგან), წერილში შეიძლება მიაწოდო ისეთი ცნობები კორესპონდენტს, ისეთი მასალები, ისეთი მოსაზრებანი, რომლებიც არ შეიძლება ლეგალურ პრესაში მოხვედრილიყო” (როზანოვა, 1965, 6). იმიტომაც თვლიან, რომ წერილები უტყუარი დოკუმენტებია მწერალთა «ნამდვილი სახის გასაგებად» (ა. ელისტრატოვა). ამ კონტექსტში, ბაირონის შემოქმედების ერთი მკვლევარი იხსენებს დიდი ინგლისელი პოეტის ბარათთა პირველი გამომცემლის რუდოლფ ე. პროტერის აზრს: «ყველა იმათთვის, ვისაც ინგლისური ლიტერატურა უყვარს, ბაირონის წერილებს აქვს მიმზიდველი ძალა სამი მიზეზით, - ისინი შეიცავს არაჩვეულებრივად მჭევრმეტყველურ კომენტარებს მისი პოეზიისათვის; ისინი გვიხატავენ ბაირონის, როგორც ადამიანის, უმართლეს პორტრეტს; თავის საუკეთესო ნიმუშებში ისინი გამოირჩევიან უშუალოებით, სიახლით, ცხოველმყოფელი ენერგიულობით, რომლებიც მათ სძენს მაღალ ლიტერატურულ ღირებულებას» (ელისტრატოვა, 1963, 344). აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე სხვა მკვლევარებაც ფიქრობენ, რომ «ბაირონის წერილები და დღიურები ცოცხალი ისტორიული

დოკუმენტის ღირებულებასთან ერთად მხატვრული ლიტერატურის საუცხოო ძეგლიცაა» (იქვე, 344). მკითხველი მასში პოულობს არა მხოლოდ ძვირფას კომენტარს XIX საუკუნის დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ, არამედ შეიცავს თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსთათვის თვით პოეტის ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ე.წ. «ინცესტის თეორიისათვის» საინტერესო მასალას (ელისტრატოვა, 1963, 358). კონკრეტული ეპისტოლარული ნიმუშების შესწავლანალიზი აძლევს საფუძველს მკვლევარებს ჩათვალონ მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნაციონალური კულტურის მოუცილებელ ნაწილად, მნიშვნელოვან წყაროდ ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის შესასწავლად, იმ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ატმოსფეროში, რომლებშიც სახელმძღვანელო კალმოსნები ჰქმნიდნენ თავიანთ თხზულებებს.

რასაკვირველია, ყოველ ეპოქას ჰყავს თავისი დიდი წარმომადგენლები, რომლებიც არა მხოლოდ ეპისტოლარული მემკვიდრეობის სიუხვით იქცევენ ყურადღებას, არამედ მისი სპეციფიკურობითაც. ამ მხრივ ახალ საუკუნეებს განმანათლებლობის ეპოქას (XVII-XVIII სს.), ეპისტოლარული პროზის «ოქროს საუკუნეებსაც» კი უწოდებენ (ელისტრატოვა, 1973, 310), მაგრამ გამორჩეული ადგილი მაინც XIX საუკუნეს ეკუთვნის. აღიარებენ კიდევ: «XIX საუკუნე ეს – საზოგადოდ მაღალი ეპისტოლარული კულტურის და განსაკუთრებით მწერალთა წერილების საუკუნეაო» (როზანოვა, 1965, 5). ასეა ეს ევროპული მასშტაბით ყველა კულტურული ერის და მათ შორის XIX საუკუნის ქართული სინამდვილის თვალსაზრისითაც.

როგორც აღვნიშნეთ, შეუწელებელი ინტერესის საგანია სახელგანთქმულ მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა მრავალი ასპექტით, გამორჩეულად კი მხატვრული შემოქმედების, ფსიქოლოგიის, შემოქმედებითი პროცესების ანალიზისას, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეპისტოლარული ნაწერების გარკვეული პრინციპის მიხედვით განხილვა ერთგვარად ჭირს, რადგან როგორც მიუთითებენ მიმოხილვისათვის წერილთა კლასიფიკაცია, მათი დაყოფა ჯგუფებად გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მხატვრული ან პუბლიცისტური

ნაწარმოებებისა, სადაც მიმოხილვისა და სისტემატიზაციისას შეიძლება დაეყრდნო თემას, ჟანრს, ქრონოლოგიას. ქრონოლოგიური დაყოფა მართალია შესაძლებელია, ოღონდაც როცა საქმე წერილებს ეხება ისინი ამოვარდნილი არიან (აპტი, 1975, 380) ანუ ნაკლებად ექვემდებარებიან განხილვის ტრადიციულ გზას. მართლაც, მწერლის ყოფითი და შემოქმედებითი ცხოვრების შემხები და გადამკვეთი პუნქტები ისეთნაირად წარმოსდგებიან მწერალთა ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, რომ ძნელია გარკვეული მოდელის, თუ შემუშავებული სქემის მიხედვით დაახასიათო და შეფასება-კვალიფიკაცია მისცე მწერლის ფსიქოლოგიურ ავტოპორტრეტს, რომელზე დაყრდნობითაც მეტ-ნაკლებად გვეხსნება გზა მისი შემოქმედებითი სამყაროსაკენ.

ყველა შემთხვევაში ფაქტი ერთია: რაოდენობრივადაც და თვისობრივადაც, ამის კვალობაზე – შინაარსითაც და გამოხატვის ფორმითაც, თვით მწერლები და ხელოვანები არიან ამქვეყნად მრავალნი და ნაირფეროვანნი, ასევე უაღრესად ინდივიდუალურია თავისი ხასიათით, მრავალფეროვანია ხელოვანთა ეპისტოლარული მემკვიდრეობაც.

რამდენადაც ეპისტოლარული ტიპის ნაწერებში უფრო მეტად ავტორის სუბიექტური «მე» ჩანს, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად ლირიკული ბუნებისაა ყველა მწერლისა თუ ხელოვანის ბარათები. ლირიკული ატმოსფეროს შექმნის საფუძვლად ხშირად იქცევა ცალკეული მწერლის ადრესატთა თუ კორესპონდენტთა ხასიათის თავისებურება, კულტურულ-ინტელექტუალური დონე, სოციალური მდგომარეობა, მწერლის გარე და შინა სამყაროსთან მისი შეხების ხარისხი და დამოკიდებულების შინაარსი საზოგადოდ. ამ სირთულის გამოა, რომ ეპისტოლარული მემკვიდრეობის კვლევის განზოგადოება ვერ ხერხდება და იგი მიემართება სიღრმისეული ჭრილით, ანუ როგორც ამბობენ «ვერტიკალურად». ამ მიმართებით ცდილობენ, მაგრამ თვით კვლევა-ძიების დიდი ტრადიციის მქონე ერებიც ვერ აღწევენ კონკრეტული მწერლის ეპისტოლარული «მემკვიდრეობის ფარგლებს გასცდნენ და ე.წ. «ჰორიზონტალურ» სიბრტყეში მოახდინონ მასალის ოპერირება, რაც გულისხმობს ეპისტოლესა და ეპისტოლარული, წერილობითი ფაქტის

განმაზოგადებელი ისტორიის დაწერას. თუმცა ცალკეულ მიმართულებათა მონაცემის მიხედვით არის ცდები გარკვეული ჟანრობრივი პრინციპით იქნას შესწავლილი მწერალთა ეპისტოლარული სამყარო. (ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მაგალითად ა. ელისტრატოვას ნარკვევი «რომანტიკოსთა ეპისტოლარული პროზა».)

აღნიშნულ სფეროში ამ მხრივ არის კიდევ მოსინჯული ამა თუ იმ მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობის რაგვარობა; მისი შინაარსობრივ-თემატური თუ მხატვრული სტრუქტურის რაოდენობრივ-თვისობრივი ფაქტურა. ასეა ეს სახელოვან უცხოელ მწერალთა მიმართ, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ხელოვანთა პირადი მიმოწერის თვალსაზრისით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საერთოდ არაა გაშლილი კვლევა-ძიებითი დაკვირვებანი. თუმცა ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა ნაშრომებში ყოველთვის ჯეროვან ადგილს იჭერდა და იჭერს ჩვენი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან გამოხმობილი და გარკვეული მოსაზრების შესამაგრებლად სხვა მასალებთან კორეგირებული წერილები. ევროპულსა და რუსულ სამყაროში არსებობს შემოქმედთა ეპისტოლარული მემკვიდრეობის ცალკე გამოცემის ტრადიცია. ყოველ შემთხვევაში თხზულებათა იმ ტომეულებს მაინც, სადაც მწერალთა მიმოწერაა თავმოყრილი, ერთვის სათანადო სამეცნიერო გამოკვლევითა და კომენტარებით შეჯავშნული აპარატურა, მაშინ, როდესაც ჩვენში, ქართველ მწერალთა თხზულებების არც ერთ გამოცემას, სადაც თავმოყრილია მათი მიმოწერები, არ ახლავს ეპისტოლარული ნაწერების მიმოხილვა – დახასიათება. რაც შეეხება ცალკე დასტამბულ მწერალთა პირად წერილებს, აკაკი გაწერელიას მიერ გამოცემულ გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ორტომეულის გარდა (მესამე ტომის მასალებიც შეკრებილი დარჩა), ქართულ სინამდვილეში არ არსებობს გამოჩენილ ადამიანთა მიმოწერების მეცნიერული აკადემიურობით მოვლა-პატრონობის სხვა ნიმუშები.

ქართულ კულტურულ სივრცეში ეპისტოლარული ნაწერების სიუხვე-მრავალფეროვნებით გამორჩეულია სახელოვანი რომანტიკოსის გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომლის თემატიკური

სისტემატიზაცია და ლიტერატურული ანალიზი არის სწორედ ჩვენი ამჟამინდელი ამოცანა.

თავი II

გრიგოლ ორბელიანის ეროვნული და სოციალური

ინტერესები ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საყურადღებო მასალას შეიცავს პოეტის ეროვნულ და სოციალურ ინტერესთა გასათვალისწინებლად. როგორც პროფესორი მიხეილ ზანდუკელი აღნიშნავს: «ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება გრიგოლ ორბელიანის გაორების შესახებ, ვინაიდან მის შემოქმედებაში გამოხატულ მძლავრ პატრიოტულ მოტივსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში სრულ წინააღმდეგობას ხედავენ» (ზანდუკელი, 1972, 208) და იმოწმებს კიტა აბაშიძეს, რომლის თვალსაზრისითაც გრიგოლ ორბელიანის «ბიოგრაფია, არავითარ ნათელს არა ჰფენს მის მწერლობას, და წინააღმდეგ ეს მისი ცხოვრების მატთანე გვარწმუნებს იმაში, რომ ხშირად, ძალიან ხშირად განსაკუთრებით ეს ჩვენი მწერლობის ისტორიაში, მწერლის შინაგან არსებასა და მის გარეგან ცხოვრებას შორის ხიდია ჩატეხილი და გარდაუვალი უფსკრულია დამკვიდრებული. რა უნდა იყოს საერთო იმ გრიგოლ ორბელიანს შორის, რომელმაც რაც უნდა ვთქვათ, ძალიან მძლავრად ააჟღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრიგოლ ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზედ ერთ-ერთ საყურადღებო ცენტრად, ერთ-ერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა» (აბაშიძე, 1970, 33).

ამ აზრს შემდეგშიც არაერთი მკვლევარი იზიარებდა. ამ პოზიციას ავითარებს მ. ზანდუკელი შემდეგ მსჯელობაშიც: «გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივი სიცოცხლე სავსეა შთაბეჭდილებებით, განგაშით და შინაგანი თუ გარეგანი დიდებით, მაგრამ ამასთანავე გაორებული პიროვნებაა: საქართველოს

უდიდესი პატრიოტი და რუსეთის ტახტის ერთგული ქვეშევრდომი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე და 1865 წლის თბილისის აჯანყების (ბუნტის) იარაღით ჩამქრობი (კიდევ შეიძლება ამ მხარის გაძლიერება – 1841 წლის გურიის ამბოხების ჩაქრობის მონაწილე-მ. ზ.), თავისუფლების დიდი მოტრფიალე, «ნალივაიკოს აღსარების» მთარგმნელი, «იარალის» ავტორი და შამილის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი, ტლანქი მეომარი, რომელიც სისხლიანი ხელებით თავმომწონე წერილებს სწერს თავის მახლობლებს. . .» (ზანდუკელი, 1972, 209). მკვლევარი აქ გადმოსცემს ტრადიციულ შეხედულებებს, თუმცა არსებით ნაწილში მას ზემოთმოყვანილი თვალსაზრისი მისაღებად არ მიაჩნია.

მოცემულ შემთხვევაში შევეცდებით გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შევაფასოთ მკვლევართა ხსენებული შეხედულებანი. პირადი წერილები ხომ მისი სულიერი ცხოვრების უბრწყინვალესი დოკუმენტებია, შეულამაზებელი, სანდო, უტყუარი და ბევრის მომცემი, მისი, როგორც შემოქმედისა და პიროვნების ბუნების ასახსნელად.

იმ ფაქტს, რომ გრიგოლ ორბელიანისათვის სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მისი სასიცოცხლო არსებობის ფორმა იყო, ჯერ კიდევ პოეტის თანამედროვე და ბიორგაფი იონა მეუნარგია აღნიშნავდა: «დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს მისგან საუკუნოდ განუშორებელი მეგობრობა მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა, წესიერებისა და თადარიგის სიყვარული» (მეუნარგია, 1941, 46). სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან, როგორც პროფესორი შალვა რადიანი წერს «გრიგოლ ორბელიანი დაკავშირებული იყო იმ გვართან, რომელმაც საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა» (რადიანი, 1952, 65). მართლაც, გრიგოლ ორბელიანი აღმოსავლეთ საქართველოს იმ წარჩინებულ ფეოდალთა შთამომავალია, რომელთაც ლომის წილი მიუძღოდათ ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში. ალბათ იმიტომ მოიხსენიებს გრიგოლ ორბელიანი სიამაყით ღირსეულ წინაპრებს ყაფლან ორბელიშვილს და ორბელიანთა გვარის ფუძემდებელ (როგორც მას თავად მიიჩნევს) ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელს.

თავად პოეტიც ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ორბელიანთა სახელოვანი გვარისა, რომელმაც დიდ წინაპართა მსგავსად შეძლო უდრტვინველად ეზიდა ტვირთი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი კაცისა. “გრიგოლ ორბელიანი თავად სამშობლო ქვეყნის ოხვრაა, მისი წარსულისა და აწმყოს დარდი თუ იმედი, სიდიადე თუ განსაცდელი-ყოველივე ეს ისე მძლავრად აისახა ჩვენი დიდი რომანტიკოსის შემოქმედებაში, რომ უამისოდ გრ. ორბელიანის პირადული თუ ლიტერატურული ცხოვრება წარმოდგენელია» (მაღრაძე, 1975, 407). –წერს ე. მაღრაძე.

«1832 წლის ტრაგიკულ ამბებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ პოეტის შეგნებაში მძაფრი პატრიოტული განწყობილებების გაღვივების თვალსაზრისით, ამ ისტორიულმა ფაქტმა არანაკლებ დაღი დაამჩნია გრიგოლ ორბელიანის ინტიმურ სამყაროსაც და განსაკუთრებული ელფერი შესძინა მთელ მის პოეტურ მსოფლშეგრძნებას» (ასათიანი, 1974, 118).

მართლაც 1832 წელს საქართველოსთვის ტრაგიკულად განვითარებულმა მოვლენებმა ერთგვარად შეცვალა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, გაერთიანებულ საქართველოზე მეოცნებე პოეტი. ამიტომაცაა, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გრიგოლ ორბელიანს «პატრიოტულად მომართულს, თავისუფლების ტრფიალს, საქართველოს გასათავისუფლებლად გულწრფელად მოღვაწეს» უწოდებენ და შემდეგ ახსნას აძლევენ მისი გაორების თაობაზე მოარულ მოსაზრებებს: «ქართველმა საზოგადოებამ ამ დროისათვის ვერ შეძლო ჩვენი ერისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაჭრა. გრიგოლ ორბელიანი შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად დასაჯეს, გადაასახლეს. ის ხან პოლონეთშია, ხან ბალტიისპირეთში; საბოლოოდ კი კავკასიის მთიანეთში, სადაც ებრძვის სახელგანთქმულ შამილს. ეტყობა, საკითხის რეალურმა მხარემ, იმ მწარე გამოცდილებამ, რაც გრიგოლ ორბელიანმა ცხოვრებისაგან მიიღო, საბოლოოდ დაარწმუნა პოეტი, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის შეთქმულებას სასურველი შედეგი არ შეიძლება მოჰყოლოდა. ეს პოეტის მუდმივი ფიქრის საგანი რომ არის, ამას

ნათლად გვიდასტურებს მისი «მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის» და პირადი წერილები. გრიგოლ ორბელიანი ხედავს, რომ რაოდენ მწარეც უნდა იყოს რუსეთის ქვეშევრდომობა, ეს არის შედარებით უკეთესი გზა შექმნილი საერთაშორისო ვითარების პირობებში; ის ბევრად სჯობს მაჰმადიანური სპარსეთისა და თურქეთის ბატონობას. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა დაცულია მათი გამანადგურებელი შემოსევებისა და ლეკთა თარემისაგან. დროთა ვითარებაში გრიგოლ ორბელიანი მოვლენათა ანალიზებს უფრო მიმართავს და მაღალი ემოციების სფეროდ მხოლოდ პოეზიას იტოვებს» (ევგენიძე, 1995, 22-23).

სამშობლოსაგან შორს მყოფი მის დღიურებში «მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის» (1831-1836წ). ხშირად საუბრობს «საზოგადოდ ქართველების მიერ სამშობლოს განუსაზღვრელ სიყვარულზე» (რადიანი, 1952, 67). მის პირად წერილებშიც ხშირად იკითხება პოეტის სევდა, გამოწვეული სამშობლოს სიშორით და მისი მონატრებით, რადგანაც განგებამ მუდამ სამშობლოსაგან შორს ყოფნა არგუნა. აი, რას სწერს ნოვგოროდიდან იგი წერილში ერთ-ერთ ბატონიშვილს: «აქ რომ გიახელ, იმედი მქონდა, რომ საქართველოში გამისტუმრებდნენ—თუმცა მწყინს ძალიან აქ დაშთენა, მაგრამ რა ვქნა, უნდა მოთმინებით ვჰძლიო ბედი ჩემი, და ჩემს თავს ამით ვჰსცემ ნუგეშსა, რომ გაზაფხულზე ან უფრო ადრე მეღირსება ხილვა თქვენი. . . რამდენჯერ გაფიქრებული გიმზერდით რა ვამბობდი ჩემს გულში: თქვენ ვინ? მე ვინ და ჩვენი ყოფნა სად?—» (ორბელიანი, 1936, 5). სწორედ ამიტომ ქართული, ეროვნული ხასიათის შტრიხების, ქართული ბუნების, მშობლიურის ძეგნით არის დაკავებული მისი შინაგანი სამყარო ყველგან და ყოველთვის, რაც არ უნდა შორს იყოს იგი სამშობლოსაგან: «აქაურს გლეხიკაცებს ჩვენებური ქალამნები აცვიათ. მიკვირს ესრეთი მიმზგავსება ესრეთს დაშორებულთ ადგილთ ურთიერთისაგან» (იქვე, 16). – სწერს ძმას, ზაქარია ორბელიანს 1834 წელს ქალაქ ვალკადან. (ყოფილი სამაზრო ქალაქი ყოფილ ლიფლანდიის გუბერნიაში, რიგიდან 135 ვერსტის დაშორებით).

ამავე პერიოდს მიეკუთვნება პოეტის პატარა დღიურში ამოკითხული შემდეგი სიტყვებიც:

«პონექევი, 9 ივლისს:–დილით მესამე საათზე გამოვედით პონექევით. . . . თორმეტს ანუ ცამეტ ვერსტზე გამოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალნი სოფელნი, განზნეული ვაკესა ადგილსა ზედა, შემკობილსა ლამაზის ჭალაკებით და აქა-იქ ლამაზის მისებით, ფრიად აამებდა თვალთა: ერთის შეხედვით ემსგავსებოდა საქართველოსა! უნებლიეთ აღმოუტევე ოხვრა გულისაგან ჩემისა. ნუთუ მხოლოდ შემსგავსებით, ანუ შედარებითა უნდა ვანუგეშო თავი ჩემი? ნუთუ არღა მეღირსების ყოფნა მუნ, სადაც მიისწრაფიან ყოველნი ფიქრნი და სურვანი ჩვენნი?» (მეუნარგია, 1941, 57).

მრავლისმთქმელია სამშობლოსაგან შორს ყოფნით გამოწვეული შემდეგი სიტყვებიც, სადაც მშობლიური კერის მონატრება და მშობლიურ გარემოში, ოჯახის კაკლის ჩრდილში დასვენების დიდი სურვილია გამოთქმული.»—*Пора, пора отдохнуть под тенью домашнего орешника*»— (ორბელიანი, 1936, 19), სწერს ზაქარიას 1834 წელს და მეტად შემადრწუნებელია მისთვის ფიქრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ბედისწერამ სადმე შორს, უცხო მხარეს ინებოს სამარის გათხრა და მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი ყველგან სიკვდილია, ნატრობს მისი თვალების უკანასკნელი მზერა, ახლობლებისადმი, მოყვარეთადმი იყოს მიმართული. «ვართუ ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გასთხარონ მხარესა უცხოს; შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყუარელთაგან და არცა ერთი ცრემლი არა დაეცეს მიწასა, საუკუნოდ ჩემს დამფარველსა. – თუმცა სიკუდილი ყველგან სიკუდილია, მაგრამ გულსკი ჰსურს, რომელ უკანასკნელი ოხვრა ესმას მისთა მახლობელთა. რომელ თვალთა მიმოიხედონ რა უკანასკნელ იხილონ მოყუასნი თვისნი, და არა უცხონი გულგრილნი დაუდევნელის სახითა» (ორბელიანი, 1936, 22). –სწერს მანანა ორბელიანს 1834 წელს.

გრიგოლ ორბელიანის, როგორც სამშობლოს მოყვარე ადამიანის აზრით, არჩეული გზა, ცოდნა და სამსახური მაშინ არის სასარგებლო, თუ იგი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მოსახმარებლად არის გამიზნული და შემდეგია გრიგოლის დარიგება ძმის ილიასადმი 1836 წელს: «ძალიან, ძალიან

მიამა შენი წარდგენა და ცოდნა სამსახურისა. აგრე უნდა შენმა გაზრდამ. კაცმა რა გზაც აღირჩიოს თავის ცხოვრებისათვის უნდა მედგრად ვილოდეს მასზედ. . . და ყოველთვის გახსოვდეს ესე, რომ როცა საქართველოში ღ-თი გაღირსებს ხილვას, პირნათლად მოხვიდე» (იქვე, 41).

ხუთი წელი გაატარა გრიგოლმა პოლონეთში. «ეს ქვეყანა იმას დიდად მოსწონდა, «პოლშა საქართველოს ჰგავდა», «პოლშელები ქართველებსავით სტუმრის და ლხინის მოყვარენი იყვნენ», «პოლშას ქალნი-ჩვენებსავით, ლამაზნი». . . მაგრამ საქართველო სხვა ანდამატი იყო პოეტისათვის, მისკენ მიისწრაფოდნენ ფიქრნი და სურვანი მისნი,» მუნ იყვნენ ძმანი და ტოლნი, ნათესავნი და საყვარელნი, მანდ იყო «ცა მშობლიური», «ჰაერი ბუნების განმაცხოველებელი», რომელიც ასე საჭირო იყო მისი სუსტი აგებულებისათვის. დასასრულ, მანდ ცხოვრობდნენ პოეტის გულის ვარდნი: სოფიო ორბელიანის, ნინო გრიბოედოვისა» (მეუნარგია, 1941, 61). ბალტიისპირა ქალაქებში ყოფნისას პოეტი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მშობლიურ თბილისს, ნათესავებსა და მეგობრებს. ყაზარმული ცხოვრება, ან საკლუბო გართობები არ ავიწყებდნენ მას გამოვლილ ჭირ-ვარამს, ქართულ ნადიმს, მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს (გაწერელია, 1989, 8-9).

«ბორჯომი ჩემია: მე გამიწევია მანდ ლაზზათები, მაშინ როდესაც სახლების მაგიერ გვედგა კარვები, მუზიკის ნაცვლად ჰგალობდნენ ბულბულები, სადაცა არ იყო გზა, და ჩვენც ვიმალებოდით ჭალაკებში, ბუჩქებში...» (ორბელიანი, 1937, 14). –სწერს 1851 წელს ზაქათალიდან ძმას ილიას და გულს დარდი უმძიმებს როდესაც ხედავს, რომ რაც მისთვის ახლობელია, მშობლიური, დროის მსახვრალი ხელით ვერანდება და იშლება.

«წინანდალში აღარავინ არის, რომ გავსულიყავ, დაობლდა ის მშვენიერი ადგილი, სადაცა სიყმაწვილე ჩემი მიდიოდა უზრუნველად, დაუდევნელობით; სადაც ერთხელ შენც გიპოვეთ ბუჩქებში შვინდით შეღებილი, დაყრუვდა ყოველივე იგი არე სამოთხის მსგავსი; ეჰ, ასეა ამ სოფლის ამბავი» (ორბელიანი, 1937, 79). – სწერს 1853 წელს ბაბალე საგინაშვილს ზაქათალიდან.

« . . . ტაბახმელავ! ოჰ, ტაბახმელავ! ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად მხოლოდ ერთია ტაბახმელა». . . წერს ბარბარე ორბელიანს 1879 წლის 29 აგვისტოს. აი კიდევ « . . . ტაბახმელა, ოჰ, ოჰ, რა ტაბახმელაა, ამისთან ტაბახმელა ხომ ქვეყანაზე არ არის!! – სწერდა პოეტი ტასო აგლოზუიოს – ამისი ჰაერი, ამისი წყალი უკვდავებისა, ამის გადასახედავი! აგერ ყაზიბეგი, აი მთა ბორბალო, იქ შილდის მთა, აი ემანდა ყარაია და დედოფლის წყარო, თითქო სულ მე მეკუთვნის, სულ ჩემი იყოს!» (მეუნარგია, 1941, 150).

ხოლო უკვე ცხოვრების მიწურულს მრავალჭირგამოვილი მოხუცი ერთ ახლობელს პეტერბურგში სწერდა: «რა მშვენიერი დარებია; რამდენს გიგონებთ მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა! აქ ქვეყანა სულ გარეთ არის, დადიან, დარბიან, მიაჭენებენ; შინ მიდიან მხოლოდ დასაძინებლად. ნათელი, მყუდრო, წმინდა ჰაერი, მზე კაშკაშებს; ერთის სიტყვით ქვეყანაზე მხოლოდ ერთი არის საქართველო, ისიც ჩუენი! კაცმა აქ უნდა იცხოვროს, პეტერბურღში კი იმსახუროს, ისიც მოკლე ხანს”-ო (სსცსა, ფ.5, 44).

ამდენად, მშობლიურ გარემოში გატარებული ყოველი დღე რომ ყოველთვის ტკბილ მოგონებათა აღმძვრელია და სამშობლოზე ფიქრი, მისი ხილვის სურვილი ერთიანად აფორიაქებს პოეტს, ჩვენ უკვე ვნახეთ. ამჯერად იმ წერილებს გადავხედოთ, რომელთა არგუმენტებად მოტანაც ერთგვარად აფერმკრთალებს პოეტის პატრიოტიზმს ზოგიერთი მკვლევარის თვალში. მათი გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ, გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება მეფის რუსეთისადმი მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არაერთგვაროვანი იყო. მართალია, იგი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა, რომელიც ქართველ დიდგვაროვანთა მიერ იყო ორგანიზებული და გარკვეულ სასჯელსაც იმსახურებს მეფის ხელისუფლებისაგან, მაგრამ შემდეგ მეფის ტახტისადმი გაწეული ერთგული სამსახური შეუმჩნეველი არ რჩება დიდ მონარქს და ერთგვარი პატივისცემით იმსჯვალება ერთგული ქვეშევრდომისადმი. ალბად ამიტომაც ე. მალრაძეს სადავოდ არც მიაჩნია გრ. ორბელიანის ბიოგრაფთა შორის დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ ორბელიანის შეხედულებათა გასაღები მხოლოდ და მხოლოდ მის პოეზიაში უნდა ვეძიოთ და არა ოფიციალურ

დოკუმენტებსა თუ კერძო მიმოწერაში, რადგან. . .» მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებსა და წერილებში ვხვდებით მეფის და მის მოხელეთა ქებას.» და თვლის, რომ « . . . თუ ცხოვრებაში მახვილით იმპერატორს უკაფავდა გზას მთასა და ბარში, კალმით სავსებით თავის სამშობლოს დიდების ტაძარს ემსახურებოდა და სძენდა მშობლიური სიტყვის ფასდაუდებელ სიმდიდრეს» (მაღრაძე, 1975, 4). თუმცა ერთ ფაქტორს მაინც აღტაცებაში მოუყვანია ორბელიანის მონოგრაფიის ავტორი, რომ «ასეთმა დიდმა მოხელემ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ დაანაგვიანა თავისი პოეტური მემკვიდრეობა «სამი ათასი ვერსტიდან მოსულ ჩინოვნიკებისა» და მათი მეფის ქება-დიდებათ, არსად არ უდიდება ის ხანგრძლივი კავკასიური ომი, რომლის მონაწილე გმირიც თვითონ იყო პასკევიჩს, ვორონცოვს, ბარიატინსკის, მეფისნაცვლებს და მეომარ გენერლებს, რომელთაც ხშირად აქებს და ახსენებს კერძო წერილებში, დოკუმენტებში, სადღეგრძელოებში,—ვერსად უპოვიათ ადგილი მის ლექსებში და ეს თავისთავად ახასიათებს დიდ პოეტურ პიროვნებას, რომელსაც შეუსისხლხორცებია თავისი მაღალი მოწოდება, როგორც მგოსანს, პატრიოტს, ჰუმანისტს» (იქვე, 402).

ამასთან, ჩვენს სინაღვილეში არსებობს აზრიც იმის შესახებ, რომ პოეტის ამგვარი გაორება თითქოს კარიერიზმითა და თანამდებობის მოპოვების მოტივითაც იყო განსაზღვრული, მაგრამ ამასთან იმასაც აღნიშნავენ რომ: «გრ. ორბელიანის ასეთს ქცევასა და სიტყვებში პოეტის გაორებას კი არა აქვს ადგილი, პოეტის ასეთი დამოკიდებულება პირადი კარიერით კი არაა გამოწვეული, (ეს არ იქნებოდა მართებული შეფასება მისი), არამედ აქ ვლინდება მისი რწმენა, რომ საქართველოს აღდგენა—აღორძინება, როგორც ეს გრიგოლ ორბელიანს ესმოდა, შესაძლებელია ქართველების მხარის ერთგულებითა და მუყაითი შრომით რუსეთის ტახტის განმტკიცებისათვის» (ზანდუკელი, 1972, 217).

გრ. ორბელიანის დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლებისადმი შემდეგ ახსნასაც აძლევენ: გრიგოლ ორბელიანი ხედავს, რომ ერთმორწმუნე რუსეთის ქვეშევრდომობა ბევრად სჯობს მაჰმადიანური სპარსეთისა და თურქეთის ბატონობას, ამასთან ქვეყანა დაცულიც არის მათი გამანადგურებელი

შემოსევებისაგან. ამ აზრს უკიდურესი შევიწროებისა და შეჭირვებისას მრავალი გამჭრიახი პატრიოტი და მამულიშვილი იზიარებდა. ამასთან გრიგოლ ორბელიანი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც «არსებულ პოლიტიკურ რუტინასთან შეგუებას კი არ ახდენენ, არამედ ბრძოლის ფორმებს იცვლიან, დიპლომატიური მანევრირების გზით ფარსს თამაშობენ, ეფერებიან «ძლიერთა ამა ქვეყნისათა,» რათა მიაღწიონ საწადელს. . .» (ევგენიძე, 1995, 24) და კრიტიკოსი ხაზს უსვამს, რომ ამგვარი დიპლომატიური ფანდები არა ერთი შემოქმედისათვის ყოფილა უცხო.

«რუსული სინამდვილიდან ამ თვალსაზრისით თვითმპყრობელობისადმი ისეთ შეურიგებელ პოეტებსაც კი ასახელებენ, როგორცაა, მაგ. ალექსანდრე პუშკინი და კონდრატი რილევი, მაგრამ მაინც სულ სხვაა, როცა რუსი პოეტი რუსეთის იმპერატორს ასხამს ხოტბას, თუნდაც ეს დროებითი განწყობილებით იყოს გამოწვეული, და სულ სხვაა, როცა დაპყრობილი ქვეყნის მგოსნები უძღვნიან ქებას დამპყრობელ იმპერატორს» (იქვე, 24). სამართლიანადაა მინიშნებული, რომ აქ გასათვალისწინებელია საკითხის ერთი მხარეც. ის, თუ რატომ ირჩევდა სახედრო გზას, და რატომ შედიოდა მეფის რუსეთის სამსახურში ქართველი არისტოკრატია. «სამხედრო სასწავლებლისაკენ მიმავალი გზა ჩვენი ქვეყნის უბედური მდგომარეობით შეპირობებული ხვედრი იყო. ამ დროს ქართველი თავად-აზნაურობა არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ თურქ-სპარს-ლეკთა წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის ბრძოლა საქართველოსათვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო» (იქვე, 24). მით უმეტეს, რომ 1832 წლის დამარცხებულმა შეთქმულებამ თვალსაჩინო გახადა როგორც საქართველოს საშინაო სამხედრო-ეკონომიკური უსუსურობა, ასევე მისი პოლიტიკურად არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარებაც. XIX ს-ის 20-იან წლებში არსებულმა სამხედრო მოძრაობებმა ქართველი ინტელიგენცია დაარწმუნა, რომ «ყოველგვარი პროგრესის ძირითად მამოძრავებელ ძალას ე. წ. სამხედრო ინტელიგენცია წარმოადგენდა. . . რუსული ლიტერატურის მრავალი დიდი წარმომადგენელიც ხომ სამხედრო მოღვაწეობას ეწეოდა. . . ქართველ ახალგაზრდობასაც ძვალსა და

რბილში ჰქონდა გამჯდარი სამხედრო ძალაუფლების მოპოვების პირობებში საქმით თავიანთი მამულიშვილური სიყვარულის დამტკიცება» (იქვე, 25).

ამდენად, ამ იდეის გავლენა იმდენად ძლიერია XIX საუკუნის 30-იან წლებში, «სამხედრო საქმიანობის მეოხებით სამშობლოსადმი სამსახურის გაწევის სურვილი იმდენად დიდია, რომ ქართულ სინამდვილეში შეიქმნა ტიპი პოლიტიკური მოღვაწისა. . . რომლის მხატვრული სახეც შექმნა ალექსანდრე ყაზბეგმა სვიმონ ჩოფიკაშვილის სახით (გოგუაძე, 1981, 104).

ეროვნულ ტრაგედიადაა მიჩნეული ის ფაქტი, რომ «განგებისაგან მაღალი ნიჭით ცხებულ ადამიანებს უხდებათ დიდი ძალისხმევა, რათა კლანჭებიდან გამოჰგლიჯონ დამპყრობელსა და მჩაგვრელს იმის მეთასედი რაც საკუთარ ხალხს ეკუთვნის». . . ამასთან ისიც ცხადია, რომ «ერის ჩაგვრის პირობებში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გზაზე შემდგარი კაცი, მჩაგვრელისადმი მოფერების უნართაც უნდა იყოს აღჭურვილი და მოთმინების დიდი ძალითაც, რომ რამდენადმე მაინც შეძლოს სასიკეთო ჩანაფიქრთან მიახლოება. . . ასეთი დამამცირებელი კომპრომისი ქართველთა პოლიტიკური ტრაგედიის ნიშანი ყოფილა ყოველთვის და არა ცალკეული პიროვნების სულიერი სიდატაკის მაუწყებელი. მას შემდეგ, რაც ქართველს დამოუკიდებელი მხედრული ინიციატივის უფლება ხელიდან გამოაცალეს, ის დათმობების გზით ცდილობდა არსებობის შენარჩუნებას, სასიცოცხლო ეროვნული ენერჯის აღდგენას და მას უკან თავის გამოხსნას» (ეგვენიძე, 1995, 26).

საკმაოდ ორაზროვნად გაისმის გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მეფის რუსეთის სამსახურში ყოფნის 50 წლის იუბილეზე, რომელსაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის მეც ესწრებოდა. აი, როგორია მისი შინაარსი: «გამოგიტყდებით, მუდამ მსდევნიდა საიდუმლოებრივი კითხვა-გამოიღო რამ სასარგებლო ჩემმა სამსახურმა მეთქი თუ არა? არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულს ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი.» მისი სამსახურის შედეგი რუსეთისათვის რა ხანია ცხადზე უცხადესია. ბარიატინსკისათვის მიწერილი «ოინის» მიუხედავად. სწორედ ორბელიანის კეთილსინდისიერი

სამსახურის შედეგია ის, რომ რუსეთმა შეძლო კავკასიის მთიანეთის დამორჩილება.

გრიგოლ ორბელიანის რუსეთისადმი ერთგულად მსახურების შედეგი საქართველოსთვისაც სახეზეა. . . ილია ჭავჭავაძის «საქართველოს მოამბე», რომელსაც დიდად შეუწყო ხელი გრიგოლ ორბელიანმა, ტელეგრაფის ხაზის გაყვანა თბილისსა და იმპერიის სხვა ქალაქებს შორის, ქუთაისში კაპიტალური ხიდის გაკეთება და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სწორედ ამიტომ «გრიგოლ ორბელიანი თავისი კარიერის უმაღლეს საფეხურზე ზავთან პიროვნებად მოჩანს. თავისი ადმინისტრაციული მდგომარეობის გამო, ის იყო საქმეში მიზანსწრაფული, ინტიმურ ურთიერთობაში რბილი პიროვნება. მაღალ პოსტზე ყოფნა ხშირად წარმოშობს იჭვს და შურს. . . ამას ემატებოდა ისიც, რომ გრიგოლ ორბელიანის, როგორც დიდმოხელის დიპლომატიური ქცევა უმეტესად გაუგებარი რჩებოდა სხვებისათვის. როგორც ითქვა, პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობას ახლავს ხოლმე უმადურობა. ჭეშმარიტი საქმე რომ აკეთო, ხშირად საჭიროა საპირისპიროდ იმოქმედო. ამგვარი ფანდი, რასაკვირველია, წარმატებით მყოფი ხალხის თვისება არაა, ეს მხოლოდ ქართველებისთანა დაჩაგრული ხალხის დაწყევლილი ბედია; შეიძლება ამის გამოც იყო, რომ მძაფრად, მწვავედ აღიქვამდნენ ინფანტერიის გენერალ გრიგოლ ორბელიანის ყოველგვარ რევერანსს რუსეთის მმართველი წრეებისადმი.» ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ «გრიგოლ ორბელიანს, როგორც მოღვაწეს, ურთიერთობა უხდებოდა მისი დროის რუსეთის საიმპერიო კარის ყველა დიდმოხელესთან, იმპერატორებთან, მთავარმართველებთან, სარდლობასთან, ათასი ჯურის ჩინოვნიკებთან. . . ცხადია მას, როგორც ადმინისტრატორს, კონტაქტში შესვლა სჭირდებოდა იმ გარემოსთან, რომელშიც ის ცხოვრობდა და საქმიანობდა. . . ბევრი მისი პირადი წერილი სწორედ ამ მოტივებით განსაზღვრული პიროვნული სიმპათიისა და მაღლიერება-მოფერების ნიშნითაცაა დალდასმული. . . » (ევგენიძე, 1995, 28).

გრიგოლ ორბელიანი მზადაა მთელი სიცოცხლე შესწიროს დიდებული მეფის სამსახურს «პოეტს მზად აქვს ყველა უკეთესი სურვილები

იმპერატორისადმი, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ ეს ყველაფერი ხელს უწყობდეს საქართველოს დიდების აღდგენას, ეს უნდა იყოს ჩვენდა დიდებად, ბედნიერებად» (მახარაძე, 1952, 98). ამ შეხედულებათა კონტექსტში უნდა იქნას მოაზრებული გრიგოლ ორბელიანის ის პირადი წერილები, სადაც პოეტი მეფის რუსეთის მოხელეთ უძღვნის ქებას: «მთავარმართებელი ფრიად კეთილი და მზრუნველია საქართველოსათვის» (ორბელიანი, 1936, 9), – ვკითხულობთ ზაქარიასადმი მიწერილ ბარათში 1833 წლის 11 სექტემბერს.

«. . . სწორედ გითხრა, საქართველო დიდი ბედნიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი ჩერნიშოვისა და როზენისა, რომელთაცა გულით ჰსურთ კეთილდღეობა ამა მხარისა–ღმერთმა ადღეგრძელოს ხელმწიფე, და მასუკან ესენი.–მთავარმართებელისაც ჯერ დიდი მადლობელია; ნეტავი არ გამოგვიცვალონ ჯერ მაინც-მინისტრი ახლა თქუენკენ წამოვა და ახლა თქუენ იცით, როგორ ეჩუენებით» (ორბელიანი, 1936, 52). –სწერს ზაქარიას 1842 წლის 20 მაისს.

«მინისტრი ძალიან მადლიერი დარჩა ჩუენის ხალხისა და საზოგადოებისა; ჰსურს ბედნიერება ამა მხარისათვის და რა საკურველია, რომ კიდევ მოუვლენს» (იქვე, 59). – სწერს მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვს 1942 წელს.

როდესაც ახალმა ხელმწიფემ, ალექსანდრე II-მ თავადი ბარიატინსკი კავკასიის მთავარმართებლად დანიშნა, გრიგოლ ორბელიანი პეტროვსკში მიეგება ახალ მთავარმართებელს. «როგორც ის სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს, «ვენზილებითა, ტრიუმფალნის ვარატებითა, შჩიტებითა და ფლაგებითა». პოეტი ყოველ ამგავრი დღეობისა და ნადიმზეიმისა დიდი მოყვარე იყო. დიდად მოსწონდა იმას მართლა დიდკაცური ხასიათი და ქცევა ბარიატინსკისა. ის იყო მისთვის: უხვი, მდაბალი, მაღალი. პირველს სადილზე მისი სადღეგრძელო რომ დალია, შემდეგი სიტყვებით მიუსალმა იმას თავისი გრძნობა:

«თქვენო ბრწყინვალეზავ! უკვე დაადგით ფეხი საზღვარს იმ ვრცელი ქვეყნისას, რომელიც თქვენს განათლებულს ზრუნვასა და გამგეობას მიენდო უმაღლესად. დეე, აკურთხოს ღმერთმან თქვენი ამ ქვეყნად მოზრძანებაცა და დიდებულ ტახტის წინაშე შემდეგომი სამსახურიც იმ მრავალ ათასოვან ერისა

და მხედრობის სადღეგრძელოდ, რომელიც ასე აღტაცებით მოგელით. ახარეთ მუდამ გული მეფისა მარადის სახელოვანისა და ქველის ღვაწლითა!» (მეუნარგია, 1941, 82).

პოეტმა გამოისტუმრა თბილისისაკენ მთავარმართებელი და შემდეგ სასწრაფოდ წერილი აფრინა ყაფლანთან:

«მოდის თქუენკენ მთავარმართებელი კნიაზი ბარიატინსკი, კაცი ღ-თისაგან დალოცვილი, სრული ყოვლის ფრით; გულით, გონებით, კეთილ განზრახველობით: - მოდის დიდი სიყვარულით, დიდის სურვილით, საქართველოს გაბედნიერებისათვის.

ღ-მან მისცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის რაიცა მიაგზო თავისი პლანებიდამ. –ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ჰყუარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა მთავარმართებლად»-ო (ორბელიანი, 1937, 179), – სწერს ყაფლანს, 1856 წლის 22 ოქტომბერს.

«მთავარმართებელი გავაცილე ბაქომდის საღსალამათად, მხიარულად და ყველაფერი რიგიან წესით, ზურნა–ნადართ, ჩირაღდნებით, ფალავნებით და სხუანი; ერთის სიტყვით დიდკაცურად, როგორც შეეფერებოდა იმპერატორის ნამესტნიკსა, ისე დახვდა ხალხიცა და ჯარიცა.

ეს არის ჩვენთვის საზოგადოდ სასიხარულო, რომ დიდის სიყვარულით, დიდის სურვილით, მოდის ეს ხელმწიფე-კაცი საქართველოს გასაბედნიერებლად.– ღ-თმან აღუსრულოს ყოველივე განზრახვა მისი!» (ორბელიანი, 1937, 180) – კმაყოფილი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს 1856 წლის 28 ოქტომბერს.

«ახლა მოვედით ჩვენს მთავარმართებელთან, ჩვენს ხელმწიფე-კაცთან, რომელიცა ახლა უნდა იყოს მაგ მხარესა. – ნეტავი იცოდე რა სიყვარულით, რა სურვილით, მოდიოდა საქართველოს გასაბედნიერებლად! რა დიდროანნი, რა მაღალნი პლანები აქუს განმზადებულნი ამა მხარისათვის საკეთილოდ» (იქვე, 182). – სწერს ალექსანდრე საგინაშვილს მთავარმართებლის გამგზავრების შემდეგ, 1856 წლის 9 ნოემბერს.

1862 წელს ბარიატინსკის კავკასიიდან წასვლის შემდეგ, მეფემ კავკასიის მთავარმართებლად დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლოზის ძე დანიშნა, რომელთან შეხვედრამაც დაიმორჩილა პოეტის გული. ის დაუხვდა დიდ მთავარს სტავროპოლში და რამდენიმე დღის შემდეგ 1863 წლის 23 თებერვალს სწერდა ვლადიკავკაზიდან ლევან მელიქიშვილს:

«ღმერთმა ნუ მოაკლოს მფარველობა ამ ჩვენს ახალს ბატონს ნამესტნიკს! სახე მშვენიერი, გული სავსე სიკეთითა, გონება განათლებული, ხასიათი დამშვიდებული, აუჩქარებელი და ამისთანა განმზადებული გასაბედნიერებლად ამ მხარისა! მოვიდა სტავროპოლის მარტო სამის ადიუტანტიცა, არა როგორც დიდის ხელმწიფის შვილი, დიდის ხელმწიფის ძმა ზვაობით, არა რისხვითა და არცა ძაგებით, როგორც მურავიევი, არამედ თავ-მდაბლობით, სიწყნარით მოწყალებით! ღმერთმა აკურთხოს! მახლას, აშიკი შევიქენ იმისი!» (მეუნარგია, 1941, 95).

თუმცა, რამდენადაც გრიგოლ ორბელიანი მოხარულია ახალი მთავარმართებლით, იმდენად წუხს ბარიატინსკის გამო: «ისე დიდი ხანია მივეჩვიეთ და გვეგულებოდა ჩვენად; ისე ესმოდა მრავალფეროვანი კავკასიის ყველა გაჭირვება და ინტერესები, ისე დიდი ხანი არაა, გვინახავს მისი სამხედრო გამარჯვებანი და ქვეყნის მოქალაქეობრივად განვითარების ზრუნვა, რომ არ შეგვიძლიან ღრმად არა სწუხდეთ და მის განშორებას შეურიგდეთ. მერე მასთან ერთად რამდენი ჭკმარიტად დიდი განზრახვა იქნა დამარხული, რომლებიც შეიძლება თავის დროზედ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ განხორცილებულიყვნენ!» (მეუნარგია, 1941, 94). – წერდა პოეტი სამხედრო მინისტრს, მილიუტინს.

ამდენად, როგორც გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან ვგებულობთ, მისი თავის მოდრეკა და რევერანსები მხოლოდ იმ ადამიანებისადმია მიმართული, ვისაც ჩვენს მხარეში კეთილი გეგმები და საქმეები აქვს განსახორციელებელი, მისი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამასთან ცხადია, გრიგოლ ორბელიანისათვის, რუსეთის არმიის გენერლისა და ადმინისტრატორისათვის, რომელმაც ნახევარი საუკუნე მეფის რუსეთის

სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურს შესწირა, უცხო არ უნდა ყოფილიყო მონარქიული რუსეთის ინტერესები და ამიტომ პოეტის წერილებში, მეფის მოხელეთადმი მიძღვნილ «დითირამებთან» ერთად არაერთხელ გაისმის შეკავებული ბოღმაც, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც განვითარებულმა მოვლენებმა ცხადი გახადა ჭარმაგი პოეტისათვის, თუ რა იყო საქართველოს «გასაბედნიერებლად» ჩამოსულ მეფის მოხელეთა განზრახვა.

«იარალის» ავტორს, როგორც ჩანს, საქართველოში ბიუროკრატიული რეჟიმის არც ერთი პერიოდი არ მიაჩნია ბედნიერ ხანად. «ოთხმოცი წლის განმავლობაში ხომ ვნახეთ, რაც ბრძანდებიან ლუბერნატორები და ვიგემეთ მამობრივი მათი მზრუნველობა ჩვენზე. . . შორიდან მოსული ჩინოვნიკი, რომელიც არ იცნობს ჩვენს ხალხსა, რომელმანცა არ იცის მისი ენა, ჩვეულება, ცხოვრება, ისტორია, აბა რისთვის გაიხეთქს თავსა? რომ იფიქროს, გული დაეწოს ხალხის ბედნიერებისა და გულმოსვენებით ყოფაცხოვრებისათვის! სამი ათასის ვერსტიდამ მოსულა აქა ჩინოვნიკი მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღოს ჩინები, იმოვნოს აქედამ-იქიდან ფულები და გაჰსწიოს მშვიდობიანად თავისივე ქვეყანაში! მე ბევრი მინახავს დიდროანი სასახლეები რუსეთში აქაურის ფულით აშენებული. ქართულს ენას აღარ ასწავლიან ღიმნაზიაში და აღარცა სემინარიაში» (ორბელიანი, 1959, 030-031). – წუხს პოეტი გენერალ ნიკო ჭავჭავაძისადმი მიწერილ ბარათში 1881 წლის 7 აგვისტოს.

XX საუკუნის 50-იან წლებში აი რას სწერდა აპოლონ მახარაძე: «გრიგოლ ორბელიანი თავის მსჯელობაში ნიკოლოზ პირველის რუსეთს ახასიათებს, როგორც ისეთ ძალას, რომელიც დაპყრობას უქადის კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს. იგი ამ მსჯელობის დროს აშკარად გვევლინება როგორც მეფის რუსეთის დამპყრობელი პოლიტიკის მოწინააღმდეგე. . . უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიზანს შეადგენდა ელაპარაკა მხოლოდ იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც ერთნაირად ემუქრებოდა, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა ხალხებს. მას უნდოდა მეფის რუსეთის დამპყრობელი პოლიტიკა უარეყო, აეწერა, თუ რა უდიერად ექცევა ნიკოლოზ I-ის რუსეთი არარუს ხალხებს და ამით კი გამოეწვია სიძულვილი მათი საერთო მტრის წინააღმდეგ.

ეს იყო გრიგოლ ორბელიანის ძირითადი მიზანი, მაგრამ სხვაც რომ არ ყოფილიყო, ეს ძირითადი ხაზიც ძალიან ბევრს ლაპარაკობს პოეტის სასარგებლოდ» (მახარაძე, 1952, 79).

გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფი იონა მეუნარგია, პოეტის ავარიელთა მიმართ სასტიკ მოქცევასაც პატრიოტული გრძნობითა ხსნის. «უკმაყოფილებას დამნაშავესადმი ადიდებდა ისტორიული წარსული ავარიის ხალხისაო» (მეუნარგია, 1941, 66). მართლაც, თუ გრიგოლ ორბელიანის წერილებს გადავხედავთ, სიმკაცრის გამომხატველი სიტყვების გვერდით ვხვდებით ახსნასაც მისი სისასტიკისა.

1848 წლის 21 ივლისით დათარიღებულ ბარათში იგი ილიკოს სწერს: «წლეულს გერგებილიც ამ გვარად გაღეწეს; დარჩა მხოლოდ ცარიელი სალი კლდე-მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია» (ორბელიანი, 1936, 183). როგორც ი. ევგენიძე წერს «საქართველოს სისხლის ღაღადისად» მხოლოდ ისტორიას, გარდასულ დღეთა მაგალითებს არ გულისხმობდა პოეტი. მისთვის შურისძიების საფუძველს დავით გურამიშვილისაგან ესოდენ შთამბეჭდავად აღწერილი ლეკთა მიერ სულიერად და ზნეობრივად ამოგდებული საქართველო არ წარმოადგენდა მხოლოდ» (ევგენიძე, 1995, 30), არამედ მის თვალწინ მიმდინარე მოვლენებიც შეიძლებოდა შურისძიების საფუძველად ქცეულიყო.

«ალა-მაჰმად-ხანის ურდოების შავი კვალი დრომ წაშალა კრწანისის ვიწროებში, მაგრამ დარჩენილია ქვეყნის გულში, ხალხის გულში. დაიქცა, გავერანდა ქვეყანა და ურჯულოს კვალის აღმოფხვრის ნაცვლად ისევ ომებია, ისევ ლეკობა და ორმაგი ჩაგვრა. .

აშენება უნდა ქვეყანას, ტაძრებს, სასწავლებლებს, მაგრამ ჯერაც შფოთია, ტაძრის ჩამონაქცევი ქვებისაგან სიმაგრეებს აშენებენ მეომრები. . .

კახეთში სიმშვიდე არ არის, გაღმა კახეთში ყოველდღე ბრძოლაა ლეკებთან-ყანებში, ბალებში და თვითონ სოფლებში» (მაღრაძე, 1975, 26-27).

«თუ ამ შემოდგომაზე ჯაჰრები არ ავიდა მთაში კახეთისა ძალიან შიში მიპყრობს. ერთბაშად არ დააწვნიენ იმ მშვენიერს ქვეყანას და არ გააოხრონ» (სსცსა, ფ.5, 83). – სწერს ზაქარიას 1844 წელს.

აი რას სწერს ძმას, ილიას, 1842 წელს თათართა მიერ უდაბნოს მონასტრის დარბევის შესახებ გრიგოლ ორბელიანი: «აი, როგორ მომხდარა უდაბნოში მონასტრის გატეხა და ბერების დახოცვა, ორნი თათარნი სანდარიდან და ქესამანიდან მოსულან მთაში, სადაც შეუყრიათ 13-ნი ყაჩაღნი შაქელები და აქაურები. სხვადასხვა გზით წამოსულან და მოსულან ალაზნის პირზედ, სადაცა რაოდენიმე აქაურნიც მიჰმატებიან და ასე წასულან იორისაკენ, სადაც სპანი თათარნი კიდევ მიჰმატებიან, უთუოდ ან სამუხელნი, ან ყაზახელნი და ან იორის პირიდან. სადამოზედ ოთხნი კაცნი თათარნი მოსულან მონასტერთან და უთხოვნიათ იმ ღამეს იქ სტუმრობა, საბრალო ბერებსაც მიუღიათ სიყვარულით შემდეგ კიდევ მოსულან რაოდენიმე და ესენიცა გაუწვევიათ და მაშინ უშიშვლიათ ხმლები და უღონო ბერები დაუხოციათ, აუკლიათ მონასტერი და დაუტყვევებიათ, სამნი ბერნი და ორნი დიაკვნები. ის 15-ნი თათარნი გზიდანვე უკან დაბრუნებულან და წასულან შინისაკენ თავ-თავიანთ სოფლებში» (ლიტერატურული მუზეუმი, ფ.20136, 11). დატყვევებული ბერების ფულით გამოსყიდვა გრიგოლ ორბელიანის ძალებს აღემატება და ამიტომ ისიც იძულებულია, დიპლომატიურ ხერხს მიმართოს ბერების გამოსახსნელად.

1854 წლის ივლისის თვეში ლეკებმა დაარბიეს გრემი, ენისელი, შილდა, ტურისციხე. შეესივნენ წინანდალს და ტყვედ წაიყვანეს დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილი და მათთან სტუმრად მყოფები, მათ შორის გრიგოლის რძალი, ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარე, მისი პატარა ვაჟიშვილი და ოჯახის სხვა წევრები (ვერდერევესკი, 1856). «შენის ძმის გიორგისაგან მოწერილი წავიკითხე, რომლიდამაც ცხადად ჰსჩანს უპატრონობა კახეთისა, უზრუნველობა და დაუდევნელობა იქაურის მმართველობისა და უგუნურად მოქცევა კულმანისა, თუ ყოველივე ესე მართალია, მაგრამ რა გაეწყობა? ღ-თმან ჰკითხოს, ვინც არის დამნაშავე გაოხრებისა ესრეთის მშვენიერისა მხარისა და ესოდენის ქრისტიანეთა დაღუპვისა!» (ორბელიანი, 1937, 94). – სწერს დიმ. ჯორჯაძეს და ხანგრძლივ

მოლაპარაკებას აწარმოებს ერთის მხრივ შამილთან, მეორეს მხრივ რუსეთის ხელისუფლებასთან, რათა რამენაირად შეძლოს მშვიდობიანი გზით გამოხსნა საყვარელი ადამიანებისა.

როგორც ე. მაღრაძე აღნიშნავს, «პატრიოტიზმს ჩვენში ეროვნულ სიქადულს ემახდნენ და მას კაცობრიობის წარმატების საფუძვლად თვლიდნენ. პატრიოტიზმის, თავისი ერის, მშობლიური ენის, მწერლობის, ხელოვნების, ისტორიულად გამომუშავებულ ზნე-ჩვეულებათა, წარსულისა და აწმყოს სიყვარულის გარეშე არც საერთო-საკაცობრიო იდეალების სამსახური და წარმატებაა შესაძლებელი. ამიტომაც ამ ნათელი გრძნობის აპოთეოზი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში, მართლაც ეროვნული სიქადულის ხასიათს ატარებს» (მაღრაძე, 1975, 388), ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ორბელიანის პირადი ბარათებიც.

«ამ წერილებში საყურადღებოა არა მარტო პოეტის პირადი განცდების ისტორია ან მაშინდელი ისტორიული მოვლენების ფართო სურათი, არამედ ის ბრძოლაც, რასაც პოეტი ეწეოდა მშობლიური ენისა და კულტურის სასარგებლოდ. პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა მეფის მოხელეებთან თუ სხვა არაკეთილმსურველებთან შეტაკებების ისტორიაცაა. ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ წერილები სალომე მიურატთან, ლევან მელიქიშვილთან, იაკინთე ალექსი მესხიშვილთან და სხვა» (იქვე, 16).

ელგუჯა მაღრაძის მიერ ქართული ენის აპოთეოზად არის მიჩნეული გრიგოლ ორბელიანის წერილი ფრანგი პრინცის აშილ მიურატის ქართველი მეუღლის, ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ასულის პრინცესა სალომე მიურატისადმი, რომლის მშვენიერი ქართული ენით დაწერილმა წერილმა იმდენად მოხიზლა და ასიამოვნა მხცოვანი პოეტი, რომ გულაჩუყებულმა მადლიერებით სავსე წერილით უპასუხა საფრანგეთში გათხოვილ ქალს, 1877 წლის 12 აგვისტოს.

«ჩემო გულით საყვარელო დისწულო სალომე! შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიძევს, შევჭხარი და სიხარულით ვამბობ: ქვეყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლის წერილსა. აწ ვკითხულობ მეორმოცედ! . .

. . . ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას უეჭველია, არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს, ვინ იყვნენ მისი მამაპაპები, როგორ ჰსცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღერიდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ? ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთის და უძნელდება ბრძოლა? . . სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარყო მან ქრისტიანობა! განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა ღმრთისმეტყველთა, მქადაგებელთა, – მერწმუნე, ჩემო სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტებსა, და ამისთვის დაგიკოცნი გონიერს შუბლსა, რომ შენ ხარ პირველი მაგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა.» ამასთან პოეტი იგონებს ისეთ დიდ ორატორებს, როგორებიც იყვნენ ბატონიშვილები, ქეთევანი, მარიამი, თეკლა და წუხს, რომ ახლანდელმა თაობამ არც კი იცის, «ვისის მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით, სეირნობენ გელოვინის პროსპექტზე შლეიფებგაშლილნი. . . უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედოფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალის გონებისა და ამასთან ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის» (ლიტერატურული საქართველო, 1938).

სრულიად სამართლიანად, ე. მაღრაძე, პატრიოტ პოეტს «ფესვებგაბარჯულ ბერძუხას» უწოდებს, რომელიც ბურჯად დგას მშობლიური ენის სადარაჯოზე. გრიგოლ ორბელიანი დაუნდობელი და შეურიგებელია მათ მიმართ, ვისი

მტკიცებითაც «ქართველებს არცა ჰქონიათ ლიტერატურა» და რჩევას იძლევიან «თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქუეყანაზე განქრება სახსენებელი ქართული ენისა!» და საჭირო შემთხვევაში არ ერიდებოდა მიემართა «შვიდი იყლიმის მპყრობელი» ხელმწიფის ძმისა და ნაცვლისათვის-მიხეილისათვის, რომ დაეცვა ჩვენი ეროვნული ღირსებები, რომ არ დაეჩაგრათ «სიტყვა ქართული, რუსთაველისა» (მადრამე, 1975, 16).

მისთვის არა მხოლოდ მშობლიური ენის ბედია საინტერესო. ასევე მტკივნეულად განიცდის იმას, რომ ქართველთა ნაწილს დაკარგული აქვს მეომრული თვისებები. აი რას სწერს ძმას, ილია ორბელიანს: «რა გაეწყობა ჩვენს სამაგელ ქიზიყელობას; ამათთანა წამხდარი თავადიშვილობა და გლეხობა ნუ გგონია ნახო სადმე. გულხელდაკრეფილნი დადიან უთოფ-იარადოდ, ერთხელ მდევარზედ ვერ გამოვიდნენ; ვერ გაუბედნიათ, რომ თვეში ერთხელ მაინც შეიყარნენ და მოსჩხრიკონ ალაზნის პირები, სადაცა იმათი საქონელია და მწყემსებად პატარა ბიჭები. ირწმუნე, ილიკო, რომ ქიზიყელობა დაჩვეულია ტყვეობას, რომ უბედურებად აღარ მიაჩნიათ» (ლიტ-რული მუზეუმი, ფ. 20136, 12). ამ წერილში მას გულწრფელად აშფოთებს ერში ჩამკვდარი პროტესტის გრძნობა, ხმლის ჩაგების სურვილი, რადგან მხოლოდ ხმალჩაგებულ ერს უწერია დამარცხება. არსებობის უნარს კი მხოლოდ ის ერი ინარჩუნებს, რომელსაც ბრძოლის ჟინი და უნარი არ დაუკარგავს.

გრიგოლ ორბელიანს თავისი გამოკვეთილი, მყარი პოზიცია ჰქონდა საინგილოს შემოერთების საქმეშიც. იგი მოხარულია იმით, რომ ინგილოებში გაქრისტიანების პროცესი დაიწყო და ნელ-ნელა ხდება მათი იმ სარწმუნოებაზე მოქცევა, რომლის დათმობაც ბედის უკუღმართობის გამო მოუხდათ, რადგან იცის, რომ მხოლოდ მამაპაპეულ სარწმუნოებაზე დაბრუნებაა ის დუღაბი, რაც საბოლოოდ შეაკავშირებდა ძველ ქართულ პროვინციებს დედა საქართველოსთან. ამიტომ, სიხარულით ატყობინებს დიმიტრი ჯორჯაძეს: «რვა სული ინგილო თავიანთის ცოლ-შვილით განვასპეტაკე წმინდის ემბაზით»-ო (ორბელიანი, 1937, 127).

1855 წლის 7 ივნისს სვიმონ შალიკაშვილს სთხოვს: «ჩვენის ინგილოების-ახალი ქრისტიანების, ამბავი მომწერე, ემატებიანა ნათლის-ღებითა? ანუ, შიში ხომ არა რისა აქუსთ?– ეკლესიები როგორ შესრულდენ, როგორ შეამკეს ხატებითა; ან წირვა ლოცვა ხომ არის ყოველთვის? მომიკითხე კიდეცა ჩვენი ინგილოები და უთხარ რომ ნუ ეშინიათ, არავის დავაჩაგვინებთ» (იქვე, 120).

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. თურქეთის ფრონტზე დროებითმა მარცხმა ისევ ააჯანყა, აშალა მიძინეული დაღესტანიც. გრიგოლი, ამ მხარის ყოფილი მმართველი, კარგად იცნობს ლეკთა ბუნებას და შემფოთებულია, წუხს, რომ კახეთში არ შემოიჭრან და ისევ არ ააოხრონ ეს მშვენიერი მხარე. «აი, ასეთმა მოუჭაზრებელმა მიზეზმა როგორ დაარღვია ჩუენი ესოდენის წლის შრომა, ბრძოლა, მეცადინეობა, ზრუნვა ხალხის დამშვიდებისა და კეთლდღეობისათვის.წახდა ყოველივე და ახლა უნდა დავიწყოთ კიდევ ანბანიდამ, და ვინ იცის, როდის ჩავალთ ჰამდის. ვინ არის დამნაშავე ესრეთის გამწელებულის მდგომარეობისა და უბედურებისა, რომელშიაც ჩავარდა ეს ვეება მხარე? საქართველო დაილუპება თორემ თათრებს რა უჭირთ, ან თვით რუსეთსაცა: ვინ, რომელი მტერი შევა იქა?» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 514). – წუხს საქართველოსთვის 1877 წლის 25 სექტემბერს ნიკო ჭავჭავაძესთან და თავად მას გონივრულ რჩევა-დარიგებას აძლევს, რათა ჭარელებმა ნუხის გუბერნია და მინგეჩაური არ გაუოხრონ.

პოეტის ყურადღება მიპყრობილია ასევე აჭარის მკვიდრთა ბედისადმი.

«ასე ჩემო სოფიო, – სწერდა აღფრთოვანებული პოეტი სოფიო ორბელიანისას 1878 წლის 24 აგვისტოს, როდესაც რუსეთის არმიამ მუხთარ-ფაშის ჯარი გაანადგურა და სან-სტეფანოში დაიდო ზავი, რომლის ძალითაც რუსეთს შემოუერთდა ბათუმი და შავი ზღვის მიტაცებული სანაპირო, –უკეთილ–მსახურესის დიდის იმპერატორის ძლიერებამ დაჰსცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა და ჩვენნი ძმანი, ძველნი ქართველნი განათავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდან და შეუერთდა დედასაქართველოსა. და აღსრულდა იგი სასწაული, რაცა არა გვეგონა! აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის. . .

მილიონნი ქრისტიანნი განთავისუფლდნენ!» (მეუნარგია, 1941, 123).

საისტორიო საქმის აღსრულებით გახარებული პოეტი, 1878 წლის 5 სექტემბერს ლევან მელიქიშვილს სიტყვა-სიტყვით მოუთხრობდა მირსკის ბათუმში შესვლის ამბავს: «კნ: მირსკი შევიდა დიდის ყოფით ბათუმში, ფაშ ბი, ხალხი, სამლუდელონი, ზარების რეკითა, მიეგებდნენ პატივისცემითა; დერვიშფაშა დახუდა პაჩოტნის ყარაულითა. ძველნი ქართველნი შეერთდნენ ისევ მთელს დედასაქართველოს და აწ თამარ მეფის სამეფო მთლად აღმოჩნდა დიდის იმპერატორის ძლიერების ქვეშე. დიდება ღ-თსა!» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 114).

საქართველოს სისხლის ზღვევით ფრთაშესხმული მოხუცი გენერალი 1878 წლის 12 ოქტომბერს სალომე მიურატსაც სწერდა: «მეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვენი, ჩვენის საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აძევს ოსმალსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადაიხდის ჩვენს სისხლის ვალსა! ათასი წელიწადი ებრძოდნენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოს. რათა? რას ვართმევდით? მართალია, ჩვენ გაგვაოხრეს, მაგრამ არცა თვითონ გაიხარეს! . . . აი, როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი!» (მეუნარგია, 1957, 341-342).

ხოლო მაშინ, როდესაც ოსმალეთის საქართველოდან ჩამოსულ დეპუტატებს თავადაზნაურობამ სადილი გაუმართა, პოეტმა სიტყვით მიმართა სტუმრებს. «კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განშორებულნი, დიდ ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა. . . შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად! და დღეის იქით ლხინშიაც ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოსა!!» («დროება», 1878). – ამბობდა პოეტი და თან წუხდა, რომ ახლადშემოერთებულ აჭარაშიც მმართველობის ის წესები არ შემოედოთ, რაც აჭარის მკვიდრთ დედასაქართველოს დატოვების სურვილს გაუღვიძებდა. «დიდად მეშინიან, რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოს სუდიები და არ აღმოჩნდეს ახალს

შეუჩვეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკობისა, როგორცა აფხაზეთში, სადაცა დაამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელს იქ შესულს ხაზინას, და არა იმ ხალხსა, რომელიცა იქა მკვიდრობს ნოეს დაბადებიდამ! ნეტავი დაღისტნის ფორმა უპრავლენიისა იქ შეიტანონ, თუ უნდათ ხალხის დამშვიდება და კეთილდღეობა» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 114). – წერდა შორსმჭვრეტელი პოეტი ლევან მელიქიშვილს. და აკი გამართლდა კიდეც მისი ვარაუდი. «ქრისტიანულ ბორკილებს თურქული ჭაპანი» ამჯობინეს ყარელებმა და აჭარლებმა.

1880 წლის 29 მაისს გულისტკივილით სწერდა ნიკო ჭავჭავაძეს: «ყარსის მხრიდამაც გადასახლდნენ ოსამალეთში უმეტეს ორასათასისა სული იქ მცხოვრებთაგანი და დაცარიელდა ეს დიდად ნაყოფიერი ქუეყანა, რომელიცა იყო საქართველოსათვის გამოუღვეელი მაღაზიანი პურისა. ყარსის მიხედვით აჭარაც აპირებს მთლად გადასახლებასა. განა ამისთვის იყო ესოდენი სისხლის ღვრა?» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 519). – კითხულობს მოხუცი პოეტი და ერთადერთ ნუგეშად ისღა რჩება, რომ თამარ მეფის სამეფო გაერთიანდა.

გრიგოლ ორბელიანს თავისი პოზიცია ჰქონდა 1861 წელს გატარებული იმ სოციალური რეფორმის მიმართაც, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. მისმა დამოკიდებულებამ რეფორმისადმი კრიტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც პროფესორი კ. მეძველია თავის ნარკვევებში ამტკიცებს, გრიგოლ ორბელიანი, თუმცა «თერგდალეულებივით» აქტიური მებრძოლი არ ყოფილა ბატონყმობის წინააღმდეგ, მაგრამ მშრომელი გლეხების თანამგრძნობი და 1861 წლის ისტორიული რეფორმის გატარების თანამოზიარე იყო. იგი ხშირად გამოდის მშრომელი ხალხის დამცველის როლში, სასტიკად ილაშქრებს ცარიზმის ბიუროკრატიული, უხეში აპარატის წინააღმდეგ და გლეხობას ექომაგება (მეძველია, 1946, 19-48).

გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე მონოგრაფიის ავტორის ე. მაღლაძის აზრით კი, მიუხედავად იმისა, რომ «ჩვენი სასიქადულო პოეტი არ ყოფილა არც კაცთმოძულე და არც ბნელეთის მოციქული, გლეხებიც ქართველი ხალხის ნაწილად მიაჩნდა და მათი ყოველი სიკეთე ერთგვარად გულს უხარებდა, მაგრამ არა იმდენად, რომ თავისი კლასის აგონია . . . დაევიწყებინა და

უმსხვერპლოდ დათანხმებულიყო იმაზე, რასაც დრო ითხოვდა. კეთილშობილური მისწრაფებებისა და მამაშვილური სიტყვების უკან მუდამ იფარებოდა მაინც დიდი მოხელე და ფეოდალი, რომელიც ქვეყნის დემოკრატიაზე ნაკლებად ფიქრობდა და სულაც არ აპირებდა, რომ თავზე დაესვა არა თუ ყმა გლეხები, არამედ წერეთლის ყოფილი ქვეშევრდომი «უჯიშო აზნაური» დიმიტრი ყიფიანიც

(მაღრაძე, 1975, 379). მკვლევარი მიიჩნევს, რომ «ძველი დიდგვაროვანი არისტოკრატის უკანასკნელი მხცოვანი მოჰიკანი» არასოდეს არ შერიგებია უაზნოთა და გლეხთა ამაღლებას, ეტრფოდა ძველი საქართველოს რომანტიკულ აჩრდილს, «თამარის დღეთა, დიდების დღეთა» აღდგენაზე ოცნებობდა და პირად ცხოვრებაში ქედმაღლურად დაჰყურებდა იმას, რაც პოეზიაში კიდევ აღიარა, როგორც ჰუმანურად მოაზროვნე პოეტმა.

ის, რომ გრიგოლ ორბელიანისათვის, როგორც დიდი ჰუმანისტისათვის, სულერთი არ არის გლეხთა უკიდურესი სიღატაკე, სოციალური მდგომარეობა და გარკვეული ღონისძიების გატარების საჭიროებას მიიჩნევს გლეხობის სასარგებლოდ, ჯერ კიდევ 1856 წლის წერილშია გამოკვეთილი, როდესაც იგი გულისტკივილით სწერს რძალს, ქეთევან ორბელიანს: «უბედურნი ჩვენნი გლეხები როგორ ჰსცხოვრობენ ამ საშინელს სიმშილში, და ან რა ღონისძიება უპოვნეს მისთა ბატონებმა?» (ორბელიანი, 1937, 164). – მისი წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლი განიცდის გლეხების საშინელ პირობებში ცხოვრებას.

გრიგოლ ორბელიანს მიაჩნია, რომ გარდაუვალია საქართველოსათვის რუსეთთან ერთად ჩატარებული რეფორმა, როემელიც გლეხებს განთავისუფლებას და უკიდურესი სოციალური პირობების შემსუბუქებას მოუტანს, მაგრამ როგორც «ძველი ივერიის ერთ-ერთი ძეთაგანი» ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება სიახლეს. მართალია, დარწმუნებულია მის აუცილებლობაში, მაგრამ ფიქრობს, რომ უკეთესია ეს მოხდეს მოგვიანებით, მხოლოდ რუსეთში გატარებული რეფორმის შემდეგ, მაშინ როდესაც უკვე თვალსაჩინო გახდება მისი შედეგი. იგი თავის ფრთხილ დამოკიდებულებას რეფორმისადმი ხსნის იმ მოსაზრებით, რომ სიახლის, უჩვეულოს დანერგვას

ყოველთვის თან ახლავს ხოლმე გარდაუვალი შეცდომები და საქართველოსთვის ამ «აუცილებელი გზის» გავლა გაცილებით ადვილი გახდება თუ გათვალისწინებული იქნება რუსეთის მიერ დაშვებული ცდომილებანი. აი, რას სწერს იგი 1858 წელს, გარდაუვალი ისტორიული რეფორმის წინ დემეტრე ჯორჯაძეს: «ამ ჟამად საქართველოსა ერთად რუსეთისათანა წინაუძევს დიახ მძიმე, დიახ დიდი, დიახ თავში საცემი, საქმე ყმების განთავისუფლებისათვის. ვჰბაასობთ, ვჰყვირით, ვჰჩხავით და ჯერ ისევ იქვე ვართ და ვერ წავგიდგამს ფეხი წინ. – ძველის ივერიისა შენცა ხარ ერთი ძეთაგანი; აბა, მოგვაწვდინე შენცა მანდედამ შენი ხმა და შენი ჰაზრი! –

ამ მიწუტში შემოვიდა ყიფიანი, რომელთანაცა ვიმუსაიფეთ ამ საგანზედ ბევრი რაიმე და მაინც ისევ იქვე დავრჩით, და ვნახოთ შემდეგი რას მოგვიტანს?—» (ორბელიანი, 1937, 237).

მართალია, იგი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის პოზიციიდან უდგება აღნიშნულ რეფორმას, მაგრამ გარკვეულ ზრუნვას იჩენს თავისი წრის ადამიანებისადმიც, რომელნიც ახალმა დრომ უსუსურ მდგომარეობაში ჩაყარა, როდესაც დახმარებას სთხოვს დემ. ჯორჯაძეს, რათა გ. ერისთავს გათავისუფლებული ყმისა და მამულის ნაცვლად მიეცეს ცარიელი მამული ყუბის უეზდში. იგი ერთგვარად შეშფოთებულია თავისი წოდების მომავლით. მაინც რას მოუტონს რეფორმა თავადაზნაურობას?

«ეკსპედიცია ღოსუდარსტვენნიხ იმუშჩესტვ მოიწერება, ან ამ ახლოს ხანში მოგწერსთ თქვენ, შეიძლებაა, რო გრიგოლს ერისთავსა, ნაცვლად მაგის ყმისა და მამულისა საერისთაოში, მიეცეს მხოლოდ მამული ყუბის უეზდში. – მთავარმართებელსაც ჰსურს ესე, მეტადრე ამ ახალს ბატონყმობის საქმეზედ დიდს შემწეობას გამოელის, თუ ეს საქმე ასე მოხდა. – ახლა თქვენზე ჰკიდია, და თუ როგორმე შეიძლებოდეს ამის აღსრულება სასარგებლოდ გრიგოლ ერისთავისა, მართლად დიდად დაავალებთ და მთავარმართებელსაც აამებთ, რადგანაც ერთი ვეება ნაწილი საერისთაო ყმებისა განთავისუფლდება უდავიდარაზოდ და მით სხუათაც, რომელთაცა ჩამოერთმევათ ყმები ოდესმე, ექნებათ ეს საქმე მაგალითად, რომ სადმე სამაგიეროდ მიეცეს მამული მაინცა,

რომ არ დაჰშთნენ სრულიად სიგლახაკეში. – ეს მაგალითი შემდეგისათვის ძალიან სასარგებლო იქნება საქართველოში მებატონეთათვის» (ორბელიანი, 1937, 247). – სწერს 1858 წლის 26 ივლისს დემ. ჯორჯაძეს.

1862 წელს ქართველთა თავადაზნაურობამ, რომლის თითოეულ წევრს შეეძლო სიტყვით ან წერილობით გამოეთქვა პირადი აზრი, დიმიტრი ყიფიანს მიანდო მთავარმართებლის წინაშე საზოგადოების სახელით წარსადგენი ბატონყმობის გაუქმების ახალი პროექტის შედგენა. დემ. ყიფიანმა გარკვეულ მიზეზთა გამო უარი თქვა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც შეუძლებლად მიაჩნია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ხელახალი შეკრება და არჩევა კაცისა, რომელსაც მიანდობენ ბატონყმობის წესდებულების აღწერას, 1862 წელს იოანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს ურჩევს, რომ მარშლებმა შეჰყარონ მებატონენი და ამოირჩიონ პირნი, ვისაც ამ საქმეს მიანდობენ. «თქუენი სიღნაღის უეზდი ყველაზე ამ შემთხვევაში უბედნიერესი არის ამით, რომ პირუელად, არის თქუენში თანხმობა, და მეორედ არიან მრავალნი პირნი, გამოჩენილნი კეთილზნეობითა და გონებითა და ამასთანავე დახელობნებულნი გამოცდილებითა. – თქუენში მაშასადამე, ეს საქმე ადვილად დასაბოლოებელია: აღმოირჩიეთ იგინივე, ვინცა გყუანდათ ადრევე აღმორჩეულნი და მერწმუნეთ, რომ დიდად კეთილად და ადვილად დაასრულებთ ამ დახლართულს საქმესა.» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 62).

ამასთან, ურჩევს, დრო არ დაკარგონ უაზროდ და გულმოდგინედ, გულმხურვალედ მოეკიდნენ საქმეს, რომელიც არის ყოველ სხვა საქმეზე უპირველესი.

1863 წლის 28 იანვარს იოანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს სწერს დიდი მთავრის, მიხეილის კავკასიაში ჩამოსვლის შესახებ და ატყობინებს, რომ საქართველოში ბატონყმობის საქმე შეჩერებულია. «ჩუენმა ბატონყმობის საქმემ, როგორცა მოველოდი, ისე მიიძინა მშვიდობიანად. ყიფიანიც იწერება, რომ ვიდრე არ მომივა პასუხი ყოველთაგან, რომელთაცა მოვთხოვე ზოგიერთი ცნობები, ვერ მივპყოფთ ხელსაო. ზოგთა მისწერეს პასუხი, მაგრამ უმრავლესთა

კი არა უპასუხესრა ამ მიზეზის გამო, რომ თუ ჩუენ შეგვძლებოდა წერაო, ხომ აღარა ვჰთხოვდით ყიფიანსა და ჩუენვე დავსწერდითო. ამებაში საქმე არის ისევე ისე, როგორც იყო ათისწლის წინ. ახლა . . . რადგან ჩუენ ვერ შევძელით ამის აღსრულება, მეშინიან, რომ მმართველობამ არ შეადგინოს კომისია და არ დაგვიწესონ პოლოჟენიე კაცთა, რომელთაცა არ იციან ზედმიწევნით ჩუენი და ჩუენის გლებების მდგომარეობა და ერთმანეთის დამოკიდებულება. კახელებსა გქონდათ დიახ კარგი ჰაზრი და გყუანდათ აღმორჩეულნიცა პირნი, გამოჩენილნი გონებითა და კეთილშობილურის ხასიათითა და ქცევითა, რომელთაცა შეეძლოთ დაბოლოება ამა ძნელისა საქმისა; რადად შეჰსცუალებთ ესრეთი დაწყობილება? . . . ახლა ხომ კიდევ უნდა შევიყარნეთ, კიდევ უნდა უსარგებლოდ ვიყაყანოთ, ვისიც ხმა უმეტეს ღრიალებს, იმისი უნდა ისმოდეს! როდემდის?» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 63). – ეკითხება პოეტი იოანე ანდრონიკაშვილს.

1863 წელს გრიგოლ ორბელიანი სიტყვით გამოვიდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე და თავისი წოდების წარმომადგენლებს აუხსნა, რომ ეს ყველაფერი მიმართულია «სიკეთისათვის საზოგადოებისა», რომ «მოვიდა დრო, როდესაც საქართველოსი ძველი ჩვეულება, ძველი წესი, - დამკვიდრებული საუკუნითგან, - უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევებზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლებთა შორის. ამ დღით საქართველო მიიღებს ახალს სახესა, ახალსა ცხოვრებასა.» და მაღალი წოდება, არისტოკრატია გაღებული მსხვერპლის გამო თავს ქრისტიანულად უნდა ინუგემებდეს იმ აზრით, რომ: «ასი ათასი სული თავისუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარეობისაგან» (ორბელიანი, 1959, 305).

1876 წლის 16 მაისს თბილისის თავადაზნაურთა მარშლების ამორჩევისას კრებაზე სიტყვით გამოდის ორბელიანი, რომელიც თავადაზნაურთა უკიდურესი გაჭირვების მიზეზად ბატონყმობის გაუქმებას კი არ ასახელებს, არამედ მისი დეგრადაციის, გადაგვარების მიზეზად ცხოვრების არასწორი წესი მიაჩნია. იგი ამბობს: «ბატონყმობის მოსპობამ დაგვლუპაო, ეს მართალი არ არის: ჯერ ბატონყმობა სად იყო მოსპობილი, რომ ჩვენ ვალები გვქონდა და გაჭირვებაში

ვიყავით? ბატონყმობის მოსპობა კი არა, თვითონ ჩვენა ვართ, ბატონებო ამაში დამნაშავე. აი, მოგახსენებთ – რა ენთო მამაჩემს? ქონის სანთელი. ტანთ რას იცვამდა მამაჩემი? უბრალო ლეკურ შალს. სულ ყველაფერი იაფი და უბრალო იცოდნენ მამაჩვენებმა. ჩვენ კი? თქვენც კარგად იცით, თითოეულ ახლანდელ თავადაზნაურს რამდენად უჯდება ცხოვრება” («დროება», 1876წ.).

70-იანი წლებიდან გრიგოლ ორბელიანის წერილები განსაკუთრებული ტრაგიზმით ხასიათდება. დრომ და მოვლენებმა ყველაფერი შეცვალა პოეტის გარშემო. გალატაკდა და გადაგვარდა უწინდელი სახელოვანი თავადაზნაურობა, შეირყვნა ენა, შემცირდა ქართული წირვა-ლოცვა, დაცარიელდა ეკლესიები, თითქოს ზნე იცვალეს ქართველებმა, დაპატარავდნენ, დაკნინდნენ. გულგატეხილობამ, სასოწარკვეთამ მოიცვა პოეტის არსება. არსაიდან ჩანს ნუგეშის სხივი, იმედი.

«რა ვჰქნა, როგორ არ შევჰსწუხდე, უყურებ რა საქართველოს გამწარებით მდგომარეობასა. – სწერდა პოეტი სოფიო ორბელიანს 1873 წლის 16 სექტემბერს. – თავადაზნაურობა გლახებითურთ დავრდომილნი უიმედოდ, უნუგეშოდ, სიგლახაკითა; ქართული ენა, დევნილი არქიერისაგან და მის თანამეჰაზრე ნევეროვისაგან: ერთმან აღხოცა ეს ენა ღიმნაზიაში, ახლა მეორეცა ჰსცდილობს ყოვლის ღონისძიებითა მოჰსპოს სემინარიაშიცა; მოხელენი, ხელადებულნი ხალხის მოვლისაგან; გახშირებულნი ავაზაკთა დასტები იკლებენ ხალხსა და არავის ეწუხება, და არცა არის ვინმე მკითხავი! . . . ნეტავი თქუნენ, რომ დადისტანში ხართ და გული არ გისივდებათ ზაფრითა ესრეთის კეთილ-მზრუნველობით ხალხის მოვლითა!” (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 486).

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში წასულა სათავადაზნაურო ბანკის საქმეზე და საზოგადოებაც მოუთმენლად მოელის მის გახსნას. აკი გრიგოლ ორბელიანი 1874 წლის 1 დეკემბერს ნიკო ჭავჭავაძესთან მწარე ირონიით აღნიშნავს, «გულდაჯერებულნი არიან, რომ როდესაც ბანკი გაიხსნება, მაშინვე გაჰქრება ვალი თავისთავად»-ო (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 507).

1874 წელს სოფიო ორბელიანს ატყობინებს, ჩვენი ბანკის საქმე ჯერაც გარიყულიაო და წუხს, რომ როგორც კი პრიკაზი დაიკეტება, მოხდება

დაგირავებული მამულების გაყიდვა და მაშინ «თითქმის მთლად საქართველო გაიყიდება. შენ წარმოიდგინე, რა ვაება, გოდება მოელის ჩუენს ქუეყანასა ეს არის საკუთრივ საქართველოსათვის ახალი წარღუნა, რომლიდამაც იშვიათი ვინმე გადარჩება ახალს ნოეს კიდობანსში. . .» (იქვე, 487). განსაკუთრებით მძაფრია პოეტის განცდები და შიში, როდესაც ხედავს, რომ მოძალებული და ფინანსურად გაძლიერებული არაქართველის ხელში გადადის სახელოვანი თავადაზნაურობის და სრულიად საქართველოს ქონება. არაეროვნული ელემენტის მოძალებას და წინსვლას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, სერიოზულად შეუშფოთებია პატრიოტი პოეტი, რომელიც რეალურ ვითარებაში ქართულის, ეროვნულის შთანთქმის საშიშროებას ხედავს.

«აქ ხომ მსყიდველნი არ არიან სომხების გარდა, და რაღა თქმა უნდა, რომ სულ უფასოდ წაგვივა მამულები ან სომხების ხელში, ანუ ხაზინასში და დარჩება გაწყალებული, ულუკმაპუროდ, უნუგემოდ, საბრალო ჩვენი თავადაზნაურობა, რომელიცა იყო აქამომდე ამ ქუეყნის პატრონი, მფარველი მებრძოლე, შემნახველი ათასწელიწადების განმავლობაში» (იქვე, 487). – სწერს სოფიო ორბელიანს 1874 წლის 17 მარტს.

«ეს არის სამწუხარო, რომ ჩვენთან ერთად იღუპება მთლად გლეხოზაცა. კახეთის ვენახები ერთიანად დაგირავებულია სომხების ხელში, რომ თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდან და ხალხი მუშაობს მხოლოდ სომხებისათვის მუქთად. . . მუქთად!» (მეუნარგია, 1941, 110-111). – შესჩივის დიმიტრი ორბელიანს 1875 წლის 26 იანვარს.

1878 წელს სამეფო ოჯახის წევრის ქორწილისათვის ქართველ ქალებს გადაუწყვეტიათ ხელით ნაკერი ხალიჩის და მომინანქრებული, ქართული პეიზაჟებით და ქართველი ხალხის პორტრეტებით შემკული ალბომის გაგზავნა, მაგრამ ვერ უპოვიათ ლამაზი ქართველი ქალი ქართულად ჩაცმული. «ქართულად აღარავინ იცვამსო» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 516). – წუხს პოეტი ნიკო ჭავჭავაძესთან 1878 წლის 12 დეკემბერს.

«ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდგომარეობაში იმყოფება ჩუენი საზოგადოდ თავადაზნაურობა, და რა საშინლად დაეცა სიღარიბისაგან!

საქართველო მრავალ-ჯერ აოხრებულა, გადამწუარა ლანგ თემურისაგან, შაკაბზაზისაგან, ოსმალთა, სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკუდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდან და თავის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა, და შემდეგ ჟამთა განმავლობასში ნელ-ნელა მოდიოდა ცხოვრებაში. ახლა ჩუნს თავადაზნაურობას აღარსად ექმნება თავის შესაფარებელი.–ჩუნი მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდან ჰსჩანს ნათელი ნუგეშისა!» (იქვე, 77). – სწერს 1879 წლის 17 იანვარს სამეგრელოს უგანათლებულეს კნეინას, ეკატერინეს.

«ნეტავ შენ, ჩემო საყუარელო ნიკო, რომ მოშორდი აქაურობას და არ გესმის ყოვლის მხრიდამ, ყოვლის სახლიდამ, ვაების ხმა და არსაიდან ჰსჩანს გამომხსნელი! სიღარიბეს აღარ ჰსჩივიან, რადგანაც უფრო უმეტესს საშინელებას მოელით ახლოს ხანში: გამოჰყრიან ჩუნს თავადაზნაურობას სახლებიდან, მამულებიდან და სად უნდა წავიდნენ ესოდენნი ათასნი სულნი! დაიღუპა საუკუნოდ ის ჩინებული, სახელოვანი, თავადაზნაურობა, რომელმანცა შეინახა სამიათასის წლის განმავლობაში თავისი მამული, ენა, სარწმუნოება! შეინახა მარტომ მისმა გულადობამ პირისპირ მთელის აზიისა, არსაიდან შეუწევნელმა» (იქვე, 520). – ჰგოდებს ნიკო ჭავჭავაძესთან 1880 წლის 18 აგვისტოს.

«დავმარხეთ საბრალო დიმიტრი ვახტანგის შვილი, ორბელიანი, ქაშუეთის ეკლესიაში და ამოწყდა ამის სახელიცა.» –სწერს ივანე ორბელიანს დიმიტრი ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ,– «ოჰ, ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაც ჰსჩანს ცხადად ზეგარდმო რისხვა! სარდლიანთ ოჯახიდან არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანიანთ ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენდა სანდრო, სამნივე ჭანები, უშვილონი; სოსიკოს სახლში ჰსდგას პოლოზოვი, სამარადღონის სახლში საგინოვი; ალექსანდრეს ადგილს აბოვიანცი, ძალღი და მამამადლი; ჩვენ სამთა ძმებთაგან დაგვრჩა მხოლოდ ერთი გიორგი!! არის ქაჩალი კოტე, ვალში დაღუპული და მასთან ერთად დაღუპული პაიკი საშა! ჩვენ, ყაფლანიანნი, ვილუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ; მოგვდევენ დიდად გაჩქარებული სოლაღაანნი, ბარათაანი, ერისთავნი, აბაშიძიანნი, თარხნიანნი და სხვანიცა და

დიდად სცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე დაიღუპება! ასეა მთლად საქართველოს აწინდელი მდგომარეობა და გამომხსნელი სად არის, არ მოჩანს» (მეუნარგია, 1941, 113-114). – მოსთქვამს ძლიერი ფეოდალური გვარის უკანასკნელი მხცოვანი მოჰიკანი.

აღნიშნავენ, რომ 1882 წლის 29 იანვრით დათარიღებული ეს ბარათი «ნამდვილი გულახდილი ღაღადისია, ირონიული მსჯავრია, საკუთარი აგონიის შეგნებით ნაკარნახევი და . . . არავის დაუტირია უფრო ხატოვნად თავისი მოდემის დაისი» (მალრაძე, 1975, 293), როგორც სულის გზას შემდგარმა დიდმა პოეტმა დაიტირა.

* * *

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი ჭეშმარიტი პატრიოტია თავისი სამშობლოსი და საზოგადოების იმ ნაწილის პოზიციას იზიარებს, რომელსაც ღრმად სწამს რომ ურჯულოთა გარემოცვაში მოქცეული საქართველოს მომავალი განვითარება-აღზევება სწორედ ერთმორწმუნე რუსეთის ფრთებქვეშ უნდა მომხდარიყო. საზოგადოების ამ ნაწილის აზრით, ძლიერი და დიდი სახელმწიფოს მფარველი კალთა არა მხოლოდ მუსულმანთა აგრესიისაგან დაიცავდა მუდმივი თავდასხმებისაგან დასუსტებულ პატარა ქრისტიანულ ქვეყანას, არამედ ხელს შეუწყობდა ეროვნულის შენარჩუნების ფონზე, ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის დანერგვა-განვითარებას. საზოგადოების ამ ნაწილისათვის არც რუსეთის იმპერიალისტური ზრახვანია უცხო. ამის შესახებ არაერთხელ საუბრობს პოეტი თავის პირად წერილებში, თუმცა მისთვის გასაგები და მისაღები მხოლოდ რუსეთის პროგრესული ნაწილის ინტერესებია, რომელიც ჭეშმარიტად შეძლებს «საქართველოს გაბედნიერებას.»

სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება აიხსნას პოეტის სასტიკი დამოკიდებულება საქართველოს არაქრისტიანი ისტორიული მტრების მიმართ. ოდითგან საქართველოსადმი მომართული მათი აგრესია, ცხადია ნაცნობი იყო გრიგოლისათვის, მაგრამ ისტორიული წარსულის გარდა, მის

თვალწინ მიმდინარე მოვლენები აიძულებდა, ხელში ხმლით მდგარიყო თავისი სამშობლოს სიმშვიდის სადარაჯოზე.» გრიგოლ ორბელიანისათვის სამშობლოსათვის სისხლის ღვრა «საღვთო მოვალეობა» იყო. . . თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობითაც ის ამართლებდა ლეკ-ოსმალთა მიმართ გამოჩენილ სიმკაცრეს, რადგან ამაში «სარდალი-პოეტი» ქართველი ერის სასიცოცხლო ძალთა შენარჩუნების აუცილებლობას ხედავდა. ამიტომაც, ამ შემთხვევაშიც კი არაა იგი გაორებული პიროვნება, არამედ დაჩაგრული სამშობლოს და სიკეთის მსახურია, სამშობლოს დაცვის ერთადერთ პრინციპს: «მტერს მტრულად მოექცეს»-უდებს საფუძვლად თავის ქცევას და ამით სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საკუთარ პოეტურ მრწამსს» (ევგენიძე, 1995, 35).

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების მთავარი საზრისი, ქართველ სამოციანელთა მსგავსად, მამა-პაპათაგან შემორჩენილი სამი ღვთაებრივი საუნჯის: ენის, მამულის და სარწმუნოების დაცვაა. ამიტომაც იგი მთელი გულით განიცდის თავისი პატარა სამშობლოს ყოველი კუთხის ბედს. იქნება ეს გურია თუ აჭარა, საინგილო თუ კახეთი.

«პოეტი, რომელსაც იდეალად დავითის, თამარის და ერეკლესდროინდელი ქართველის რაინდული სული ჰქონდა, ცხადია, ვერ მოიხიბლებოდა XIX საუკუნის თბილისის ვაჭრულ-ამქრული და რაც მთავარია, არაქართული საზოგადოების მემჩანური ანგარიშიანობით» (ევგენიძე, 1995, 150). მისი იდეალი ხომ საუკუნეთა წიაღს შეფარებული ქართველ გმირთა სახეებია. რაოდენ ბედნიერია პოეტი, როდესაც მის თანამედროვე საზოგადოებაშიც ზოგჯერ გამოკრთის ის მებრძოლი სული და შეუპოვრობა, რომელიც ოდითგან იყო ქართველი ერის გენეტიკური თვისება.

რაოდენ ამაყია, როდესაც ჰაჯიმურადს საპასუხო წერილით ატყობინებს: «პაპა ჩემი ირაკლი ხანი არც დედაკაცებს ეომებოდა არც იპარავდა ცხოვრებასა მეთქი და არცა მე ვიქ მაგ გვარ შესარცხვენელს საქმესა მეთქი; მე როგორც კაცი, ისე შეგხვდები ხმალ ამოღებული ამკარად, დღისით, მეიდანზე და მაგ თავს ჩალმიანად მოგგლეჯ, თუ არ გამექცევი, როგორც ბატლაიჩში, ზირანას, ხოჯალმაქის და ქუთიშაში-მეთქი» (ორბელიანი, 1936, 138).

თავისი ხალხის სიყვარულით არის სავსე ეკატერინე ჭავჭავაძისადმი 1872 წლის 2 ოქტომბერს გაგზავნილი ბარათის შემდეგი სტრიქონებიც: «გუშინ აქაური ხალხი რკინის გზით პირველად წავიდა მცხეთას სადღესასწაულოდ. დილით 6-ს საათიდან შუალამემდის მოუწყვეტლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ ვალონები, ხალხით გატენილები, ზურნებით, ჭიანურებით, სიმღერით. . . შუალამემდის მოუწყვეტლივ გზაზედ ისმოდა ზურნა და სიმღერა. მიყვარს ეს ჩვენი ხალხი თუ არ წაუხდინეს ხასიათი» (ლიტ. მუზ. ფ. 20150-6, გვ.39).

კიდევ უფრო მოგვიანებით, 1879 წლის 16 ივნისს შვილის, ნიკოს დაბრუნებას მიულოცავს თავის მოწყალე დას, ეკატერინეს, სამეგრელოს ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეს თავისი პატარა მამულის მოვლა-პატრონობას ურჩევს და ცდილობს დაარწმუნოს, «რომ მოხედოს თავის ქვეყანას და დაბინავდეს მამაპაპეულის მამულსა, ზეგარდამო ნაკურთხსა ნაყოფიერებითა, მშუენივრად შემკობილის მდებარეობითა» მაშ ვინ უნდა იყოს მზრუნველი იმ ხალხის კეთილდღეობისათვის, ვისთანაც იგი საუკუნეების განმავლობაში დაკავშირებული თუ არა ნიკო? «ეხლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყევლად, ადაშენოს ოჯახი თვისი, რომ დროზე ხანში შესულმა, თვითვე გაიხაროს თავის ღვაწლის ნაყოფითა; . . . ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურლსა; ზუგდიდში უნდა იყოს მაგის სიხარული, მანდ უნდა დათესოს ყოველივე კეთილი და მით, დროზე, აღადგინოს დაცემული თვისი ქვეყანა» (ცაიშვილი, 1947, 327-329).

როგორც აღნიშნავენ «შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში მცხოვრებ ქართველთაგან, ვინც კი შემორჩა მეორე ნახევრის საქართველოს «საქმით წმინდა», «გულმხურვალე», «სიტყვატკბილი», «ჭკვამალაღი», ვისაც მყარი პოზიცია ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენებისადმი-ეს გრიგოლ ორბელიანი იყო. ცალკეულ მოვლენათა ან ცალკეულ პიროვნებათა შეფასების ჟამს შეიძლება ზოგჯერ ცდებოდა, მაგრამ მას სწამდა და სჯეროდა იმისა (და ესაა სწორედ მნიშვნელოვანი), რასაც ამბობდა. ამიტომაც გაორებული პიროვნება კი არ იყო თავისი მრწამსით, არამედ მტკიცედ შეკრული, მონოლითური

ნატურა, რომელიც ცხოვრების მწუხრშიც იმავე სალოცავს ემსახურებოდა, რასაც სიცოცხლის გაზაფხულზე სცემდა თაყვანს» (ევგენიძე, 1995, 101).

ასეთია ძირითადად, მწვავე ეროვნულ და სოციალურ პრობლემათა მიმართ გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ ნაწერებში გამოვლენილი ინტერესები, რაც სხვადასხვა დონეზე თავისებურად გაჟღერდება კიდევ მის მხატვრულ შემოქმედებაში.

თავი III

გრიგოლ ორბელიანის ეთიკურ–ესთეტიკური მრწამსი და ქართული სულიერების გადარჩენის პრობლემა მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შუქზე

ა) გრიგოლ ორბელიანის ქრისტიანული პოზიცია

დიდ შემოქმედთა ცხოვრება-მოღვაწეობას, ლიტერატურის მკვლევარები მრავალი ასპექტით განიხილავენ. უამრავი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისის არსებობის მიუხედავად, XX საუკუნის მიწურულამდე თითქმის არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა - ძველი, ახალი თუ უახლესი ლიტერატურის წარმომადგენელ, იმ შემოქმედთა რელიგიურ-ფილოსოფიურ კრედოზე, რომელთა ცხოვრებას და შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის.

მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ მწერლის ცხოვრება და შემოქმედება ქრისტიანობასთან იყო თანშეზრდილი, არსებული «ურელიგიო» მასებისათვის იგი განიხილებოდა სხვადასხვა კუთხით, მაგრამ არა მწერლის თუ ლიტერატურული გმირის ღმერთთან მიახლოების თვალსაზრისით. ერთ მხარეს რჩებოდა შინაგანი მხარე მწერლობისა, რწმენა, იდეალები, როგორც «არ განმსაზღვრელი» შემოქმედებისა, მეორე მხარეს კი ბიოგრაფიული მასალა და ლიტერატურა, გაგებული და შესწავლილი იმ დონეზე, რამდენადაც არსებული იდეოლოგიისათვის იყო საჭიროდ მიჩნეული. ყოფით წვრილმანებში ითქვიფებოდა ამა თუ იმ შემოქმედის რელიგიურ-ფილოსოფიური კრედო. გაცილებით იოლი იყო შემოქმედებაში წარმართულის ძიება, ვიდრე რეალურად არსებული ქრისტიანულის შენიშვნა.

ამ გაგებით იქნა «არაქრისტიანულად» «დასაბუთებული» ქართველი ერის ისეთი საგანძური, როგორც არის «ვეფხისტყაოსანი», თავად ღვთის შეგონება

«არა მოიხსენო სახელი ღვთისა ამოსა ზედა», რჩებოდა შეგონებად. . .
«უდაბნოსა შინა».

ამჯერად ჩვენი ინტერესი ამ კუთხით მიმართულია ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის გრიგოლ ორბელიანის მიმართ.

გრიგოლ ორბელიანი მორწმუნე ოჯახში დაიბადა. მშობლებს პატარა გრიგოლი ხშირად დაჰყავდათ ანჩისხატის ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე. თავად პოეტის მამა ქრისტიანულ მოძღვრებაში თურმე იმდენად ღრმად ჩახედული პიროვნება იყო, რომ ანჩისხატის დიაკვან დავითსაც კი უსწორებდა სახარების ტექსტს კითხვისას. ცხადია, მორწმუნე მშობლები ყმაწვილსაც ქრისტიანული სულისკვეთებით ზრდიდნენ.

გრიგოლის პირველი მასწავლებელიც სასულიერო პირი ყოფილა. მწიგნობრობითა და სათნოებით გამორჩეული ადამიანი, თითქმის «განსახიერებული ღმერთი» (ე. მაღრაძე), ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც პატარა გრიგოლს წერა-კითხვა შეასწავლა, ქართული მწერლობის, «ვეფხისტყაოსნისა» და «ბიბლიის» სიყვარული ჩაუნერგა.

ალბათ, ღვთის ნება იყო ისიც, რომ ქართულს კეთილშობილთა სასწავლებელშიც ღვთისმსახური ასწავლიდა, გვარად ხელაშვილი და ცხადია სასულიერო პირი მხოლოდ ქართულის მასწავლებელი არ იქნებოდა, მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული მოსწავლისათვის, რომლის ინტერესის საგანს სხვა დარგებთან ერთად ფილოსოფიაც წარმოადგენდა (მეუნარგია, 1954, 41).

პატარა გრიგოლს ღვთისმომშიში მშობლები და ღვთისმსახური მასწავლებლები ერისადმი მოწიწებასა და სასოებას უნერგავდნენ, ხელს უწყობდნენ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, აწვდიდნენ სიბრძნეს, რაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მშვენიერ სულიერ საგზლად გაჰყვა ღირსეულ შვილს.

«ბიბლიასა» და «ვეფხისტყაოსანზე» გაზრდილმა ყმაწვილმა შეისისხლხორცა სიბრძნე, რომელიც ამ ორი შედეგის ფურცლებზე იკითხებოდა. მაშინაც კი, როდესაც იგი ოჯახისგან შორს, კავკასიის მთიანეთში იმყოფებოდა

«ბიბლიისა» და «ვეფხისტყაოსნის» გაგზავნას სთხოვს ახლობლებს, ხოლო «ვეფხისტყაოსნის» საკურთხეველზე დასვენება და მასზე ლოცვა, არ უნდა იყოს მხოლოდ ეროვნული ლიტერატურის მარგალიტთან მიახლების სურვილი. სავარაუდოა, რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი, თუ როგორი ეზოტერული ცოდნის, სიბრძნის შემცველი იყო, ეს გენიალური პოემა.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება ისევე ძლიერ არის გაჯერებული ქრისტიანული მრწამსით, როგორც თავად ავტორი. ჯერ კიდევ XX საუკუნის I ნახევარში სახელოვანი ქართველი კრიტიკოსი და მოაზროვნე გერონტი ქიქოძე, მიუთითებდა, რომ პოეტის თანამედროვეთაგან «მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს აქვს თბილი რელიგიური გრძნობა» (ქიქოძე, 1963, 87). შემდგომშიც არაერთგზის ითქვა, რომ «რელიგიური გრძნობებითაა დატვირთული გრიგოლ ორბელიანის პოეზია ახალგაზრდობიდან სიბერემდე. . . ყველაფერი რასაც ამქვეყნად სიქველე, სიკეთე ჰქვია, პოეტის მიერ «საღვთო» ქმედებათაა ჩათვლილი.» თვით მამულის სიყვარული და მისთვის თაყვანისცემის პროცესიც კი პოეტის მიერ მიიჩნევა, როგორც «საღვთო» ქმედება (ევგენიძე, 1995, 195), თუმცა მის პოეზიაში, გარკვეულწილად პოლუსების—»წარმართული სენსუალიზმისა და ქრისტიანული მისტიციზმის, მუხამბაზისა და ფსალმუნის, ეროტიკული დითირამებისა და პატრიოტული ელეგიების» ერთდროულ არსებობასაც არ გამოორიცხავენ (ასათიანი, 1988, 55-56).

ჩვენ თავს ვიკავებთ იმ მოსაზრებისაგან, რომ გრიგოლ ორბელიანს «ბუნების ყოველ აქტში არასოდეს უძებნია გამოვლინება ღვთაების ნებისა», რომ «ძიება უნივერსისა და სიკვდილის ფილოსოფია ძალიან შორსაა მისი მსოფლმხედველობისაგან (აკ. გაწერელია). უფრო მართებული იქნება შევნიშნოთ, რომ მისი თვალთახედვით ამ ქვეყნად ყოველი ნება თუ ქმედება, ბუნებაში მომხდარი თუ მიმდინარე პროცესი, მხოლოდ «ღვთის ნებას დაქვემდებარებული აქტია». თვით ადამიანის გარდაცვალების პროცესი მის მიერ აღიქმება, როგორც დადებითი შინაარსის მატარებელი, კანონზომიერი მოვლენა, რომლის ფენომენს, აუცილებლად მოსდევს ცხოვრების დაბადების პროცესი (შარაბიძე, 1999, 29).

«ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერ უთვალავს მშვენიებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას».

(«სადღეგრძელო»)

სიკვდილით დაბადებულ ცხოვრებად შესაძლოა იგულისხმება გარდასახვა, ფერისცვალება, დაბადება ანუ ჩვენი მატერიით სავსე სამყაროს განთავისუფლება მატერიისაგან, მარადიულობაში გადასვლა. გაქრობა ამქვეყნიურ, ამაო განცდათა და გრძნობათა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო «სიკვდილის კარიბჭის» გავლით მიღწეულ მარადისობასთან, რომელიც მხოლოდ მატერიალურის ნგრევითა და სულიერის ამაღლებით მიიღწევა. დაბადებული, გათავისუფლებული სული მიფრინავს მასთან, ვისაც უყვარს იგი და ვინც სიხარულით ეგებება მას: «მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ. შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა» (მათე, 351. 21).

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ჟამს ქცეულა გრ. ორბელიანის ფიქრის საგნად, რომ «ზენა ჰსჯულსა ვერა არსი ვერ ასცდება»:

«ვერცა ხელმწიფე დიდების გვირგვინით,
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,
ვერც სიჭაბუკე შვენებითა შემკული
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით.»

რადგან

«ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა ცხოველი,
მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრივი.»

(«ჩემი ეპიტაფია»)

მხოლოდ ღვთაებრივ ნაწილაკს ხელეწიფება «მღვთად» ამაღლება, რამეთუ მხოლოდ მღვთაებრივია მარადიული.

ასეთივე აზრის გამტარებელია იგი პირად ცხოვრებაშიც. სიცოცხლის აზრის საკითხს არაერთხელ უბრუნდება პირად წერილებში. მიიჩნევს, რომ არც

ხანგრძლივი სიცოცხლე ყოფილა სანატრელი, «რადგანაც გვიჩვენებს მხოლოდ ამოების ხელმწიფობას და ყოვლისა წარმავლობას! ამ სოფელში, მხოლოდ ერთია უქველი, აუცდენელი-სიკუდილი. ვიბადებით, რათა მოჰკუდეთ! ეს ზეგარდამო შეურყეველი წესი დიდი საშინელებაა გულისმიერის მგრძნობელის კაცისათვის, თუ არ ჰსუფევდეს ღმერთი სიმართლისა და სიყუარულისა, რომლიცა ამა წესითა უფრო ცხადად გვიჩვენებს უკეთესსა სიცოცხლესა; თორემ სადღა იქნებოდა სიმართლე მისი! ნეტარ მას, ვისაცა ჰსწამს ესე.

. . . საკურველად არის დაბადებული კაცი! . . . ამ სოფლის სიამოვნებისათვისაც თავს იკლავს, იმ სოფლის უკუდაებისათვისაც ჰზრუნავს გულმტკივნეული! ეს მეტის მეტი გაუმაძღობაა, მაგრამ ამ გაუმაძღრობასაც დიდი მნიშვნელობა აქუს. ეძებს უკუდაებასა; მხოლოდ უკუდაება გააძღობს კაცსა, და ესე უზენაესი მღუთაებრივი ჰაზრი საიღამ და რათა აქუს გულში ღრმად დანერგილი, თუ მართლა არა რა არის სიკუდილის მეტი? შე, უბადრუკო დედაკაცო, იწამე და!» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 487). – სწერს სოფიო ორბელიანს უკვე ჭარმაგი პოეტი, 1874 წლის 17 მარტს. თვლის, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. ამიტომაც ანუგეშებს იგი ახლობლებს და მოუწოდებს, რომ თვით უსაშინელესი განსაცდელის ჟამსაც კი შინაგანი სიმტკიცე და წონასწორობა შეინარჩუნონ. უბედობასაც მორჩილებით, რწმენითა და სასოებით შეხვდნენ, რადგან ჩვენ ყველანი ისედაც განვალთ ამ ქვეყნიდან: «ვიყუნით ჩვენცა ასე გულს-ხელ-დაკრეფილნი და ველოდეთ უკანასკნელსა ჟამსა, აუცილებელსა, მოთმინებითა და სასოებითა (ორბელიანი, 1937, 156).

«ისევ ლოცუა, ისევ ლოცუა და სასოება ღვთისადმი. . . იყავნ ნება მისი» (იქვე, 159). – სწერს რძალს ქეთევანს, შვილის გარდაცვალების გამო, რადგან თვლის, რომ მხოლოდ რეალურისადმი «კრძალულებრივი» ერთგულებით უნდა შეხვდეს ადამიანი ამქვეყნად ყოველივეს.

«ჩემი ეპიტაფიიდან» რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი «ფსალმუნი», პოეტის «თავისუფლებითი აღვლენა სულისა ღვთისადმი», რომელიც უკვე მისი ცხოვრების მწუხრს შეიძლება მივაკუთვნოთ. ლექსი 1879 წლით თარიღდება.

თუ უპირველეს ქრისტიანთა «ფსალმუნი» შვებისა და მხნეობის მომნიჭებელი ღვთის სადიდებელია, გრიგოლ ორბელიანის «ფსალმუნი» თითქოს ერთგვარი ძიებაა ღვთისაკენ სავალი გზისა, რომლის ცოდნაც, ამქვეყნად დიდების მოყვარეთათვის მიუვალაია, ხოლო მათი ამსოფლიური დიდების «მზეებრ» მბრწყინავი შუქი-ფუჭწარმავალი. მხოლოდ წრფელი სულის, მშვიდი გულის მფლობელთ შესწევთ უნარი მიეახლნენ «წმინდა მთას», ღვთის ნავსაყუდელს, «სადაცა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა?» ორბელიანის «ფსალმუნი» თითქოს ძიებაა საკუთარ პიროვნებაში არსებული «მე»-სი, რომელიც ღვთისაგან მიიღებს იმპულსს, ურომლისოდაც წმინდა მთის ძებნა არავის ძალუმს. იგი ეძებს საკუთარ თავში განცდასაც უმწეობისა და სასოებისა, მორჩილებისა და სიყვარულისა, რაც დიდბუნებოვანი ადამიანის საგანმურია, რომელსაც შესწევს უნარი «წმინდა მთის» პირველ საფეხურს მიეახლოს, მარადისობისაკენ სავალი აღმართის ათავებას დაელოდოს მოთმინებით, უზენაესთან შესარწყმელად.

სულის გზას შემდგარი პოეტისათვის «დავითნი» ქცეულა შთაგონების წყაროდ, სულის სალბუნად და მოკავშირედ. . . (კაკაბაძე, 1983, 111-112).

«შთაფლულხართ ამ სოფლის წარმავალს სიამოვნებაში, და არა ვფიქრობთ სულისათვის, საუკუნო ცხოვრებისათვის. . . წინ მიძევს დავითნი და ყოველ დილით თითო კანონს ვჰკითხულობთ ცრემლითა და შენანებითა, რომ ესოდენი წელიწადნი ჩემნი წასულან ამაოდ, უფიქროდ, უსარგებლოდ სულისათვის ჩემისა და არცა მოყვასთა ჩემთათვის საკეთილოდ» (ორბელიანი, 1936, 119). – სინანულით წერს პოეტი მეგობარს, ჯერ კიდევ 1846 წელს.

გრიგოლ ორბელიანს უცნაური ხვედრი არგუნა განგებამ, ყოფილიყო შეუცვლელი ჭირისუფალი და მესაფლავე მშობლების, ძმების, ძმისშვილების, ბიძაშვილების, მეგობრების. ყოფილიყო ორბელიანთა ძლევამოსილი გვარის დაცემის მოწმე: ამიტომ მის წინაშე ხშირად სიკვდილი წარმოსდგება მთელი თავისი იდუმალებით და საშუალებას არ აძლევს არ შეიგრძნოს და გაიზიაროს მისი, როგორც ყოფიერებიდან ყოფიერებაში გადასვლის ფენომენი.

გრიგოლ ორბელიანისათვის მარადისობაში გადასვლის მოახლოების განცდა არ ყოფილა შიშის, შეძრწუნების, ტკივილის განცდა. ოთხმოც წელს მიტანებული მხცოვანი პოეტი, მშვიდად, წმინდა მამათა მსგავსად სათნო გულითა და გრძნობით ელოდა ღვთისაგან მოვლენილ განაჩენს. აი, როგორ მოგვითხრობს მის მარადისობაში გადასვლას მისი პირველი ბიოგრაფი იონა მეუნარგია. «პოეტი ექიმზე უკეთ გრძნობდა თავისი აღსასრულის მოახლოებას, თვითონ წაიკითხა ლოცვანი, მიიღო ზიარება, ესაუბრა თავის მოძღვარს. . . ხუმრობაც კი არ მოუშლია» (მეუნარგია, 1941, 158-159).

გრიგოლ ორბელიანმა, ჭეშმარიტი ქრისტიანის სავალი გზა სასოებითა და მოთმინებით განვლო და აღესრულა რწმენით, «ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დაადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოდ ხელითა და წმიდაი გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკუით მოყვასსა თვსსა» (დავითნი, კანონი 3, ფსალმუნი 23).

გრიგოლ ორბელიანის წარმოდგენაში ქრისტიანობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჩვენი ეროვნული ცნობიერების სიმყარესთან. ქართული მენტალიტეტის გამძლეობის ერთ-ერთ პირობად პოეტს ქრისტიანული კულტურის დაცვა და შენახვა ესახება. ამას მოწმობს მისი პირადი წერილები სოფიო ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ჭავჭავაძის, ლევან მელიქიშვილის, ლორის-მელიქოვის და სხვათა მიმართ.

1872 წელს თბილისის სემინარიაში ქართული ენის სწავლების აკრძალვა და მის ნაცვლად ბერძნულის შემოტანა სცადეს, ხოლო საპირისპირო აზრის მქონე მასწავლებლები სემინარიიდან დაითხოვეს, როგორც მმართველობის წინააღმდეგნი. ამ ფაქტმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. სამღვდელოებამ დახმარებისათვის ქვეყნის ბურჯს, გრიგოლ ორბელიანს მიმართა. თავად პოეტს ისე განუცდია მომხდარი, რომ იმავე დღეს მაღალი სიცხე მიუცია და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ წამომდგარა საწოლიდან. ამ საკითხს ეხება მისი წერილები ლევან მელიქიშვილისა (1872 წლის 25 ოქტ.) და სოფიო ორბელიანისადმი (1872 წლის 17 ნოემბ.), სადაც ცხადად გამოსჭვივის მწვავე ირონია, იმ უგუნური გადაწყვეტილებით გამოწვეული (ცაიშვილი, 1947, 313-315),

რომლის მიხედვითაც „ქართველის მლუდელისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულისა ენისა, ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლოდ დაკარგვა დროისა; მაშასადამე სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ჰქონია მდიდარი ლიტერატურა.

. . . საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლოტრანები ილოცვენ თავიანთ ენაზე და არავინ არის დამშლელი მათი; თვით ფრანგებიც კი ქართულს ენაზე ჰგალობენ, და მხოლოდ ქართველებსა უნდა მოუსპოთ ქართულს ენაზე ლოცვა! რათა? აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაჟანგება გონებისა. და ან საქართველოსა, ერთგულების მეტი, რა დაუშავებია, რომ ესოდენ სხუა და სხუა ხალხთაშორის მარტო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად?» (მალრაძე, 1975, 298-299). – სასოწარკვეთილი კითხულობს მმართველობის კეთილგონიერებაში დაექვევებული პოეტი. მისი და ერის სხვა ღირსეულ შვილთა დიდი წინააღმდეგობის შედეგად უგუნური ღონისძიება საბედნიეროდ შეფერხდა.

1882 წელს პეტერბურგში გამოიცა სასულიერო აკადემიის მოღვაწის მიხეილ პავლეს ძე საბინინის (ივერიელის) 639 გვერდიანი წიგნი, – «საქართველოს სამოთხე», ქართველ წმინდანთა ილუსტრაციებით შემკული ცხოვრება, რომლის შესანიშნავი სურათები ლაიპციხში შეუკვეთეს. ცხადია, ასეთი სერიოზული გამოცემა ავტორისაგან დიდ გარჯასა და ძალისხმევას მოითხოვდა. საბინინს ამ სერიოზული ამოცანის გადაჭრაში გრიგოლ ორბელიანიც დახმარებია, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რაოდენ ფასეული იყო მართლმორწმუნე ერისათვის საბინინის ნაშრომი.

«ჩემო მოწყალეო ბატონო, კნიაზო ილიავ!-სწერდა გრიგოლ ორბელიანი ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ 1879 წლის 2 ნოემბერს- მომირთმევია საბინინის წერილი, რომლითაცა ითხოვს ჩუენის საზოგადოებისაგან შემწეობასა ფულით, შესასრულებლად საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და გამოსახსნელად ლეიპციხიდან ქართველთ წმიდანების სურათებისა. თქუენ კარგად მოგეხსენებათ,

რა დიდი შრომა და და ღვაწლია მისაგან მიღებული, და რა სასარგებლოა საკუთრივ ჩუენთვის ამ ისტორიის გამოცემა და გავრცელება ჩუენს ხალხში.

ახლა თუ დავიცდით ჩუენის საზოგადოების შეკრებამდის, მეტად ბევრი დრო გავა და საბინინიც დარჩება უღონო და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩუენს საზოგადოებას არ ეწყინება, მის დაუკითხავად ბანკიდან შემწეობა ამ გაჭირვებულს შემთხუევაში ესრეთის საზოგადოდ კეთილის საქმისათვის განსანათლებლად ჩუენის დაცემულის მხარისა, ჩვენს უსტავშიაც იხსენება O распространений грамотности, или просвещения в народе.

. . . როგორც ინებებთ, ისე აღსრულდეს, ოღონდ კი აღსრულდეს» (მეუნარგია, 1957, 267).

საბინინისათვის შემწეობის ძიებაში, გრიგოლ ორბელიანს, კიდევ ერთი დიდი კაცი შეუწყუხებია. 1881 წლის 29 აპრილს, გრაფს მიხეილ ტარიელის მე ლორის-მელიქოვს პეტერბურღში შეხმიანებია და მისთვის «საქართველოს სამოთხის» ავტორი, ქართული ეკლესიების უანგარო მსახური, მიხეილ საბინინი წარუდგენია.

«ახლა მოდის თქუენს მფარველობაში ქუეშე, რომ თქუენის შემწეობით შეიძლოს დაბეჭუდა მამათ ცხოვრებისა. . . რომელიცა ამა შეადგინა და სიგლახაკისაგამ ვერ დაუბეჭდია.»- წერს და თან შეახსენებს, რომ როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის ისტორიაც არის ისტორია მათი ეკლესიის დევნისა, ჯერ ცეცხლთაყვანისმცემელთაგან, შემდეგ კი მაჰმადიანთაგან. «ამისათვის ეს ისტორია არის დიდად საჭირო და სასარგებლო საქართველოსა და მის ეკლესიისათვის» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 111).

გრაფი ლორის-მელიქოვი გრიგოლ ორბელიანის თხოვნას გულისყურით მოჰკიდებია. მისი შემწეობით საბინინის «საქართველოს სამოთხემ» 1882 წელს დღის სინათლე იხილა.

განსაკუთრებულია გრიგოლ ორბელიანის ინტერესი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სიძველეების მიმართ. ჯერ კიდევ 30-იან წლებში, პეტერბურგსა და მოსკოვში მოგზაურობისას, რუსეთის საცავებში გაბნეული ქართული კულტურის ძეგლების ნახვის საშუალება მისცემია. ამ

საკითხის შესახებ ის დაწვრილებით მოგვითხრობს დღიურში, «მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურდამდის.»

ცხოვრების მიწურულს კი უკრაინაში არსებული ქართული საეკლესიო ნივთებით, ძველი წიგნებით და ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი საეკლესიო სიძველეებით ინტერესდება, რომლითაც საქართველოს ეპისკოპოსი შესწევია თავის უმცროს მოძმეს, კიევის ეპისკოპოსს, როდესაც პირველად გახსნილა ეპისკოპოსობა კიევში. იგი ლევან მელიქიშვილს, რომელსაც ამ დროს დიდი თანამდებობა ეკავა, სთხოვს დაეხმაროს, რათა ამ ნივთების შესასწავლად დიმიტრი ფურცელაძე გაემგზავროს კიევში, «სადაცა არის თურმე მრავალნი ქართული წიგნები და ჩუენის მეფეების წერილები მეათეს საუკუნესი. იქვე არის ოქროს ყავარჯენი ეპისკოპოზისა და მასთან დიდად მდიდრად შემკობილნი თვალმარგალიტებითა ხატები და ეპისკოპოზის ძვირფასი შესამოსელნი, ზედ ქართულად ნაწერთა. . . . ჩუენის ისტორიისათვის დიდად სასარგებლო იქნება ამის აღწერა და საქუეენოდ გამოცხადება, რომლიდამაც თვით რუსეთი დაინახავს, რაცა ყოფილა ოდესმე საქართველო» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 115/ 79).

ჩვენთვის უცნობია, როგორ მოეკიდა ლევან მელიქიშვილი ამ თხოვნას და დაეხმარა თუ არა დიმიტრი ფურცელაძეს, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის მოგვარებაში, თავად პოეტს კი მცდელობა არ დაუკლია, რათა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო.

ასეთია გრიგოლ ორბელიანი, ქართული კულტურისა და ეკლესიის ქომაგი, სხვათა შემწე, მეცენატი.

ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი ინტერესი

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში თავისი ასახვა ჰპოვა სახელოვანი პოეტის ინტელექტუალურმა წყურვილმა, რაც შეიძლება აქტიურად მიაღვენოს თვალი ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს.

გრიგოლ ორბელიანისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ 1841 წელს გაგზავნილი ბარათიდან ერთი ამონარიდი რომ მოვიშველიოთ, ჩვენს თვალწინ გადაიშლება თავისებურად საინტერესო სურათი ეპოქისა, რომელშიც ამ ორ დიდ რომანტიკოს პოეტს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

«... ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის»- წერს იგი და იქვე-» ლიტერატურა ჩვენი ღვთით დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიდან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუმთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰსძინავთ გონებით!» (მეუნარგია, 1941, 194). – სწერდა გენიალური დისწული თავის საამაყო ბიძას.

როგორც ცნობილია, ეს არის უადრესად ზუსტი სურათი 30-40-იანი წლების საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისა.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართა დახასიათებით, ამ დროს საქართველოს კულტურული ცხოვრება მდორედ მიედინება; თბილისში არ არსებობს თეატრი, ჟურნალი და გაზეთი, არანაირი საზოგადოებრივი ხასიათის კულტურული დაწესებულება. კულტურული მაჯისცემა მოდუნებულია და საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის აზრთა გაზიარების თუ შემოქმედებითი კონტაქტების ერთადერთ ასპარეზად მხოლოდ სალონური საღამოები რჩება.

მაგრამ, რამდენადაც XIX საუკუნის I ნახევრის კულტურული ცხოვრება მიედინება მდორედ, იმდენად ფართო ასპარეზია გაშლილი კავკასიაში სამხედრო ოპერაციებისათვის. ამ დროს გრიგოლ ორბელიანი შორს არის სამშობლოსაგან. ის

ხან ბალტიისპირეთში იხდის სასჯელს, ხან პოლონეთშია, ხანაც დაღესტანში და ამდენად, შემოქმედებითი აქტივობისათვის საჭირო პირობები მას არ გააჩნია, რაც ცხადია თავისებურად აისახება კიდევ მის შემოქმედებით პროდუქტიულობაზე. ცხოვრების ბოლო წლებში იგი უკვე აღარაა სამსახურეობრივად დატვირთული, მაგრამ მას, როგორც ჩანს, აღარ შერჩა ის დიდი ძალა და ენერჯია, რასაც შემოქმედებითი საქმიანობა თხოულობს მსხვერპლად. როგორც მიუთითებენ, «ყმაწვილობიდან სიცოცხლის მიწურულამდე ისე აეწყო ყველაფერი, თითქოს ცხოვრების პროზა განგებისაგან ბოძებული მშვენიერი პოეტური ნიჭის ჩაკვლას ცდილობდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა» (ევგენიძე, 1995, 105).

«გრიგოლ ორბელიანი ჭეშმარიტი ხელოვანი იყო და, ბუნებრივია, სწამდა მხატვრული სიტყვის მაგიური ძალა. . . მას როგორც მოსანსა და ერისკაცს სჯეროდა, რომ «ვეფხისტყაოსანი» ქართველი ხალხისათვის მხატვრულ შედეგზე მეტი იყო. მას არაერთგზის განუცხადებია: «თქვენმა მზემ, მთავრობის შიში, რომ არ მქონდეს «ვეფხისტყაოსანს» ეკლესიაში შევიტანდი და ზედ საკურთხეველზე დავასვენებდიო.» სალოცავ ხატად სახავდა პოეტი რუსთაველსა და მის პოემას, იმ ენას, რომელიც ჩვენი ხალხის ძირძველობას ამტკიცებდა და მისი მარადიულობის წყურვილს აღვივებდა» (იქვე, 100). ამ ფაქტის დასამტკიცებლად არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია მისი წერილებიდან.

1843 წელს იგი კავკასიის მთიანეთიდან ძმას, ილიას სთხოვს «ზაქარიას თოფი გამოატანე . . . იმისგან, რომ ძალაინ საჭიროა ჩემთვის . . . ამის გარდა, ერთი დავითნი გამომიგზავნე და ერთიც «ვეფხისტყაოსანი» პატარა დაბეჭდილიო» (ორბელიანი, 1936, 80).

ამიტომ მოგვიანებით პოეტი წარმატებით ხელმძღვანელობს «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას. სწორედ მისი ინიციატივით მოხერხდა ოცზე მეტი ძველი ხელნაწერის მოგროვება, რომელთაგან უძველესი 1646 წელს მიეკუთვნება.

როდესაც მწერლის ცხოვრების ადრეულ პერიოდს ვიხსენებთ, დღემდე მოღწეული ფაქტიური მასალის სიმწირის გამო, დაწვრილებით ძნელდება იმის

გარკვევა, თუ რა ლიტერატურული ატმოსფეროთი საზრდოობდა და სუნთქავდა პოეტი, თუ როგორი იყო გარემო – მისი ლიტერატურული ინტერესების გეზისა და მიმართულების მიმცემი, თუ ვინ იყო მკითხველი და კრიტიკოს-შემფასებელი მისი თხზულებებისა.

ცენტრალურ სახელმწიფო-საისტორიო არქივში არაერთი ბარათია დაცული, რომელთა გაცნობითაც ვრწმუნდებით, რომ გრიგოლ ორბელიანის თანამედროვეთაგან, მრავალი ახლობელი ადამიანი, განსაკუთრებით კი მანდილოსნები, გრძნობენ და აქეზებენ პოეტს შემოქმედებითი საქმიანობისათვის. უფასებენ და უქებენ ლექსებს (თუმცა «გრ. ორბელიანის «მუხამბაზის» კილო, ეტყობა უფრო ხიბლავდა 30-40-იანი წლების ქალთა საზოგადოებას, ვიდრე სევდის სიღრმეთა ფარული სილამაზის ხილვა») და ევროპულ ლიტერატურასთან ზიარების წყურვილით შეპყრობილნი ფრანგ და რუს მწერალთა ნაწარმოებების თარგმნას სთხოვენ მას (ევგენიძე, 1995, 111). თუმცა, როგორც ირკვევა, ადრეულ წლებში ყველაზე მეტად მაინც საყვარელი დისშვილი ტატო, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავლენს შეუწინაღებელ ინტერესს მისი ლიტერატურული შრომისადმი. იგი უდავოდ გრძნობს ფასს კავკასიის მთიანეთში მეზრძოლი ბიძის მხატვრული ტალანტისას და წუხს, რომ ხშირად არა აქვს საშუალება მისი ნიჭის გამონაშუქით დატკბეს. აკი 1842 წელს მიწერილ ბარათშიც კრძალვით ევედრება: «გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კვლავ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური» (იქვე, 108).

თავად გრიგოლიც, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი და მხატვრული ტალანტის ბუნების მცოდნე, გულწრფელადაა წუხს დიდი მონაცემების მქონე დისწულის ბედზე. «სამწუხარო, მეტად სამწუხარო იქნება, თუ იმის ნიჭს განვითარების საშუალება არ მიეცემა, თუ მისი გონებრივი ნიჭიერება განუვითარებელი დარჩება» (ინგოროყვა, 1969, 55). – წერს იგი ზაქარიას 1835 წლის 27 ივლისს.

კიდევ უფრო მოგვიანებით, 1843 წელს, ძმას, ილია ორბელიანს სწერს: «ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტის ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო,

თორემ აღარ გაათავებენ. მაგისი იმედი მაქვს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება მალიმალ» (ორბელიანი, 1936, 68).

მართალია, გრიგოლ ორბელიანის წერილებსა და დღიურებში მისი აზრი დისწულზე, როგორც შემოქმედზე, მისი პოეზიის ავ-კარგზე თანამედროვეობამდე არ შემონახულა, მაგრამ უდიდეს პატივისცემასა და მაღალ შეფასებას გენიოსი დისწულის პოეტური ნიჭისადმი ნათელყოფს ცალკეული მაგალითები, რომლებიც პოეტის თანამედროვეებმა შემოგვინახეს. ამის დასამტკიცებლად ზ. ჭიჭინაძის მოგონების გახსენებაც კმარა, სადაც გრ. ორბელიანი ნ. ბარათაშვილს რუსთაველისა და გურამიშვილის გვერდით მოიხსენიებს (მთაწმინდელი, 1885, 64).

რაც შეეხება, ქართველ მანდილოსანთა თხოვნას, რომელთაც მისწრაფება აქვთ ეზიარონ ევროპულ მწერლობას, . . . გრიგოლ ორბელიანი სიცოცხლის დასასრულამდე გულისყურით უგდებს ყურს. პოეტი შეძლებისდაგვარად ცდილობს თავისი პოეზიის ერთგულ მკითხველთა, ერთ დროს მისი პოეტური შთაგონების ობიექტთა და შემდეგ კიდევ მათ შთამომავალთა თხოვნის აღსრულებას. 1877 წლის 12 აგვისტოს იგი სწერს კიდევ სალომე დადიანს – მიურატისას: «ძალიან მიამა, რომ «თამარ მეფის სახე “ბეთანიაში” მოგწონებით ეკატერინესაცა და შენცა, რადგანაც უნდა მოგახსენოთ, რომ მე გახლავართ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭვდა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემ სახსოვრად. სიბერემ წამართო, წაილო პოეზიის ძალა, მაგრამ ვეცდები კი, თუ შევძელ მოვაკენკო როგორმე და გადავთარგმნო შენი საყვარელი ლექსები; ოღონდ კი უნდა მომითმინო» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 117).

როგორც აღნიშნავენ, «ფსალმუნებისადმი მიდრეკილება გრ. ორბელიანს ახალგაზრდობაშიც ჰქონდა, მაგრამ ჟანრობრივად ამ დიდი ძეგლის ქარგაზე აგებული ქმნილება მან მხოლოდ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულში შექმნა.» ამას მოწმობს 1879 წლის 25 ივნისით დათარიღებული მისი ცნობილი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი: «დავბერდი და შევუდეგ სულისა გზასა, ვჰკითხულობ დავითნსა და აი რა დაედნა ამ კითხვისაგან. მაგრამ

გთხოვთ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს ულმოზელს კრიტიკოსს კნე-ოლდასა: თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, დ თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ისე რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენელად». . . თითქოს დამწყები პოეტიაო, ისეთი გულისფანცქალით წერს დიდი პოეტი» (ევგენიძე, 1995, 109).

მართალია, 1959 წელს გამოცემულ გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრულ კრებულში «ფსალმუნის» შექმნის თარიღად, სავარაუდოდ, აღნიშნული წერილის გათვალისწინებით, 1879 წლის 25 ივნისი სახელდება, (ეს თარიღია მითითებული პოეტის თხზულებათა შემდეგდროინდელ გამოცემებშიც, რადგან ისინი უმთავრესად 1959 წელს გამოცემულ სრულ კრებულს ემყარებიან), მაგრამ პოეტის პირად წერილებში აღმოჩენილი ერთი საინტერესო ბარათი გვამღევეს საბაბს, «ფსალმუნი» პოეზიის ქურაში კიდევ უფრო ადრე გამოწრთობილად მივიჩნიოთ.

როგორც ირკვევა, კნეინა ოლდაზე ადრე არანაკლებ მკაცრი კრიტიკოსის კალმისთვის მიუნდვია პოეტს ახალშობილი «ფსალმუნი», რომლის აზრსაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონია პოეტისათვის. ეს კრიტიკოსი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისაა, მენგრელიის უგანათლებულესი კნეინა” (როგორც მას გრიგოლი უწოდებს).

«ჩემო მწყალობელო დედოფალო! დავბერდი, სულის გზას შეუდეგ, ვაკითხულობ ფსალმუნსა და აი მეცა მივბაძე, და თუ არ მოგეწონოსთ დახიეთ” (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 53, 78), – წერს იგი 1879 წლის 16 ივნისს – ეს სტრიქონები სიტყვა-სიტყვით ემთხვევა მცირე ხნის შემდეგ ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ ანალოგიური შინაარსის ბარათს.

როგორც ჩანს, წინანდლის სავანეში დედოფლად დაბადებულ ამ დიდ ქალბატონს, სამთავროს მართვაზე არანაკლებ, მის თანამედროვე მწერალთა ნიჭის გამონაშუქის ცოდნა და შეფასება ემარჯვებოდა (მას ხომ XIX საუკუნის საქართველოს სამივე დიდი პოეტი-რომანტიკოსის ახლობლობა არგუნა ბედმა). ამიტომაც ყოფილა ესოდენ საინტერესო მისი აზრი გრიგოლისათვის. მის თვალწინ გაზრდილი კატინა მართალია ყოველთვის ყოფილა მეგობრის

პოეტური ნიჭისა და პოეზიის დამფასებელი, ცხოვრების მიწურულს პოეტისათვის უფრო დიდია ფასი მისი შეფასებისა. მათ ახლა უფრო მეტი აქვთ სასაუბრო, მოსაგონებელი. საერთო ჭირ-ვარამი ტრიალებს მათ გულში, ახლობელ ადამიანთა დაკარგვით, თუ ქვეყნის მდგომარეობით, გვარის აგონიით გამოწვეული.

1872 წელს გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია ლექსი სოლოგუბისა. როგორც იგი 1872 წლის 5 იანვარს ეკატერინე დადიანს ატყობინებს, სოლოგუბის «ალავერდი» ვთარგმნეო. ამ მსჯელობაში მკვეთრადაა გამოხატული თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობდა პოეტი მთარგმნელობითი მოღვაწეობისას. «სიტყვა-სიტყვით თარგმანი არ ევარგებოდა, ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ ჰიმნი სალალუბისა და განვავრცელე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით, და ახლა არ ვიცი ეს ჩამატება მოუხდა თუ არა? მსაჯული ამისი თქვენ ბრძანდებით. . .» (მაღრაძე, 1975, 29). – სწერს იგი ეკატერინეს. 1875 წელსვე გრიგოლ ორბელიანმა იაკინთე ალექსი-მესხიშვილს გაუგზავნა სოლოგუბის «ალავერდის» მისეული თარგმანი, იქნებ გაერთო ბუხართან მჯდომიო და თან მისწერა წერილები, რომლებიც შემდეგ «დროების» რედაქციას გაუგზავნა ნ. ალექსი-მესხიშვილმა.

ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გრიგოლ ორბელიანს თავისი მთარგმნელობითი პრინციპის შესაბამისად უთარგმნია, გადმოუკეთებია და ქართულ ყაიდაზე აუმეტყველებია პუშკინის, რილეევის, სოლოგუბის, კრილოვის, ჟუკოვსკის, ლერმონტოვის ქმნილებები. მისთვის ასევე ნაცნობი ყოფილა შლეგერის, ბაირონის, საადის, ვაგიფის („მალე მოგართმევ ფემქაშად მთლად ვალუფის ლექსებსა, აქ დაბეჭდილსა» (ორბელიანი, 1937, 163). – სწერს ყაფლან ორბელიანს 1856 წელს), ვალტერ სკოტის შემოქმედება. (После сих книг позволяется читать романы, но только со времен Вальтера Скота м:у: историческия; а до него все вздор и редкий из них достоин чтения .–სწერს მმას, ილიას 1834 წელს (ორბელიანი, 1936, 12).

თარგმანების გარდა, ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გრ. ორბელიანის აზრი სხვა პირთა მიერ გაწეული მთარგმნელობითი მუშაობის

შესახებ. მაგალითად არტილერიის პოლკოვნიკ დემანტოვიჩს, რომელიც მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა, რუსულად უთარგმნია გამოჩენილი სპარსელი მგოსნის საადის (1184-1292) ლექსები, რომლის შესახებაც აღტაცებას ვერ მალავს პოეტი: «აქა მყავს დემანტოვიჩი, და აი რა ჰსთარგმნა სპარსულიდამ. მგონია საადი ჰსწერს და მშვენიერი ჰაზრიც არის; და რა საკურველია სპარსულს ენაზედ დიახ მშვენიერი უნდა იყოს» (ორბელიანი, 1937, 63). – სწერს იგი ძმას 1853 წელს და ბოლოს მთლიან თარგმანსაც სთავაზობს, რაც უტყუარია დემანტოვიჩის მთარგმნელობითი საქმიანობის მაღალი შეფასების მიმანიშნებელია, პოეტის მხრიდან. ასევე საინტერესოა მისი აზრი რძლის, ქეთევანის ძმის, იასონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანის შესახებ, რომელიც ფრანგულიდან თარგმნის და «ცისკარში» ბეჭდავს მოთხრობას «ყოკო». გრიგოლ ორბელიანი სავსებით საღად უყურებს დაღესტნის მთებიდან ქართული მწერლობის ასპარეზს და სამართლიანად უარყოფს თანამედროვე სამწერლო ენის გადატვირთვას სახარების «მკვდარი სიტყვებით». 1853 წელს იგი თავის რძალს ქეთევან ორბელიანს სწერს: «სარდიონს უთხარით, რომ მაგისგან დაწერილი ცისკარში დიდის სიამოვნებით წავიკითხე; მაგრამ მაიმუნის ხასიათის აღწერაში, რა საჭიროა სახარების სიტყვები «რამეთუ, უკეთუ, მიერით» და სხვანი მკუდარნი სიტყვები, რომელნიცა ჰსცხოვრობენ დაბადებაში და ძველს წიგნებში და ახლა აღარ ჰხმარობს ხალხი» (ორბელიანი, 1937, 55).

მართალია, გრიგოლ ორბელიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხს რამდენჯერმე უბრუნდება, მაგრამ ამჯერად, როგორც ე. მაღრაძე აღნიშნავს, ამ სახარების სიტყვებმა მორწმუნე პოეტი უფრო ალბათ იმიტომ გააღიზიანა, რომ «მაიმუნის სახის აღწერაში» უხმარიათ (მაღრაძე, 1975, 170-171).

კავკასიის მთიანეთში მეზრძოლ პოეტს ყურადღების მიღმა არ რჩება მარიამ და ეკატერინე ივანეს ასულ ერისთავების ავტორობით, 1857 წლის სექტემბერში «ცისკარში» გამოქვეყნებული ლექსები. «აბა ახლა წაიკითხე უკანასკნელის «ცისკარში» ლექსი კნენა მარიამ ერისთავისა, ნახე, როგორ მოგეწონოს» (ორბელიანი, 1937, 213). – აღტაცებით სწერს იგი მეგობარს 1857 წლის 30 სექტემბერს.

როგორც დიდმა შემოქმედმა, გრიგოლ ორბელიანმა კარგად იცის ფასი და მნიშვნელობა ხელოვნების ყოველი დარგისა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში, პანკრატიევის დავალებით მოსკოვსა და პეტერბურგში მოგზაურობის ჟამს, პოეტს საშუალება მიეცა მოსკოვისა და პეტერბურგის ღირსშესანიშნაობებს გასცნობოდა. იგი აღფრთოვანებულა მოსკოვის დიდი თეატრისა და პეტერბურგის თეატრების მშვენივლით და თავის დღიურებში ვრცლად გვესაუბრება ამის შესახებ. პეტერბურგის თეატრიდან მიღებული პოეტის შთაბეჭდილება იმდენად მძაფრია, რომ იგი ასახულია 1832 წელს, გიორგი ავალიშვილისადმი მიწერილ ბარათშიც. თუმცა ამჯერად გრ. ორბელიანი მხოლოდ თეატრის შენობის მოკლე აღწერით კმაყოფილდება. დიდი თეატრის გარდა პოეტს პატარა თეატრიც მოუნახულებია, მაგრამ, როგორც ჩანს, წარმოდგენას მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში, ვრცელი დახასიათება პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრებისა არ შემონახულა, მხოლოდ სალომე ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ ბარათში, რიგის თეატრის შესახებ შთაბეჭდილების გაზიარებისას აღნიშნავს ის, რომ რილაში «არის თეატრიცა, თუმცა არა შეედრება პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრებსა» (ორბელიანი, 1936, 24). იგივე აზრს ვხვდებით ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავისადმი მიწერილ ბარათშიც (იქვე, 26).

სხვა შემთხვევაში გრიგოლ ორბელიანი უკვე საგანგებოდ განმარტავს თეატრის ფუნქციას საზოგადოებისათვის, რითაც თეატრალური ხელოვნების უქონლობის პირობებში ერთგვარად გახაზავს მის ეროვნულ აუცილებლობას ქართველი ხალხისათვის. პოეტის სიტყვებით: «თეატრი. . . გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა. . . –თეატრი რაოდენცა არს უკეთეს, ეგოდენ არი ანუ საზოგადოება არს განათლებული, ხოლო ქვეყანასა მას, სადაცა არა არს სრულიად თეატრი, მუნცა არ არს განათლება ერისა. – თეატრი არს პირველი განმწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან, მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკლულოვანებათა»- თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს აზრი გამოთქმულია XIX საუკუნის 30-იან წლებში ე. ი.

ქართული თეატრის აღდგენამდე 20 წლით ადრე, ვნახავთ, რომ სასიკეთო, მამულიშვილური შეხედულება ქართველთა კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების ასამაღლებლად თეატრის აუცილებლობის შესახებ ათეული წლები მწიფდებოდა ქართველ ინტელიგენტთა შორის. . . გრ. ორბელიანის მსჯელობაში ბრწყინვალედ არის გაცხადებული თეატრის, როგორც ესთეტიკური, ასევე ეთიკურ-სოციალური და ეროვნული მიზანდასახულობა, რაც რასაკვირველია დიდი ქართველი რომანტიკოსის აზრს ქმედით ძალას ანიჭებს ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის» (ევგენიძე, 1995, 79-80).

აღსანიშნავია, რომ პოეტს ასევე განზრახული ჰქონია თავისი შეხედულებები უფრო მკვეთრად ჩამოეყალიბებინა თეატრის შესახებ, თუმცა ჩვენამდე განზრახული თემების მხოლოდ სათაურებმა მოაღწია. «Влияние театра на нравственность,» «აღწერა თეატრისა, სადაც არ არის, მუნ არცა არს განათლება ხალხისა».

1850 წლის 2 იანვარს თბილისის საზოგადოებამ თბილისის გიმნაზიის დარბაზში იხილა გ. ერისთავის კომედია «გაყრა». პიესაში სხვა ცნობილ პიროვნებებთან ერთად მთავარ როლს ასრულებდა გრიგოლ ორბელიანის ძმა, ილია ორბელიანი. იგი თავად მოუთხრობს ამ მოვლენის შესახებ თემირხანშურაში მყოფ გრიგოლს, რომელიც ამ დროს სხვებთან ერთად შამხალის ქორწილს ზეიმობს. « . . . ქართული თეატრი ითამაშეს გიორგი ერისთავის შეთხზული გაყრა ჩინებულათ, მართლად საუცხოოთ; ბილეთების შოვნაში თავის მტვრევა იყო; მამუკას ცოლმა ასე ითამაშა, რომ უმაღლეს აკტრისას არ შეუძლია; იმის როლი იყო სომხის დედაკაცისა, თათულასი. – მეც ვითამაშე, ჩემი როლი იყო უფროსის ძმისა; მახლაზ დაიხოცნენ სიცილითა ხალხი. . . კნიაზმა გადაახატვინა ჩუენი სახეები ქალებისა და კაცებისაცა» (სსცსა, ფ. 481, 3). – ატყობინებს ძმას ილია ორბელიანი 1850 წლის 14 იანვარს.

«ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქართული კომედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო გთხოვ გამომიგზავნო ეგ კამედია, რომელიცა არ წამიკითხავს. – ქეთევანის ქება შევიტყე და არ მიკვირს,

ეგ ისეთი დედაკაცია, რომ რასაც მოინდომებს, შეუძლიან აღსრულებაცა; და ამასთანა ძნელიც არ იქნებოდა მაგისათვის ბებრის დედაკაცის წარმოდგენა.– აფიშკა ჩემთვის გამოეგზავნა მთავარმართებელსა, რომლისათვისცა ამასთანავე ვწერ მადლობასა» (ორბელიანი, 1936, 202). – ატყობინებს პოეტი თავის ძმას, მომდევნო წერილში იგი კიდევ ერთხელ სთხოვს ძმას ქართული კომედიის გაგზავნას.

გრიგოლ ორბელიანი, როგორც ირკვევა, ყოფილა ჩართული თემირხანშურის კულტურული ღონისძიებების გამართვაში. «შურაში გავმართეთ თეატრი ისე კარგად, რომ ძალიან მოგეწონება. ქალებიც თამაშობენ, და მეტადრე მადამ პალარჟელსკაია) დიდად გამოჩენით; კაცებში კნიაზ ბაგრატიონი) და სემენოვი) საუცხოვოდ თამაშობდნენ»–სწერს გრიგოლი ძმას, ილია ორბელიანს, 1853 წელს. და სჯერა, რომ შურაში «ტყუილის თვალების ტრიალებით და მიმოკანკლედობით თავს ვერავინ მოაწონებს, თუ არ ჭეშმარიტის მშვენიერებით, ანუ ჭკუითა» (იქვე, 142).

სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ პოეტს უფრო მეტი დრო რჩება კულტურული ცხოვრებისათვის. უკვე მხცოვანი გრ. ორბელიანი, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, ძველებურად ესწრებოდა ლიტერატურულ და მუსიკალურ საღამოებს, დადიოდა თეატრში და ილია ჭავჭავაძესთან ერთად მსჯელობდა ქართული თეატრის არასაიმედო მდგომარეობის შესახებ. «გავჰბედავ კი და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ არა ვარ თანამგრძნობი ქართულის თეატრის ამ ჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად. მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქუს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს გასწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართულის ენის მოყუარენი წარმოადგენენ რასმე წელიწადში ორჯერ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგუარი თეატრი. . .

ვინ იტყვის, რომ შვილების აღზრდა, სახალხო შკოლები, თეატრი, არ იყოს საჭირო ჩუენთვის? ვინ არ იცის, რომ სამივე ესე საგანი არის ხალხისა სულითა ამაღლება, გონების გახსნა და თვით ეკონომიური შემატება. მაგრამ არა მგონია, რომ ჩუენსა ბანკსა ჰქონდეს ისეთი შეძლება, რომ ეს სამივე მეტად დიდი და

მნელი საქმე, ერთსავე დროისა, დაამკვიდროს საფუძვლიანად, შეურყევლად.»-წერს პოეტი და მიიჩნევს, რომ «ქართველები ვართ ბუნებით გულმსწრაფნი; გვინდა ხვალვე იყოს მზად ყოველი, რაცა გვსურს. ჰსჯობს ნელ-ნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დავრჩეთ შუაგზაზე დაღალულნი» (მეუნერგია, 1957, 265-266).

სამოქალაქო-პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად გრიგოლ ორბელიანი 60-იანი წლებიდან აქტიურადაა ჩაბმული ლიტერატურულსა და ეროვნულ-საქველმოქმედო ცხოვრებაში. ფაქტიურად მისი და ალექსანდრე ორბელიანის მეცენატობით სულდგმულობს ივანე კერესელიძის მიერ განახლებული ჟურნალი «ცისკარი», გრიგოლ ორბელიანი ხელს უწყობს ჟურნალ «საქართველოს მოამბის» დაარსებას (გუგუშვილი, 1941, 302-303).

. . . პოლემიკას პოეტისათვის ხელი არ შეუშლია, რათა ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ილია ჭავჭავაძესთან და აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართული ბანკის, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული თეატრის აღორძინების, «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში.

ასე რომ, როგორც სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტაციიდან ირკვევა, გრიგოლ ორბელიანი ილიას ედგა მხარში, როგორც ჟურნალის დაარსებაში, ასევე სხვა კულტურულ თუ საერისკაცო საქმიანობაში, ვითარცა დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას და აღიარებდა მას როგორც დიდ მწერალსა და მოაზროვნეს (შარაძე, 1987, 178).

ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის, გრიგოლ ორბელიანი დიდ პატივს სცემდა ასევე მისი ისეთი უმკაცრესი ოპონენტის ნიჭსაც, როგორც აკაკი წერეთელი იყო.

საყოველთაოდაა ცნობილი ახალგაზრდა ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიმართული გრიგოლ ორბელიანის უშურველი სიტყვები: «მაბაშ, ქართველთ ომროს არს!» ასე რომ, პოეტი არასდროს ყოფილა თვალმოხუჭული ან გულგრილი მეთვალყურე მის თვალწინ მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებისა. იგი არა მხოლოდ იმ მწერალთა და მოაზროვნეთა მიმართ იჩენს ყურადღებას, რომელთა შემოქმედების გათვალისწინებით წმინდა რომანტიკული

აზროვნებისა და მისწრაფებების ერთგულ მგოსნად შეგვიძლია მივიჩნიოთ, არამედ როგორც ძველი (იხ. მისი ჩანაწერი «ჰაზრნი მსწავლულთა, ჩვენის პლანეტის შექმნისთვის ანუ მიწისა»), ასევე ახალი დროის აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელთა მიმართაც (აღტაცებულია გერცენის «მომხიბლავი დიალექტიკით»).

მართალია გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ნაკლებად გვხვდება შთაბეჭდილებანი მის თანამედროვე ქართველ თუ უცხოელ მწერალთა შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის შესახებ, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილებებით და შენიშვნებით მეტად მდიდარია «დღიურები», საიდანაც ირკვევა, რომ პოეტისათვის ნაცნობია ანტიკური მითოლოგია თუ ძველი და ახალი აღთქმა. მას მოსწონდა პუშკინი, ჟუკოვსკი, კრილოვი, გრიბოედოვი, ვოლტერი, დიდრო, დალამბერი. იცნობდა მიქელანჯელოს, რაფაელის, პეტრარკას, რუბენსის და სხვა მხატვართა შემოქმედებას და მოხიბლული იყო მოცარტით, ვებერით და როსინით, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: რუსული თუ ევროპული ხელოვნებით და ლიტერატურით დაინტერესების მიუხედავად, იგი ყველგან თავისი სისხლის და ხორცის, ქართველი გენის შემოქმედების კვალს ეძებდა. რუსეთის საცავებში გაბნეული აურაცხელი განძის დათვალიერებისას მის ყურადღებას უმთავრესად საქართველოს სამეფოს გვირგვინი იპყრობს, რომელიც «ემზგავსების იმპერატორის გვირგვინს არს ჩამოსხმული ოქროთი, შემკობილი თვლებითა, გვირგვინზე არს ვაშლი ანუ ბურთი და ჯვარი, აგრეთვე ოქროსი და სკიპტრა საქართველოს მეფისა, არწივით თავზე, არს ოქროსი, მწვანეს (ემალით) დაფარული და შემკობილი თვლებით» (ორბელიანი, 1959, 201).

სიცოცხლის ბოლო წლებში გრიგოლი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს ქართული მუსიკისადმი, კერძოდ ქართული გალობისადმი. 1878 წლის 3 სექტემბერს ორბელიანთა ეკლესიაში რამდენიმე დახელოვნებული მგალობელი მიიწვიეს, რის შესახებაც 1878 წლის «დროების» 180 იტყობინება: «გალობა საამო მოსასმენი იყო. მეტადრე თავი ისახელა გურულმა ჩხატარაშვილმა. გრიგოლმა მგალობლებს სადილი გაუმართა და დახმარება აღუთქვა».

ევროპული ხელოვნების თაყვანისცემის მიუხედავად, გრიგოლ ორბელიანი თავისი ეპისტოლარული ნაწერების მიხედვითაც ეროვნული შემოქმედების მეხოტბედ გვევლინება და ყოველთვის პოულობს დროს და საშუალებას, რათა თვალი მიადევნოს როგორც ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებას, ასევე ახლად დაარსებული თეატრის მუშაობას და, რაც აღსანიშნავია, მისი ინტერესი ყოველთვის მიმართულია ერის ტრადიციების მოვლა-შენახვის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პრესტიჟის ამაღლებისა და დახვეწისაკენ.

თავი IV

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული

ნაწერები, როგორც კავკასიის ბრძოლების მატთანე

გრიგოლ ორბელიანის 1839-1857 წლებში შექმნილი წერილები, ეს პოეტის მიერ უკვდავყოფილი დალესტნის ომების ერთგვარი მატთანეა. როგორც აღნიშნავენ «დიდი და მცირე შეტაკებანი, ბრძოლით დაზვერვა, დადარნვა, დევნა, მოლაპარაკება, ყაჩაღთა თავდასხმა, ცხენზე ამხედრება, ლაშქრობა, სიკვდილის თვალეზში ცქერა,—ასეთია დალესტანში გატარებული წლების სურათები» (მაღრაძე, 1975, 99).

გრიგოლის ბარათების მხიარულ და ხალისიან სტრიქონებში მკვეთრად იკვეთება სახე მკაცრი გენერლისა, რომელიც თავის სასტიკ მოქმედებას მაჰამდიანური მთიელებისადმი პატრიოტიზმითა და ქრისტიანული რელიგიისადმი ერთგულებით ამართლებდა.

1839 წლიდან ორბელიანი დალესტანშია და თავისუფლებისმოყვარე მთიელებს 15 წლის განმავლობაში ებრძვის მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის გასატარებლად. სავარაუდოა, რომ გრიგოლ ორბელიანს თანამედროვე პატრიოტთაგან უამრავი თანამოაზრე ეყოლებოდა, რადგან ლეკიანობისა და სხვა ურჯულოთაგან შეწუხებული მოსახლეობა ფიქრობდა, რომ თურქ-სპარს-ლეკთა წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის ბრძოლა საქართველოსათვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო (ევგენიძე, 1995, 29-34).

როგორც გერ. ქიქოძე აღნიშნავს, გრიგოლ ორბელიანის მიერ დალესტნის ბრძოლის ასპარეზიდან მოწერილი წერილები საინტერესო მასალას იძლევა მისი პიროვნების გასაცნობად. «ის ცხოვრობს სპარტანულად, თავის ჯამაგირს დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეშევრდომების გულის მოსაგერიებლად ხარჯავს, ან კიდევ თავის ნათესავეებს უგზავნის, თუმცა თვითონ სიღარიბეში აღიზარდა, აქ დაპყრობილ ხალხში ნამდვილ მეფურ გულუხვობას იჩენს. როცა ის ლეკების სოფლებს პირისაგან მიწისა ჰგვის და ამბოხებულ თავებს

აჭრევინებს, მას სწამს, რომ ქართველი პატრიოტის ვალდებულებას ასრულებს, იმიტომ რომ შამილის წინაპრები, განსაკუთრებით მისი პაპის ერეკლე II-ის მეფობაში, არბევდნენ და აოხრებდნენ ქართლ-კახეთს. მის წერილებში, რომელიც დაღესტნიდანაა მიწერილი, გვხვდება სტრიქონები, სადაც ლაპიდარული ენერგიული სტილით უსასტიკესი შურისძიების გრძნობაა გამოთქმული» (ქიქოძე, 1985, 312).

1838 წელს გრიგოლ ორბელიანი სამსახურს იწყებს გორში, საქართველოს გრენადერთა პოლკში. რამოდენიმე წლის შემდეგ სწორედ აქედან მიემართება მისი გზა დაღესტნის იწროებისა და გაუკვალავი ათასწლოვანი ტყეებისაკენ. იქ, თვალუწვდენელ მთებში იბრძვის იმამი შამილი რუსეთის «ძლევამოსილი» მხედრობის წინააღმდეგ და . . . ამარცხებს. გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობს შეუპოვარი იმამი.

1839 წელს გრიგოლი უკვე დაღესტანშია და სამურის ოლქში, გენერალ-მაიორ სიმბორსკის რაზმში იბრძვის, რომელის მიზანიც შამილის ჯარებისაგან სამურის გაწმენდა და დივერსიული რეიდის განხორციელებაა შეკესა და რუთუს შუა. (როგორც ვარაუდობენ იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით კავკასიის ჯარებს შამილის რეზიდენციის, ახულგოს აღება ჰქონდათ განზრახული). რაზმი, რომელშიც გრიგოლი ირიცხებოდა, შამილის ჯარებს თავს შეკეს მხიდან ესხმოდა და მცირე რაზმით მტერს ქანცავდა, მთავარი ძალები კი შამილს ყუბიდან უტევდნენ.

1841 წლის სექტემბრიდან გრიგოლ ორბელიანი მოსე არლუთინსკის რაზმშია. 1842 წლის ივნისში კი ალექსანდროპოლში მიემგზავრება, სადაც ბატალიონს აბარებენ. სწორედ იქ, ალექსანდროპოლში იგებს პოეტი დაღესტანში გრაბეს დამარცხების ამბავს და გაოცებული სწერს ზაქარიას: «ჭემმარიტად საკურველია, როცა შენ და ანუ ვნ: არლუთინსკი თავის პატარა ოტრიადით. . . ისე გამარჯვებით გამოხვედით, მაშინ თითქმის იმავე დროს ისე საშინლად როგორ დამარცხდა ის დიდი ოტრიადი? (როგორც ცნობილია 1842 წელს არლუთინსკიმ, რომლის რაზმშიც იბრძოდა ზაქარია ორბელიანი, ყაზი-ყუმუხთან უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხა შამილის 15000-იანი ჯარი. იხილეთ გრ.

ორბელიანის წერილი 30, ტ. I, გვ. 55-56. ი. ლ.) აი წინ დაუხედაობა! . . რა დაემართა მაგ უბედურს ლენერალს, რაზე აჟლეტინებს ამ საბრალო სალდათებსა ცხვრებსავით» (ორბელიანი, 1936, 61-62). კნიაზ არლუთინსკის შორსმხედველობას და სიფრთხილეს უქებს, დატყვევებული ძმის ილიას ამბავს კითხულოს და წუხს, რომ თვითონ, ავარიაში ბრძოლის ნაცვლად, სიბერისაგან გადაყრუებულ კომენდანტს უნდა უსმინოს.

ასე დადგა 1843 წელი. 1843 წლის 28 მარტს ზაქარიას ატყობინებს, რომ მთავარმართებლის ბრძანებით ქალაქში იმყოფება, რადგან ნიშნავენ ავარიაში. შტაბის უფროსს უკვე განუცხადა თანხმობა, თუმცა ჯერ არ იცის, თუ რა იქნება, ან რა უფლება ექნება და ახლა მხოლოდ ღმერთის და ბედის იმედიღა აქვს, რადგან იცის, რომ ეს ისეთი ადგილია, რომელიც ან მაღლა ასწევს ან ძირს დაანარცხებს (მაღრაძე, 1975, 98). გრიგოლ ორბელიანი ავარიის ხანად დანიშნეს. როგორც აღნიშნავენ, ამ გზაზე პოეტს ღმერთიც და ბედიც მწედ ექმნენ. სწორედ აქედან იწყება ახალი ეტაპი პოეტის ცხოვრებაში.

ხუნძახში, თავის საბრძანებელში, ავარიის ახალი ხანი 1843 წლის 2 მაისს ჩავიდა. 1843 წლის 6 მაისს იგი ილია ორბელიანს ჩვეული იუმორით მოუთხოვს თავის სატახტო ქალაქ ხუნძახში შესვლის ამბავს, თუ როგორ მიეგებნენ ყადიები, ბეგაულები, და ამათში ჩინებულები ე. ი. ჩვენებური ყაფლანიანნი, ციციანნი, მეითარი, მელიქი და მიკირტუმა ნაცვალი. «ისე კარგად ფორმით შევედი და ახლა ვნახოთ, ღმერთმა იცის, როგორც გამოვალ აქედამ»-ო დასძენს პოეტი, რადგან ახლად დანიშნულმა ხანმა უკვე კარგად იცის ავარიაში შექმნილი ცუდი პოლიტიკური ამინდის ამბავი. მან კარგად იცის, რომ «კორპუსის კამანდირები» ე. ი. შამილის ნაიბები: ყაზიოვი, ღალვაცდიბირა, ყიბიტმაჰმადი და აბდულ რახმანდიბირი ჯარებს უყრიან თავს, «ავარიის გარშემო ძალებსავით შემოჰყეფენ» და ავარიაში, რომელშიც მხოლოდ ექვსი როტაა, მართლაც ძნელი გასაძლეებია (ორბელიანი, 1936, 64-67).

1843 წლის 14 ივლისს პოეტი მოსე არლუთინსკის, ვისი რეკომენდაციითაც დაინიშნა ავარიის ხანად, ასე აუწერს თავის თანამდებობაში შესვლას.

«ჩემს მოსვლის დროს შურაში ავარია იყო ძალიან არეული სხვდასხვა პარტიებითა: ზოგნი თხოულობდნენ ავარიის ნასლედნიკს, ზოგნი – ალისულთანს და ზოგნი – შამხალსაც. ამ არეულობაში ორჯერ ჰაჯიმურადიცა შემოვიდა ჯარითა. ერთხელ დახვდა როტას არახთაუზე და მეორედ სოფელს სიუხთან. მე კი არავის უნდოდი. ესრეთ იყო მდგომარეობა ავარიისა, როდესაც მოველ სოფელს ტანუსს, ხუნძახის სიახლოვეს. აქ დამხვდნენ კლუკის ბრძანებით პირველნი კაცები: ყადიები და ბეგაულები, ცხენ და ცხენ უთხარ მე ამათ კარგი ძლიერი შესხმა. განგებ მაღლის ხმით, რომ ვაჟკაცობა მეჩვენებინა-ხანდახან იასეს ფარსებიც კარგია. – სადამოზე მოველ ხუნძახს სწორედ იმ დროს, როდესაც ერთს ახმად-ხანის ნოქარს შეეყარა ხალხი და უქადაგებდა, რომ ნუ გვინდა გურჯი გიაური ხანადაო: მაგრამ რომ დამინახა შემოსული მძიმედ პირველი კაცებით, ისიც დაჩუმდა. იმ დღესვე მეჯლისი გავმართე, ესე იგი ბევრი სპირტი და ბევრი ხორცი. ამით ცოტა გული დაუამდათ. მერე მივჰყავ ხელი პარტიებსა: მივიმხე ნასლედნიკის ერთგულნი, რომლისა სახელითა და ქებით დავიწყე ხანობა. დურაკი შამხალი და ალისულთანი, რომელნიცა აქაურებთან ჰგზავნიდნენ ფეშქაშებს, რიყეზე დარჩნენ. დამრჩა შამილა, რომლის პარტია იყო და არისცა უხილავი და ამით უფრო არის საშიში, რომ სარწმუნოებაც აქვთ ერთი. მართლაც პირველს დღეებშივე ვნახე, რაც სიფრთხილე მმართებს მე იმისგან: პირველს კვირაშივე გამექცნენ ობოდის სოფლიდამ ცამეტი კომლი კაცი. ამან ძალიან შემაშინა, მაგრამ ძალიანაც გამამხნევა»-ო წერს ავარიის ხანი და გარკვეულ ღონისძიებას მიმართავს გაქცეულთა დასასჯელად, თან სოფლებში დადის, ქადაგებს, და იმხელა ნდობა მოიპოვა, რომ იმედი აქვს აქაურებით უკვე მარტოც შეებმება შამილას (ორბელიანი, 1936, 77).

მართლაც, როგორც რუსი ისტორიკოსი წერს, გრიგოლ ორბელიანი «ლექებმა პირველად უკმაყოფილო სახით მიიღეს, რადგანაც ქართველი იყო. საუკუნის განმავლობაში ხომ ერთთავად არბევდნენ საქართველოს და თითქმის დამოკიდებულად რაცხდნენ, დამამცირებლად მიაჩნდათ ქართველის მორჩილება; მაგრამ ალერსიანმა მოპყრობამ, ხალხთან ლაპარაკის უნარმა და ადგილობრივი

ზნე-ჩვეულებების ცოდნამ თავადს მალე ყველას გული მოუნადირა» (ოკოლნიჩი, 1859, 11).

ავარია «მეტად გამხმარი ქვეყანა არის, უმემო, უბალო, უტყეო» (ორბელიანი, 1936, 70). »აქაურისა ხალხისა რა გითხრა. შინ ზარმაცნი, ზანტნი, დიდრონ ტყაპუჭებში დათვების მსგავსნი ჰყრიან ამ დღით გარეთა. აბა ესენივე ნახე მაშინ, როცა დაიძახებენ ჰარაის! იმ წამს საიღამ ეძლევათ ის სიმარდე, ის სიკვირცხლე, დაუღალაობა სირბილში? აბა გაასწარ ცხენით. – აბა იმ დროსვე წადი შენც მდევარზე, რამდენს დედაკაცს ნახავ მოწინაურედ წასულს» (იქვე, 80). – სწერს ძმებს ზაქარიას და ილიას ავარიის ბუნების და ადათის შესახებ და აქაურ მეზობლ დედაკაცებს ამორძალებს ადარებს.

გრიგოლს დიდი ტაქტი და მოქნილი პოლიტიკის გამოყენება მართებდა დაღესტნის ამყ, თავისუფლებისმოყვარე შვილთა გულის მოსაგებად და ისიც შეძლებას არ იშურებს, მეჯლისს მეჯლისზე უმართავს არყის და ხორცის მოყვარულ ავარიელებს. ხანის ერთგულთა გულის მოსაგებად ხანის მემკვიდრის ქებას მიმართავს, ხოლო გაქცეულთა დასაბრუნებლად არც მკაცრი ზომების გატარებას ერიდება. გრიგოლმა შეძლო შეუძლებელი, დაიმორჩილა და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია მხარე, რომლის დამორჩილება ვერავინ შეძლო. ამიტომაც აღიარებენ ერთხმად მის გონივრულ მმართველობას, როგორც სამხედრო ისტორიკოსები, ასევე- მისი დაუძინებელი მტრები.

გამჭრიახი ხანი ჰაჯი-მურატთანაც მართავს მოლაპარაკებას, თანდათან მისი გადმობირების საქმესაც აგვარებს, მაგრამ სწორედ ამ დროს ორბელიანის ავარიიდან გადაყვანა, გარკვეული ხნით აფერხებს მისი შემორიგების საქმეს („დროება” 1883). არა მხოლოდ ჰაჯი-მურატი, თვით უძლეველი შამილი მართავს მოლაპარაკებას გრიგოლთან და შვილის გამოხსნაში დახმარებას სთხოვს, თუმცა მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან იმპერატორმა შამილის შვილის განთავისუფლებაზე უარი განაცხადა.

«ამაოებაში მე ძალიან კარგი მიწერმოწერა გავმართე ჰაჯიმურადთან, რომლისგან პასუხიც მომივიდა და ხვეწნა, რომ უშუამდგომლო სარდალთან . . . მე შევუთვალე, რომ თუ მართლის გულით მეუბნება, საქონელს თავი დაანებოს

და გადმოვიდეს თავის ცოლით და მე ირაკლის ხანის შვილი ჰაქიმხან ემირ ავარ სიტყუას ვაძლევ, რომ ვაპატიებინო ხელმწიფეს . . . – ირაკლი ხანის შვილობა ძალიან ჰსწამდათ აქა. ჩვენ კი იმისი გვარი მთას იქით გადავაცილეთ და ამათ რა რჯით» (ორბელიანი, 1936, 71). – სწერს ზაქარიას 1843 წლის 3 ივნისს.

რაც შეუძლია დადის და ცდილობს ქადაგებით, მჭევრმეტყველებით დაარწმუნოს ხალხი, მიიმხროს. მართალია თითო გასვლა სოფელში თხუთმეტი მანეთი უჯდება, მაგრამ მისი გულუხვობის შედეგი თანდათანობით ყინულის გაღობა, ნდობის მოპოვებაა მთის ხალხსა და გურჯ ბატონს შორის. «მე და ავარიელები ერთმანეთს ნელ-ნელა ვეჩვევით»-ო (იქვე, 71). – სწერს ზაქარიას და თან ავარიელთა ცხოვრების წესი, კულტურის დაბალი დონე აკვირვებს. იცის, რომ სწორედ ამ «მამაძაღლებმა» კინაღამ დავით სარდალი არ მოკლეს კოდაზე, მაგრამ ამჯერად, როდესაც ამ ხალხის ბედი მას აბარია, მის ხელშია, მდგომარეობა აიძულებს უფრო ლოიალური და მოწყალე იყოს მთის ველური შვილებისადმი. «მე, მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა – მოწყალება. – მასუკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი» (იქვე, 72). – სწერს ზაქარიას ხუნძახიდან 1843 წლის 3 ივნისს. ამასთან მიაჩნია, რომ აქ მომსახურე ადამიანი, მოწყალების უნართან ერთად ფიზიკური და სულიერი სიძლიერით უნდა იყოს აღჭურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჭირდება ავარიელებთან მორიგება. სწორედ ამიტომ, როდესაც გაიგო, რომ გენერალი რეინკამფი ავარიაში იწყებდა სამსახურს, ზაქარიას სწერს, «ზაქარიავეჯან, მეტად სუსტია სულითაც, სხეულითაც. ამან როგორ უნდა იბატონოს დაღისტანში?» (ორბელიანი, 1936, 75). – და არც მოსე არლუთინსკისთან ერიდება საკუთარი აზრის გამოთქმას. «დენერალ რეინკამფი იყო აქა და გუმინ წავიდა. – კნიაზო! ნუ გამიწყრებით, და ეს ვერც სულით, ვერც სხეულით ვერ გამოდგება აქა. მეტად სუსტია ორივეში» (იქვე, 78). – სწერდა არლუთინსკის.

1843 წლის აგვისტოს ბოლოს შამილი ათი ათასი კაცით დაიძრა სალათავისაკენ. გაიარა დილიმი, გუმბეთი, ყოისუბუ და მის მთავარ სოფელს უნცუქულს შეუტია. პოლკოვნიკი ვესელიცკი ორი ბატალიონით გადაეშვა

ბრძოლის ქარცეცხლში, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვან ჯართან რას გახდებოდა. ლეკებმა გარნიზონი სრულიად ამოწყვიტეს და წინ, ავარიისაკენ დაიძრნენ. ზედიზედ აიღეს ბელაქანი, ხარაჭი, ორგანაი. საფრთხე დაემუქრა ხუნძახს.

კლუგენაუს და არლუთინსკის შეერთებულმა ჯარებმა ხუნძახის გარნიზონი დალუპვას გადაარჩინა, თუმცა კლუგენაუს წასვლისთანავე ხუნძახი ისევ საფრთხეში ჩავარდა. შამილმა გერგებელი აიღო, რუსის ჯარებმა უკან დაიხიეს. ხუნძახის დაცვა და შემდეგ დატოვება პოდპოლკოვნიკ პასეკს დაევალა. ჰაჯი-მურატმა ვიწრო ხეობებში ალყა შემოარტყა პასეკის მცირერიცხოვან ჯარს. უმძიმეს პირობებში გავიდა ერთი თვე, გენერალ ფრაიტიგის მოახლოვებამდე. პასეკი და მისი რაზმი გადარჩა.

ამდენად, რუსეთის ჯარების მთელი სიმამაცის მიუხედავად, ბრძოლა თავდაცვით ხასიათს იღებდა. ამიტომ სწერდა გრიგოლ ორბელიანი ზაქარიას, «მგონია, ამ ჩვენი ობორონიტელნის სისტემით ის (შამილი. ი. ლ) უფრო გაძლიერდება და გაიდგამს მაგრად ფეხსა»-ო (იქვე, 84). და ვიდრე ავარიაში მყოფი მთელი ჯარი ალყაშემორტყმული უნცუქულისათვის იბრძვის, ორბელიანს ის აწუხებს თუ «ყოისუბუ როგორ უნდა დაიფაროს ორის როტითა და ანუ ავარია სამითა? მოდი და დააჯერე მთის ხალხი, რომ რუსეთი ძლიერია, თვალთ ვერასა ხედავს?» (იქვე, 85). არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობს გრიგოლი და მართლაც, რუსის მცირერიცხოვან ჯარს სწრაფად ანადგურებს მამაცი მთიელი ხალხი.

ამ კატასტროფამ ჯარების შევსების და იერიშზე გადასვლის აუცილებლობაში დაარწმუნა რუსეთი.

1844 წლის გაზაფხულზე გრიგოლ ორბელიანი მეხთულის სახანოს მმართველად დანიშნეს. მან ხუნძახი დატოვა და თავის ახალ რეზიდენციაში, ჯუნგუთაიში გადავიდა. «ჯუნგუთაელებს რა ვიცი, ჯერ კი უხარიათ ჩემი დანიშვნა და ვნახოთ ამას იქით, როგორ იქმნებიან. ჰსცდილობენ, რაც შეუძლიათ, რომ გამოაჩინონ თავიანთი თავი ერთგულებში. თვითონ სოფელი არის დიდი, გაშლილს მინდორზე და თვალთათვის მშვენიერი. ეს არის

ახლანდელი ჩემი რეზიდენცია» (ორბელიანი, 1936, 87). – სწერდა პოეტი ზაქარიას 1844 წლის 23 მარტს თემირხანშურიდან.

თებერვლის ბოლოს შამილის ჯარი ჭუხს მიადგა, დანიელ სულტანის, ყიბიტ-მაჰმადის, ჰაჯი-მურატის, დალვაც-დაბირის, ასლან-ყადის და სხვა «ძაღლების» მეთაურობით. «ყიბიტ მაჰმად შემადგო ჭუხსა, რადგანაც ამ სოფელმა არ მიიღო ნაიბად ინყო ჰაჯი, დანიშნული შამილასაგან. ალაღარბეგი მოვიდა ჭუხის შემწედ ჯარითა; აქეთის მხარეთ აღენიჩი წავიდა აჰყომელებითა და წუდახარელებითა იქითკენვე. ახლა გუშინ მომიტანეს ამბავი, რომ კიკუნაში მოსულა ასლანტ ყადი, და დანიელ სულტანი დახვდა მურადაში. და აგრეთვე კოჰორშიაც სდგას იმათი ჯარი. – მეც ჩემის მხრით დამზადებული მყავს ათასამდის კაცი სულ დაცკეპილები, რადგანაც კიკუნა ჩემს სამზღვრის სიახლეს არის. – ჭუხელებიც ჯერ ძალიან მაგრად არიან, მაგრამ ჯერ ომი კი არსად მომხდარა. ჯერ მანევრები გახლავსთ. – შამილა შინ არის, და ჩუმჩუმად საქონელს ისტუმრებს დარლოდგან. ასეა აწინდელი მდგომარეობა ამ მხარისა» (არქივი, ფ. 481, 197-198). – სწერს ქეთევან ორბელიანს ბრძოლის სამზადისში მყოფი პოეტი.

ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ ჭუხი აიღეს. ბრძოლის ველზე 25-მდე ჭუხელი დედაკაცი დაეცა. გრიგოლი თავისი მილიციით მოვარდა, ზაქარია–თავისი კავალერით «და ორნი ზურაბის შვილები შევიყარენით დაღესტნის საქმეების დასაწყობლად»-ო (ორბელიანი, 1936, 108). – სწერს გამარჯვებული პოეტი ილიას.

1844 წლის ბოლოს, კავკასიის ჯარების სრულუფლებიან მთავარსარდლად და მეფისნაცვლად მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა, რომელიც დამდეგი წლის მარტში თბილისში ჩამოვიდა. რადგან მისი მთავარი ამოცანა კავკასიის ომის წარმატებით დამთავრება იყო, 12 მაისს ახალი მეფისნაცვალი უკვე შურაშია. მას ძლიერ მოსწონებია ჩერქეის ციხე და ახალი ხიდი გადებული ყოისუზე. ორბელიანი დიდი პატივით მიიღო, სახანოს მბრძანებლად დატოვა (იქვე, 112). (ვორონცოვის შურაში შესვლის შესახებ მოუთხრობს კონსტანტინე თარხნიშვილს, 1845 წლის 18 მაისს), თავად კი დარლოსაკენ გაემურა. 6 ივლისს ვორონცოვმა

იერიშით აიღო შამილის რეზიდენცია, თუმცა სამი ათას ოთხასი რუსი ჯარისკაცის, ორასამდე ოფიცრის და სამი გენერლის სიცოცხლის ფასად. მთაში მომწყვდეული ვორონცოვის რაზმი მხოლოდ ფრაიტაგის შემწეობით გადარჩა. რადგან იერიშის მიტანამ ნაყოფი არ გამოიღო, ვორონცოვი იძულებული გახდა სტრატეგიული პუნქტების თანდათანობით დაკავებისთვის მიემართა.

1846 წლის აპრილში თემირხანშურაში ვორონცოვს ელიან, თუმცა სარდალი შამახიიდან გაბრუნებულა. «მეწყინა, ძალიან მეწყინა, როგორც საკუთრივ ჩემთვის, ეგრეც ამა მხარისათვის, რომელიც მოელოდა მესიასავით, მისს მოვლასა. თავის თვალთ იხილვიდა ადგილის მდებარეობასა, მოისმენდა მათ დარდას, და მისცემდაცა წამალსა. ხუმრობა არ არის ესოდენი ნაწილი დალისტნისა: წუდახარა, აჰყომა, ყაზიყუმუხი, ყაითალი, დაშთენილია უჯაროდ, უნაჩალნიკოდ, ვინ არის მათი პატრონი? . . . ტყუილად ნუ ჰგონია ნურავის, რომ ეს ხალხი ურუსის ჯაროდ შეეხას, წინააღუდგეს შამილასა» (ორბელიანი, 1936, 121). და თუ მურუდებმა წუდახარაში შეჰყვეს თავი, გრიგოლი დარწმუნებულია, რომ მაშინ კორპუსები მოუნდებათ ამ მხარის დასამშვიდებლად.

“სამურსკის” პოლკს აყენებენ აჰყომაში მიჯახას სოფელთან; მაგრამ ამითაც არა გახდება რა; ჩვენი ციხე, კარგი დიდი ციხე, ექუსის ბატალიონით მანამ არ დადგება რულჯასა, მანამდის ამ მხარეს არა ეშველება რა; ერთი ბატალიონიც გერგებილში, რომ ამით მოჰსწყდება დიდი ნაწილი დალისტნისა ავარიის ყოისუმდის- რომელიც უნდა იყოს უთოოდ სამზღვარი ჩვენი, თორემ მეორე მოსვლამდის ბრძოლა არ შეწყდება.» – სწერს პოეტი ილია ორბელიანს 1846 წლის 27 მაისს. „თუ უნდათ დალისტნის შეპყრობა, ეს არის პლანი, სხუა სულ არაფერი. – თორემ სულ ხომ გამარჯვება არ იქნება ჩვენგან, ერთხელაც არის, მტერი შემოდგრება წუდახარას და მაშინ ნახავ სადამდის გასწევს და გასწევს არეულობა ხალხისა. – აბა ერთი თვალი ადევნე, რაოდენი საზოგადოება ერთი მეორეს მოებმიან ჯაჭუსავით სულ მაჰმადის სარწმუნოებისანი! რას ჩააცივდნენ ჩაჩანსა? ჩაჩანი რაც უნდა აირიოს თერგს ვერ გავა: რუსებს ხომ ვერ გაამურუდებს? მაგრამ თუ ერთი ფეხი წაგვისხლტა დალისტანში, მაშინ კი

აბანოებამდის დაიმახეზენ ლაილაისა.—მე სწორე გითხრა, ძალიან მეშინიან» (ორბელიანი, 1936, 123-124).

მართლაც, შამილმა თავისი ჯარები შეაგროვა ყოროდას ხიდთან, სალტას, რულჯას და ერთიანად შეუტია წუდახარს და ხოჯალმაქიკას. წინასწარმეტყველება ჩემი აღსრულდაო, – სწერდა ილიას გრიგოლი, რომელიც ხშირად წუხდა იმის შესახებ, თუ რა სახიფათო იყო აღებული მხარის უჯაროდ დატოვება.

შამილმა აიკლო, გადაწვა, გაანადგურა წუდახარიცა და ხოჯალმაქიც. განაცრდა მშვენიერი სოფლები: ყაითაღი, სურჰა, ტაბასარი, ბაშლა, გუნდები ერთბაშად დაიმორჩილა შამილმა. მიურიდებმა ქუთიშაზე მიიტანეს იერიში.» - 14-ს ამ თვისას ჩვენი ოტრიადი მივიდა ლავაშასა; შამილამ რა ჰსცნა ჩვენი იქ მისვლა, თვითონ ულლუაიდამ გადმოვიდა ქუთიშაში, და ჰაჯიმურად დიდის ცხენოსნის და ქვეითის ჯარით დააყენა ყაყამაქის, ამ განზრახვით, რომ ჩვენი ჯარი, რომელზედაც, მივიდეს ორ ცეცხლს შუა დარჩეს. – ჩვენი ოტრიადი იყო შედგენილი 6-ის ბატალიონით, 8-ის ზარბაზნით, 2-ის დივიზიონის დრაგუნით და მილიცია ხუთასამდის კაცი» (იქვე, 121). – მოუთხოვს გრიგოლ ორბელიანი ილიას ქუთიშასთან ბრძოლის სამზადისს. ქუთიშასთან მან კავალერია ორად გაყო და ორ გორაზე განლაგებულ მტერს ელვისებურად შეუტია. გორების აღებამ მურუდებში არეულობა გამოიწვია. ვიწრო ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. «ერთმა ხანჯალი მომიქნია ბარძაყში. მაგრამ ისეთი გავადე ხმალი გოგრაში, რომ მგონია საიქიოსაც მოაგონდეს, მეორესაც გაუსვი კისერში. . . ამ გვარად გავრეკეთ მტერი სოფლიდამ, მოგვეშველა პეხოტაცა, ვსდიეთ ორიოდ ვერსი ყულიბეგ მთისკენ, საიდანაც ფეზე ჩავიდა გერგებილსა, მაგრამ საშინელმა ნისლმა დაჰფარა გაქცეულნი.— ამ დროს ჰაჯიმურად, რომელმაც ჯერ არ იცოდა შამილის გაქცევა, მოუხდა დიდის კავალერიით არიერგარდსა; აქ დახვდა ზურაბის მეორე შვილი ზაქარია და სულ ბრე ადინა»—. ასე დაბოლოვებულა ამ სოფლის აღება. ერთი ზარბაზანი მრავალი ბაირაღი, ტყვია-წამალი, შამილას ბარაბანი, ცული, რომლითაც თავებს ჰკვეთდა, ასამდე თუმანი და მისი ქულაჯა ცხენია გამარჯვებულთა ნაალაფარი. თავად უცხენოდ

დარჩენილი შამილი საცალფეხო ბილიკებით გააპარეს. ათასამდე მიურული ემსხვერპლა ამ ბრძოლას, სამასამდე ტყვედ ჩაიგდო რუსის ჯარმა.

მართალია, გამარჯვებამ დაამშვიდა არეული მხარე, «მაგრამ რა გამოვიდა, როდემდის უნდა ასეთს მდგომარეობაში იყოს ეს მხარე, მეტადრე ამას იქით, უწუდახაროდ, უხოჯალმაქოდ და უაიმაკოდ? ეხლა რომელ ნაიბსაც უნდა აჰყომას აიღებს, ასე წახდა ეს ხალხი»-ო (ორბელიანი, 1936, 129-130), – წუხს ბრძოლაგამოვლილი ორბელიანი.

ქუთიშის ბრძოლის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი შვებულებას ითხოვს, თბილისისაკენ მიეჭქარება, მაგრამ ერთი მოულოდნელი შემთხვევა აბრკოლებს. 13 დეკემბერს ჯუნგუთაიში შეპარულმა ჰაჯი-მურატმა ხანის ქალი ნოხ-ბიქე გაიტაცა (Кавказский Сборник, 1911, 1-49). რადგან ბიქეს გატაცება მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბებთან იყო დაკავშირებული, მისი გამოხსნისათვის ზრუნვა გრიგოლ ორბელიანს დაევალა. «13 ამ თვისას შუადამისას მესამე საათს ჰაჯიმურად თავის პარტიით ორას ორმოც კაცამდის ჩუმად მიადგა ჯუნგუთაისს. აბრეკებმა ხანჯლებით მოკლეს ყარაული, და ეს პარტია შემოვიდა სოფელში, მიადგა ნოხბიქეს სახლსა, შევიდნენ შიგ, მოიტაცეს ბიქე და გავიდნენ სოფლიდამ ასე, რომ ერთმა სოფლის კაცმა ხმა არ გასცა მტერსა, რომელიცა ერთიც ვერ გავიდოდა სოფლიდამ ცოცხალი ათს კაცს, რომ თოფი ესროლა. გამოვარდი ფეხშიშველი ჩემის ნოქრებით, შეუტეე ყიჟინით, თოფის სროლით, მაგრამ ერთი კაცი ჯუნგუთაელი არ გამომყვა; შევკრიბე ბატალიონი, გამოუდგე არაკნის ჩასავლამდის, მაგრამ ვერა გავაწყერა, ვედარ მოვეწიე. – შენ ამ ხალხის სიმყრალე და ორგულობა ნახე, შენ ამ ხალხის უსვინდისობა და უნამუსობა გაშინჯე. – ახა ახლა ჩემთვის ვინ მოიკლავს თავსა და ვინ შესწირავს სიცოცხლესა? – ვეუბნები, რომ იმ სოფლის ნაწილი, რომელშიაც შემოვიდა და გავიდა მტერი და თოფი არავინ ესროლა, ერთიანად ამოსწყვიტონ სხვათა მაგალითად; . . . საწყალი ნოხბიქე ჰყავდათ ხუნძახის სიახლოეს, სადაცა ახლად დასახლებულან ხუნძახელნი; ჯერ არ ვიცი ჰაჯიმურადის ფიქრი რა აქვს, დაახსნევენებს თავსა თუ არა?» (არქივი, ფ.481, 188-189). – სწერს გრიგოლი ილია ორბელიანს 1846 წლის 23 დეკემბერს.

ჰაჯიმურადის ფიქრსაც მალე იგებს ორბელიანი. შამილის მამაც ნაიბს ბიქეს ცოლად შერთვა სდომებია, მაგრამ რადგანაც შამილმა შარიათის ძალით დაუშალა და ქალმაც უარყო მისი სიყვარული, ახლა ჰაჯიმურადი სამიათას თუმან თეთრ სიქა მანათს თხოულობს ქალის დაბრუნების საზღაურად, გრიგოლ ორბელიანს კი უთვლის, ეს საქმე შენს გასაჯავრებლად გავაკეთეო. რაზეც საკადრის პასუხს უბრუნებს ირაკლი ხანის ღირსეული შვილიშვილი (ორბელიანი, 1936, 138-140).

15 იანვარს გუმბეთის ნაიბმა აბაქარ-დიბირმა სამასი ცხენოსნით გადმოლახა მდინარე სულაკი და მთიელი ებრაელების სოფელს დაეცა თარკოში. აიკლო სოფელი, მოიტაცა ტყვეები და თალგინის ტყეს შეაფარა თავი (ვოლკონსკი, 1882, 494). განთიადისას ჯუნგუთაის სიახლოვეს შენიშნეს და ორბელიანი თავისი ნოქრებით ყიჟინით დაედევნა მტერს. მთელი დავლა, ცხენები, ურის დედაკაცები წაართვა და 17 ყაჩაღი დაატყვევა, თან რჩევა შეუთვალა აბაქარდიბირს, «დღეის იქით, საცა ეძინოს ლომსა, იქ სიფრთხილით გაიარე, რომ არ გამოაღვიძო, თორემ სულ აგრე წაგიხდება საქმე»—ო (ორბელიანი, 1936. 144).

ახლა, როდესაც თავადაც 17 ტყვის მფლობელია, დიპლომატი ორბელიანი უკვე თამამად მართავს მოლაპარაკებას ნოხ-ბიქეს გამოსახსნელად. შეთანხმება მიღწეულ იქნა. 1847 წლის გაზაფხულზე ყულიცმას ახლოს, აიმაკის მთაზე გაცვალეს ნოხ-ბიქე და ტყვეები (იქვე, 148-149). დიდი ზარ-ზეიმით დააბრუნა გრიგოლმა ნოხ-ბიქე ჯუნგუთაიში.

ეს საქმე კი დაავიროვინა, მაგრამ გრიგოლს ტყვეთა გამოხსნის გარდა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც ადარდებს. მაინც «როდემდის უნდა იყოს ეს მხარე ამისთანა მდგომარეობაში, რომ არც ჯარს აქუს მოსვენება და არცა ხალხსა, რომელმანცა არ იცის ვინ არის ამათი ბატონი, ჩვენ თუ შამილა? . . . რა არის გერგებულში ერთი ბატალიონი დააყენონ? – ციხე საჭირო არ არის, სოფელი თვით ციხეა, რომლისა აღება შამილას პაპასაც არ შეუძლიან. – წავალ ჯარითა, ავიღებ გერგებულსა, ხალხსა გამოვყრი სოფლიდამ, იმათ სახლებში დავაყენებ ერთს ბატალიონსა; მოჰკარ და მოუჭირე. ეს ეკსპედიცია შესრულდება

ოთხს ხუთს დღეზე; და ეს მხარე და ეს საბრალო ჩვენი ჯარი მოისვენებს ამდონის უბრალო თრევისაგან.–არაკანიც მაშინვე ჩვენი იქნება, დიდის სიხარულით დაგვმორჩილდება. – ამაზედ უკეთესს რას იქმონენ! ცალი ფეხი ავარიის ყანყრატოზე გვედგმის და ეს ჩვენი მხარე სრულებით განისვენებს; შესწყდება ესოდენი აბრეკობა, რომელიცა იკლებს, აღარიბებს ამ ქვეყანას, და საიდუმლო შამილის პარტიაც ნელ-ნელა განქრება, რა ნახვენ, რომ მტერი ვეღარსიდამ შემოვა ამა მხარესა» (იქვე, 144). აი, ეს უბრალო გეგმა მიაჩნია ამ მხარის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად, იმედად. სამწუხაროდ სასოწარკვეთილი ორბელიანის ხმა არავის ესმის. ვერვის შეასმინა, რომ ეს გეგმა სჯობს ტელეტლოს აღებასა, რომ კავკასიის საქმე წასულია, რადგან «არავის სჯერა, რომ ხუთის ბატალიონით, თუმცა შეიძლება მტრის დამარცხება, არ შეიძლება კი დაღესტნის შეპყრობა» და სამწუხაროა, რომ ამდენი სისხლის ღვრა, ამდენი შრომა და ღვაწლი მიდის ასე ამაოდ (ორბელიანი, 1936, 150).

1848 წლის 13 ივნისს გრიგოლ ორბელიანი დიდი ჯარით მიადგა გერგებელს (ვოლკონსკი, 1883). მტერი ყოისუს გაღმა მთებში დგას და ჯერ მხოლოდ შორიდან უმზერენ ერთმანეთს. შემდეგ კი, როგორც გრიგოლი ამბობს «აღსრულდეს ნება ღვთისა». 3 ივლისს ძალუა ქეთევანს ატყობინებს გერგებელის ომის ამბავს. მართალია მტერი დამარცხდა, გერგებელი ალყაშემორტყმულია, მაგრამ ციხე ჯერაც აუღებელია. 7 ივლისს კი უკვე მტერზე საბოლოოდ ძლევას ამცნობს ძალუას.

1848 წლის 21 ივლისს აიმაკიდან ილია ორბელიანს დაწვრილებით მოუთხრობს გერგებელის ამბავს. «–23–ს ივნისს კარგი ომი მოხდა ბაღებში; მეორე დღეს მე წაველ და თითქმის უომოდ დავიჭირე ბაღები, სადაცა ავაშენეთ სამი რედუტი და მით შევერთდით ევდაკიმოვის პოზიციასა. მერე მოვყევით ბატარეების და ტრანშეების კეთებასა. – როცა ბრეშბატარეა დასდგეს და მისცეს და მისცეს ცეცხლი, კედლები და ბურჯები ინგრეოდა საშინლად, და ამავე დროს რვა მორტირით მოდიოდნენ ბომბები და სახლებსა ისროდნენ ცაში. ამ საშინელს ცეცხლსა მტერმა გაუძლო მხოლოდ ერთი დღე, და რა ნახეს მათ ციხის კედლები და ბურჯები, ასე ადვილად დანგრეულად, ღამე გაიპარნენ. –

სოფელში ვიპოვნეთ ორი ზარბაზანი. . . ერთი მორტირი, ერთი ფალკონეტი, სხვა არაფერი.–სოფელი ისე დავანგრეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა, დარჩა, მხოლოდ სალი კლდე; ბალებიც გავკაფეთ, ნაწილი დარჩა მხოლოდ ყოისუს პირზედ და კიკუნოს ხიდისკენ»-ო (ორბელიანი, 1936, 180).

1848 წლის 25 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანი უკვე რუთულიდან ატყობინებს ილიას, რომ სასწრაფოდ მოუხდა დიდრონს მთებზე გადასვლა, სიცივეში, თოვლში, უშეშოდ, უცეცხლოდ, დღე და ღამ სიარული, ახტის ციხის 500-კაციანი გარნიზონის მისაშველებლად, რომელსაც მოულოდნელად გარემოადგა შამილი თავისი ნაიბებით და დიდი ჯარით. რუსის კოლონებმა შეარყია მტერი. უკუიქცა შამილი.» – ამ ომის რეზულტატი არის დიდი ყუბა, ქურა, ყაზიყუმუხი, ტაბასარანი, ზღუამდის დამშვიდდა ხალხი, რომელსაცა, რა საკურველია ვერა ვინ შეიკავებდა, თუ როგორმე მტერი ახტას ჩასცილებოდა» (იქვე, 184-185). ახტის ციხის აღება, რომელსაც ასე აფასებდა სარდალი ორბელიანი, მართლაც უმნიშვნელოვანესი იყო 1848 წლის სამხედრო ოპერაციებს შორის.

1849 წლის დასაწყისში ახლობლებს უკვე გენერალ-მაიორობას ახარებს, (გერგებილის აღებისათვის) კაცი, რომელიც, თავად შექმნილა დაღესტნის «პირველი ტყვე.» 1851 წლის დასაწყისში კი გრიგოლ ორბელიანი ჭარ-ბელაქნის გამგებლად და «ლეკის ხაზის» – სრულიად დაღესტნის ჯარების ხელმძღვანელად ინიშნება. რადგან ჭარ-ბელაქანს ყაჩაღები აოხრებენ მისი ძირითადი იმჟამინდელი საქმიანობა ყაჩაღების შემორიგებაა, რაშიც სვიმონ შალიკაშვილი, ხიმშიაშვილი და ბელაქნელი მონადირე ჰაჯი-მურთუზი ეხმარებიან. გატარებული უმკაცრესი ღონისძიებების შედეგად ჭარ-ბელაქანი დამშვიდდა, მაგრამ ვერ ისვენებდნენ მთის ჭიანჭველები-ლეკები, პოლკის ცხენებს იტაცებენ, ხან კახეთში გადადიან. საზღვრები გასამაგრებელია.

1851 წელი მარცხიანი აღმოჩნდა შამილისათვის. მან ზედიზედ იწვნია დამარცხება რულჯასა და ჭოხთან. 13 ივლისს კვლავ მარცხით მთავრდება მისი ბრძოლა მთა გამაშზე, ყაზიყუმუხთან, სადაც 15 000-იანი არმია დაუმარცხა გრამოტინმა (Кавказский Сборник, 1897, 167). დარღოსაკენ გაქცეულმა

დამარცხებულმა ნაიბმა 11 სოფელი გადასწვა, ააოხრა. «სულ ნადირშაჰის ყაათლამი უყო იმ მხარეს» (ორბელიანი, 1937, 15), – სწერს გრიგოლ ორბელიანი სვიმონ შალიკაშვილს.

ჰაჯი-მურატიც ტაბასარანში ერთ მთაზე შეამწყვდია არღუთინსკიმ. სწორედ აქ მომწყვდეულ ნაიბს უწოდა მხდალი შამილმა, ნაიბობის პატივი აჰყარა და ერთი თოფისა და ცხენის ამარა გაუშვა სახლ-კარ აკლებული ნაიბყოფილი. მტრობა ჩამოწვა იმამ შამილსა და ჰაჯი-მურატს შორის (Кавказ, 1851, 88).

გულად და მამაც ვაჟკაცს თუნდაც მტერი იყოს იგი, ალტაცებაში მოჰყავს პოეტი და ახლა აოცებს, რომ მთაში ვაჟკაცობით განთქმული ჰაჯი-მურატის ნაცვლად, ნაიბობა, ჭანკა ფათალისთვის, ხუნძახის ხანის სურჰაის შვილისათვის უბოძებდა შამილს. «–ჩემი ნოქერი იყო; ფინთი, უჯიშო, უჭკუო და უვაჟკაცო. არ ვიცი რა ფიქრი მოსვლია შამილას ამის ნაიბობა»–ო (ორბელიანი, 1937, 19).

ჰაჯი-მურატი 2 000 კაცით სიუხს გადავიდა და გამაგრდა (ა. გაწერელია შენიშნავს, რომ იგი არა სიუხს, არამედ აულ ბატლაგიჩში გამაგრდა). ნაიბებით მისული შამილი დამარცხდა და მრავალი შამილის მომხრე ტყვედ ჩაიგდო, მტერს ცხენები წაართვა. პოეტს ახლა უკვე იმედი აქვს, რომ დაღესტანი დამშვიდდება (იქვე, 27-28).

მოლაპარაკებამ, რომელსაც ჰაჯი-მურატთან არღუთინსკი ეწეოდა შედეგი გამოიღო. იმამისაგან გაძევებულმა ნაიბმა დაღესტანი დატოვა და თბილისში ჩამოვიდა, სადაც იგი მთავარმართებელ ვორონცოვს წარუდგინეს. სწორედ აქ შეხვდნენ ჰაჯი-მურატი და გრიგოლ ორბელიანი ერთმანეთს. 1852 წლის თებერვალში კი ჰაჯიმურატი გრიგოლ ორბელიანთან ზაქათალაში ჩავიდა. «ჰაჯიმურადი აქ მოვიდა ჩემთან სტუმრად; მაგრამ ყოველდღე ავდარია და ვერსაით ვერ წავედით, მხოლოდ ვანადირეკი რამდენჯერმე მწევრებითა»–ო (ორბელიანი, 1937, 33), სწერდა გრიგოლ ორბელიანი 1852 წლის 13 თებერვალს ილიას.

გრიგოლ ორბელიანი 1852 წლის გაზაფხულზე თემირხანშურაში ბრუნდება, რადგან არღუთინსკის ავადმყოფობის გამო, დროებით, კასპის მხარეთა ჯარების მთავარსარდლად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ ინიშნება. სწორედ აქ

შეიტყობს იგი მოგვიანებით ჰაჯი-მურატის სიკვდილს. არლუთინსკის დაბრუნებისთანავე ორბელიანი ზაქათალაში ბრუნდება, სადაც ხელმწიფე იმპერატორისაგან «ყოვლად მოწყალე» მადლობას იღებს (Кавказ, 1853 №1).

1853 წლის 24 აგვისტოს შამილის აურაცხელმა ბრბომ ზაქათალასთან ხეობაში დაიწყო დაშვება. ათი ათასზე მეტ მთიელს ყაზი-მაჰმადი (შამილის შვილი) და ანიელ ბეგი ხელმძღვანელობდნენ. ორბელიანის პირველი იერიშის შემდეგ მთიელები უკუიქცნენ და მესელდიგერის ციხეს მიმართეს. შამილის იერიშს ციხე-სიმაგრის გარნიზონი იგერიებდა. ორბელიანის მისაშველებლად არლუთინსკი გამოეშურა 5 ბატალიონით. მისი ჯარის მოახლოებისთანავე შემინებულმა მთიელებმა დატოვეს მესელდიგერი და მიიმალნენ. «დიდი ხანია რა წერილი აღარ მიმიწერია თქვენთვის არეულობის გამო ამა მხარესი. . . მტერი, ხალხის არეულობა, ომები, არ მაცლიდნენ წერისათვის და ანუ რადროს წერა იყო და ვისა ჰსცალოდა, – ახლა ისევ უწინდებლად აქაურობა დამშვიდდა, დაყუდდა, ხმალი ჩაეგო ქარქაშში» (ორბელიანი, 1937, 65), – სწერდა პოეტი რძალს ქეთევანს. მესელდიგერის ციხის დახსნისათვის ორბელიანმა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი და წმ. ანას ორდენი მიიღო.

1853 წლის 2 თებერვალს არლუთინსკის მოვალეობის შემსრულებლად კვლავ ორბელიანს ნიშნავენ (Кавказ, 1854 №8). იგი უხალისოდ ეთხოვება ზაქათალას: «სწორედ გითხრა ძალიან შევჰწუხდი; შევეჩვიე ადგილს, ხალხსა, შევიტყე აქაურობის ავიცა, კარგიცა; ვიცოდი რა დროს რა წამალი უნდოდა; ხალხიც მომენდო, შემეჩვია, და ახლა უნდა კიდევ სხუა უღელი ახალი დავიდვა კისერზედა და ამასთანა სიშორე მაწუხებს ძალიან; აქვი ზაქათალაში ჩემი თავი შინ მეგონა» (ორბელიანი, 1937, 80). – სწერს 1853 წლის 22 ნოემბერს ილია ორბელიანს.

1853 წლის 4 ნოემბერს რუსეთ-თურქეთის ომი იწყება. 1854 წელს გენერალმა რეადმა ორბელიანს მთელი წინა პოზიციების ცამეტი ბატალიონის მოხსნა და თურქეთის ფრონტზე გაგზავნა დაავალა. ამაზე ორბელიანმა სასტიკი უარით უპასუხა, თუმცა კი ჩვეული ტაქტიკით და თავაზიანობით დაუსაბუთა თავისი გადაწყვეტილების სიმართლე. «ეს ომი წმინდა ომია ყოველი

მაჰმადიანისათვის, მაშასადამე ჩვენი საშუალებანიც უნდა გაძლიერებულ იქნან. შამილი ჯარს კრებს და გაფაციცებული ემზადება, ჩვენი დამორჩილებული ხალხი მხოლოდ მის მცირეოდენ წარმატებას ელის, რათა ერთსულოვნად გადაგვიდგეს და აგვეშალოს. როგორ შემიძლია ასეთ მდგომარეობაში მხარეს მოვწყვიტო ოთხი ბატალიონი» დარჩენილი რაზმებით როგორღა შეძლოს თემირხან-შურის, დერბენდის, პეტროვისკის შენარჩუნება, მაშინ ხომ «ჩვენ იძულებული გავხდებით გადავიდეთ თერგის გაღმა. . . ამასობაში შამილი, რომელსაც მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა შეუერთდება, უზარმაზარი ასიათასიანი არმიით მიადგება თბილისს და ცეცხლს მისცემს, ააოხრებს. ახლა სპარსეთი? ნუთუ მშვიდობიანი მაყურებელი იქნება და არ შეეცდება დაკარგული პროვინციების დაბრუნებას?

ვინ დათვლის მთელს ზარალსა და უბედურებას, რაც დაატყდება საქართველოს და აქამდე ძლევამოსილ ჩვენს ჯარებს, რომელთა ძვირფასი სისხლითაა ნაყიდი მთელი კავკასია? და რისთვის? . . . პირიქით გარწმუნებთ თქვენო ბრწყინვალეზავ, მომეცით კიდევ ოთხი ბატალიონი, რათა შამილის მოქმედება მისი მთებით შემოვფარგლო; მარტო მისი ძალა არაა საშიში ჩვენი ჯარებისათვის. საშიშია, თუ მთის ტომები მისი დროშის ქვეშ დადგებიან. . . თავადო, იხსენით თქვენი ქომაგობით ეს ვრცელი მხარე, და ჩვენი იარაღის პატივი და დიდება» (მაღრაძე, 1975, 181-182), – უპასუხა გრიგოლმა ბარიატინსკის და სწორედ ამ მჭევრმეტყველური დოკუმენტის წყალობით დიპლომატიურ გამარჯვებას მიაღწია. მართალია, ბარიატინსკიმ დამატებით ოთხი ბატალიონის მიცემაზე თავაზიანი უარი განუცხადა, მაგრამ აღიარა, რომ აღნიშნულ სიტუაციაში ციხეების დატოვება და ბატალიონების გაყვანა არ შეიძლებოდა.

თავისი პოზიცია გრიგოლ ორბელიანმა მახვილგონივრულად დაასაბუთა რეადისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათშიც და გენერალს ის ფატალური შედეგი აუხსნა, რაც რუსის ჯარის უკან დახევას მოჰყვებოდა თან (ზისერმანი, 1890, 347-349).

«არავითარი ეჭვი არ არის, რომ მთელი ნახევარ მილიონიანი შეიარაღებული მაჰმადიანი აღდგებოდა. შამილთან ერთად უზარმაზარ ცეცხლის

ნიაღვრად წამოვიდოდა უკანდახეული ჯარის კვალდაკვალ, შეუბრალებლად გაჟღეჭდა ქრისტიან მოსახლეობას. ვერც კახეთში შემოჭრას შევაჩერებდით. . . და ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდებოდით. ასეთ ვითარებაში სპარსეთიც ისარგებლებდა შემთხვევით, ლომის თათს დაჰკრავდა საქართველოს. . . თბილისი და მთელი საქართველო გააფთრებული ფანატიკოსებისა და მტაცებლების მსხვერპლი აღმოჩნდებოდა. . . სისხლი იყინება, ამნაირ რამეს რომ წარმოვიდგენთ» (ზისერმანი, 1890, 320-321). ზისერმანის აზრს თავის საყურადღებო მონოგრაფიაში იმოწმებს ე. მალრაძეც.

მოულოდნელად შამილის ურდოებმა ალაზანი გადმოლახეს და კახეთს შეესივნენ. გადაწვეს სოფელი შილდა, დაარბიეს გრემი, ტურის ციხე, ენისელი, ააოხრეს, გადაწვეს წინანდალი და ჭავჭავაძეთა საგვარეულო სასახლე, გაიტაცეს დავით ჭავჭავაძის მეუღლე და ექვსი შვილი, მათთან სტუმრად მყოფი ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარე ბატონიშვილი პატარა ვაჟით, ფრანგი გუვერნიორი ქალი დრანსე და მოახლეები. ტყვეები შამილს დარღოში, ვედენოში მიჰგვარეს (დრანსე, 1858).

ამდროინდელი გრიგოლ ორბელიანის წერილები შინაგანი განგაშით, მოუსვენრობით არის სავსე, რაც ერთი წუთის დაკარგვის საშუალებას არ აძლევს: «გამოგიტყდებით, რომ სულმოკლეობამ შემიპყრო, თუმცა დიდადა ვცდილობ ვძლიო როგორმე ეს ჩემი მწუხარება. მეგონა აქამდისინ, რომ სიმტკიცეს ჩემის სულისას ვერავითარი უბედურება ვერ შეარყევდა; მაგრამ ამჟამად პირდაპირ სულს დაესვა ლახვარი, არ შემიძლია ავიტანო, განსაცდელი ეგე მძიმეა მეტად» (მეუნარგია, 1941, 76). – წერდა ორბელიანი ბარონ ნიკოლაის 1854 წლის 10 აგვისტოს. იგი თავად აპირებს ყაზიყუმუხიდან პირდაპირ შამილს მისწეროს. საჭირო ნივთების: თბილი ბოტინკების, კალოშების, გრძელყელიანი წინდების, ბეწვისაგან შეკერილი წამოსასხამების, თბილი კაბების, ახალუხების გაგზავნას სთხოვს დიმიტრი ჯორჯაძეს და თან შამილთან და ჯემალედინთან გასაგზავნ წერილებს ამზადებს.

1854 წლის 29 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანს შამილის პირველი წერილი მიუღია. იმავე დროს იგი დიმიტრი ჯორჯაძეს სწერს: «დღეს დილით

შემომიტანეს შენგან გამოგზავნილი პაკეტი და მასში მიწერილები დავითისაგან, ვარინკასაგან და შამილისაგან. – სწორედ გითხრა, დიდი ხანია ასეთი მხიარული დილა არ გამთენებია»-ო (ორბელიანი, 1937, 104). შამილი ორბელიანს ტყვეების კარგად შენახვას და მოსალაპარაკებლად კაცის გაგზავნას ჰპირდება, მაგრამ შამილის მოთხოვნამ მწუხარებაში ჩააგდო პოეტი. იმამი ტყვეთა სანაცვლოდ ერთ მილიონ მანეთს, დიდი ხნის წინ დატყვევებულ ვაჟს და რამდენიმე ტყვეს ითხოვს. პოეტი გრძნობს, რომ დიდი ხანი გავა ტყვეების გამოსხნამდე და წუხს, «იმ დრომდის როგორ უნდა შეჰძლონ საწყლებმა და საცოდავებმა?»- (იქვე, 106). შამილის ცოლები თანაგრძნობით ეკიდებიან ტყვეებს, ამიტომ პოეტი სხვადასხვა საჩუქრებს, მათ შორის ახალი მოდის ლეჩაქებს სთხოვს ქეთევანს, მათთან გასაგზავნად და თან კნიაზ ბარიატინსკის სთხოვს შემწეობას (იქვე, 106-107).

1854 წლის 2 დეკემბერს ისაია გრიმოვი დარღო-ვედენოში ჩადის და რამოდენიმე აუდიენციის შემდეგ შამილს ფულის დაკლებაზე ითანხმებს. მილიონის ნაცვლად უკვე 40 ათას მანეთს თხოულობს იმამი. სწორედ ამ მოლაპარაკების შედეგს ატყობინებს პოეტი 1855 წლის 3 იანვარს ბარბარე და ალექსანდრე საგინაშვილებს და იმედოვნებს, რომ ღვთის მოწყალებით ეს საქმე მალე კეთილად დაბოლოვდება. ისაიას თქმით, პატარა გიორგის ფეხი აუდგამს, ხოლო დავითის შვილები ისე შესჩვევიან შამილს, «რომ სულ წვერს უგლეჯენ» (იქვე, 109).

ბოლოს, როგორც იქნა ტყვეთა გადაცვლაც მოგვარდა. შვილი და 40 000 მანეთი 1855 წლის 10 მარტს ჩააბარეს შამილს, ხოლო დავით ჭავჭავაძეს მეუღლე და ცოლისდა დაუბრუნეს შვილებით. ტყვეები თემირხანშურაში გრიგოლთან ორიოდ კვირას შეჩერდნენ. «მათი ორი კვირით აქ ყოფნის დროს ჩემი სახლი სამოთხეს დაემგვანა-ო (მეუნარგია, 1941, 79), წერდა ბედნიერი ორბელიანი ვორონცოვს.

1855-1856 წლებში კვლავ შამილის წინააღმდეგ ბრძოლის წლებია. გრიგოლი შეუპოვრად ებრძვის შამილის ურდოებს გერგებულთან, რულუჯში, წუდახარში, ქუთიშის და სალათავის მთებში, გიმრში, ტაბასარანში, დაღიშის ვიწრო ხევში.

მის ფხიზელ თვალს არც ამბოხების მცდელობა ეპარება და არც იმამის დიდი თათბირი. ძალ-ღონეს არ იშურებს ალაღარ-ბეგისა და ლაზარევის შესარიგებლად და იმედი აქვს, რომ «ამათ უნდა მოახდინონ ძმობა, სიყვარული, მეგობრობა, მეზობლობა ორთა ნათესავთა შორის» (მეუნარგია, 1941, 130). არც სხვათა უხერხემლობით გაფუჭებული საქმეების მოგვარებას ერიდება, დაპყრობილ ტაბასარანში ყადია შევიდა თორმეტი კაცით, მაგრამ გუბერნატორმა ვერა გააწყო რა და ისევ გრიგოლს უხმობენ საშველად.» – აბა რა უყო ამისთანა ღუბერნიასა, სადაც ღუბერნატორს არ შეუძლიან თორმეტის კაცის გარეკა, და მე აქედამ უნდა ოტრიადები წავიყვანო და დიდი ექსპედიცია მოვახდინო? . . . ახლა ამტყებია ტაბასარანი, ეს მეორედ წლეულსა და ვნახოთ, ღ-თი როგორ ინებებს. მაგრამ მე ეს მინდა ვჰსთქუა, რად არის მიწვენილი იქამდის ჩვენი საქმე, რომ ჯერაც არ ვიცით რა არის ჩვენი საკუთარი დაღისტანში? – როდემდის უნდა ვიყუნეთ ასე დაბრძანებულნი და ვატყუებდეთ ჩვენს თავსაცა და ურთიერთსაცა?» (ორბელიანი, 1937, 136). – საკუთარ წუხილს ვერ მალავს პოეტი ლევან მელიქიშვილთან.

1855 წლის შემოდგომით პოეტი-სარდალი მიურუდობითა და შარიათის დაბუდებით განთქმულ ისეთ გამაგრებულ სოფლებს იკავებს, რომლებსაც თვით ნადირშაჰი, არღუთინსკი და სხვა ცნობილი გენერლები დამარცხების შიშით გვერდს უვლიდნენ. ასე, რომ გამარჯვებას ზეიმობს ყაფლანიანთ მამაცი სარდალი (იქვე, 144). გაუვალი ტყეების გაკაფვას და გზების კეთებას იწყებს, რადგან უკვე «ყაითალიც დამშვიდდა და შილაღიცა». მას თავად ეს გამარჯვება იმიტომ ახარებს, რომ შამილას რომელიც შარიათს ქადაგებდა და რევდა ამ მხარეს, გულში ლახვრად ეცემა ეს ამბავი (იქვე, 148).

1856 წლის 22 ივლისს ბარიატინსკი მეფისნაცვლად და კავკასიის ჯარების სარდლად დაინიშნა, 1857 წლის 13 აპრილს ახალი მეფისნაცვალი ხასავ-იურთში ჩავიდა, სადაც ორბელიანთან და ევდოკიმოვთან თათბირი გამართა აუხისა და სალათავის დაპრობის თაობაზე. ეს ამოცანა სწორედ ევდოკიმოვს და ორბელიანს უნდა შეესრულებინათ (*Кавказ*, 1857, №91, *Кавказ*, 1859 №1).

1857 წლის 16 ივნისს გრიგოლ ორბელიანმა განთქმული თერენგულის ხევი დაიკავა. «და მიღ აღსრულდა ჯერ პირველი პერიოდი ამა ეკსპედიციისა უკრავ-უგინებლად» (ორბელიანი, 1937, 192-195). ორიოდ დღით ადრე კი შამილი მივიდა ახალ ბურთუნაის. «მე და შამილ ვჰსდგავართ ერთმანეთთან დიახ ახლოს და ვითარცა ქოფაკი ძაღლები უღრინავთ ურთიერთსა; ვნახოთ, რომელი გაჰგლეჯავს-ო» (არქივი. ფ. 5, 155), სწერდა გრიგოლ ორბელიანი დემ. ჯორჯაძეს. პირველი ძლიერი შეტაკება 24 ივნისს მოხდა. 400-მდე ლეკი დარჩა ბრძოლის ველზე. დახოცილებით აივსო ვეება ხევი. «ძლივს ერთხელ მოვასწართ ლეკებსა, ძლივს ერთხელ ჩავიგდეთ ხელში! . . . ნაიბი სალათავისა და ტეხნუცალისა და მათთან მრავალნი მწიგნობარნი დაიხოცნენ. – იმათი ნიშნები, ბეჭდები, ლექსები შამილის ქებად შეთხზულნი (სწორედ ამ წერილს ეყრდნობა ა. გაწერელია, როდესაც აღნიშნავს, რომ შამილს პანეგირისტები სიცოცხლეში ჰყოლია. თუმცა არც მის საქებრად შეთხზულ ლექსებს და არც დაღესტნის ზოგიერთ ტომებში შამილის შესახებ გავრცელებულ სატირებს იმამატის ეპოქიდან ჩვენამდე არ მოუღწევია. ი. დ.) მომიტანეს» (ორბელიანი, 1937, 195), სწერს დემეტრე ჯორჯაძეს 27 ივნისს. «მე და შამილა ცხვირში უდგევართ ერთმანეთსა»-ო (იქვე, 196), სწერს გრიგოლი ქეთევან ორბელიანს 1857 წლის 1 ივლისს და ბურთუნაიში შამილის ჯარზე გამარჯვების ამბავს მოუთხრობს.

დამარცხებული, «კატასავით მობუზვილი» შამილი, გაჩენილი ხოლერის შიშით დარღოს გადავიდა.

როგორც ე. მაღრაძე აღნიშნავდა, 1857 წლის შემოდგომას იწყება სალათავის ეპოპეა, რაც ორბელიანის სამხედრო კარიერას აგვირგვინებს (მაღრაძე, 1975, 225). ახლა საჭირო იყო დილიმისაკენ ტყის გაკაფვა და შამილისაგან ძლიერ სიმაგრედ ქცეული ახალი ბურთუნაის აღება. როგორც ორბელიანი მოუთხრობს დემ. ჯორჯაძეს, «ამ სოფლის გასამაგრებლად შამილმა მოიხმარა მთლად თავისი ვეება ჯარი მთელს ზაფხულს, და მართლაც დიდად ძლიერად არის გამაგრებული: სამსაყენზედ მეტი გარეშემო ავლია თხრილი და მასზედ დაწყობილი გოდორ-ყუები მიწითა და ქვებითა ავსილი» (ორბელიანი, 1937, 216).

რუსის ჯარი ახალ ბურთუნაის 5 ოქტომბერს მიუახლოვდა. გამთენიისას იერიში დაიწყო. ხანმოკლე და ულმობელი შეტაკების შემდეგ მთიელებმა თავდაცვა სცადეს, მაგრამ ალყაში აღმოჩნდნენ მოქცეულნი. «შამილისაგან მოდიოდნენ შვიდის ნაიბის ჯარები ამ სოფლის დასაცველად. – მზე ამოვიდა ბრწყინვალედ; მე მეჩეთის ბანზედ ვჰსვამდი ჩაისა; ბარაბანშიკები უკრავდნენ ახალს აღებულს ციხეში ზორსა, როდესაც გამოჩნდნენ მურუდის ჯარები გუმბეთის გზაზედ; და შენ იფიქრე იმათი პირდაღებით გაოცება რა სრულებით მოულოდნელად ნახეს რუსის ჯარი ბურთუნაიში» (იქვე, 216), ასე აულწერს ორბელიანი თავის ბურიენს შამილის «უკანასკნელი ნავთსაყუდელის» აღებას.

1857 წლის 31 ოქტომბრის განთიადისას დაიწყო უკანასკნელი მოქმედება ბურთუნაის ტრაგედიისა (ესამე, 1909). აუხის ციხე-სიმაგრის აღება იყო გვირგვინი ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობისა დაღესტანში (ორბელიანი, 1937, 231).

შამილის შვილმა ყაზიმაჰმამ თავისი რაზმით რამდენჯერმე სცადა ახალ ბურთუნაის მოახლოებოდა, მაგრამ ლურჯ ტაიჭზე ამხედრებულმა ორბელიანმა «თილიყამყამით» შეუტია, მრავალს თავი მოჰკვეთეს, რამოდენიმე ტყვედ ჩაიგდეს, მათ შორის, თავად ყაზიმაჰმას ნასახჩიბაში, რომელიც ძალაუფლების სიმბოლოდ ნაჯახს დაატარებდა და თავებს აყრევინებდა მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს (ორბელიანი, 1937, 229).

ახალი ბურთუნაის და აუხის სიმაგრის აღებისათვის გრიგოლ ორბელიანმა დიდი იმპერატორის წყალობა, გენერალ ადიუტანტობა და აღმასით შემკული ოქროს დაშნა მიიღო. მაგრამ. . . » ეს ღენერალ-ადიუტანტობაც მოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა, წელიკი ველარ მომდევს და რაღა ლაზათია?» – სევდა შეერია ორბელიანს ომახიან ხმაში. როგორც აღნიშნავენ «ამ დროისათვის ორბელიანი სულიერ განწყობილებას აშკარად აზის მეომარი ძმების ტრაგიკულად დაღუპვის ბეჭედი. ისინიც ხომ რუსული იარაღის დიდების საქმეს ემსახურებოდნენ. იბრძოდნენ, იღვაწეს, იდავიდარაბეს და საფასურად რამდენიმე ბრჭყვიალა ორდენი და ასეთივე სამხრეულები მოიმკეს. ყოველივე ეს კი იმით დამთავრდა, რომ ზაქარიამ სამშობლო სოფლის ციხე მიწაში მოიპოვა სამუდამო განსასვენებელი, ხოლო მამაცმა ილიკომ ქაშვეთის ეკლესიის თაღებქვეშ დაივანა.

. . ახლობელი ადამიანების დაღუპვამ. . . კიდევ უფრო გააღრმავა საწუთროს ამოებზე ფიქრი, ურვა, დრტვინვა და სამღურავი» (მაღრაძე, 1975, 210).

«რაო და რისთვის? ხომ უნდა მოვკვდეთ და რაღაა ესოდენი ვაივავლახ ტანტალი ამა ცრუს სოფელში?» (ორბელიანი, 1937, 232). – წერდა სამხედრო დიდების მწვერვალზე მყოფი სარდალი დემ. ჯორჯაძეს და მთავარმართებელს დაჟინებით სთხოვდა გადაყვანას, რადგანაც აღარას მოელოდა არც სამსახურიდან და არც სიცოცხლისაგან, ყველაფერი მხოლოდ ტყუილი თრევა იყო. . . (იქვე, 161).

მთავარმართებელმა ორბელიანის თხოვნა დააკმაყოფილა. 1857 წლის ბოლოსათვის იგი თბილისში მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გადაჰყავთ («Кавказ», 1858, 26), თუმცა მის ხსოვნაში მარად აღდგებიან ზირანი, კაკაშური, ქუთიში, გერგებელი, სალთი, მისკენჯი, ჭოხი, ტაბასარანი, სალათავია.

გრიგოლ ორბელიანის სამხედრო კარიერაზე საუბრის დასასრულს შეუძლებელია არ შევჩერდეთ იმ გარემოებაზე, რომ ორბელიანის მიერ თავის ახლობელთათვის გაგზავნილ ბარათებში ხშირად ვხვდებით ეპიზოდებს, სადაც იგი, როგორც სარდალი და ადმინისტრატორი, მოგვითხრობს ყაჩაღების მიმართ გატარებულ სასტიკ ზომებზე.

«მეორე დღს ჩავედით აიმაკში და სრულებით გადავსწვით და დავანგრეთ. . . დავუწყეთ ხმლით ჩეხა და კეფა» (ორბელიანი, 1937, 129-130). – სწერს ილიას ქუთიშის ბრძოლის შემდეგ.

«ვიდექით ორი დღე სალტაში, სადაცა წვიმისაგან თეთრად გარეცხილი გროვა ქვები უჩვენებენ იმ ადგილსა, სადაც შარშან იდგა უმაგრესი სოფელი. . . აქა იქ ახლაცა ჰყრია გამხმარი გოგრები, რომელთაგან ერთი ვნახე ტყვიით განხვრეტილი. . . საშინელი გაოხრება: სალტას, ქუდალას, ყუპას, კოჰორს იდგნენ ორი ათასი კომლი კაცი, მგონია უფრო მეტი; ახლა სად არიან, რა იქმნენ? – წლეულს გერგებელიც ამ გუარად გალეწეს; დარჩა მხოლოდ ცარიელი სალი კლდე» (იქვე, 183). – 1848 წლის 16 აგვისტოს მიწერილი ეს წერილიც ილიასადმია განკუთვნილი.

«იმათი ღრიალი ცამდის ადიოდა. . . ვეება ხევი აივსო იმათის დახოცილებითა» (იქვე, 196). – სწერს რძალს ქეთევანს 1857 წლის 1 ივლისს.

“ეს მანუგეშებს, რომ ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდამ; სულ რჯული გავაგდებინე, მივამტვირთ-მივამსხვრიე მრავალჯერ, ბევრი დავატყვევე, მრავალი დავხოცე, მიმოვფანტე მისი ჯარი» (იქვე, 226). – ატყობინებს ბაბაღე საგინაშვილს სალათავიდან 1857 წლის 2 ნოემბერს.

«ვეება ხევი ავავსე იმათის დახოცილებითა; ორნი ნაიბი და მრავალი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე. . . დღეგრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე» (იქვე, 206). – აი, ეს სიტყვები კი პასუხად უნდა მივიჩნიოთ მისი სისასტიკისა. ამ თვალსაწიერიდან ამართლებს პოეტი თავის მოქმედებას, როგორც შურისძიების ნიადაგზე აღმოცენებულს. ამიტომაც მიუზღავს საზღაურის წილ - «ეს სულ საქართველოს სისხლის დაღადისია»-ო.

დიახ, გრიგოლ ორბელიანს, როგორც თავისი დროის განათლებულ პიროვნებას, კარგად უნდა სცოდნოდა ის ფურცლები, რომლებიც დაღესტნელ ფეოდალთა მიერ საქართველოზე მოწყობილი თავდასხმების შედეგად ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ეს თავდასხმები საუკუნეების განმავლობაში მიზნად ისახავდა საქონლის, ჭირნახულისა და ტყვეების გატაცებას, დასახლებული ტერიტორიების დაპყრობას, მოსახლეობის დახარკვას, დატყვევებული ქართველების მონებად გაყიდვას, ქრისტეს გზის ერთგულთა ფიზიკურ განადგურებას. ლეკიანობამ აურაცხელი ზარალი მოუტანა საქართველოს.

ლეკიანობის მძიმე შედეგი მართალია მხოლოდ წარსულია გრიგოლისათვის, მაგრამ პოეტი თავადაც ხშირად არის თვითმხილველი იმ სასტიკი თავდასხმებისა, რაც შურისძიების წყაროდ შეიძლება ქცეულიყო.

1842 წელს თავად გრიგოლ ორბელიანს დაატყდა თავს განსაცდელი. მისი უმცროსი ძმა ილია ლეკებმა მძევლად წაიყვანეს და დაღესტანში, ხაროში მოათავსეს. გრიგოლი თავზარდაცემული სთხოვს ზაქარიას სწორად შეატყობინოს ძმის ამბავი. «მართლა ხაროში ჰყავთ ჩაგდებული, მაგ ურჯულო მამაძაღლთა? რა ვქნათ ძმაო იმ საბრალოს ყმაწვილისათვის, შეიძლება ფულით გამოხსნა? ან

რომელ სოფელში ჰყავთ შენახული?»– (ორბელიანი, 1936, 61). პოეტის შემოფოთებას აძლიერებს ისიც, რომ არავინ იცის დათანხმდება თუ არა იმპერატორი შამილის მოთხოვნას, ტყვის სანაცვლოდ შვილის განთავისუფლების შესახებ, ამიტომ ბედავს შეაწუხოს მოსე არღუთინსკი – დოღგორუკოვიც, «შენი ჭირიმე კნიაზო! ცრემლებით გეხვეწები ჩემი ძმის გამობსნისათვის. მე გამყიდეთ, მე დამატყვევეთ, ოღონდ ამ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია. . . ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ღმერთი და თქვენა ხართ» (იქვე, 59-60).

1851 წლის ზაფხულში დავით გარეჯის მონასტერს სანდარელ და ქესამანელ ლეკთა დიდი რაზმი დაესხა თავს. მათ დაარბიეს დავითის ლავრა, გაიტაცეს ღვთისმსახურებისათვის საჭირო საეკლესიო ნივთები და წიგნები, ტყვედ წაიყვანეს ბერები, ხოლო მღვდელ-მონაზვნებს გერონტის და სერაპიონს, ბერებს-გერმანეს, ბესარიონს, მიქაელს და სვიმონს წამებით ამოჰხადეს სული. (მოგვიანებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.)

ამ დროისათვის გრიგოლ ორბელიანი დროებით არღუთინსკის მოვალეობას ასრულებს, დაღესტნის გამგებელია, ამიტომ სწორედ მას უხდება ზრუნვა დატყვევებული ბერების გამოსახსნელად.

უმთავრესი კი წინ ელოდება პოეტს. ამჯერადაც მისთვის ძვირფასი ადამიანები აღმოჩნდნენ ლეკთა ტყვეობაში და პოეტი მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა მიმოწერას სხვადასხვა ოფიციალურ და არაოფიციალურ პირებთან მათი გამობსნის მიზნით.

ცხადია, გრიგოლ ორბელიანი მოყვრად ვერ დაუხვდებოდა სამტროდ მოსულ მტერს, რომლის მიზანიც ქრისტიანული საქართველოს უცხო რჯულზე მონათვლა იყო და თუ არა მისი ნაკლად მიჩნეული სიმკაცრე, ვინ იცის რა დღე ელოდა საქართველოს.

წლების განმავლობაში არაქრისტიანულ გარემოში ცხოვრებამ და მათი ყოფის ძირ-ფესვიანად შესწავლამ, ერთგვარად ხელი შეუწყო იმას, რომ გრიგოლ ორბელიანს ცხოვრების ბოლომდე «საქართველოს ისტორიული მტერი» დაენახა

მუსულმანი მეზობლის სახეში და წინააღმდეგობის გრძნობით აღვსილს დაუნდობლად ებრძოდა ისლამის რელიგიის მატარებელი მთიელი ტომის მიმართ, არა მხოლოდ როგორც რუსეთის თვითმპყრობელური ზრახვის გამტარებელს, არამედ როგორც დაჩაგრული სამშობლოს უბადლო პატრიოტს.

როგორც იონა მეუნარგია აღნიშნავდა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ორბელიანი არღუთინსკის ნაცვლად შურაში დანიშნეს, პოეტს უსაყვედურეს მისი გულჩვილი ხასიათი, რაზეც პოეტმა ასეთი პასუხი გასცა, «ორ გვარად შეიძლება ველური ცხენის დაურვება, მათრახ დეზითა და მოფერებით. ღმერთმა იცის, რომელი საშუალება უკეთესიაო», ან რად იქნებოდა უწყალო ჯერ ქართველი და მერე პოეტი! მხოლოდ ომის მოთხოვნილებისათვის ამასაც პასუხი უნდა გავცა და საცა საჭირო იყო, მათრახიც ეხმარა და თავებიც ეჭრევინებინა. მაშ, რა უნდა ექნა? ხომ ის სარდალი იყო, ხომ იმის გარშემო მტერი იდგა და მტრის ტყვიას გაჰქონდა მის ბანაკში კაცის სიცოცხლე? (მეუნარგია, 1941, 86-87).

აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი მხოლოდ ყაჩაღების, ავის მთესველთა მიმართ არის სასტიკი და დაუნდობელი. უბრალო, მშრომელი ხალხი კი მასში, როგორც მმართველში, თანაგრძნობას იწვევს.

გრიგოლ ორბელიანს საკუთარი, მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად დიდი ტაქტი და სიფრთხილეა საჭირო. «ჩემის ფიქრით, ჯერ არ მოსულა ის დრო, როდესაც დაღესტანში შეიძლებოდა ჩვენის სჯულის შემოტანა ასე ანაზღვეულად, ასე ძალადობით, ასე ხალხის შეუჩვენებლად, რომლითაცა ერთბაშად უნდა დაირღვას წესი და დამოკიდებულება, საუკუნოებით დაფუძნებულნი, დამკვიდრებულნი ხალხში. . . მინკვიცი დიახ, კეთილი კაცია და კეთილის მსურველი, მაგრამ ნემენცია და მაშასადამე ვერ მიხუდება, ვერცა გაიცნობს აქაურს ხალხსა, თუ გინდა ასი წელიწადი დაჰყოს მათ შორის» (ორბელიანი, 1937, 224-225). – სწერს დემ. ჯორჯაძეს 1857 წლის 25 ოქტომბერს.

სამხედრო კარიერის დასასრულს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა ბედმა ინფანტერიის გენერალს. 1859 წელს პეტერბურგში პირისპირ შეხვდნენ

მოსისხლე მტრები: გრიგოლ ორბელიანი და იმამი შამილი. თუ დაღესტნის ომის დროს შამილი ორბელიანს გაგლეჯით ემუქრებოდა, ახლა დიდხანს მეგობრულად უსაუბრიათ ყოფილ მოქიშპეებს.

«შამილა გავიცან პეტერბურღში; კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ ძალიან გაოცებული იყო ყოვლითა მით, რასაცა ჰხედავდა. – მითხრა, კნიაზო, დიდად ვსწუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენნი ნათესავნი ქალები, რომ ბოდიში მომეთხოვაო; ეხლა ვჰხედავ რასაც ნაკლულოვანებაში იყუნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრომით სცხოვრობდენ, როგორც აქაო! – დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყუნენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობას ქვემ და ჩემის მოწყალებით ჰსცხოვრობდნენო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე, რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიანტინსკიმ მიწყალობაო. და ამგუარი მრავალი მელაპარაკა» (იქვე, 227). – სწერს ორბელიანი დემ. ჯორჯაძეს 1859 წლის 31 ოქტომბერს.

აკაკი გაწერელია ამ შეხვედრას მოხდენილად უწოდებს მათი ურთიერთობისა და კავკასიის ომის ფინალს. მისი აზრით, კავკასიის ამ ორი ბუმბერაზი მოწინააღმდეგის შეხვედრა, მართლაც რომ «ძალზე ლირიკულად ჟღერს.»

გადაიარა კავკასიის ომების მქუხარე ხანამ. საბოლოოდ დამშვიდდა, გაყუჩდა რუსის მახვილს დამორჩილებული კავკასია. დრომ დავიწყების საბურველში გაახვია, სიმძაფრე შეუნელა სასტიკ და დაუნდობელ ბრძოლათა სურათებს. გარემომ იმდენად იცვალა ფერი, რომ ათეული წლის შემდეგ გაოცებული ეკითხება პოეტი გენერალ გოდლევისკის, «ნუ-თუ მართლა კავკასიაში იყო ასეთი გამწვავებული ომი და ამ სისხლის ღვრაში ჩვენ ვიღებდით თვითონ მონაწილეობასა? იქნება უსაქმური ხალხის უბრალო რამ მონათხრობიც იყოს? უნებურად მეზადება ასეთი კითხვები, დღეს რომ დაღესტანსა და მთლად კავკასიაში დაუჯერებელსა და ღრმა მშვიდობიანობასა ვხედავ გამეფებულსა. მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი ერთი ზღვიდან მეორემდისა და არარა იცი, მკვდარია თუ სძინავს მას? ქარავნები უდარდელად მიმოდიან; უფსკრულებზე რკინის ხიდები გაუდვიათ, გუნიბს ეტლები მიჰქრიან; არსად

ხსენება მტრობისა, არცა სიძულვილი! ნუთუ ეს სასწაული არ არის?» (მეუნარგია, 1941, 102).

გრიგოლ ორბელიანის დაღესტანში გატარებული წლების ეპისტოლარული მემკვიდრეობა საყურადღებო მასალის შემცველია, მისი როგორც ადმინისტრატორის, სარდლის, მეომრის დასახასიათებლად. იგი იყო უბრალო ადამიანებთან ლმობიერი, გულმოწყალე ხელმძღვანელი, რომელიც თავისი დიპლომატიური ალღოს, გამჭრიახი გონების, ფრთხილი, მოქნილი პოლიტიკის და პრაქტიკული გამოცდილების წყალობით ყოველთვის ახერხებდა ნდობისა და პატივისცემის გამოწვევას მოწინააღმდეგეში. მის უდავო ნიჭიერებას და დიპლომატიურ წინდახედულებას ერთხმად აღიარებდნენ, როგორც რუსი მთავარმართებლები, რომლებიც ორბელიანს რუს გენერლებზე მაღლა აყენებდნენ, ასევე დაღესტნელი ისტორიკოსები და თვით მისი ყველაზე მძვინვარე მოწინააღმდეგე-შამილი.

როგორც აღნიშნავენ, მართალია კავკასიის ომების ისტორიაში ორბელიანის წვლილი განუსაზღვრელია, მაგრამ «ომის მატთანეში მის ნიჭსა და სახელმწიფო მოღვაწეობაზე მაინც ძუნწადაა ლაპარაკი» (მაღრაძე, 1975, 215). საბედნიეროდ, მრავლისმთქმელია მისი ბარათები ოჯახისადმი, მეგობრებისადმი, სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწეებისადმი. იგი თავად არის საკუთარი კავკასიური ბრძოლების მემატთანე და ამასთან მის პირად წერილებში ნელ-ნელა, თანდათანობით იკვეთება, ცოცხლდება XIX საუკუნის კავკასიური რეალიები, იძერწება ერთიანი მონუმენტური სურათი XIX საუკუნის კავკასიისა.

პოეტის ბარათები მრავლისმომცემია, როგორც მისი ბიოგრაფიის, ასევე კავკასიის ბრძოლების ისტორიის, კავკასიის მთიელი ხალხის ყოფის, ადათ-ჩვევების, ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისით. იგი საოცრად ზუსტად, ამომწურავად გვისურათხატებს კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობას, ბრძოლას რუსული პოლიტიკის გასატარებლად, ოდითგან თავისუფალი ხალხის დასამორჩილებლად, კავკასიის მაღალ მთიანეთში კლდეებიდან ზათქით დაშვებულ ჩანჩქერებსა და მთის მწვერვალებზე მონავარდე არწივების სამეფოს.

თავი V

გრიგოლ ორბელიანის წერილები ოჯახთან და ახლობლებთან

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების აზრსა და ნუგეშს და-ძმანი წარმოადგენენ. ზაქარია, ეფემია, ილია და მათი შთამომავალნი პოეტის სალოცავი ადამიანები იყვნენ. მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორ ზრუნავს გრიგოლი და-ძმებსა და მათ მემკვიდრეებზე.

გრიგოლის და-ძმანი თავისი დროის შესანიშნავი ადამიანები იყვნენ. ზრდილნი, მამულიშვილობის გრძნობით გულანთებულნი, განათლებულნი. სამაგალითოა მათი და-ძმობაც.

როგორც იონა მეუნარგია წერს: «გრიგოლმა რაკი სიღარიბეს დააღწია თავი, მთელი თავისი ღონისძიება თავის დაცემული ოჯახისა და გვაროვნობის აღდგენას მოახმარა. ვერ წარმოიდგენს, ვერ დაიჯერებს დღევანდელი ქართველი, რომ შეიძლებოდას ასეთი თავგანწირული სიყვარული ძმათა და ნათესავთა, როგორსაც ვხედავთ ჩვენ პოეტის წერილებში და ცხოვრებაში. ჭეშმარიტად ყოველს მოძღვრებაზე უკეთესად, ყოველს ქადაგებაზე უძლიერესად მოქმედებს კაცზე პოეტური ნიჭით ცხებული სიტყვა ამა წერილებისა მოყვასთა სიყვარულზე. ნათესავთა და თვისთა სიყვარულს ის განავრცობდა შემდეგში მთელი თავად-აზნაურობის, სრულიად საქართველოს სიყვარულამდე, ყოველ შემთხვევაში, ის ეწეოდა თვისთა, თუ შეძლება მიუწვდებოდა, და ჰგოდებდა, თუ არ შეეძლო ამ შემწეობის აღმოჩენა. ამ თანაგრძნობის აღმოჩენისათვის იმისთვის არ არსებობდა არც სიშორე, არც გაჭირვება, არც თავისი თავის სიამოვნების მოკლება.

ამ დროის წერილები პოეტისა სავსეა ოჯახის გარემოების აღწერით, პრიკაზის ვალის გადახდა, ზაქარიას შვილის გაზრდა, თავისი ძმის ილიკოს წარმატება, ბიძაშვილების და მოყვარეთა სიკეთე, – აი რა იყო მისი სამუდამო

ზრუნვა სამსახურის გარეშე» (მეუნარგია, 1941, 69). თუმცა მოგვიანებით, როდესაც პოეტის ბუნების ორმაგობის პრობლემამ იჩინა თავი, მას დისა და მისი ოჯახისადმი გულგრილობაში დასდეს ბრალი. ამ ბრალდების საპირისპიროს დადადებენ გრიგოლ ორბელიანის ბარათები. იგი ყოველთვის დახმარების ხელს უწვდის დას და მის ოჯახს. წუხს ეფემიას ოჯახის ტრაგედიას.

«–მელიტონის უიმედოდ ავთიმყოფობამ ძალიან შემაწუხა. – მთელი დამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს. – რა უნდა ჰქნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლად ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ანუ რით გადაიხადოს ვალები, რომელიცა უეჭველად ბევრი დარჩება. ...ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში... – იმედი მაქვს, რომ თუ ბარონ როზინი მანდ არის ნიკოლაი იოსებიჩისა და მუხრან ბატონის შემწეობით პენციაზე წარადგინოს ეფემია. – ეს ერთი ღონისძიება არის საბრალო ეფემიასათვის სანუგეშოდ. – ჩუენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა. ახ! ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩუენი. ოხ! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყუარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არა შეეძლოს შემწეობა. – მომწერე, გეთაყვა ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწვრილებით, ნურას დამიმალავ ჩემს სანუგეშოდ» (ორბელიანი, 1936, 28). – გულდაკოდილი და სულით ხორცამდე შეძრული სწერს ძმას, ზაქარიას გრიგოლი და თან კითხულობს, რამდენად შესაძლებელია, ეფემიას ორბელიანთა ოჯახში დროებით მოთავსება.

1845 წელს ეფემიას ოჯახს ახალი განსაცდელი კვლავ არღვევს გრიგოლის სიმყუდროვეს. “ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე. ამ ამბითა, რა უნდა ჰქნას სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი, ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად. – ამდენს ჩვენის თავის ვაი ვაგლახს ესლა გვაკლდა; რა უყოთ რითა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს

სრულიად, ნეტავი მოვკუდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე» (იქვე, 106). – სწერს გრიგოლი ზაქარიას.

პოეტი «სიწრფოებით» ითხოვს აგრეთვე თავისი საყვარელი დისშვილის ტატოს ამბავის შეტყობინებას. - «ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? – უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავთმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირათ მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. – ან ეს დამალვა რა არის? – თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? – აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავთ გამხადეს... თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით...» (ორბელიანი, 1936, 118). - სთხოვს ძმას ილიას.

უბედურება მოსდგომია კარს ბარათაშვილთა კარ-მიდამოს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ დასაწყისია იმ ტრაგიკული სერიისა, რაც ორბელიანთა ოდესღაც სვებდნიერ გვარს თავს დაატყდება...

გრიგოლ ორბელიანს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დის, ბაბაღეს ბედის არჩევაშიც. «ძალუაჯან გეტყვანე, ერთი იფიქრეთ კარგად და უშოვნეთ შესაფერი ქმარი ჩემს დისწულს ბაბაღეს, ესე იგი ეფემიას ქალსა. ჩემის მხრით შემძლიან მივსცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად. – აბა იმაზე დაელაპარაკეთ იმის დასა კატოსაცა» (იქვე, 194). – სწერს ქეთევანს, 1936 წელს.

«ამასწინათ გთხოვე ძალუავ, რომ ეგებ ერთი კარგი სასიძო იშოვნოთ სადმე ბაბაღესათვის, რომლისათვისცა გადმიდვია ასი თუმანი მზითვად. მეტი არ შემძლიან, - კახეთში ანუ ქართლში მოსძებნეთ როგორმე ჩემო ძალუავ» (იქვე, 199). – შეახსენებს რძალს მოგვიანებითაც. როგორც ჩანს ქეთევანის მცდელობამ შედეგი გამოიღო და მალე გამოჩნდა სასიძოც, მაგრამ არა კახელი ან ქართლელი, როგორც მოსიყვარულე ბიძას სურდა, არამედ რუსი ოფიცერი. ამასთან დაკავშირებით იგი სწერს ქეთევანს «მე არ დაგიმალავთ ჩემს ჰაზრსა და მოგახსენებთ ცხადად: მე მსურდა, რომ ბაბაღე საქართველოში შეერთო ვისმე თავადისშვილებთაგანსა, რადგანაც ბაბაღემ არ იცის რუსული, და მამასადამე,

ჩემის ანგარიშით, ვერცა შეითვისებს რუსულს ჩვეულებასა და ცხოვრებასა. – მე იქნება ამაში ვიყო შემცდარი, მაგრამ ესკი იყო მიზეზი, რომ უფრო მინდოდა შეერთო ქართველსა! – ახლა თქვენ იცით; შეიყარენით თქვენ... არჩიეთ, აიღეთ – დაიღეთ და როგორც კეთილი დაინახოთ ისე იქმნას!» (ორბელიანი, 1937, 139).

მომდევნო წლებში კი, როდესაც ბაბალეს შესაფერი არჩევანი უკვე გაკეთდა, გრიგოლი არა მარტო ლოცვა-კურთხევას უთვლის, არამედ საქორწილოდ 100 თუმანი შეუწევია გადარიბებული დის შვილისათვის და შემდგომ დახმარებასაც ჰპირდება. – «ბაბალეს გათხოვისათვის ითხოვთ ჩემს თანხმობას. – ვეზიროვს ცოტად მეც ვიცნობ და როგორც მახსოვს კარგი ყმაწვილი კაცია და ჭკვიანიცა. – მე ჩემის მხრით, მიკურთხებია მაგისი გვირგვინი, და საქორწილოდ შემომიწევია ასი თუმანი. – და შემდეგ რასაც ღ-თი შემადლებინებს ჩემს ბაბალეს არ მოვაკლებ შემწეობასა... ღ-თია მოწამე, რომ ამ ხელად მეტი არ შემიძლიან, თორემ მეტს მივსცემდი და შემდეგ კი რაც შემიძლიან ჩემს ბაბალეს არას დავაკლებ ყოველს წელიწადს, ვიდრე ვარ ცოცხალი, და მასუკან თვითონ იცის» (ორბელიანი, 1937, 171-172).

ცენტრალურ სახელმწიფო-საისტორიო არქივში დაცულია პატარა ჩანაწერი: «1856 წელსა. – ივან მინაიჩს მირზოევისა მმართველს მე ასსამოცი თუმანი თეთრი ფული, რომელიცა დავხარჯე ჩემის დისწულის ბაბალეს საქორწინოდ». – წერს პოეტი. როგორც ჩანს ვალის დაბრუნება გაცილებით გვიან ათიოდე წლის შემდეგ მომხდარა. ამას პოეტის მეორე ჩანაწერი გვიდასტურებს: «1866 წელსა 24 დეკემბ: ზემოხსენებული ასსამოცი თუმანი თეთრი ფული, რომელიცა მემართა ვალად გაუგზავნე ივან მინაიჩსა მირზოევს ნინიკას ბაქრამეს ხელითა, და ამით შევასრულე ჩემის ვალის გადახდა» (არქივი, ფ. 5, 9).

საერთოდ, გრიგოლის «მემკვიდრეობაში» ხშირია ნიმუშები იდეალური დამოებისა. ხშირია ხელის გამართვა საყვარელი დის ოჯახისათვის. იგი ფულითაც ხშირად ეხმარება ძვირფას ადამიანებს და ცდილობს შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოს ცხოვრების მძიმე ხვედრი.

«გრ. ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან თუ ბრწყინვალე ლირიკული შედევრებიდან, ეგზომ დიდი სათნოებითა და სიფაქიზით

შემოგვეყურებს პოეტის დის - ეფემია ორბელიანის პიროვნება» (ევგენიძე, 1995, 12).

«პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდის ინტიმური ლირიკის მიმოხილვა შეიძლება დავიწყოთ მისი ერთ-ერთი შედეგით «ჩემს დას ეფემიას». ესაა პირადი უბედურების უაღრესად ძლიერი პოეტური საღებავებით გამოსახვის ნიმუში, ელეგია პოეტის გაცრუებული იმედების და მცირეოდენი ნუგეშის სხივი, რასაც წმინდა მეგობრობა იძლევა» (მაღრაძე, 1975, 421). - აღნიშნავს ე. მაღრაძე.

ამ ბრწყინვალე ლექსს კიდევ ერთი დიდი ღირსება გააჩნია, იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ეპისტოლარული ლირიკის შედეგად. ეს დისადმი მიძღვნილი ერთი შეხედვით ელეგიური, ინტიმური ლექსი «შორს სცილდება ვიწრო ოჯახურ ფარგლებს, როგორც წყობით, ხასიათით, ასევე შინაარსითა და ეხება ზოგად-საკაცობრიო პრობლემას, ადამიანის ბედის მარადიულ თავსატეხს» (იქვე, 423).

ლექსი დაწერილია რიგაში 1835 წელს და არა თუ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც ძნელად შეხვდებით ასეთი სუფთა და ღრმა გრძნობით და-ძმობის თემაზე დაწერილ ლირიკულ ნაწარმოებს, «რომელიც პიროვნულ-ინტიმურში ათავსებს ასე ღრმად ზოგადსა და ფილოსოფიურ წყობას განცდისა და აზრისა» (ევგენიძე, 1995, 225).

ქართული ეპისტოლარული ლიტერატურისათვის, უცხო არ არის ლექსის სახით დაწერილი ბარათები. XIX საუკუნეც მრავლად იცნობს მიძღვნილი ხასიათის ლექსებს. ასეთი ფორმის ლიტერატურულ ნაწარმოებებს მრავლად ვხვდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკის, ვაჟას და სხვა მწერალთა შემოქმედებაში, მაგრამ ბარათის სახის უქონლობის გამო, ყველა ნაწარმოები ვერ ჩაითვლება ეპისტოლარული ლირიკის ნიმუშად. «ჩემს დას ეფემიას» სწორედ ბარათის სახით არის დაწერილი.

«შენი ლექსებიც მოგეწერა. მე დიდად მომწონს შენს დასთან მიწერილი ლექსი. მთლად ერთიანად პოეზიით არის სავსე» (არქივი, ფ. 481, გვ.20). - სწერს მანანა ორბელიანი 1835 წელს გრიგოლს. ეს არის კიდევ ერთი დასტური ლექსის ეპისტოლარული ფორმისა. იგი გამოხატავს სამშობლოსაგან, ახლობლებისაგან

შორს მყოფი პოეტის სულიერ მდგომარეობას, როგორც პოეტურ აღსარებას, გულახდილ ამონაკვნესს მისი სულიერი ტკივილისა.

უბედურებით სავსე პოეტი, მწუხარებით მიმართავს თავის სისხლსა და ხორცს, ერთადერთ ნუგეშს, ერთადერთ შვებას.

«ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჰკნარსა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ».

ეფემია – სათნო და ნაზი ქალია, ის არსებაა, ვისაც ძალუმს ბოროტი ხვედრი განარიდოს ძმას. ის არის მისი ქარიშხლითა და სიბნელით სავსე გზის მანათობელი «შვების ვარსკვლავი», რომლის მშვიდი და წყნარი ალერსი, სიშორისა და მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, დაჩაგრულ გულს სიცოცხლის ცეცხლით ალაგზნებს და კვლავაც სიცოცხლის სურვილს უბრუნებს.

როგორც აღნიშნავენ, «ჩემს დას ეფემიას» არის ორბელიანის იმ დროის ცხოვრების მხატვრული ისტორია. მისი სტრიქონები, აღსავსე უშუალოებით, ლირიზმით, პოეტურობით გადმოგვცემენ მკაცრი ცხოვრებისაგან დასჯილი ადამიანის სულისკვეთებას» (რადიანი, 1970, 10). პოეტის ვაება უსასრულოა და მისი ერთადერთი სურვილი, ერთადერთი ნატვრა მხოლოდ ისღაა, რომ არ ინებოს უფალმა წუხილით სავსე დღეთა დინების შეწყვეტა, ვიდრე საკუთარი დის მოალერსე ხელით არ ეღირსება მშობლიური მიწის დაყრა.

პოეტი სასოებით მიმართავს თავის დას, გულის საიდუმლოებათა გამგებ, ჭკვიან, სათნო მეგობარს, რომელსაც სიშორის მიუხედავად, ძალუმს მშვიდი ალერსით და ღიმილითა სცეს ნუგეში ძმის ჭმუნვით სავსე გულს.

არც ძმები – ზაქარია და ილია არიან ყურადღებასა და მზრუნველობას მოკლებულნი ბუმბერაზი ძმისაგან, მაგრამ რატომღაც უკუღმა ტრიალებს ბედის ბორბალი და მისთვის ესოდენ ძვირფასი ადამიანები, ყოველთვის განსაცდელსა და ქარტეხილს ერკინებიან. მხიარული ტონის მიუხედავად არც გრიგოლია დალხინებული, თუმცა კი ყოველთვის მზად არის გულწრფელად გაუწოდოს დახმარების ხელი, დამოდვროს, უსაყვედურო ლუკმა უწილადოს და-ძმას.

ცდილობს გზა მისცეს ძმების ნიჭსა და გაქანებას. ცხოვრების ორომტრიალში ყოველ ავს განარიდოს და შეძლებისდაგვარად დააკვალიანოს ისინი.

საინტერესოა 1834 წელს მიწერილი ბარათი ილიასადმი. თავადაც სრულიად ახალგაზრდა გრიგოლი ძმას ურჩევს, რომ მისი ბედნიერებისათვის, უმჯობესია არ დაკარგოს არც ერთი დღე უსწავლოდ, რადგან შემდეგ ვეღარ დაიბრუნებს უქმად დაკარგულ დროს. თავად ძალიან განიცდის გერმანული ენის უცოდინრობას. დიდი სურვილი აქვს მისი სწავლისა, მაგრამ გრძნობს, რომ «სწავლის დრო წასულა». ამასთან ურჩევს, მიაპყრას გულისყური მათემატიკას და ისტორია-გეოგრაფიას.

გრიგოლს ასევე არ მიაჩნია ღირებულად მხოლოდ გართობის მიზნით კითხვა. მისი აზრით, წიგნის გააზრებულად კითხვაა მხოლოდ სასარგებლო, როდესაც «წაკითხულიც დაგრჩება გონებაში». ასეთი რჩევა-დარიგების მიცემას თავისი ახსნა აქვს გრიგოლის მხრიდან: «ყოველს წერილში ამისთანაებს იმიტომ გწერ, რომ მიყუარხარ შენმა გაზდამ, და შენი ბედნიერება მიმაჩნია ჩემად საკუთრად» (ორბელიანი, 1936, 12). – სწერს გრ. ორბელიანი ძმას.

საგულისხმო რჩევა-დარიგებას აძლევს პოეტი ძმას სხვა ბარათშიც, სადაც იგი ურჩევს შექმნას ანკეტური ჟურნალი თავისთვის, რომელშიც დაწვრილებით ჩაინიშნავს ყოველდღიური ცხოვრების სურათებს და აღწერს მის გარშემო მომხდარ ყველა მოვლენას, მისი დაკვირვებით, ამით გონება განმსჯელობას მიეჩვევა. მისი აზრით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ეს ჩანაწერები მიეხმარება კვლავ გააცოცხლოს და სცნოს, თუ რამდენი დრო დაკარგულა ფუჭად (ორბელიანი, 1936, 36).

გრიგოლ ორბელიანმა კარგად იცოდა, თუ როგორი დამღუპველია ახალგაზრდა კაცისათვის ისეთი ვნებანი, როგორიც არის ლოთობა და ქალადის თამაში. ამიტომ ურჩევს თავის ძმას, ილიას ერიდოს ასეთ გართობას, ერიდოს მანამ, სანამ ყმაწვილია და მერე, როდესაც დაღვინდება უკვე ვერაფერი შეძლებს მისი ხასიათის შეცვლას, «რომელიცა ეხლა შენს ხანში არის რბილ. ჩვილ წმინდა სანთელსავით, რომლისა ზედა ის გამოისახება, რასაც დაასომ ბეჭედად». ამასთან ურჩევს ძმას არ დაივიწყოს უკვე ნაწილობრივ ნასწავლი გერმანული და

ფრანგული, არამედ კვლავაც გააგრძელოს მათი შესწავლა, რათა «სხვა მხარეთა» ნახვის დროს არ ინანოს უცხო ენათა უცოდინრობა (იქვე, 36).

ერთი მხრივ უმცროსი ძმის სწავლა-აღზედდა გრიგოლ ორბელიანის ფიქრის საგანი, მეორე მხრივ – ზაქარიას დაოჯახება. იგი მართალია კმაყოფილია, რომ მისი ძმის საცოლეს 700 თუმანი მზითევი აქვს, რაც მეტად წაადგება გაჭირვებულ ოჯახს, მაგრამ იმის მომხრე კი არ არის, რომ ზაქარია საცოლეზე უნახავად დაქორწინდეს - «ეგ დროები წავიდა და მათთან უწინდელნი ჩვეულებებიცა, რომ პატარძალი დედამთილთან ხმას არ ამოიღებდა მანამ არ დაორსულდებოდა, ან ერთი წელიწადი არ გავიდოდა». მისი აზრით, ძმის ბედნიერებისათვის საჭიროა ქალი, ევროპული განათლების მქონე და ზაქარიამაც, ასეთი მნიშვნელოვანი არჩევანი, გულისა და გონების კარნახით უნდა გააკეთოს. თავად მისთვის კი ძმის ცოლი.., ვინც არ უნდა იყოს მისი საყუარელი რძალი იქნება (იქვე, 18). ხოლო დაქორწინების შემდეგ გახარებული ლოცავს შეუღლებულებს და მათი ოჯახური სიმყარის მოსურნე, გონივრულ დარიგებებს აძლევს მეუღლეებს.

- «იყუენით მარადის გულწრფელად და ნურარაი იქნების თქუენ შორის საიდუმლოდ, უკეთუ გჰსურსთ ბედნიერად ცხოვრება. – განჰხსენით გული თქუენი და მასზედა წაიკითხეთ ხასიათისა ურთიერთისა. – იყუენით ურთიერთისა პატივისამცემელნი; ვინაითგან საცა არა-არს პატივისაცემა, არცა არს სიყუარული. – არა დაგავიწყდესთ ნემენცური ამგარიში, ესე იგი, რომ ხარჯი არ გარდამატებდეს შემოსავალსა. ამა კანონის დარღვევა ჰყოფს ესოდენ მრავალთა უბედურად. – მეუღლეობითსა ცხოვრებასა შ-ა, ოდესმე უმცირესი მიზეზი ჰშობს უსიამოვნებასა; ამისათვის ერიდენით და ძალიან ერიდენით, რომ არცა მეგობარი, არცა ნათესავი და თვით ძმაცა თქუენი არ იყუნენ მოწამედ თქუენშორის უსიამოვნებისა, რომელიცა უიმისოდაც განჰქრების მსწრაფლვე. – დაიცევით ესე და-მერწმუნეთ, რომ ცხოვრება თქუენი განჰვლის ბედნიერად» (ორბელიანი, 1936, 27).

პოეტი ყოველთვის გულწრფელად განიცდის საშინელ ომში მებრძოლი ძმების ბედს და უფალს შესთხოვს მათ გამარჯვებას. ბრძოლების დამთავრების

შემდეგ კი ადიდებს და მადლობას სწირავს ღმერთს, რომელმაც მისცა მეომრებს ძალა მტერზე გასამარჯვებლად და დაიხსნა ისინი კიდევ ერთი განსაცდელისაგან (იქვე, 155).

ასევე გულით ხარობს გრიგოლი, როდესაც ზურაბიანნი წინ მიდიან: «- ძალიან, ძალიან მიამა შენი წარდგენა და ცოდნა სამსახურისა. აგრე უნდა შენმაგაზრდამ. კაცმა რა გზაც აღირჩიოს თავის ცხოვრებისათვის უნდა მედგრად ვიდოდეს მასზედ» (იქვე, 41), - სწერს ილიას.

« - მომილოცავს პოდპოლკოვნიკობა, ღმერთმა მრავალჯერ მომალოცვინოს გამარჯვება და წყალობა ხელმწიფისა, და მადირსოს შენი და ილიას ნახვა ერთად მშვიდობიანობით. მაშინ ვიქმნები მე ჭეშმარიტად ბედნიერი და უდარდელი ორს ლომს ძმებს შუა. – მაგრამ შენგან დიდი ხანია წერილი არ მომსვლია და არ ვიცი ჩემი მოგდის თუ არა» (იქვე, 60), – სწერს ზაქარიას. პოეტი ყოველთვის ითხოვს, რომ მასაც ისევე ინტენსიურად მისდიოდეს ბარათები ახლობლებისაგან, როგორც თავად სწერს მათ. საყვარელი ხალხისაგან შორს ყოფნის ტკივილს ოდნავ თუ უქარვებენ მოკითხვის ბარათები, მაგრამ ისინიც ასე იშვიათად მოფრინავენ მისკენ და ისიც არწმუნებთ, უმტკიცებთ, ემუდარებათ, ოღონდ მისწერონ.

« - ჩვიდმეტი ურემი დაბარგული მადლობა მომირთმევია მოწერისა, და ჩემის დაუვიწყებლობისათვის. – უნდა ჩემსავით იყუნეთ დაშორებულ ყოველთა გულის საყუარელთაგან, რომ ჰსცნათ სიხარული ჩემი ჟამსა წერილის მიღებისასა» (იქვე, 34), – სწერს ნინო ჭავჭავაძეს, 1825 წლის 25 ივლისს, რიგიდან.

« - შენკი არც ერთხელ არა მწერ შენს ცხოვრებას... დიდი სირცხვილია შენთვის, თუ იგრძნობ; ჩემს ესრეთს დავიწყებას არ მოველოდი შენგან» (იქვე, 36). – საყვედურობს ძმას ილიას.

«ისე ღმერთმა შენ გასიამოვნოს შენის ცოლშვილით, როგორც მე დღეს გავიხარე შენის წერილით, ჩემო საყუარელო ყაფლან! ჰოო, აგრე უნდა! არ უნდა დამივიწყო; - ფომტას უნდა ხშირად მოჰქონდეს ჩემდა შენი წერილი, რომელშიაც თუ გინდა სულ ნურას დაჰსწერ, ოღონდ კი შენი სახელი ეწეროს.

მარტო შენი სახელი კმარა ჩემთვის!” (ორბელიანი, 1937, 162). – შეახსენებს ყაფლან ორბელიანს.

« - როგორა ხართ, რას ჰშვებით, მომწერეთ და? – დიდი, დიდი თაბახები მინდა თქვენგან ყოველის ამბებით გატენილი» (იქვე, 141). – აფრთხილებს მეგობარს, ბაბაღე საგინაშვილს. დიახ, დიდი თაბახები უნდა ამბებით გატენილი და არა ისეთი წერილები, როგორსაც ილია სწერს მას. «ილიას წიგნი მომივიდა, რომელიცა ისევ უკან გაუგზავნე, ამიტომ, რომ ერთი თაბახი დაბღარჯული სულ ცარიელი ხობოროს და ბობოროს იყო, მოდის სიტყვები გახლავსთ ქალაქშია. თითქოს არც სახლი გვექონდეს, არც საქმეები, რომლისაც შეტყობა ჩემთვის საჭირო არ იყოს. რა უყო! ქართული ანდაზაა ხევრე და ხევრე» (იქვე, 84).

აი, როგორია მისი საყვედური საყვარელი ძმისწულის, გიორგისადმი უკვე სიცოცხლის მწუხრს, 1878 წ. 11 დეკემბერს: «...ნება მომეცით, ვკითხო თქვენსა ჯანმრთელობასა, რა მიზეზია, რომ წერილს არა მწერ? შენს ბარათზე ხომ სრულიად უარი ვსთქვი. სამსახური? უთუოდ დროს დიდს გაკარგვინებს, მაგრამ არა მჯერა, რომ სამხედრო სამსახურისანი ყველანი, ე.ი. მთელი რუსეთის მილიონი მხედრობა, სამსახურისა და დროს უქონლობის გამო, არასოდეს არავის არასა სწერდეს. მაშ, თუ აგრეა, წერას რაღად ასწავლიან, თუ-კი არასოდეს წერა არ შეუძლიანთ» (მეუნარგია, 1941, 143).

ყველას სთხოვს მიწერას. ყველას ეჩხუბება... ბარათები კი იგვიანებენ.

1847 წლიდან ძმის ზაქარიასადმი მიწერილი მხოლოდ ორი ბარათია შემორჩენილი. მოულოდნელად ზაქარია ხოლერის მსხვერპლი გახდა და გულდამწვარი გრიგოლიც ზრუნავს მიცვალებულის გაპატიოსნებაზე. საფლავის ადგილის შერჩევაზე, ძმისათვის ძვირფას ადამიანებზე, დაქვრივებულ რძალზე, ქეთევანსა და დაობლებულ სანდრიკოზე. «ძალუავ, რაღა გევედრო, რომ თქვენი ამბავი და სანდრიკოსი ხშირად მაცნობოთ. – ჩემი ნუგეში თქვენა ხართ» (ორბელიანი, 1936, 155). – სწერს რძალს 1847 წლის 8 სექტემბერს. «ძალუავ, გული გაიმაგრეთ, არ უნდა მიეცეთ სამარადისო მწუხარებასა, თქვენ ახლა ეკუთვნით თქვენს შვილსა, მისთვის გმართებსთ სიცოცხლე» (იქვე, 156). – ანუგეშებს მგლოვიარე ქეთევანს 1847 წლის 22 სექტემბერს. მთელი მისი ყურადღება და

მზრუნველობა მათკენ არის მიმართული. ახლა მათ სჭირდებათ ახლობლის დახმარება, გრიგოლის ძლიერი ხელი... და ისიც უშურველად უნაწილებს თავისი გულის სითბოს, ეხმარება ნივთიერად, უგზავნის ფულს, რჩევა-დარიგებას არაკლებს და უგზავნის გამამხნეველ წერილებს, სადაც ხანდახან მაინც გაიჰარება ხოლმე სევდიანი და უიმედო ფრაზები, რომ მუხთალი ცხოვრებისაგან სიხარულს აღარ ელის, რომ ყველაფერი უკვე დასრულდა...

გრიგოლ ორბელიანი ცდილობს შეძლებისდაგვარად შეასრულოს ძმის უკანასკნელი სურვილი და სწავლა-განათლება მისცეს სანდრიკოს. იგი მზადაა საკუთარი ხარჯი გაიღოს ობოლი ძმისშვილისათვის. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლის მიერ დაწერილი თითქმის ყველა წერილი, სანდრიკოს სწავლას ეხება.

«ჩემო საყვარელო ილიკო!.. ამასწინად ძალუას მოვსწერე სანდრიკოსთვის და ვჰსთხოვე მისი აქ გამოგზავნა სასწავლებლად. საწყაალს ზაქარიასაც ეს ფიქრი ჰქონდა, რომ აქ აპირებდა მის მიბარებას კსიონზთან, რომელიც არის დიახ კარგად ნასწავლი, და დიდის სიამოვნებითაც მიიღებს სანდრიკოსა. – ასწავლის რუსულსა, ლათინურსა და ფრანციცულსა; არიფმეტიკას, ალღებრას და ლეომეტრიასა, ამის გარდა ისტორიას, ლეოლრაფიას და სლოვესტნოსტსა. – ეს მგონია კმაროდეს, მანამ უმაღლეს სასწავლებელში გადვიდოდეს სანდრიკო. ჩემი ფიქრი ეს არის, და თუ თქვენ მანდა უკეთესს ადგილს იშოვნით მაცნობეთ» (ორბელიანი, 1936, 157). – სწერს 1847 წლის 19 ოქტომბერს ძმას, ილიას.

როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანს გარკვეული გეგმა ჰქონია შედგენილი სანდრიკოს სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებით. «სანდრიკოს მიბარებას იწერები რაევსკისთან; მე სწორედ გითხრა არ ვიცი რაევსკის პანსიონის ღირსება და არცა ღაკს ვიცნობ; და თუ კარგად ასწავლიან 250 რუბლად, იყოს მანდა; მე ვიკისრებ მაგ ფულის მიცემასა ტრეტობით.

მაიორი კუტუზოვი ჩემი პოლკიდან გადადის ინსპექტორად თბილისის ღიმნაზიასა; ესე მთხოვს წერილითა, რომ სანდრიკო მას მივაბაროთ, ასე რომ სასწავლებლად ივლის ბლალგოროდნის პანსიონში და დგომით იქნება კუტუზოვთანა, რომელიც თავისუფალ დროს მას ასწავლის ენებს ფრანციცულსა,

ნემენცურსა და რუსულსა, რომელნიცა იცის ზედმიწევნით. - ...სანდრიკო მასთან ყოფნითა ადვილად ისწავლის ენებსაცა და ყოფაქცევასაცა...

მეორე პლანი სანდრიკოს სწავლისათვის, როგორც ადრე მოგწერე შენცა და ძალუასაცა, ეს არის, რომ აქ გამომიგზავნოთ გაზაფხულზე, მივაბარებ კსიონზსა და ვასწავლებინებ ენებსა ფრანციცულსა, ნემენცურსა და რუსულსა, თუ გინდა არაბულსაცა. – ამასკი გთხოვთ მალე გადაწყვიტოთ მაგ ყმაწვილის საქმე და ერთს გზაზედ დააყენოთ. – აქ ადვილად შემიძლიან უშოვნო მაგას ოსტატი, რომელიცა ასწავლის დეოდრაფიას, ისტორიას, მათემატიკას და სხუათა. – იანგარიშეთ ისე შემატყობინეთ მალე, რომელს ირჩევთ ამ სამს პლანში, რაევსკის პანსიონსა, კუტუზოვსა, თუ აქ გამოგზანასა?» (ორბელიანი, 1936, 165-166). – ეს წერილი 1848 წლის 3 იანვრით თარიღდება.

გრიგოლის შედგენილი პლანებიდან არჩევანი რაევსკის პანსიონზე შეჩერდა. თუმცა, როგორც მალე გაირკვა, იგი ვერ აკმაყოფილებდა ცოდნას მოწყურებული ყმაწვილის ინტერესს და გრიგოლიც წუხს, რომ დაობლებული ძმისშვილი უსწავლელი არ დარჩეს.

«ერთი სწორედ გადაწყვიტეთ ეს საქმე; ხუმრობა ხომ არ არის, დრო მიდის, ყმაწვილი იზრდება, მეშინიან, არ დარჩეს უსწავლელი» (იქვე, 175). – სწერს ქეთევანს. (1848 წ. 31 მაისი).

იგივე საკითხს ეხება ილიასადმი მიწერილი ბარათიც: «დიდად ვსწუხვარ სანდრიკოსათვის, რომ აგრე თურმე უსწავლელად ჰრჩება, და თუ მართლა აგრეა, რომ არასა ჰსწავლობს, მაშ რათ აძლევთ 25 თუმანს წელიწადში? – ერთი შემატყობინე, ჩემო ილიკო, შენი ფიქრი მაგ ყმაწვილისათვის, როგორ უნდა და ანუ სადა მისცე სასწავლებლად. – . . . არ შეგიძლიან, რომ გამოჰკითხო კარგად აქეთ-იქით და შეიტყონ, რომელი არის კარგი სასწავლებელი პეტრებულს ანუ მოსკოვს, და ანუ სხვაგან, რომ იქ მივაბაროთ, თუ მანდ ვერა უსწავლიარა. – საკურველია, მაგოდენა თბილისში როგორ არ უნდა იყოს ერთი კარგი სასწავლებელი?» (იქვე, 186. 1848 წლის 1 ოქტომბერი).

«ძალიან შევსწუხდი სანდრიკოს აგრე უსწავლელობისათვის აქამომდის. რა ვჰქნა არ ვიცი, რა წამალი უნდა მაგის გაზრდასა. მე რომ სწორედ ვიცოდე რომ

დიდი ხანი დავრჩები აქა, მაშინ მოვიყვანდი ჩემთან, და მოვამზადებდი ასე რომ მიეღოთ ანუ პრავოვიდენიეში, ანუ ინჟენერის კორპუსში, ანუ არტილერიის უჩილიშჩეში... – თუ მანდ, მართლად, არავინ იპოება კარგი ოსტატი, მაშინ უნდა მთავარმართებელს ჰსთხოვოს ილიამა, რომ გაგზავნონ კორპუსში... ირწმუნე, ძალუავ, რომ მე სანდროკოსათვის არას დავიმურებ, ოღონდკი კარგად გაიზარდოს და არ დარჩეს უსწავლელი» (იქვე, 191. 1849 წ. 25 მარტი).

სანდრიკო პეტერბურგს მიემგზავრება. თითქოს ყველაფერი გვარდება, გრიგოლიც კმაყოფილია. ახლა უკვე პეტერბურგისაკენ მიფრინავენ მისი ბარათები. სანდროს წერილები კი ყოველთვის იგვიანებს. «დიდი ხანია თქვენი წერილი აღარ მომსვლია და არცა სანდროს ამბავი შემიტყვია; ფულებსაც უგზავნი, მაგრამ მაინც არასა მწერს. მითომ სწავლაში ასე გართულია, რომ დრო აღარა აქვს მოწერისათვის. – ნეტავი კარგად ისწავლოს და მე სულ ნუ მომწერს» (ორბელიანი, 1936, 149), სწერს ქეთევანს 1855 წლის 15 ნოემბერს. მაგრამ კვლავ ღრუბელი იკრიბება ორბელიანთა თავს. პეტერბურგში მოულოდნელად გარდაიცვალა სანდრიკო. ერთი სანთელიც ჩაქრა წარჩინებულ გვარში. კვლავ უნაპიროა პოეტის მწუხარება.

«გუმინ, მხოლოდ გუმინ, შევიტყე ჩემი ახალი უბედურება, ჩემის ოჯახისასა დამხოზა ძირიანად, უდროოდ დამიწება ჩემის სულიერის შვილისა სანდროსი, რომელიცა მეგულებოდა ჩემის ძმების სამაგიეროდ და ვნუგეშობდი მით მოხუცებულების ჟამსა! –

ოჰ ღმერთო, რა საშინლად მჰსჯი ცოდუათა ჩემთათვის! – ახლა რაღა უნდა გვეკონდეს ჩვენ სასიხარულოდ ამ სოფელში? რაღას უნდა მოველოდეთ მომავალში? – დავრჩით ასე უწყალოდ უნუგეშად მეცა და შენცა, ჩემო უბედურო ძალუავ! – რა ვჰქნა, სად წავიდე, სად დავიკარგო ესოდენის ვაებისაგან? – ამასაც მოვესწარ! – პირიმღუთისამ მოგცესთ თქვენ ნუგეში!» (ორბელიანი, 1937, 155). – სწერს ქეთევანს.

სანდრიკოს გარდაცვალების შემდეგ პოეტს მოხუცებულობის ერთადერთ ნუგეშად, უმცროსი ძმის, «მსხვილბარკლიანი ილიას» ვაჟი – გიორგი დარჩა. იონა მეუნარგიას, პოეტის არქივზე მუშაობისას, ასზე მეტი წერილი აღმოუჩენია

გრიგოლისაგან ილიას ქვრივის, ბარბარე ბატონიშვილისადმი მიწერილი. ამ წერილებში ცხადად ჩანს პოეტის გადამეტებული ზრუნვა ობოლი ძმისწულის ბედისადმი. «საცა უნდა ყოფილიყვნენ გიორგი და დედამისი – შვეიცარიაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში – პოეტი მათთან იყო სულით, გულით და მათთან ერთად არჩევდა სად და რა ესწავლა გიორგის, რომელ ქვეყანაში დამდგარიყო, რა საზოგადოებასთან დაეჭირა კეთილი განწყობილება, რომელს დაჰშორებოდა, რა მიმართულება მიეღო მისს ხასიათს და სხვა» (მეუნარგია, 1941, 153). - წერდა ამ ბარათების გაცნობის შემდეგ იონა მეუნარგია.

ორბელიანი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ «ნასწავლი, კეთილი და მტკიცე ხასიათისა», არამედ ღრმად მორწმუნეც, ამიტომ როდესაც გიორგის დედამ ინგლისიდან გადასვლა დააპირა, იგი რძალს ურჩევს შვეიცარიაში ან გერმანიაში დასახლებას, რადგანაც უნდა, რომ «გიორგის ნორჩი გული სარწმუნოებით იყოს განმსჭვალული, ურომლისოდაც კაცი ამ ქვეყნად უბედურია». სურს, რომ მისი ძმისწული «მართლმადიდებელი და ევროპის მეცნიერებით განათლებული, საფრანგეთის ახალ ფილოსოფიის ბიწიერ იდეებით წაურყვნელი ქართველი იყოს» და მიიჩნევს, რომ სასურველია იცხოვრონ «რაც შეიძლება პარიზზედ შორს: იქ დაუდევს ბინა ღმერთს გარყვნილებისა და განხრწნილებისა მთლად თავისი გრძნეული ცთუნებებითა» (მეუნარგია, 1941, 154. 1866 წლის 8 იანვარი).

პოეტი განიცდის იმასაც, რომ გიორგის დიდხანს მოუწია სკოლის გარეშე, დედისა და გუვერნიორის გარემოცვაში ყოფნა, რასაც შესაძლებელია მავნე ზეგავლენა მოეხდინა თოთხმეტი წლის ბიჭის ხასიათის ჩამოყალიბებაზე. შესაძლებელია იგი შექმნილიყო «თავის ქეიფა, ქალური ხასიათისა». მისი გონებისა და მეტყველების ნიჭის განსავითარებლად უფრო ნაყოფიერი ნიადაგი სასწავლებელი იქნებოდა, რადგან, "მისი ნება, აზრი, შეხედულება და სურვილი თითოეულს ფეხის გადადგმაზედ სხვა ამხანაგების ნებასა, აზრსა და შეხედულებას უნდა დაუპირდაპირდეს და შეებრძოლოს. აი, სწორედ ეს წინააღმდეგობა და დაუსრულებელი შეტაკებაა ცოცხალი სიტყვისა და აზრისა ის

უხილავი ძალა, რომელიც ბავშვს ხასიათს შეუმუშავებს, თავის დროზედ პრაქტიკულ ადამიანად აქცევს» (მეუნარგია, 1941, 154. 1866 წლის 23 ნოემბერი).

სკოლაში შესვლის შემდეგ კი ურჩევს გაკვეთილებს ერთგულად შეუდგეს და დროის მოთხოვნილებას არ ჩამორჩეს, რადგან უსწავლელი კაცი თითქმის გამოუსადეგარ არსებად ქცეულა (იქვე, 155. 1872 წლის 10 ივნისი).

ცხადია, უცხოეთში ცხოვრებას და სწავლას ბევრი ხარჯი სჭირდებოდა და გრიგოლიც არ იშურებს შეძლებას, რათა თავისი თანხა მცირეწლოვანის რენტას წამატოს და გიორგიმ ისეთი განათლების მიღება შეძლოს ორბელიანს რომ ეკადრება.

პაჟთა კორპუსის შესრულების შემდეგ გიორგი ლეიბ-გუსარის პოლკში განაწესეს, მაგრამ მალე ომი დაიწყო და მას მცირე აზიაში მოუწია წასვლა, რამაც მეტად შეაშფოთა პოეტი, გიორგი ხომ ერთადერთი შტოლა იყო ორბელიანთა გვარის ბებერ და ოდესღაც ძლიერ ფესვებზე ამოზრდილი. სურდა, ძმისწული სულ გვერდით ჰყოლოდა, მაგრამ გიორგის სამსახურეობრივი მდგომარეობა მუდამ შორს ყოფნას მოითხოვდა და ბიძაც წერილების დაგვიანებისათვის საყვედურს არ უღევდა საყვარელ ძმისწულს.

ასევე ძლიერ უყვარდა გრიგოლ ორბელიანს ნათესავები, ბიძები, ძალები – ელისაბედ, ქეთევან, ბარბარე, ნინო; დეიდაშვილები (ხშირად მოიხსენიებს დეიდაშვილ ნინას) და ბიძაშვილები, მაგრამ ახლობლებისადმი მიწერილ ბარათებში ყველაზე ხშირად ყაფლან ორბელიანის სახელი ფიგურირებს. პოეტის დამოკიდებულება ყაფლანისადმი გამორჩეულია. ყაფლანი «ოხვრის კვიპაროზია» (თუმცა თავადაც არ იცის ეს რას ნიშნავს), «მთელი იყლიმის თვალია», «ნადირშაჰის ჯიღა» და «ბარამჯიბილია», გრიგოლის «თაიგული» და თვალის სინათლეა, ამიტომაც ურჩევს ორბელიანთა ქალ-რძალს, რომ არ გააჯავრონ, არ შეაწუხონ, არ მოაბეზრონ დედაკაცური ლაპარაკებით, არამედ ფარვანასავით თავს შემოეკლნენ. თუ არა და «მაგ თქვენს ქუჩასა ერთანად გადავსწვავ»-ო (ორბელიანი, 1937, 122), - «მრისხანე მუქარას» უთვლით მათ.

ზასედატლობა ყოფილა ყაფლანის ის «წყეული და საგინებელი» თანამდებობა, რომელიც ხშირად თავსატეხს უჩენდა პოეტს. «-სულ მაგის

პოდსუდობისა მეშინოდა, და ახლა მიხარიათ გულით, რომ განსაცდელს გადარჩენია» (იქვე, 61), - სწერს გრიგოლ ორბელიანი ილიას 1853 წლის 13 აპრილს. «ახლა, ჩემო ყაფლან, შენ რასა ჰშვრები? კიდევ ზასედატლობაზედ ხელი ვერ აიღე?» (იქვე, 110). – სწერს ბიძაშვილს 1855 წლის 11 იანვარს.

ყაფლანის წერილი იმდენად ახარებს, რომ მზადაა საციმბირო ტუსაღს მურახასი უყოს ანუ თავისუფლება უბოძოს. «-ხომ იცი, რომ ზაქარია, ილია და შენ ჩემთვის იყავით ერთი და იგივე, და სამთავე ძმათა არა გვიამებოდარა უშენოდ. – ახლა მარტო შენდა მყევხარ, ნუგეშად, და ზოგჯერ ხუმრობისათვის არ უნდა დამემდურო» (იქვე, 149-150). - სწერს 1855 წლის 15 ნოემბერს.

«ისე ღმერთმა შენ გასიამოვნოს შენის ცოლშვილით, როგორც მე დღეს გავიხარე შენის წერილით, ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან! ჰოო, აგრე უნდა! არ უნდა დამივიწყო; ფოშტას უნდა ხშირად მოჰქონდეს ჩემდა შენი წერილი, რომელშიაც თუ გინდა სულ ნურას დაჰსწერ, ოღონდ კი შენი სახელი ეწეროს, მარტო შენი სახელი კმარა ჩემთვის!» (იქვე, 162). - სწერს 1856 წლის 23 მარტს, თუმცა ასეთი სიყვარულის მიუხედავად, როდესაც დროსტარების საფლობში ჩაფლული ყაფლან ორბელიანი ფულის მოსაპოვებლად, მამაკაპურ მიწაზე თათრების დასახლებას დააპირებს, პოეტი რისხვად ატყდება თავს ვერცხლისმოყვარე ბიძაშვილს, «ეხლავ გიცხადებ, ეგ არა ჰქნა, თორემ ჩამოვალ და ცხვირს გაგიტებ» (ევგენიძე, 1995, 33). - ემუქრება დაღესტანიდან.

გრიგოლ ორბელიანის სიტყვას, საოცარი უნარი შესწევს ნუგეშისცემისა. მისი თანაგრძნობით სავსე ბარათები, თითქოს ერთგვარი სულიერი საოხია სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანებისათვის. გულწრფელი ნუგეში-დამწუხრებულ ჭირისუფალთათვის, ქრისტიანული ოპტიმიზმით სავსე მომავლის გზის ჩვენება. ასეთი ბარათები მრავლად შემოგვინახა მისმა ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ, როგორც ადამიანური გულისხმიერების უბადლო ნიმუშები.

« - მანანავ! – სწერს პოეტი მ. ორბელიანს – ვინძლო უბედურებამან არა გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა. – გარდამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ღ-თისა. მიჰხედე შენ წვრილშვილებს, რომელთაცა მფარველად დაჰშთი მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათთვის უნდა იცოცხო, მათთვის უნდა

მოთმინო ყოველგვარი უსიამოვნება და ტანჯვა; თვითეული ჟამი, თვითეული დღე შენისა სიცოცხლისა უნდა უმსხვერპლო მათ. – ეს არის დიდი ვალი შენი, ვალი დედისა. – ამა მიზეზთა გამო გამხნევი სულითა, შეძლებისამებრ განაგდე ყოველივე მწუხარება და მედგრად შეუდეგ და ადასრულე ვალი შენი.-ყოვლისა შენის ფიქრის საგანად უნდა იყუნენ შენნი შვილნი და მათი ბედნიერება» (ორბელიანი, 1936, 38).

მართალია, ეს ვითომ ერთი შეხედვით ბედნიერი ცხოვრების ელფერით მცხოვრები კაცი, ბედმა უმწარესი და უმძიმესი ტრაგიკული ტვირთის მზიდველი გახადა, მაგრამ იგი თვითონაც საოცარი ქრისტიანული მორჩილებით იღებს მძიმე განსაცდელს და ახლობელთაც მოუწოდებს, რომ უბედურებას შეხვდნენ «აუცილებელის მოთმინებით და სასოებითა». მისი აზრით, ადამიანმა უნდა შეძლოს ცხოვრებისაგან მიყენებული ტკივილების ქრისტიანული მოთმინებით მიღება და ამით დაძლევა მძიმე განსაცდელისა.

ა) პოეტური შთაგონების ობიექტები «მშვენიერი გრაციანი» გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ ნაწერებში

სიყვარული, გრიგოლ ორბელიანის პოეზიის მიხედვით, სიცოცხლის ის დამატკობელი ძალაა, რომელიც ადამიანს სულიერად ამაღლებს, ანათლებს. როდესაც გვიყვარს, სწორედ მაშინ ვგრძნობთ სიყვარულის არსს, ნამდვილსა და ამაღლებულს. მართებულად მიიჩნევს პროფ. შალვა რადიანი, რომ «ორბელიანის გაგებით მარტოობისა და სიხარულის, თავისუფლებისა და ბედნიერების სრულ შეგრძნებებს გვაძლევს მარტოოდენ სიყვარული» (რადიანი, 1970, 24).

სიყვარული ერთ-ერთი პოეტის შემოქმედების იმ მოტივთაგანია, სადაც მთელი სისრულით გამომჟღავნდა მისი ნიჭი. გრიგოლ ორბელიანისთვის მიმზიდველია სიყვარულის გრძნობა. მას ამ აღმამფრენი გრძნობის გამომწვევი რეალური სახეებიც ყავს, თუმცა მაინც საბოლოო სიმარტოვისათვის არის განწირული.

არავინ იცის, მართლა დედის მიერ მიცემული აღთქმა ასრულდა, შვილის ბერად მიცემის თაობაზე, თუ გაცრუებულმა სიყვარულმა დაატყო თავისი მსახვრალი ხელი პოეტის გულს. ერთი კი ცხადია, გრიგოლ ორბელიანმა მთელი ცხოვრება მარტოკაცის ცხოვრებით იცხოვრა, ეულად ზიდა ერთი შეხედვით ბედნიერი ცხოვრების ჭაპანი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს იყო მხოლოდ ერთგვარი ნიღაბი, თურმე მისთვის ყოფაშიც არ ყოფილა უცხო, სიყვარულის ტკბილ-მწარე გრძნობა.

გრიგოლის ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ შემოგვინახა სახე ქალისა, რომელიც მართალია, რამდენადმე იყო დაკავშირებული პოეტის ბედთან, მაგრამ მათი ცხოვრების გზებს ერთმანეთი არ გადაუკვეთავს. ეს არის სოფიო ორბელიანი, პოეტის მიერ ჯერ კიდევ აკვანში დაწინდული ქალი. აი, რას სწერს ერთგან გრიგოლ ორბელიანი სალომე ჭავჭავაძეს.

«ახ! ჩემი სოფიკო! სად არის ნეტავ ვახსოვარ თუ, შარშანდელს თოვლსავით არღა ვჰმყოფობ იმისთვის. – ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს; როდისღა უნდა შევიყარნეთ!» (ორბელიანი, 1936, 25).

«ახ! ჩემი სოფიკო მომაგონდა, სად არის? როდის უნდა ვნახო და ხილვის დროს მიცნობს თუ ლორნეტით შემომხედავს ვითარცა უცნობსა. გეთაყვანეთ მომწერეთ რასა გწერს»... (იქვე, 34-35), ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიწერილ ბარათშიც სოფიო აგონდება.

მარიამ დედოფლისადმი მიწერილ ბარათებში აშკარად იგრძნობა ცუდად შენიღბული შიში თუ ავი წინათგრძნობა «-მე კი დედოფალო! (როგორც ნათქვამია) რიყეზე დავრჩი, - ჩემი სოფიკო თავრიზშია, მე რილაში, როდის უნდა შევხვდეთ, თმებიც ყოველდღე მითეთრდება უმეტეს და ემეტეს. ვაი! ვაი! ესე არა მცირედ მაწუხებს. – ძნელია დედოფალო, სახით და გულით უდროოდ დაბერება. – და ამისათვისა მეშინიან ვა თუ ბოლოს ქოქოლა მომაყაროს და მითხრას, მეხი კი დაგეცაო» (იქვე, 35).

მოგვიანებით კიდევ ერთხელ გაიელვებს სოფიოს სახე, მარიამ დედოფლისადმი მიწერილ ბარათში. «-ჩემი სოფიკო გაზაფხულს წამოვა პეტერბურღს თავისი დედით... და მაშინ იხილავთ, თუ რარიგად

გააზრწყინვალებს პეტერბურლს თავის სილამაზით და მერცხლის თვალებით და ჩემის ბედით, მეცა ვიქნები მხოლოდ ხუთასს ვერსზე დაახლოვებული. მაგრამ მეშინიან კი ძალიან, ვაი თუ მანდ გამიფრინეს საუკუნოდ და ამდენის წლის იმედები ერთს წამს გამიქარვოს» (მალრაძე, 1975, 79, 1835 წ. 28 დეკემბერი).

მშობლიური მხარისაგან მოშორებით ცხოვრებამ, უმეგობროდ და უახლოვლოდ ყოფნამ, ერთბაშად ჩამოაბერა პოეტის გული. ჭაბუკის გული ბრძენი კაცის, ნათელმხილველის უნარით აღჭურვა, ასწავლა ცხოვრება. ამიტომაც უგრძნო «ბრძენმა» გულმა პოეტს «რიყეზე დარჩენა». მართლაც მალე გაუფრინდა სოფიკო უცხო-ტომელი კაცისაკენ. სიშორემ თავისი ავი საქმე გააკეთა; გამოუცდელმა გულმა- სხვა არჩევანი.

1836 წელს გრიგოლ ორბელიანი იმერეთის დედოფალს ატყობინებს სოფიოს გათხოვებას, თავს კი მხოლოდ იმით სცემს ნუგეშს, რომ სხვაც მრავალია მასავით გაცრუებული ამ სოფელში.

სოფიოს მიუძღვნა პოეტმა ლექსი «გამოსალმება», სადაც იგი ატარებს და იცავს აზრს, რომ «სიყვარულის მუდმივობის პირობა სულიერად ძლიერი ადამიანის არსებაშია, სიშორე არაფერს აკლებს ჭეშმარიტ ტრფობას, ხოლო უძღურთ ტრფობა მიაგავს მთიდან დაქანებულ წყაროს, რომელიც ველზე გაშლისას თანდათან უძღურდება» (გაწერილია, 1989, 37). დრომ მალე მისცა დავიწყებას აკვანში დაწინდული «მოღალატე» ქალის სახე და სახელი.

როგორც ამბობენ, გრიგოლ ორბელიანის «ბერად აღკვეცის» მიზეზი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნინო იყო პოეტის ერთადერთი და ღრმა სიყვარული, მაგრამ 1828 წელს ალექსანდრე გრიბოედოვმა «წაართვა» პოეტს სანატრელი ასული. არც მათთვის გამოიმეტა განგებამ ხანგრძლივი ბედნიერება. რამდენიმე თვეში «მწუხარების დედოფლად» იქცა «სილამაზის დედოფალი».

სავარაუდოდ, ნინო ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანს შორის არსებობდა მიმოწერა. ცენტრალურ სახელმწიფო-საისტორიო არქივში დაცულია 1935 წლის ივლისით დათარიღებული წერილი ნინოსი, (რომელიც მანანა ორბელიანის წერილის მინაწერს წარმოადგენს), გრიგოლისადმი მიწერილი. «საყვარელო ძმაო გრიგოლ! ამ ჟამად მეც მანანასთან ვარ, დიახ ხშირათ გიგონებთ სიამოვნებით. . .

როდის იქნება შენ მოხვიდე სუყველანი ყაფლანთან. ესა ერთი თვე არის რაც ბებიაჩემი და მე აქა ვართ. დედა კატინათი და სოფიოთი წინანდალს არიან. ახრა უგემურად ვატარეფთ დროს. აღარ არის სიცოცხლე. ამ ორიოდ დღეში ისევ წავალთ ჩვენ დედათ მონასტერში. რამდენჯერ მოგიგონებ ხოლმე ჩვენს[...] წასვლას, დაბრუნებას, შენ ძახილს მოვდივართ! შენ კი არ ვიცი გახსოვარ თუ არა, მშვიდობით საყვარელო ძმაო, გთხოვ შენის ლამაზის ლაპარაკით ხშირად გვასიამოვნო ხოლმე, რომელიც ყველას სასიამოვნოთ გვაქვს შენის წიგნის მოსვლა მაგრამ ის უფრო უმჯობესი იქნება, თუ პირისპირ მალე გვეღირსოს შენი ნახვა.

შენი ყოველივე ბედნიერების მოსურნე ნინა ღრიბოედოვა» (ორბელიანი, 1936, 237).

წერილზე ზაქარიას მიუწერია შემდეგი სიტყვები: «ეხლა მომივიდა ეს წიგნი შტაბში შენთან გამოსაგზავნად შე კურკავ, მაშ რა არის თუ არ უყვარხარ და არ გიყვარს?» - (კიდევ ერთი წერილი გრიგოლისადმი ნინოსი, ეკატერინე ჭავჭავაძის წერილზე მინაწერი, 1844 წლით თარიღდება, და აღმოჩენილია ეკ. ჭავჭავაძის პირად არქივში. იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. II, 1957, გვ. 336-337).

პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში კი რამდენჯერმე გაიბრწყინებს სახე ნინო ჭავჭავაძისა. მათ შორის 1835 წელს ნინოს ქვრივობის ხანს გრიგოლისა და ზაქარიას მიმოწერაში.

«სად არის **H** ... და ან როცა ნახე და ან როგორ იყო თქვენი შეყრა, დაწვრილებით მომწერე... მე თვით ვიცი, რომ არის ჭკვიანი, უმეტეს ლამაზი და უფრო კეთილი; მარამა მერწმუნე, მე გამოცდილებით გეუბნები, რომ არცა ერთი დედაკაცი მრთელს ქვეყანაზე არა ღირს, რომ ნახევარ ნეკი მოიჭრას მისთვის, და შენ კი სიცოცხლე მიგდის» (ორბელიანი, 1836, 18). – წერს გრიგოლი ძმას და წუხს რომ არ შეიძლება მათი დაქორწინება. თუმცა კი, ისურვებდა ზაქარიასათვის ნინოსნაირ საცოლეს.

ცოტა მოგვიანებით, კიდევ ერთხელ შეახსენებს პოეტი ზაქარას ნინოს შესახებ - «ბიჭო! ვინ გითხრა, რომ მე ვკვდებოდი **Н.** -შენმა გაზრდამ სიცრუეა». და იქვე დასძენს – *Хотя она достойна...*» (იქვე, 31).

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ შემოგვინახა აგრეთვე პატარა ბარათი, მიწერილი ნინოსადმი, რომელიც სალომე ჭავჭავაძის წერილის დანამატად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ბარათში პოეტი «ჩვიდმეტ ურემს მადლობით დაბარგულს» უძღვნის თავის შთაგონების წყაროს და შეახსენებს, რომ: «პატივისცემა ჩემი და სიყვარული არასოდეს არ შემცირდების გინა სად ვიყო» (იქვე, 34).

გრიგოლ ორბელიანის წერილებმა მეგობრებისა თუ ოჯახისადმი, თბილი მოკითხვა და მეგობრული თანადგომა შემოინახა საყვარელი ქალის მიმართ, მისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე. 1851 წელს პოეტმა სამუდამოდ გამოიტოვა უნუგემო სიყვარული ნინო ჭავჭავაძისა, ლექსში “მოგონება”, ხოლო 1857 წელს თბილისში მიიცვალა შთაგონება პოეტისა, თავადის ასული – ნინო («Кавказ», 1857, 51).

გრიგოლ ორბელიანი არც ნინო ჭავჭავაძის დის ეკატერინეს, კატინას, მიმართ ყოფილა გულგრილი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან «შესანიშნავი და მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებული, მოძრავი, ტანადი, ლამაზი ეკატერინე, შეიქმნა თავისი თანამედროვე ახალგაზრდობის სათაყვანებელ კერპად. მისი გრაცია, ლეკური და სიმღერა ატყვევებდა ამ ახალგაზრდობას და აღაფრთოვანებდა საუკეთესო ქართველ პოეტებს» (მეუნარგია, 1957, 325). ამ პოეტთა შორის იყო გრიგოლ ორბელიანიც.

30-იანი წლებიდან ორიოდე ბარათია შემორჩენილი ეკატერინეს დედის სალომე ჭავჭავაძისადმი მიწერილი. პირველში პოეტი სიამოვნებით იგონებს მათ გარემოცვაში გატარებულ უნეტარეს დღეებს, როდესაც «ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა, და იმღეროდა ბროლის ფიცარი, აფიცარი, გულს დაგეკონოს» (ორბელიანი, 1936, 25. 1835 წლის 23 მარტი), ხოლო მეორე ბარათს თან ახლავს მინაწერი ეკატერინესადმი, რომელსაც უძღვნის და უგზავნის ლექსს «წინანდლის ვარდო» (იქვე, 34-35. 1835 წლის 25 ივლისი).

1839 წელს ეკატერინე ჭავჭავაძემ თავისი ბედი სამეგრელოს ახალგაზრდა მთავარს დავით დადიანს დაუკავშირა, თუმცა ქორწინების შემდეგაც არ შეწყვეტილა მეგობრული მიმოწერა გრიგოლსა და ეკატერინეს შორის. ცენტრალურ სახელმწიფო-საისტორიო არქივში დაცულია ერთი მეტად საინტერესო, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ბარათი პოეტისა, რომელიც 1839 წლით თარიღდება და ახალგაზრდა ეკატერინესადმია მიწერილი.

«თქუენო უგანათლებულესობავ უსაყვარლესო დაო ეკატერინე.

გუშინ ივანეს წიგნში ჩემთანაც მოგეწერათ რაოდენიმე სტრიქონი, სადაცა მწერდით თქუენს შეწუხებასა ჩემის სიკვდილისათვის; ამისთვის მრავალჯერ ხელს კოცნას მოგახსენებ და ვმადლობ ღმერთსა, რომ კიდევ დამრჩენიან საქართველოში იმისთანა ნათესავნი, რომელთაცა ჩემის უბედურებისათვის გული შესტკივათ: და ვინ შეწუხდებოდა ჩემთვის თუ არ ისევ თქუენ, რომელსაცა გაქვსთ ფრიად კეთილი გული და რომელიცა მე მწყალობთ? – იმ ორის სტრიქონისათვის მადლობა არ შემიძლიან რომ მოგახსენოთ და სიამოვნებაცა არ ითქმის ენით არცა სმენითა რაც მე მივიღე იმისგამო. – ეს იკმარენით.

აწ თქუენო უგანათლებულესობავ! (მარამა თქუენ, ყოველთვის უგანათლებულესი იყავით, რა ვიცი, მე კი ისე მეგონა ხოლმე ბალებში ყველაზე განათლებული შენ იყავ და მაშ რა დაგიძახე, და არც ახალი არის ეს ტიტული). ჩუენ მოვედით შემდეგ ამოდენა პახოდისა ვარშავაში მშვენიერში, სადაცა სვეტლენა კნიაზმა მიგვიღო ისეთი მოწყალების თვალთ, რომ მაშ ალღახ! თქმა აღარ იქმნება. – იმავე დღესვე, როდესაც სმოტრი იყო მაშინვე ყველას ჩუენს ბეგებს, თათრებს ეპოლეტები დაჰკიდა. – უცხოდ მოვეწონეთ ერთიანად მთელი კამანდა. ამისთანა ჯერ არ მოსულაო – ივანე მუხრანსკის სთხოვა აქ დარჩენა და უბრძანა ნაჩალნიკს შტაბისას კნიაზ გარჩაკოვსა: წადი მუხრანსკის უთხარ აქ დარჩესო. . .

პოლკს აძლევდნენ; მარამა ივანემ არა ჰქმნა აქ დაშთენა, თუმცა ბევრი ვერხუბე აქ დარჩი მეთქი: მარამა არა და არა ჰქმნა. – გორდის წყალი მაგონდებაო მე რათ მინდა ამათი პატივი და ვარშავაში სტომაო ეს პასუხი მომცა. – აქამომდე ვერხუბობთ მე და ივანე აქ დარჩენისათვის მარამა არა შვრება.

– მე ჩემი ცოლი და მშვენიერი კოსტინკაო გაგიჟებით მიყვარანო. მე იმათ ვერ მოვშორდებიო. – ესეც ჩუენი ქართველების უბედურებაა, როდესაც ჩუენებს ბედნიერებისათვის გზა გეეხსნებათ ვისმე მაშინ ან სიყვარული ვისიმე და ან სხუა რაღაც ეშმაკობა გამოტყვრებიან დამაბრკოლებელი. – ჩემისთანა არ იქმნება. ეს შეჩვენებული სიყვარული რა არის? მე იშვიათად თუ, რამ მწუხარეთ ვარ ხოლმე, მაშინვე ერთს კარგათ გამოიძინებ ხოლმე და მაშინვე სულ ყოველივე ჩემი მწუხარება გაივლის. – მწერ, რომა ჩუენები მარტყოფს მიდიანო და მე კი აქა ვრჩებიო და გახსოვსო შარშან ზამბახზე – ეულს ვარდს მასწავლიდიო? ახლა კი გული დავაჯერე, რომ არ დაგვიწყებვარ და კიდევაცა მწყალობთ» (არქივი, ფ.481, 64). – სწერს პოეტი სამეგრელოს ახალგაზრდა მთავრინას.

განსაკუთრებული სიყვარულითაა გამთბარი გრიგოლის ბოლოდროინდელი წერილები ეკატერინესადმი.

«ჩემო უსაყვარლესო დაო ეკატერინე! შენმა წიგნმა დამამშვიდა, გამახარა, დამატკბო, მით უფრო უმეტეს, რომ სრულიად იყო მოულოდნელი ჩემგან. რა ვქნა! ისე დაიწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ვინც გიყვარს – შორს არის, ვინც გვინდა – ვერა ვპხედავთ» (მეუნარგია, 1957, 343). – სწერს პოეტი 1870 წელს ეკატერინას.

წლების მატებასთან ერთად საერთო წუხილი, საერთო დარდი უჩნდებათ ძველ მეგობრებს. მრავალი გულით საყვარელი ადამიანი დაკარგეს ორივემ და ახლა ხსოვნას მრავლად შემორჩენილი მოგონებებითა იხალისებენ ცხოვრებას. ამიტომ, 1879 წლის 17 იანვარს პოეტი ტკივილით სავსე ორტაეპიან ლექსს უგზავნის წარსული დროის საქართველოს მშვენებას, სახელოვან მგოსანთა მუზას:

«განგუშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყუარდნენ,

თუალთ მიგვეფარნენ, წავიდნენ... ძველთაგან დავჰშითთ მე და შენ!»

(ცაიშვილი 1947, 325).

ამ ორტაეპიან რითმიან ლექსში ჩაუტევია გრიგოლ ორბელიანს საკუთარი გულისტკივილი.

წლებმა წაიღო ძველი სიკისკასე, დროსტარების სურვილი. მოხუცებულ პოეტს მგზავრობაც კი აღარ ძალუმს, რათა კახეთში ესტუმროს «წინანდლის

ვარდს», რომლის მიმართ გრძნობა, სიბერის მიუხედავად, არ გახუნებია, არ განელებია.

«ღმერთი იყოს ესე მარადის თქვენი გამხარებელი, როგორც მე გამახარა თქვენმა წერილმა წინანდლიდამ, სადაცა თქვენი აწ ყოფნა მეცა აქა მანუგეშებს. მეტად და მეტად მიყვარს წინანდალი. ესე იგი თქვენი ერთიანად სახლობა, და თუ ეხლა, სიბერის დროს, მაგონდება რამე სასიხარულო, ირწმუნეთ, მიხარიან და მანუგეშებს ისევ ის დრო ჩემის ყმაწვილობისა, რომელიცა განვატარე თქვენშორის, თქვენს ოჯახში, წინანდალს! და ეხლა თქვენვე წარმოიდგინეთ, ჩემი შეწუხება, ჩემის ბედის წყევა, რომ მეძახით წინანდალში მოსვლას, და უნდა უარი მოგახსენოთ. რა ვჰქნა, დავბერდი, აღარ ვარგივარ, აღარ შემძლიან მგზავრობა. ვჰსწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. მოვიდა ჟამი და უნდა ოხვრით დავემორჩილნეთ სიბერის ძალასა! ეს კი უნდა გახსოვდეთ, რომ მე ყოველთვის თქვენი ვარ სულით, გულით და მხოლოდ ეს თქვენდამი გრძნობა არ დამიბერდა, არ გამიცვიდა და ამ გრძნობით ჩავალ საფლავში, სავსე ჭეშმარიტითა თქვენდამი სიყვარულითა» (მეუნარგია, 1957, 345-346).

მოხუცებულ პოეტს კვლავაც არაერთხელ მოაგონდებიან «მშვენიერი გრაციანი», რომელნიც მის ცხოვრებას სიხალისეს და მშვენიერებას მატებდნენ.

უკვე სიბერეში მყოფი პოეტი ეკატერინე ჭავჭავაძეს სწერდა: «მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალ ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა და ამასთან საითაც შევხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს, საათნავას ლექსს: «ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს!» ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემი აწ გაბერებულის გულისა გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად! ღმერთმა გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ახლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში ვექცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად და ახლაც ხართ ჩემი ნუგეშის მცემელი» (მეუნარგია, 1936, 182).

როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში თავიანთ პოეტურ ხიბლს ინარჩუნებენ მისი შთაგონების შესანიშნავი ობიექტები, "მშვენიერი გრაციანი", ბრწყინვალე მანდილოსნები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ და არიან მგოსანთათვის ლექსის შექმნის დაუშრეტელი წყარო.

ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით

ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართა ნაშრომებში (პოეტის შესახებ არსებული კრიტიკული ლიტ-ის მიმოხილვა ძირითადად იხ. მაღრაძე, 1975, მეუნარგია, 1941, აბაშიძე, 1970, 33-40, რადიანი, 1952, 64, კოტეტიშვილი, 1965, 83, ხუნდაძე, 1941, 8), იშვიათი გამონაკლისის გარდა (ამ მხრივ განსხვავებულია დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი გაწერელიას, აპოლონ მახარაძის, გრიგოლ კიკნაძე და იუზა ევგენიძის პოზიცია. გამსახურდია, 1963, 439, 602 და სხვა. კიკნაძე, 1957, კიკნაძე, 1972, 247, მეძველია, 1946, მახარაძე, 1982, გაწერელია, 1978, ევგენიძე, 1995), განმტკიცებულია აზრი, რომ გრიგოლ ორბელიანი გაორებული პიროვნებაა.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საგულდაგულოდ შესწავლა კი იძლევა საფუძველს, გარკვეული კორექტივი იქნას შეტანილი ტრადიციულად არსებულ თვალსაზრისში.

მოცემულ შემთხვევაში ერთი ამოცანა ისიცაა, რომ გარკვეულწილად კიდევ ერთხელ შემოწმდეს გრიგოლ ორბელიანის მიმართ დასმულ არცთუ სასიამოვნო პრეტენზიათა საფუძვლიანობა, რადგან «როგორც ვიცით, ადამიანის გაკიცხვა უფრო იოლია, ვიდრე მისი გაგება. გრიგოლ ორბელიანისადმი ქართველ ლიტერატორთა გაორებულ დამოკიდებულებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: 1. ფსიქოლოგიური, 2. პიროვნულ-ლიტერატურული და 3. პოეტის

გარშემო არსებული ფაქტობრივი მასალის არასრული კორეგირება» (ევგენიძე, 1995, 20).

ამ მომენტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი იმ მოსაზრებათა გახსენება, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა აყენებდა გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ: «სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერა და ვერ მოუხერხა რა თავის დისწულს, დაუდევნებლობით მოუვიდა უქვევლია ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეძლებოდა იმის შემწეობას» (მეუნარგია, 1954, 188). – რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ სიტყვებს პოეტის პირველი ბიოგრაფი და მეხოტბე იონა მეუნარგია წერს.

კიტა აბაშიძის შეხედულებით «ასეთი დიდებული ადამიანი ისე განშორდა წუთისოფელს, რომ ვერა ჰპოვა ხვედრი მისი და ვერ მოიშორა მით კაემანი. არა თუ თავის ხვედრს, თანაგრძნობასაც ვერ პოულობდა იმ ადამიანშიც კი, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გაეგო. ეს კაცი, მისი სისხლი და ხორცი, მისი დისშვილი-გრ. ორბელიანი მყავს სახეში. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი თავის დღეში არ აპატიებს გრიგოლ ორბელიანს, რომ მუდმივ მუდარას და ვედრებას ნიკოლოზ ბარათაშვილისას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ერთხელაც არ გაუწვდინა მეგობრულად და ნათესაურად ხელი, თორემ, ვინ იცის, უკეთეს პირობებში რომ ყოფილიყო, კიდევ რამდენი მეტი ღირსება შეეძინებოდა ამ მშვენიერ მგოსანს. . . მაგრამ რას ვამბობ. . . აქ მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს ეცხება ჩირქი, რადგან ადამიანური მოვალეობა ვერ შეასრულა, თორემ განა ბარათაშვილს ეჭირვებოდა კიდევ პოეტური ღირსება» (აბაშიძე, 1970, 142-143). – ეჭვი შეაქვს კიტა აბაშიძეს გრიგოლ ორბელიანის მიერ ადამიანური მოვალეობის შესრულებაში ნიკოლოზ ბარათაშვილზე საუბრისას.

ქართველი კრიტიკოსები გრიგოლ ორბელიანის მიმართ ასეთი სასტიკნი იმიტომ არიან, რომ მათი ვარაუდით ტატოს უნივერსიტეტში სურს სწავლის გაგრძელება, დიდი ნაცნობობის და შეძლების მქონე გრიგოლი კი დახმარების ხელს არ უწვდის თავისი სათნო და სათაყვანებელი დის-ეფემიას შვილს. ცხადია, თუ მხოლოდ ამ ვერსიას დავეყრდნობით, გაგვიმტკიცდება რწმენა იმის შესახებ,

რომ პოეტი არა თუ სხვა ადამიანების, არამედ საკუთარი დედ-მამიშვილების ჭირ-ვარამს არ იზიარებს და მეტად გულცივია მათ მიმართ, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი: უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ სად იმყოფებოდა და რა მდგომარეობა ეჭირა გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლეში.

ამ თვალსაზრისით თუ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების გზას კიდევ ერთხელ გადავხედავთ, ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე:

1831-1832 წლებში გრიგოლ ორბელიანი საქართველოში არ იმყოფება, (იგი საგანგებო დავალებითაა გაგზავნილი).

1833 წელს იგი პეტერბურგიდან თბილისში გადმოიყვანეს და 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ავლაზრის ყაზარმაში მოათავსეს რამდენიმე თვით. მართალია, პატიმრობიდან მალე გაათავისუფლეს, მაგრამ «კავკასიის ლინიაზე» გაისტუმრეს სამსახურში, საიდანაც გაიგზავნა თავისი გადასახლების ადგილას-ვილნოს გუბერნიაში, საზღვაო პოლკში. იგი 1837 წლიდან კვლავ საქართველოშია, მაგრამ გამუდმებით სამხედრო სამსახურშია.

როგორც აპოლონ მახარაძე აღნიშნავს, «თანამდებობრივად გრიგოლ ორბელიანმა მიაღწია იმას, რასაც მასზე ადრე არც ერთი ქართველი მოხელე არ ღირსებია» (მახარაძე, 1982, 144). 1858 წელს იგი კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა და რამდენიმე ხნის განმავლობაში კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც კი ასრულებდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმატება მოდის ნელა და ამ პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგა ხნის გარდაცვლილია.

ამდენად, გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიიდან ვიცით და ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მაშინ, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი დახმარებას საჭიროებდა, ე. ი. 1831-1845 წლებში, ორბელიანი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფიგურას. იგი ამ დროს ყოველგვარ სახსარს მოკლებული, უბრალო ოფიცერია და ცხადია, მას არ შეეძლო, ნივთიერად თუ თავისი ავტორიტეტით პრაქტიკულად სამსახური გაეწია საყვარელი დის ეფემიას ოჯახისათვის, თუმცა მისი ოჯახის

მიმართ იგი ყოველთვის კეთილგანწყობილია. . . და შესაძლებლობის ფარგლებში, მორალური თუ მატერიალური დახმარების გაწევაზე არასოდეს ამბობს უარს. მისი მხრიდან ეფემიას ოჯახს, განსაკუთრებით კი ტატოს, ყურადღება არ აკლია. ამას მოწმობს გრიგოლ ორბელიანის მიერ კავკასიის მთიანეთიდან ახლობლებისადმი მიწერილი ბარათები, სადაც ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით ტატოს, ეფემიას თუ მელიტონის სახელს.

სრულიად ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი რძალს, ქეთევანს სწერს: «შენ მაინც მომწერე... მოუვიდა თუ არა ეფემიას ხუთი თუმანი ჩემგან» (სსცსა, ფ. 481, 197-198). «რამდენილა გვაქუს ვალი? ... ტატოს ამბავი რათ ვერ მომწერე... ეფემიას დიდი ხანია მივწერე წიგნი და ლექსები გამოუგზავნე, არც ის ვიცი, მოუვიდა თუ არა» (სსცსა, ფ. 481, 26). – სწერს ზაქარიასაც იმავე ხანებში.

«მელიტონ და ეფემია თავის შვილებით დამიკოცნე» (ორბელიანი, 1936, 11). – სწერს ზაქარიას 1834 წელს.

«ტატოვს ჩემმაგიერ აკოცე» (იქვე, 15). – სწერს პოეტი უმცროს ძმას ილიას 1834 წელს.

«ჩემს საყვარელ დას ეფემიას და მელიტონს სიყუარულით მოვიკითხავ. იმათ შვილებს დავკოცნი» (იქვე, 19). – სიყვარულით მოიკითხავს მონატრებულ დასა და სიძეს ქალაქ ვილნოდან.

«მიხაკოს სიყუარულით მოვიკითხავ – ვინძლო, რომ ერთმანეთი გიყუარდესთ გულწრფელად, ასრეთ როგორც მე და ტატოს გვიყუარდა ურთიერთი. – მშვიდობით ძმებო! ღ-ი იყოს მფარველი თქვენდა» (იქვე, 43). – სწერს მასვე 1836 წელს. მისაბამ და სამაგალითო ურთიერთობად უსახავს თავისი და ტატოს მეგობრობას ძმას. სურს, რომ მისი და მიხაკოს ურთიერთობაც ისეთი გულწრფელი გრძნობით იყოს შეკავშირებული, როგორი მეგობრობაც მას აკავშირებდა ტატოსთან და კვლავ სიყვარულით მოიკითხავს მას. «მერე ტატო ჩამიპროშტე... ჩამიკოცნე... აგრეთვე ეფემია და მელიტონ» (იქვე, 64).

როდესაც ახლობლებისგან წიგნის მოუწერლობას ჩივის, მას პირველ რიგში ტატოს წერილი აკლია, მისი იმედი აქვს, რომ ამბებით სავსე წერილებს მოიწერება. «ჩვენი ტატო პოეტია და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური

დაუგდო, თორემ აღარ გაათავებენ, მაგისი იმედი მაქუს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება ჩემთან მალიმალ» (იქვე, 68).

«ილიაჯან! ავათ ხომ არა ხარ, რომ არა მწერ? რა ვჰქნა, მაშ სხვა რა ვიფიქრო! ან ტატოს რა დაემართა, რომ ერთხელ არც ის მოიწერა ჩემთან... ტატო და ლევან მომიკითხე, ეგრეთვე ზაქარია ერისთავი, მითომ ეგენი კარისკაცები არიან და ამბებს მატყობინებენ. უზრუნველნი ქართველნი...» (ორბელიანი, 1936, 75). – სწერს ილიას 1843 წელს.

ხანდახან მოუწერლობით შებეზრებული არც მწარე საყვედურს მოაკლებს ახლობლებს ილიასადმი მიწერილ ბარათში—„არა, ეგ ჩინჩხვრის კაცები ტატო და ვანო, რომელთაც ჰგონიათ თავიანთი თავი ლომებად, რატომ არასა მწერენ? პირობა აგრე გვქონდა?» (იქვე, 80).

«უნდა ჰრცხვენოდეს ტატოს, რომ ერთხელაც არ მომწერა» (იქვე, 84). – ძმისადმი მიწერილი წერილის ბოლოს არცხვენს დისშვილს.

«ჩემი დისწული ტატო მომიკითხე დიდის ყვედრებითა და სამდურავითა მოუწერლობისათვის, ეგრეთვე ფეფო და მელიტონ» (იქვე, 97). – არც რძლის, ქეთევანისადმი მიწერილ წერილში აკლებს სამდურავს საყვარელ დისშვილს.

«მელიტონ, ეგემია როგორ არიან, ტატო რატომ წიგნს არა მწერს? არას იწერებით კი და!» (იქვე, 100). – სწერს რძალს ქეთევანს 1844 წელს.

«ჩემი დისწული ნიკოლაი, ანუ ტატო, ხომ არ მოსულა?» (იქვე, 109). – ვკითხულობთ 1845 წელს, ილიასადმი მიწერილ ბარათში.

1845 წლის 12 ნოემბერს ავი წინათგრძნობით შეპყრობილი გრიგოლ ორბელიანი შემფოთებული წერს თემირხანშურიდან ძმას, ილია ორბელიანს:

«ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი?—უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. —ახრ ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ?—აქაურმა ცხოვრებამ ძალის ცხოვრებამ და ამ უნდობლობამ ტატოსათვის მე ავად გამხადეს... ეს ექუსი დღეა ვწევარ... თუ ხატი

გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით და მასუკან-რადგანაც შენთვის დიდი შრომაა – ნულარ მოიწერები» (იქვე, 118).

ამავე წლის 29 ნოემბერს პოეტი ძმისაგან, ილია ორბელიანისაგან იგებს საყვარელი დისშვილის გარდაცვალების ამბავს და მისთვის ჩვეული ქრისტიანული მოთმინებით უმკლავდება ცხოვრებისაგან მიყენებულ ძლიერ დარტყმას.

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში 1832–1845 წლებში ხშირად ფიგურირებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი. მოკითხვის ბარათებში აშკარად იგრძნობა ის დიდი სითბო და სიყვარული, რასაც ბიძა გრძნობდა გენიალური დისშვილის მიმართ, ასევე აშკარად ჩანს დიდი ინტერესი, ტატოს ყოფითი და შემოქმედებითი ცხოვრებისადმი და ზრუნვა მისი უკეთესი მომავლისათვის. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათელყოფს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ ის სულაც არ ყოფილა გულგრილად განწყობილი. გრ. ორბელიანს ტატოსადმი განსაკუთრებულად სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა. ეს ბუნებრივიცაა, ტატო გრიგოლ ორბელიანის მამის, ზურაბ (დიმიტრი) ორბელიანის სახლში დაიბადა და ცხადია, ორბელიანთა დიდი ოჯახის ყოველი წევრი სიყვარულით იყო განმსჭვალული ტატოს მიმართ, თუმცა განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე მას სწორედ უფროს ბიძასთან, გრიგოლთან აკავშირებდა. «გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდამ თითქმის ყოველდღე გრიგოლ ორბელიანთან დადიოდა, სადილად მასთან რჩებოდა, სადილის შემდეგ საღამოზედ მიდიოდა თავის სახლში, ანჩისხატის უბანში... გრიგოლ ორბელიანსაც ხშირად მიჰყავდა თურმე სასეირნოდ, როცა კი წავიდოდა სადმე სასეირნოდ» (მთაწმინდელი, 1895, 6), წერს ზ. ჭიჭინაძე 1885 წელს. ცამეტი წელი იყო ასაკობრივი სხვაობა ბიძა-დისშვილს შორის და იმდენად ახლოს იყვნენ ეს ორი დიდი პოეტი ურთიერთთან, რომ პირად წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილი ხშირად, «ძმაოთი» მიმართავს და მოიხსენიებს გრიგოლს.

მაშინაც, როდესაც გრიგოლ ორბელიანი უკვე არ იმყოფება საქართველოში, იგი დაინტერესებულია ტატოს განათლებით და მისი გიმნაზიის კურსის დამთავრებისას რიგიდან კითხულობს დისშვილის ამბავს:

«რასა იქმს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს На казенном иждивении იმისი გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში – Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития. ნეტავი გაგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში,—ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს» (ევგენიძე, 1895, 65). გრიგოლმა კარგად იცის მელიტონის შესაძლებლობა. მელიტონი ამ დროს თბილისის მაზრის მარშალი, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშლის პირველი მოადგილე და მთავრობის მიერ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც მეტად დაახლოებულია მმართველ აპარატთან. აღნიშნავენ კიდევ: «თუ ვინმეს შეეძლო დიდი მონაცემების მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დაყენება, ეს პირველ ყოვლისა, მამამისს შეეძლო და არა რიგით ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს» (ევგენიძე, 1895, 65). მაგრამ, სამწუხაროდ, მელიტონმა მრავალი მიზეზის გამო ნაკლებად იზრუნა შვილის მომავალზე. როგორც მისი თანამედროვენი მიუთითებენ, იგი მეტად უზრუნველ და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. მას მეტად ჰყვარებია სტუმრებთან პურმარილი, ქეიფი და სწორედ ამის გამო, მის ოჯახში იყო განუწყვეტელი პურის ცხოზა თონეში და ზამთარ-ზაფხულ მტკვარში თევზის ჭერა (საქართველოს ბატონყმობის მასალები, 1925, 382-383), გასათვალისწინებელია ისიც, რომ მის ოჯახში სტუმრად იკრიბებოდნენ იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა წინაშე უჩვეულო წვეულებებით თავის მოწონება მელიტონის გატაცება ყოფილა; ასეთ უყაირათობას კი ოჯახი ნივთიერად სავალალო მდგომარეობამდე მიჰყავდა და მართლაც, ამ წვეულებების ხარჯების გასტუმრებას დასჭირდა, როგორც სოფლის მამულები, ისე ქალაქის სახლი და მრავალრიცხოვანი ოჯახი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

სწორედ ამის გამო მელიტონის ოჯახი ხშირად გრიგოლის მწუხარების საბაზი ხდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის საყვედურიც სწორედ მამის, მელიტონისადმი მიმართული და არა გრიგოლ ორბელიანისადმი, როგორც ამას ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა ზოგიერთი წარმომადგენელი აღნიშნავს. ამის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის უპირველეს მეგობარს, ბიძას უხსნის გულს. «საყვარელო ძიავ!-წერს ის გრიგოლ ორბელიანს 1837 წლის თებერვალში—აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ... ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური; ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში, მაშ, რაღამ დამიშალა თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო, და თუ არა ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო . . . მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში გაგზავნა. . . არც ეს შემისრულეს, უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: «შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?» ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნითა. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა. თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას; ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება» (მეუნარგია, 1941, 176-177).

ის, რომ გრიგოლ ორბელიანისათვის ნიკოლოზი არა მხოლოდ დის შვილი, არამედ სულიერად მახლობელი ადამიანია, ტატოს მიერ ბიძისადმი მიწერილ ბარათებშიც იგრძნობა. იმ პირად წერილებში, რომლებიც «ჩვენი ეპისტოლარული ლიტერატურის მშვენებას წარმოადგენენ თავიანთი სიფაქიზით, სითბოთი, უშუალოებით და საერთოდ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით» (ქართული ლიტ-ის ისტორია, 1956, 166). სწორედ მისი ადამიანური, მეგობრული

თანაგრძნობის იმედი აქვს ნიკოლოზს, როდესაც სულიერი განცდებითა და ტკივილით გაჯერებულ ბარათებს უგზავნის ბიძას, სადაც იკითხება, რომ მხოლოდ ოჯახური ცხოვრების მძიმე ტვირთი ყოფილა ის უმთავრესი მიზეზი, რამაც პოეტური ნიჭისა და უაღრესად სოციალური ბუნებისა და გაქანების მქონე ადამიანი მისთვის უინტერესო და არაფრისმომცემ ერთფეროვან სამსახურს მიაჯაჭვა.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის უაღრესად დიდმა სურვილმა მოაწერინა ნიკოლოზს საყვედურით სავსე წერილი ბიძისადმი:

«საკურველია-სწერდა იგი გრ. ორბელიანს-რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორს მხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შეძლებულობა და ხმა ერსა შორის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არ ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდელ მოჰქრის. ეცადე, რომ რენენკამფთან დამანიშვნილო. ხომ ამ პირობით წახველ რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება» (მეუნარგია, 1941, 187).

გარკვეულ მიზეზთა გამო გრიგოლმა სამწუხაროდ ვერ შეძლო დახმარებოდა დისშვილს... როგორც ვარაუდობენ «გრიგოლს დაგვიანებია საქმის მოგვარება, ან შეიძლება კიდევ დაღესტნის მიუვალ მთებში, სამხედრო უწყებაში კოჭლი მოხელის მუშაობა გერმანული წყობის რენენკამფს არ აწყობდა... (ევგენიძე, 1995, 66).

წერილი მიწერილია 1843 წლის 21 აგვისტოს. ე. ი. იმ დროს, როდესაც მელიტონი გარკვეული შესაძლებლობის მქონე პირია, ხოლო გრიგოლი და ზაქარია მხოლოდ უბრალო ოფიცრები არიან. სრულიად ნათელია, რომ კაცი, ვისაც ხელეწიფებოდა ღრეკლდეზე გზის გაკვალვა, სწორედ მელიტონი იყო, რომელმაც თავისი შესაძლებლობა არათუ ოჯახისა და შვილების მომავლის კეთილმოწყობისათვის გამოიყენა, არამედ ქეიფში გაფლანგა როგორც საკუთარი, ისე მეუღლის ნამზითვი ქონება.

თავად ორბელიანთა ოჯახიც სერიოზულ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, რის დასადასტურებლად ის სიტყვებიც კი საკმარისი იქნება, რომელსაც გრიგოლი სწერს ზაქარიას, ხუნძახიდან, 1843 წლის 12 აგვისტოს; «სიყრმიტგან სიბერემდის ასე უნდა ვიწოდეთ ერთი ლუკმა პურისათვის, რომლისა მოსაპოვებლად ძაღლებსავით უნდა ვეყარნეთ გარეთ, შორს ჩვენის სახლკარისაგან. მადლობა ღმერთსა! იმას მივანდოთ თავი ჩვენი, და ვიმოქმედოთ რაც შეგვიძლიან, – ყმაწვილსავით ვტირი, ან, როდემდის უნდა ამგვარ სიგლახაკეში ვიხრუკებოდეთ» (ორბელიანი, 1936, 42). ამის მიუხედავად, არაერთხელ ვხვდებით მის ბარათებში თხოვნას ახლობლებისადმი, ეფემიას და მისი ოჯახის წევრებს გადასცენ მის მიერ გაგზავნილი გარკვეული რაოდენობის თანხა, რაც მისი აზრით უდავოდ დიდად წაადგება გაჭირვებულ ოჯახს. ასე გრძელდება ტატოს გარდაცვალების შემდეგაც. 1848 წლის 15 მარტს გრიგოლი რძალს, ქეთევანს სწერს: «ჩემის დის ეფემიასათვის გამომიგზავნია ხუთი თუმანი, გთხოვთ გაუგზავნოთ ამავე წერილითა, საადგომოდ მოუნდება. ეგ საბრალო სრულებით არაფერსა მწერს, თქვენ მაინც შემატყობინეთ მაგის ამბავი»... (იქვე, 170).

გრიგოლი ასევე აქტიურად ერევა ტატოს დის, ბაბალეს მომავალი ბედის გადაწყვეტაში და მთელი ცხოვრების განმავლობაში შემწეობას არ აკლებს მას.

ამდენად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა გარკვეულად საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საკუთარ დედმამიშვილებსა და მათი შთამომავლების მომავალზე ზრუნვა გრიგოლისათვის ცხოვრების ერთგვარი შინაარსის მიმცემი საქმიანობაა. ცხოვრებისაგან თავადაც არაერთგზის

შევიწროებული და გაჭირვებაში მყოფი პოეტი უანგაროდ უწვდის დახმარების ხელს ეფემიას შეჭირვებულ ოჯახს, ხოლო მის ვაჟთან, ტატოსთან, განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს, თბილი, სათუთი და ამალღებული.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ნ. ბარათაშვილი წასაკითხად უგზავნის თავის ლექსებს და მათ შორის «მერანს» გრიგოლ ორბელიანს, რომელიც მისი გულის მესაიდუმლეცაა და შედევრთა შემფასებელიც, უკვე ამ ხელოვანთა ფაქიზი ურთიერთობის დასტურია. მართლია, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არ არის გამოხატული მისი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისადმი, მაგრამ თუ ცალკეული ჩანაწერების და თანამედროვეთა გადმოცემის გათვალისწინებით შევხედავთ ამ საკითხს, დავინახავთ, რომ გრიგოლმა თავისი პოზიცია არაერთგზის გამოხატა. თანამედროვეთაგან თუ ვინმეს ესმოდა, აფასებდა და შემოქმედებითაც ერთგვარად ენათესავებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას, ეს გრიგოლ ორბელიანი იყო (ჭილაია, 1946, 3-27).

თავად ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის გრიგოლი უახლოესი ადამიანია, ამას მოწმობს გამოთქმის ფორმები, რომლებსაც იგი იყენებს ბიძის მისამართით, რომელიც ნიკოლოზისათვის არა მხოლოდ ბიძაა, მეგობარია, არამედ ის ადამიანია, რომელსაც ძმას უწოდებს, ამის საფუძველს სულიერი მეგობრისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი განცდითა და ტკივილით სავსე წერილებიც გვაძლევს.

დასკვნები

ამჯერად, ამით სრულდება კვლევა თემისა «გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა.» ვფიქრობთ, შესაძლებელია გაწეული კვლევა-ძიების შედეგების ერთგვარი შეჯამება და გარკვეული დასკვნების გამოტანა. ჩვენი მიზანი დიდი ქართველი რომანტიკოსის გრიგოლ ორბელიანის მდიდარ ეპისტოლარულ ნაწერებში იმ სულიერი პროცესების განვითარების ეტაპების შესწავლა–დახასიათებაა, სახელოვანმა პოეტმა რომ გაიარა ახალგაზრდობიდან სიბერემდე, ანუ მისი ცხოვრების აისიდან დაისამდე, ამიტომაც სადისერტაციო ნაშრომში აუცილებელი გახდა პრობლემის დასმის უშუალო საფუძვლის წარმოჩენის შემდეგ ეპისტოლარული ჟანრის სპეციფიკის შესახებ მსჯელობა, რათა მის ფონზე შემდეგ უფრო წარმოჩენილიყო გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ღირებულება.

აღნიშნული პრობლემის ნათელსაყოფად სადისერტაციო ნაშრომში საკითხები განვიხილეთ შემდეგი თანმიმდევრობით.

პირველ თავში, რომლის სათაურია «ეპისტოლარული ლიტერატურის ჟანრობრივი სპეციფიკისათვის», თავმოყრილია და გაანალიზებული ის ძირითადი მასალა, რომელიც ეპისტოლარული ლიტერატურის ჟანრობრივ სპეციფიკას განსაზღვრავს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლოდროინდელ უცხოურ (გერმანულ და ინგლისურ) განმარტებით ლექსიკონებსა და ლიტერატურულ ენციკლოპედიებში არსებული განმარტებანი ეპისტოლესი, როგორც ლიტერატურული ჟანრისა. ეპისტოლე, ლათინურად epistula, წარმოშობილია სიტყვიდან epistellein და წარმოადგენს წერილის ფორმის მქონე თხზულებას, რომელიც პროზის ან პოეზიის სახით არის დაწერილი და კონკრეტული პიროვნების ან გარკვეული ჯგუფისადმი გასაგზავნად არის განკუთვნილი. საინტერესოა, რომ სიტყვა «ეპისტოლე» ჯერ კიდევ ბიბლიაშია მოხსენიებული და ნიშნავს ახალი აღთქმის წერილებს, რომელიც მიძღვნილია სხვადასხვა ხალხების მიმართ. ეპისტოლე ოდითგან ქრისტიანული ლიტურგიის ორგანული ნაწილია, რომელსაც ლოცვის დროს ხმამაღლა კითხულობენ.

ეპისტოლეს ჟანრი, სხვა ლიტერატურულ გვართა შორის, საპატიო ადგილს იკავებს და დოკუმენტური ინფორმაციულობის გარდა, მისი როლი წმინდა მხატვრული დატვირთვითაც განისაზღვრება, რადგან მხატვრული ფორმით შექმნილი ეპისტოლარული ქმნილებები ადამიანთა სულიერი ცხოვრების თვითგამოხატვას ემსახურებიან. მართალია, გამოჩენილ ადამიანთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა უმეტესად იკითხება «როგორც რომანი» (ელისტრატოვა) და ხელოვანის, შემოქმედის სამყაროსთან, მის სასიცოცხლო გარემოსთან კავშირს დასტურყოფს, მაგრამ მწერალთა წერილების ლიტერატურად მიჩნევა ყოველთვის არ შეიძლება.

ეპისტოლარულ ნაწერს ყოველთვის «წერილობითი აღსარების» ფორმა აქვს და ცხადია, მისთვის დამახასიათებელია გრძნობათა სიწრფელე და უშუალობა. ამიტომაც სოციოლოგები, ფსიქოანალიტიკოსები და ლიტერატორები მრავალი ასპექტით არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მასალას, როგორც კულტურულ-ისტორიულ და სოციოლოგიურ მოვლენას, როგორც ფსიქოლოგიურ დოკუმენტს.

ეპისტოლარული ნაწერები ერთის მხრივ ძვირფასი წყაროა, როგორც ხელოვანთა შემოქმედებითი ბიოგრაფიის შექმნისთვის აუცილებელი მასალა, მეორეს მხრივ – მათში ასახულია მწერლის თვალთ დანახული ეპოქა და კონკრეტული ადამიანების რეალური თუ ფსიქოლოგიური პორტრეტები. ამასთან ისინი უძვირფასეს დოკუმენტურ მონაცემებს შეიცავენ თავად ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად.

მწერალთა ეპისტოლარულ მემკვიდრეობას გამორჩეული მნიშვნელობა იმიტომაც შეიძლება მიენიჭოს, რომ წერილები უტყუარი დოკუმენტებია მწერალთა «ნამდვილი სახის გასაგებად» (ა. ელისტრატოვა).

ამ კონტექსტში კონკრეტული ეპისტოლარული ნიმუშების შესწავლა გვამღვეს საფუძველს, მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნაციონალური კულტურის მოუცილებელ ნაწილად მივიჩნიოთ.

რასაკვირველია, ყოველ ეპოქას ჰყავს დიდი პიროვნებები, რომლებიც ეპისტოლარული მემკვიდრეობის სიუხვითაც იქცევენ ყურადღებას და მისი სპეციფიკურობითაც. ამ მხრივ განმანათლებლობის ეპოქა ეპისტოლარული

პროზის «ოქროს საუკუნედ» მიიჩნევა, თუმცა XIX საუკუნეს მაინც გამორჩეული ადგილი ეკუთვნის, როგორც მაღალი ეპისტოლარული კულტურის და მწერალთა წერილების საუკუნეს. ასეა ეს როგორც ევროპული მასშტაბით, ასევე ქართული სინამდვილის თვალსაზრისით.

ცხადია, სახელგანთქმულ მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა მრავალი ასპექტით არის საინტერესო, თუმცა მათი გარკვეული პრინციპით განხილვა ჭირს, ვიდრე მხატვრული ან პუბლიცისტური ნაწარმოებებისა, სადაც მიმოხილვისას შეიძლება დაეყრდნო თემას, ჟანრს თუ ქრონოლოგიას.

მწერლის ყოფითი თუ შემოქმედებითი ცხოვრების შემხები და გადამკვეთი პუნქტები ისე წარმოსდგებიან ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, რომ ძნელია გარკვეული სქემის შესაბამისად დაახასიათო მწერლის ავტოპორტრეტი, მაგრამ რადგან მწერალნი და ხელოვანნი არიან მრავალნი და ნაირფეროვანნი, ასევე უაღრესად ინდივიდუალურია მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობაც.

მართალია, ეპისტოლარული მემკვიდრეობის კვლევის განზოგადება მრავალი სირთულის გამო ვერ ხერხდება, მაგრამ ცალკეულ მონაცემთა მიხედვით არის ცდები, გარკვეული ჟანრობრივი პრინციპით იქნას შესწავლილი მწერალთა სულიერი სამყარო.

ევროპულ და რუსულ სინამდვილეში არსებობს შემოქმედთა ეპისტოლარული მემკვიდრეობის ცალკე გამოცემის ტრადიცია, ქართული სინამდვილის თვალსაზრისით კი შედარებით მცირეაა გაშლილი კვლევა-ძიებითი დაკვირვებანი, ამიტომაც საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის თემატიკური სისტემატიზაცია და ლიტერატურული ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის II თავში «გრიგოლ ორბელიანის ეროვნული და სოციალური ინტერესები ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში» მიმოხილულია ის ბარათები, რომლებიც საყურადღებო მასალის შემცველია პოეტის ეროვნულ და სოციალურ ინტერესთა გასათვალისწინებლად.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გაბატონებული შეხედულებით გრიგოლ ორბელიანი გაორებული პიროვნებაა. საქართველოს უდიდესი

პატრიოტი და რუსეთის ტახტის ერთგული ქვეშევრდომი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე და 1865 წლის ბუნტის იარაღით ჩამქრობი, თავისუფლების ტრფიალი და შამილის წინააღმდეგ თავდადებული მეომარი.

ჩვენ შევეცადეთ, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, შეგვეფასებინა მკვლევართა ხსენებული შეხედულებანი და გარკვეული კორექტივი შეგვეტანა მათში.

გრიგოლ ორბელიანისათვის სამშობლოს სიყვარულის გრძნობა რომ სასიცოცხლო არსებობის ფორმა იყო, ამას მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგიაც აღნიშნავდა. ეს სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან პოეტი იმ სახელოვანი გვარის შთამომავალი იყო, რომელსაც ლომის წილი მიუძღოდა ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში. თავად პოეტიც ღირსეული წარმომადგენელია ორბელიანთა სახელოვანი გვარისა.

1832 წელს საქართველოსთვის ტრაგიკულად განვითარებულმა მოვლენებმა, საკითხის რეალურმა მხარემ და იმ მწარე გამოცდილებამ, რაც გრიგოლ ორბელიანმა ცხოვრებისაგან მიიღო, საბოლოოდ დაარწმუნა პოეტი, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, შეთქმულებას სასურველი შედეგი არ შეიძლება მოჰყოლოდა. ეს საკითხი პოეტისათვის მუდმივი ფიქრის საგანი რომ არის, ამას ნათლად გვიდასტურებს მისი დღიურები და პირადი წერილები. პოეტი ხედავდა, რომ შექმნილ საერთაშორისო ვითარების პირობებში, რუსეთის ქვეშევრდომობა ბევრად სჯობდა სპარსეთისა და თურქეთის ბატონობას.

სამშობლოსაგან შორს მყოფი პოეტი თავის დღიურებში და პირად წერილებში ხშირად საუბრობს «ქართველების მიერ სამშობლოს განუსაზღვრელ სიყვარულზე». მის წერილებში იკითხება სევდა გამოწვეული სამშობლოს სიშორით და მონატრებით. სწორედ ამიტომ დღენიადაგ ქართული ხასიათის, ქართული ბუნების, მშობლიურის ძეგნით არის დაკავებული მისი შინაგანი სამყარო ყველგან და ყოველთვის.

მართალია, გრიგოლ ორბელიანის მრავალი პირადი წერილი პიროვნული სიმპათიისა და მაღლიერების ნიშნითაა დაღდასმული, მაგრამ, როგორც პოეტის წერილებიდან ვიგებთ, მისი თავის მოდრეკა და რევერანსები მხოლოდ იმ

ადამიანებისადამია მიმართული, ვისაც ჩვენს მხარეში კეთილი გეგმები და საქმეები აქვს განსახორციელებელი მისი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ცხადია, პოეტისათვის, რომელმაც ნახევარი საუკუნე მეფის რუსეთის სამსახურს შესწირა, უცხო არ უნდა ყოფილიყო მონარქიული რუსეთის ინტერესები. ამიტომაც მის წერილებში, მეფის მოხელეთადმი მიძღვნილ დითირამებთან ერთად, არაერთხელ გაისმის შეკავებული ბოღმაც, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში.

პოეტის მიერ ავარიელთა მიმართ სასტიკი მოქცევაც პატრიოტული გრძნობით შეიძლება აიხსნას. მართლაც, პოეტის წერილებში სიმკაცრის გამომხატველი სიტყვების გვერდით ვხვდებით ახსნასაც მისი სისასტიკისა. «საქართველოს სისხლის დაღადისად» მხოლოდ ისტორიას კი არ უნდა გულისხმობდეს პოეტი, არამედ მის თვალწინ მიმდინარე მოვლენებიც შეიძლება შურისძიების საფუძვლად ქცეულიყო.

როგორც პოეტის მიმოწერიდან ვიგებთ, იგი თავად იყო მონაწილე 1842 წელს თათართა მიერ დარბეული უდაბნოს მონასტრიდან დატყვევებული ბერების გამოხსნისა, თუ 1854 წელს ლეკთაგან დატყვევებული დავით ჭავჭავაძის ოჯახისა და მათი სტუმრების გამოსყიდვისა (მათ შორის ხომ გრიგოლის რძალი და ძმისშვილიც ერივნენ).

პოეტის პირად წერილებში საინტერესოა ის ბრძოლაც, რასაც გრიგოლ ორბელიანი ეწეოდა მშობლიური ენისა და კულტურის სასარგებლოდ. ქართული ენის აპოთეოზად არის მიჩნეული გრიგოლ ორბელიანის წერილი სალომე მიურატისადმი, რომლის მშვენიერმა ქართულმა იმდენად მოხიბლა პოეტი, რომ მადლიერებით სავსე წერილით უპასუხა საფრანგეთში გათხოვილ ქალს.

გრიგოლ ორბელიანი ასევე მტკივნეულად განიცდის იმ საკითხს, რომ ქართველთა ნაწილს დაკარგული აქვს მეომრული თვისებები, რომ ზოგისთვის ტყვეობა ცხოვრების ჩვეულებრივ ფორმად ქცეულა. პოეტს გულწრფელად აწუხებდა იმის გამო, რომ ქართველები არ იყვნენ მათი საფრანგეთის მებრძოლები და ხმლის ჩაგების სურვილი.

გრიგოლ ორბელიანს თავისი გამოკვეთილი პოზიცია აქვს საინგილოს შემოერთების საქმეშიც. ის მიიჩნევს, რომ მამა-პაპურ სარწმუნოებაზე დაბრუნება

ის დულაბი, რომელმაც საბოლოოდ უნდა შეაკავშიროს ძველი ქართული პროვინცია დედა-საქართველოსთან, ამიტომ აქტიურად მონაწილეობს ამ მხარის გაქრისტიანების პროცესში.

პოეტი განიცდის აჭარის მკვიდრთა ბედსაც. 1878 წელს სან-სტეფანოს ზავით რუსეთს შემოუერთდა ბათუმი და შავი ზღვის მიტაცებული სანაპირო. ამ საკითხს ეხება პოეტის წერილები სოფიო ორბელიანისადმი, ლევან მელიქიშვილისა და სალომე მიურატისადმი, სადაც გრიგოლ ორბელიანი საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ამ მხარის მმართველობასთან დაკავშირებით.

გრიგოლ ორბელიანს თავისი პოზიცია ჰქონდა 1861 წლის სოციალური რეფორმის მიმართაც. მართალია, მისმა პოზიციამ რეფორმისადმი კრიტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ პოეტისათვის, როგორც დიდი ჰუმანისტისათვის, რომ სულ ერთი არ იყო გლეხთა უკიდურესი სიღატაკე და გარკვეული ღონისძიებების გატარების საჭიროებას მიიჩნევდა გლეხობის სასარგებლოდ, ჯერ კიდევ მის 1856 წლის ბარათებშია გამოკვეთილი.

გრიგოლ ორბელიანის აზრით, რეფორმა, რომელიც გლეხებს თავისუფლებასა და უკიდურესი სოციალური პირობების შემსუქებას მოუტონს, გარდაუვალია, მაგრამ ფიქრობს, რომ უკეთესია ეს მოხდეს რუსეთში გატარებული რეფორმის შემდეგ, რადგან სიახლის უჩვეულოს დანერგვას ყოველთვის თან ახლავს ხოლმე მსხვერპლი და ცდომილებანი. საქართველოსთვის ამ «აუცილებელი გზის» გავლა გაცილებით ადვილი იქნება, თუ გათვალისწინებული იქნება რუსეთის მიერ რეფორმის გატარების შედეგად დაშვებული შეცდომები.

გრიგოლ ორბელიანი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის თვალთახედვით აფასებს აღნიშნულ რეფორმას. თავად მონაწილეობს ბატონყმობის გაუქმების პროექტის მომზადებაში. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე თავისი წოდების წარმომადგენლებს უხსნის, რომ ეს ყველაფერი მიმართულია «სიკეთისათვის საზოგადოებისა», რომ მოვიდა დრო, როდესაც უნდა დაირღვეს ძველი ჩვეულება საქართველოსი და მის ნანგრევებზე

აშენდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის და ამასთან გარკვეულ ზრუნვას იჩენს თავისი წოდების ადამიანებისადმი, რომლებიც ახალმა დრომ უსუსურ მდგომარეობაში ჩაყარა, თუმცა თავად პოეტს თავადაზნაურთა უკიდურესი გაჭირვების მიზეზად ბატონყმობის გაუქმება კი არა, ცხოვრების არასწორი წესი მიაჩნია.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ორბელიანის წერილები განსაკუთრებული ტრაგიზმით გამოირჩევა. დრომ და მოვლენებმა ყველაფერი შეცვალა პოეტის გარშემო. შეირყვნა ენა, შემცირდა წირვა-ლოცვა, დაცარიელდა ეკლესიები, სათავადაზნაურო ბანკის საქმე შეჩერებულია, ქართველ თავადაზნაურთა და გლეხთა ქონება დაგირავებულია სომხების ხელში. «მსყიდველნი არ არიან სომხების გარდა»-ო, წუხს პოეტი. არაეროვნული ელემენტის მოძალემა და წინსვლა სოციალურ და ეკონომიურ სფეროში სერიოზულად აშფოთებს პატრიოტ პოეტს, რომელიც რეალურ ვითარებაში ეროვნულის შთანთქმის საშიშროებას ხედავს.

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი თავისი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტია და მისი პოზიცია ემთხვევა საზოგადოების იმ მოწინავე ნაწილის აზრს, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ საქართველოს მომავალი განვითარება-აღზევება ძლიერი და ერთმორწმუნე რუსეთის ფრთებქვეშ უნდა მომხდარიყო, რომელიც არა მხოლოდ ურჯულოთა აგრესიისაგან დაიცავდა პატარა ქრისტიანულ ქვეყანას, არამედ ხელს შეუწყობდა მის შემდგომ განვითარებას. საზოგადოების ამ ნაწილისათვის ცნობილია რუსეთის იმპერიალისტური ზრახვანიც. ამის შესახებ ხშირად საუბრობს პოეტი პირად წერილებში.

როგორც პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობით ვრწმუნდებით, გრიგოლ ორბელიანის მთავარი იდეალი გაერთიანებული საქართველოა, რომლის დუღაბი ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნოებაა.

ნაშრომის III თავია «გრიგოლ ორბელიანის ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსი და ქართული სულიერების გადარჩენის პრობლემა მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შუქზე», რომელშიც გავაერთიანეთ ორი ქვეთავი ა) გრიგოლ

ორბელიანის ქრისტიანული პოზიცია და ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი ინტერესი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

III თავის ა) ქვეთავში «გრიგოლ ორბელიანის ქრისტიანული პოზიცია» მიმოხილულია ის ოჯახური გარემო, რომელშიც აღიზარდა პოეტი. პატარა გრიგოლი თავის მშობლებთან ერთად თურმე ხშირად ესწრებოდა წირვა-ლოცვას ანჩისხატის ეკლესიაში. პოეტის მშობლები ქრისტიანულ მოძღვრებაში ღრმად ჩახედული პიროვნებები იყვნენ, რამაც თავისი კვალი დაამჩნია პოეტის სულისკვეთებას.

პოეტის პირველი მასწავლებელიც სასულიერო პირი იყო (ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი) და კეთილშობილთა სასწავლებელში მისი ქართულის მასწავლებელიც ღვთისმსახური გახლდათ, გვარად ხელაშვილი.

ღვთისმომშიში მშობლებისა და მასწავლებლების მიერ მიწვდილი სიბრძნე მთელი ცხოვრების განმავლობაში მშვენიერი სულიერი საგზაია პოეტისათვის.

ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში აღნიშნავდნენ, რომ პოეტის თანამედროვეთაგან, მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა თბილი რელიგიური გრძნობა. მართლაც, ყველაფერი, რასაც ამქვეყნად სიკეთე, სიქველე ჰქვია, თვით სამშობლოს სიყვარული და მისთვის თაყვანისცემაც კი, პოეტის მიერ საღვთო ქმედებად მიიჩნევა.

პოეტის თვალთახედვით ამქვეყნად ყოველი ნება, ბუნებაში მიმდინარე ყველა პროცესი, მხოლოდ «ღვთის ნებას დაქვემდებარებული აქტია», თვით ადამიანის გარდაცვალების პროცესი მის მიერ აღიქმება როგორც დადებითი შინაარსის მატარებელი კანონზომიერი მოვლენა, რომელსაც ცხოვრების დაბადების პროცესი ანუ გარდასახვა, ამქვეყნიურ ამაო განცდათა და გრძნობათაგან განთავისუფლება და სულის განთავისუფლება, ანუ დაბადება მოსდევს.

სიცოცხლის აზრის საკითხს არაერთხელ უბრუნდება პოეტი პირად წერილებში და ახლობლებსაც მოუწოდებს, რომ უსამინლეს განსაცდელსაც კი ქრისტიანული მორჩილებით, რწმენით და სასოებით შეხვდნენ, რადგან თვლის,

რომ მხოლოდ რეალურისადმი «კრძალულებრივი» ერთგულებით უნდა მიიღოს ადამიანმა ამქვეყნად ყოველივე.

გრიგოლ ორბელიანის წარმოდგენაში ქრისტიანობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჩვენი ეროვნული ცნობიერების სიმყარესთან. ქართული მენტალიტეტის გამძლეობის მთავარ პირობად პოეტს ქრისტიანული კულტურის დაცვა და შენახვა ესახება. ამას მოწმობს მისი წერილები სოფიო ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ჭავჭავაძის, ლევან მელიქიშვილის, ტარიელ ლორის-მელიქოვის და სხვათა მიმართ.

1872 წელს, როდესაც თბილისის სემინარიაში ქართული ენის სწავლა აკრძალეს და მის ნაცვლად ბერძნულის შემოტანა სცადეს, სამღვდელოებამ დახმარებისთვის გრიგოლ ორბელიანს მიმართა. ამ საკითხს ეხება მისი წერილები ლევან მელიქიშვილისადმი და სოფიო ორბელიანისადმი, სადაც ცხადად გამოსჭვივის მწვავე ირონია, ამ უგუნური გადაწყვეტილებით გამოწვეული. «აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაჟანგება გონებისა», წერდა პოეტი. სწორედ მისი და ერის სხვა ღირსეულ შვილთა წინააღმდეგობა იყო მიზეზი ამ უგუნური ღონისძიების შეფერხებისა.

1882 წელს პეტერბურგში გამოიცა სასულიერო აკადემიის მოღვაწის მიხეილ საბინინის 639 გვერდიანი წიგნი, «საქართველოს სამოთხე», ქართველ წმინდანთა ილუსტრაციებით შემკული ცხოვრება. ავტორს ამ დიდი მისიის შესრულებაში გრიგოლ ორბელიანი დახმარებია. ჩვენამდე მოღწეულია წერილები, სადაც გრიგოლ ორბელიანი საბინინისათვის შემწეობის აღმოჩენის თხოვნით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს და გრაფ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვს.

აი, ასეთად წარმოსდგება მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით პოეტი, როგორც მორწმუნე-ქრისტიანი, ქართული ეკლესიის ქომაგი, თავად სხვათა შემწე და ყველასთვის შემწეობის მძებნელი.

ნაშრომის III თავის ბ) ქვეთავია «ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი ინტერესი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში», სადაც გამოკვეთილია პოეტის ინტელექტუალური წყურვილი, რაც შეიძლება აქტიურად მიაღწევოს თვალი ლიტერატურისა და ხელოვნების

პრობლემებს.

XIX საუკუნის კავკასიაში, სამხედრო მოქმედებებისათვის ფართო ასპარეზი იყო გაშლილი და თავად გრიგოლ ორბელიანს, როგორც სამხედრო მოსამსახურეს, ცხადია შემოქმედებითი აქტივობისთვის დრო ნაკლებად რჩებოდა, მაგრამ პოეტის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი მხატვრული ინტერესების, მხატვრული გემოვნების თუ მიზანსწრაფვის გასათვალისწინებლად.

გრიგოლ ორბელიანს, როგორც მგოსანს და ერისკაცს სჯეროდა, რომ «ვეფხისტყაოსანი ქართველი ხალხისთვის მხატვრულ შედევრზე მეტი იყო. იგი არაერთგზის აცხადებდა «თქვენმა მზემ, მთავრობის შიში რომ არ მქონდეს «ვეფხისტყაოსანს» ეკლესიაში შევიტანდი და ზედ საკურთხეველზე დავასვენებდიო». ამ ფაქტის შესახებ არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია მისი პირადი წერილებიდან.

მოგვიანებით პოეტის უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით მოხერხდა «ვეფხისტყაოსნის» ოცზე მეტი ძველი ხელნაწერის მოგროვება, რომელთაგან უძველესი 1646 წელს მიეკუთვნებოდა.

ჩვენამდე მოღწეული ფაქტიური მასალის სიმწირის გამო, ძნელია გარკვევა იმისა, თუ როგორი იყო გარემო, პოეტის ლიტერატურული ინტერესებისათვის გეზის და მიმართულების მიმცემი, ან ვინ იყო მკითხველი და შემფასებელი მისი თხზულებებისა.

სახელმწიფო-საისტორიო არქივის ორბელიანთა ფონდში დაცულ ბარათთაგან არაერთის ავტორი, (განსკუთრებით კი მანდილოსნები), გრძნობს და აქეზებს პოეტს შემოქმედებითი საქმიანობისაკენ, თუმცა ადრეულ წლებში, ყველაზე მეტად მაინც დისშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავლენს შეუწელებელ ინტერესს მისი ლიტერატურული შრომისადმი.

ნაშრომში მიმოხილულია ის წერილებიც, სადაც გრიგოლი, როგორც შემოქმედი და მხატვრული ტალანტის ბუნების მცოდნე, გულწრფელადა წუხს დიდი მონაცემების მქონე დისწულის ბედზე. მართალია, პოეტის წერილებში მისი აზრი დისწულზე, როგორც შემოქმედზე არ შემონახულა, მაგრამ მაღალ

შეფასებას გენიოსი დისწულის პოეტური ნიჭისადმი ნათელყოფს ის ცალკეული მაგალითები, რომლებიც პოეტის თანამედროვეებმა შემოგვინახეს.

გრიგოლ ორბელიანს თავისი ცხოვრების მიწურულს დავითნის ქარგაზე შეუქმნია «ფსალმუნი». იგი 1879 წლის 25 ივნისს ილია ჭავჭავაძეს და თავის «ულმობელ კრიტიკოსს» ოლღას უგზავნის ამ ქმნილებას ბარათთან ერთად.

ალბათ, ამ წერილის თარიღის საფუძველზე «ფსალმუნის» შექმნის თარიღად 1879 წლის 25 ივნისი სახელდება, თუმცა, როგორც ირკვევა, პოეტს კიდევ უფრო ადრე ეკატერინე ჭავჭავაძისადმი გაუგზავნია შესაფასებლად აღნიშნული ქმნილება.

1872 წელს გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია ლექსი სოლოგუბისა. 1872 წლის 5 იანვარს ეკატერინე დადიანს ატყობინებს, სოლოგუბის «ალავერდი» ვთარგმნეო. ამ წერილში მკვეთრადაა გამოხატული პოეტის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პრინციპი. «გადმოვიღე მხოლოდ ჰიმნი სალალუბისა და განვაგრცელე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით, რადგან სიტყვასიტყვით თარგმანი არ ევარგებოდაო».

გრიგოლ ორბელიანმა კარგად იცის ფასი და მნიშვნელობა ხელოვნების ყოველი დარგისა. იგი საგანგებოდ გახაზავს თეატრის აუცილებლობას საზოგადოებისათვის. რამეთუ «თეატრი... გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა... თეატრი არს პირველი განმწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან, მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკლულოვანებათა». ეს აზრი გამოთქმულია ქართული თეატრის აღდგენამდე ოციოდე წლით ადრე და გრიგოლ ორბელიანის მსჯელობაში ბრწყინვალედ არის გაცხადებული თეატრის ეთიკურ-ესთეტიკური თუ ეროვნული მიზანდასახულობა.

პოეტს ასევე განზრახული ჰქონია თავისი შეხედულებები უფრო მკვეთრად ჩამოეყალიბებინა თეატრის შესახებ, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ თემების სათაურებმა მოაღწია.

სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ, გრიგოლ ორბელიანს მეტი დრო რჩება კულტურული ღონისძიებებისათვის. როგორც მისი ბარათებიდან

ჩანს, ის ესწრებოდა ლიტერატურულ და მუსიკალურ საღამოებს, დადიოდა თეატრში და ილია ჭავჭავაძესთან ერთად მსჯელობდა ქართული თეატრის მომავლის შესახებ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გაშლილ პოლემიკას პოეტისათვის ხელი არ შეუშლია, რათა ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ილია ჭავჭავაძესთან. როგორც სხვადასხვა დოკუმენტაციიდან ირკვევა, გრიგოლ ორბელიანი ილიას ედგა მხარში როგორც ჟურნალის დაარსებასა, ასევე სხვა კულტურულ და საერისკაცო საქმიანობაში. გრიგოლ ორბელიანი დიდ პატივს სცემდა მისი ისეთი მკაცრი ოპონენტის ნიჭსაც, როგორც აკაკი წერეთელი იყო. საყოველთაოდაა ცნობილი გრიგოლ ორბელიანის მაღალი შეფასება ახალგაზრდა ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭისაც.

ევროპული ხელოვნების თაყვანისცემის მიუხედავად, პოეტი თავისი ეპისტოლარული ნაწერების მიხედვით ეროვნული კულტურის მეხოტბედ გვევლინება, რომლის ინტერესი ყოველთვის მიმართულია ერის ტრადიციების მოვლა-შენახვის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დონის ამაღლებისა და დახვეწისაკენ.

IV თავში, «გამუდმებული ბრძოლის მატთანე», განხილულია გრიგოლ ორბელიანის მიერ კავკასიის მთიანეთიდან მოწერილი ბარათები. «დიდი და მცირე შეტაკებანი, ბრძოლით დაზვერვა, დადარნვა, დევნა, მოლაპარაკება, ყაჩაღთა თავდასხმა, ცხენზე ამხედრება, ლაშქრობა, სიკვდილის თვალეში ცქერა» (ე. მაღრაძე). ასეთია პოეტის მიერ დაღესტნიდან მოწერილი ბარათების შინაარსი.

ნაშრომში მიმოხილულია წერილები, რომლებშიც გრიგოლ ორბელიანი, თავის ახლობლებს, ჩვეული იუმორით, ავარიის ხანად დანიშვნას და ხუმრობით თავის «სატახტო ქალაქ» ხუნძახში შესვლის ამბავს მოუთხრობს. «ისე კარგად ფორმით შევედი და ახლა ვნახოთ, ღმერთმა იცის, როგორც გამოვალ აქედამ»-ო, დასძენს ბოლოს.

ნაშრომში განხილულია წერილები, რომლებიც გრიგოლის მიერ ავარიაში გატარებულ ღონისძიებებს ეხება. მისი ტაქტის და მოქნილი პოლიტიკის

წყალობით, ორბელიანმა შეუძლებელი შეძლო და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ეს მხარე, ამიტომაც აღიარებდნენ მის გონივრულ მმართველობას, როგორც მოკეთენი, ისე მისი დაუძინებელი მტრებიც.

თავად გრიგოლ ორბელიანი კი ასე ახასიათებს საკუთარ პოლიტიკას: «მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა – მოწყალება – მასუკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი»-ო.

ნაშრომში, ორბელიანის წერილების მიხედვით ვსაუბრობთ იმ ბრძოლებზე, რაც შამილის რაზმებსა და რუსეთის გარნიზონებს შორის იმართებოდა.

მეომარ პოეტს თავისი საინტერესო სტრატეგია აქვს რუსეთის მიერ ამ მხარის დაკავებასთან დაკავშირებით. მისთვის თვალნათელია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მხარის დაკავება და საოცარი ალღოც იმისა, თუ საიდან არის ხოლმე საფრთხე მოსალოდნელი. ამიტომაც ხშირად მისი წინასწარმეტყველება ახდება ხოლმე და შემდეგ უწევს ბრძოლა რუსეთის «გონივრული» სამხედრო მანევრირების შედეგად მიყენებული შეცდომების გამოსასწორებლად.

1848 წლის ზაფხულში, გერგებილის ალებით არის ამაყი ორბელიანი, შემოდგომით უკვე ახტის ციხის ალებით იწონებს თავს.

1849 წელს საკუთარ გენერალ-მაიორობას ახარებს ახლობლებს.

გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში საუბრობს იმ დაპირისპირებაზეც, რაც შამილსა და ჰაჯი-მურატს შორის ჩამოწვა, იმ ბრძოლაზეც, რაც ამ ორ შეუპოვარ მთიელს შორის მოხდა, შამილის მარცხზეც.

1854 წელს შამილის ურდოებმა ალაზანი გადმოლახეს და კახეთს შეესივნენ. ტყვეთა შორის აღმოჩნდა დავით ჭავჭავაძის ოჯახი, და მათთან სტუმრად მყოფი ორბელიანის რძალი ბარბარე, თავისი ვაჟით. ტყვეები შამილს ვედენოში მიჰგვარეს. განსაცდელით შეძრწუნებული პოეტი თავად აწარმოებს მოლაპარაკებას შამილთან.

1854 წლის 29 აგვისტოს, ორბელიანს შამილის პირველი წერილი მიუღია. შამილი ტყვეთა სანაცვლოდ მილიონ მანეთს და დიდი ხნის წინ, რუსეთის იმპერატორის მიერ დატყვევებულ ვაჟს ითხოვს.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, ტყვეთა გაცვლის საქმე გვარდება.

1855-1856 წლები კვლავ შამილის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვათა უხერხემლობით გაფუჭებული საქმეების მოგვარების, ისეთი გამაგრებული სოფლების დაკავების წლებია, რომლებსაც თვით ნადირ-შაჰი და ცნობილი გენერლები, დამარცხების შიშით, გვერდს უვლიდნენ.

ნაშრომში მიმოვიხილავთ იმ წერილებს, სადაც პოეტი ახალი ბურთუნაის და აუხის სიმაგრის აღების შესახებ საუბრობს. როგორც ცნობილია, ამ დიდი გამარჯვებისათვის იგი გენერალ-ადიუტანტის ჩინით და აღმასით შემკული ოქროს ხმლით დააჯილდოვეს, მაგრამ ამ დროისათვის ორბელიანის სულიერ განწყობას აშკარად აზის მეომარი ძმების ტრაგიკული აღსასრულის ბეჭედი. ახლობლების დაღუპვამ კი კიდევ უფრო გააღრმავა საწუთროს ამოებაზე ფიქრი. ამიტომაც შეერია გრიგოლ ორბელიანს სევდა ომახიან ხმაში. იგი აღარაფერს მოელოდა აღარც სამსახურისაგან, აღარც სიცოცხლისაგან და დაჟინებით მოითხოვდა გადაყვანას. მთავარმართებელმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და იგი 1857 წლის ბოლოსთვის თბილისში, მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გადაიყვანა.

ამით დასრულდა გრიგოლ ორბელიანის 15 წლიანი სამხედრო სამსახური, მაგრამ პოეტის სამხედრო კარიერაზე საუბრის დასასრულს შეუძლებელია არ შევჩერდეთ მის მიერ ყაჩაღების მიმართ გატარებულ იმ სასტიკ ზომებზე, რომლებზეც პოეტი ხშირად საუბრობს თავის ახლობლებისადმი მიწერილ ბარათებში.

ქუთიშის, სალტას, გერგებლის, სალათავის დალაშქვრის შემდეგ დაწერილი ბარათებიდან აშკარად გამოსჭვივის ორბელიანის ასეთი განწყობის მიზეზი. «ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდამ», «კახეთის სისხლი ავიღე», «ეს სულ საქართველოს სისხლის დაღადისია». აი, პასუხი მისი სისასტიკისა, ამ თვალსაწიერიდან ამართლებს იგი თავის მოქმედებას, როგორც შურისძიების ნიადაგზე აღმოცენებულს.

ცხადია, გრიგოლ ორბელიანმა, როგორც თავისი დროის განათლებულმა პიროვნებამ, კარგად იცოდა დაღესტნელ ფეოდალთა მიერ საქართველოზე თავდასხმების შედეგად ჩაწერილი საქართველოს ისტორიის ფურცლები, ამასთან

თავადაც ხშირად არის მოწმე და თვითმხილველი ლეკთა იმ სასტიკი თავდასხმებისა, რაც შეიძლებოდა შურისძიების წყაროდ ქცეულიყო.

1842 წელს ლეკებმა დაატყვევეს და მძევლად წაიყვანეს გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა ილია, 1851 წელს დაარბიეს დავით გარეჯის მონასტერი, დაატყვევეს ბერები, ხოლო ექვს მათგანს წამებით ამოჰხადეს სული (მოგვიანებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა), 1854 წელს კახეთი ააოხრეს და ტყვეთა შორის კვლავ გრიგოლ ორბელიანის ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ (ამჯერად ძმის, ილიას ქვრივი და ვაჟიშვილი).

ცხადია, გრიგოლ ორბელიანი მოყვრად ვერ დაუხვდებოდა სამტროდ მოსულ აგრესორს, და თუ არა პოეტის ნაკლად მიჩნეული სიმკაცრე, ვინ იცის, რა დღე ელოდა საქართველოს პანისლამური იდეით შეპყრობილი ფანატიკოსებისაგან, რომელთა მიზანიც, კავკასიაში ყოველგვარი ქრისტიანულის მოსპობა იყო. ამიტომაც პოეტი დაუნდობლად იბრძოდა ისლამის რელიგიის მატარებელი მთიელი ტომების მიმართ, არა მხოლოდ როგორც რუსეთის თვითმპყრობელური ზრახვის გამტარებელი, არამედ, როგორც დაჩაგრული სამშობლოს პატრიოტი.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი მხოლოდ ყაჩაღთა მიმართ არის სასტიკი და დაუნდობელი, უბრალო ხალხი კი მასში, როგორც მმართველში, ყოველთვის თანაგრძნობას იწვევს.

გრიგოლ ორბელიანს საკუთარი, მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებითაც, როდესაც ფიქრობს, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად დიდი ტაქტი და სიფრთხილეა საჭირო. იგი თვლის, რომ ჯერ არ მოსულა დრო დაღესტანში ქრისტიანული რჯულის გასავრცელებლად, და არც ძალადობა მიაჩნია სწორად საუკუნეობით დანერგილის და დაფუძნებულის დასანგრევად.

გრიგოლ ორბელიანის დაღესტანში გატარებულ წლებში შექმნილი ეპისტოლარული ნაწერები საყურადღებო ცნობებს შეიცავს მისი, როგორც ადმინისტრატორის, თუ მეომრის დასახასიათებლად. იგი თავისი

დიპლომატიური ალღოს, გამჭრიახი გონების და მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ყოველთვის ნდობას და პატივისცემას იწვევდა მოწინააღმდეგეებშიც კი. მის ნიჭს ერთხმად აღიარებდნენ როგორც რუსი მთავარმართებლები, ასევე გრიგოლ ორბელიანის დაუძინებელი მტერი – შამილიც.

გრიგოლ ორბელიანის ამ პერიოდის ბარათები, ეს თავად არის როგორც პოეტის კავკასიური ბრძოლების მატთანე, ასევე XIX საუკუნის კავკასიის ომების მონუმენტური სურათი.

ეს ბარათები უტყუარ ცნობებს შეიცავს კავკასიის მთიელი ხალხის ყოფის, ადათ-წესების და ტრადიციების შესასწავლად.

V თავის ფორმულირება ასეთია: «გრიგოლ ორბელიანის წერილები ოჯახთან».

ნაშრომის ამ მონაკვეთში დახასიათებულია პოეტის დამოკიდებულება საკუთარ ოჯახთან, კერძოდ და-ძმასთან. მითითებულია პოეტის თანამედროვე და ბიოგრაფ ი. მეუნარგიას მოსაზრება გრიგოლ ორბელიანის ხასიათის ამ მხარისა. მითითებულია ისიც, რომ მართალია ქართული ლიტერატურის კრიტიკაში პოეტი დის ოჯახის მიმართ გულგრილობაში დაადანაშაულეს, მაგრამ ამ ბრალდების საპირისპიროს ღაღადებენ მისი ბარათები.

ნაშრომში ასევე მიმოვიხილეთ პოეტის მიძღვნილი ხასიათის ლექსი «ჩემს დას ეფემიას», რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ეპისტოლარული ლირიკის შედეგად.

აქვე წარმოდგენილია გრიგოლ ორბელიანის მიმოწერა ძმებისადმი: ილიასა და ზაქარიასადმი, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, საინტერესო პრაქტიკული რჩევებია გამოთქმული პოეტის მიერ განათლებაზე, «ახალგაზრდა კაცისთვის დამღუპველ ისეთ ვნებათაგან» დაკავშირებითაც, როგორცაა ლოთობა და ქაღალდის თამაში. პოეტი ცდილობს, გზა მისცეს ძმების ნიჭსა და გაქანებას, მთელი გულით ხარობს ძმების სამსახურებრივ წინსვლასა და წარმატებებზე, ზრუნავს გარდაცვლილი ძმების გაპატიოსნებასა და ქვრივად დარჩენილ რძლებსა და დაობლებულ ძმისშვილებზე.

პოეტს სიბერის ნუგეშად ილიას ვაჟი გიორგიდა რჩება და ისიც

მოუღლელად ზრუნავს მასზე. გრიგოლ ორბელიანის არქივზე მუშაობისას ი. მეუნარგიას ასზე მეტი წერილი აღმოუჩენია გიორგის დედის, ბარბარე ბატონიშვილისადმი მიწერილი. ნაშრომში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ამ ბარათებზე.

V თავის ა) ქვეთავში «პოეტური შთაგონების ობიექტები «მშვენიერი გრაცია» გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ ნაწერებში», მიმოვიხილავთ წერილებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ ადამიანებთან, ვისთანაც პოეტს გარკვეული განცდა, ემოცია აკავშირებდა. ერთ-ერთი მათგანი პოეტის მიერ აკვანში დანიშნული სოფიო ორბელიანი იყო, მაგრამ 1836 წელს ორბელიანი იმერეთის დედოფალს, მისი ბიძის სოლომონ მეორის მეუღლეს, მარიამს, ატყობინებს სოფიოს გათხოვების ამბავს.

პოეტის ერთადერთი და ღრმა სიყვარული ნინო ჭავჭავაძე იყო. სავარაუდოდ, ნინოსა და გრიგოლ ორბელიანს შორის არსებობდა მიმოწერა. სახელმწიფო არქივში დაცულია ერთი ბარათი და ერთი, მანანა ორბელიანის ბარათზე მინაწერი და ერთიც სალომე ჭავჭავაძის ბარათზე მინაწერი წერილი ნინოსი გრიგოლისადმი.

როგორც ირკვევა გრიგოლ ორბელიანი არც ეკატერინე ჭავჭავაძისადმი ყოფილა გულგრილი. ჩვენ ნაშრომში მოგვყავს საზოგადოებისათვის უცნობი წერილი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი სწერს ეკატერინეს. წერილი 1839 წლით თარიღდება.

ნაშრომში ასევე მიმოხილულია გრიგოლ ორბელიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის მიმოწერა.

მოხუცებული პოეტი არაერთხელ იგონებს მშვენიერ არსებებს, რომელნიც მის ცხოვრებას სიხალისეს და მშვენიერებას მატებდნენ.

ნაშრომის V თავის ბ) ქვეთავში «ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით», მიმოვიხილავთ გრიგოლ ორბელიანის მიმართ დასმულ არცთუ სასიამოვნო პრეტენზიათა საფუძვლიანობას. გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის არსებობდა მიმოწერა, თუმცა თავად გრიგოლ ორბელიანის ბარათს

დისშვილისადმი, დღემდე არ მოუღწევია, ამიტომ მიმოვიხილეთ ნ. ბარათაშვილის წერილები ბიძისადმი და ორბელიანის მიერ ახლობლებისადმი გაგზავნილი ბარათები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდიან პოეტებს შორის არსებულ დამოკიდებულებას. ხოლო ის ფაქტი, რომ ნ. ბარათაშვილი შესაფასებლად სწორედ გრიგოლ ორბელიანს უგზავნის თავის ლექსებს, უკვე ამ ხელოვანთა შორის ფაქიზი ურთიერთობის უტყუარი საბუთია.

დამოწმებული წყაროები:

- * გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო-ლიტერატურული მუზეუმი, ფონდი 20136, გვ. 11-12.
- * გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო-ლიტერატურული მუზეუმი, ფონდი 20150-6, გვ. 39.
- * საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 5, აღწერილობა 1 საქმე 7502, გვ. 9.
- * სსცსა ფონდი 5, აღწერილობა 1, საქმე 7516, გვ. 44.
- * სსცსა ფონდი 5, აღწერილობა 1, საქმე 7516, გვ. 83.
- * სსცსა ფონდი 5, აღწერილობა 1, საქმე 7516, გვ. 155.
- * სსცსა ფონდი 481, აღწერილობა 2, საქმე 364, გვ. 3.
- * სსცსა ფონდი 481, აღწერილობა 2, საქმე 364, გვ. 20.
- * სსცსა ფონდი 481, აღწერილობა 2, საქმე 364, გვ. 26.
- * სსცსა ფონდი 481, აღწერილობა 2, საქმე 364, გვ. 64.
- * სსცსა ფონდი 481, აღწერილობა 2, საქმე 364, გვ. 188-189.
- * სსცსა ფონდი 481, აღწერილობა 2, საქმე 364, გვ. 197-198.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 62.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 63.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 77.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 78.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 79.

- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 111.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 114.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 115.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 117.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 117/ 66.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 486.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 487.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 507.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 514.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 516.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 519.
- * ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 53, 520.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე, 1970 – კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ., 1970.
2. აპტი, 1975 – Апт. С.К. Томас Манн, Письма, М, 1975.
3. ასათიანი, 1974 – გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974.
4. ასათიანი, 1988 – გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
5. ბეკერი და ბოსკოვი, 1961 – Беккер Г. и Босков А, Социология и психоанализ под редакцией Чесникова, М, 1961.
6. გამსახურდია, 1963 – კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1963.
7. გასეტი, 1992 - გასეტი ხოსე ორტეგა ი, ხელოვნების დეკლამანიზაცია, ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1992.
8. გაწერელია, 1936 – ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანის წერილები, როგორც ბიოგრაფიული მასალა, შესავალი წერილი, გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, თბ., 1936.
9. გაწერელია, 1978 – ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978.
10. გაწერელია, 1989 – ა. გაწერელია, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი, გრიგოლ ორბელიანი, სადამო გამოსაღმებისა, თბ., 1989.
11. გინზბურგი, 1990 – Гинзбург, Переписки Бориса Пастернака, М, 1990.
12. გოგუაძე, 1981 – ვ. გოგუაძე, ხასიათები, ქართული ენა და ლიტერატურა

სკოლაში, 1981, 2.

13. გუგუშვილი, 1941 – პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, თბ., 1941.
14. დავითნი, კანონი 3, ფსალმუნი 23.
15. დრანსე, 1858 – Воспоминания г-жи Дрансе, Пленицы Шамиля, пер. Дзюбинского, Тф. 1858.
16. დროება, 1876 წელი, 48.
17. დროება, 1878 წელი, 180.
18. დროება, 1878 წელი, 239.
19. დროება, 1883 წელი, 77.
20. ევგენიძე, 1995 – ი. ევგენიძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1995.
21. ელისტრატოვა, 1963 – Байрон, дневники, письма, послесловие А. Елистратовой, М, 1963.
22. ელისტრატოვა, 1973 – Елистратова А, Европейский романтизм, М, 1973.
23. ენციკლოპედია, 1995 – Merriam-Webster's Encyclopedia of literature, Incorporated, Publishers Springfield, Massachusetts, 1995.
24. ენციკლოპედია, 1998 – The Columbia Encyclopedia, sixth edition, Edited by Paul Lagasse, Columbia University Press, Sold and distributed By Gale Group, 1998.
25. ესაძე, 1909 – Эсадзе, Штурм Гуниба, Тф. 1909.
26. ვერდერევსკი, 1856 – Вердеревский, Е. Плен у Шамиля, 1856.
27. ვოლკონსკი, 1882 – Волконский, Н. А. Кавказский Сборник, т. VI, 1882.
28. ვოლკონსკი, 1883 – Волконский, Н. А. Кавказский Сборник, , т. VII, 1883.
29. ზანდუკელი, 1972 –მ. ზანდუკელი, თხზულებანი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I, თბ., 1972.

30. ზისერმანი, 1890 – Зиссерман, Барятинский, т. I, 1890.
31. ინგოროყვა, 1969 – პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1969.
32. Кавказ, 1851, №88.
33. Кавказ, 1853, №1.
34. Кавказ, 1854, №8.
35. Кавказ, 1857, №51.
36. Кавказ, 1857, №91.
37. Кавказ, 1858, №26.
38. Кавказ, 1859, №1.
39. Кавказский Сборник, т. VIII, 1897.
40. Кавказский Сборник, т. XXXI, 1911.
41. კაკაბაძე, 1983 – მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძველები, თბ., 1983.
42. კიკნაძე, 1972 – გრ. კიკნაძე, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1972.
43. კიკნაძე, 1957 – გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
44. კოტეტიშვილი, 1965 – ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX საუკუნის წიგნი, I, თბ., 1965.
45. ლექსიკონი, 1998 – Roget's Super Thesaurus second editio, Mars Melutcheon, Cincinnati, Ohio, 1998.
46. ლიტერატურული საქართველო, 1938, 16 (17).
47. მაღრაძე, 1975 – ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1975.
48. მახარაძე, 1952 – აპ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის

ისტორიიდან, თბ., 1952.

49. მახარაძე, 1982 – აკ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1982.

50. მეუნარგია, 1941 – ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1941.

51. მეუნარგია, 1954 – ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ს. ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1954.

52. მეუნარგია, 1957 – ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, თბ., 1957.

53. მეძველია, 1946 – კ. მეძველია, გრ. ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.

54. მთაწმინდელი, 1885 – ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), ბესიკი, თ. ალექ.

ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1885.

55. მთაწმინდელი, 1895 – ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1895.

56. ნადირაშვილი, 1975 – შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.

57. ოკოლნიჩი, 1859 – Окольников, Н. А. Военный Сборник, т. II, отд. II. 1859.

58. ორბელიანი, 1936 – გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, თბ., 1936.

59. ორბელიანი, 1937 – გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, თბ., 1937.

60. ორბელიანი, 1959 – გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.

61. რადიანი, 1952 – შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1952.

62. რადიანი, 1970 – შ. რადიანი, რჩეული წერილები, თბ., 1970.

63. რობაქიძე, 1994 – გრ. რობაქიძე, შერისხულნი, ტ. II, თბ., 1994.
64. როზანოვა, 1965 – Толстой, Л. Н, Сборник сочинений, Письма, т. 17, Составитель, вступительная статья и примечания Розановой, 1965.
65. საქართველოს ბატონყმობის მასალები, 1925 – საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. IV, 1925.
66. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956 – ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1956.
67. ქიქოძე, 1963 – გერ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1963.
68. ქიქოძე, 1985 – გერ. ქიქოძე, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985.
69. შარაბიძე, 1999 – გრიგოლ ორბელიანი, პოეზია, იდეურ-მხატვრული ანალიზი თ, შარაბიძის, 1999 წელი.
70. შარაძე, 1987 – გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება, თბ., 1987.
71. ცაიშვილი, 1947 – ს. ცაიშვილი, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947.
72. ჭილაია, 1946 – ს. ჭილაია, ლიტერატურული წერილები, თბ., 1946.
73. ხუნდაძე, 1941 – ს. ხუნდაძე, ნარკვევები, თბ., 1941.